


1168
2008

ISSN 1987 - 5029

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ეროვნული ბიბლიოთეკა






ხშირად [illegible] ჭეშმარიტება კი არა, ცუდი განწყობილება იმალება.



გონიერი მკითხველი

35

## „გმირული სიკვდილისთვის სიცოცხლეს არც მე დავიშურებდი"

„ჩემ გვერდით იბრძოდნენ ის ჯარისკაცები, ვისაც ეყო ვაჟკაცობა, დაეძლია სიკვდილის შიში. იქ, სადაც მე ვიყავი აგვისტოს მოვლენებისას, ჯარისკაცების მხრიდან არანაირი დაბნეულობა არ შეინიშნებოდა."



78

## ღვთისმშობლის ხატი — „პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი"



ღვთისმშობლის ხატი „ცხოვრებისმომნიჭებელი", რომელსაც „წინამაუწყებელსაც" უწოდებენ, ათონის მთაზე, ვათოპედის მონასტერში, დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძარშია დაბრძანებული.

82

კვირის პალიტრა

გზა

№48 (442)
27 ნოემბერი - - 3 დეკემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ პროვოკატორი
პომპეზური რევოლუციის მოკრძალებული იუბილე ანუ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" 5

■ ფაქტი და კომენტარი
.კიწმარიშვილი-თარგამაძის დაპირისპირება და შეწყალებული პატიმრები 6

■ პოლიტიკა
„ჩვენ რა ვქნათ, დავიძინოთ?.." 7

■ რეპორტაჟი
პრეზიდენტის „ჩამოსაგდებად" მოსული ჯარი და „მურტალი" სიმთვრალის მქონე ოკუპანტები ანუ ვინ გვეომება — რუსეთი თუ ამერიკა?.. 9

■ კონფლიქტი
რატომ ვაგებთ რუსეთთან საინფორმაციო ომს?! 10

■ თემა
პირველი ქალბატონები 12

■ იმიჯი
სუნამოები — ძლიერი მამაკაცისა და თავნება ქალბატონისთვის 16

■ ეკრანს მიღმა
„მედიატორი" — დეტექტიური დრამა პასუხგაუცემელი კითხვებით 18

■ ჟურნალისტის როლში
როგორ მოიქცია რადიო „პალიტრის" პრესის მიმომხილველმა ზაქრო ინწკირველი თავის „კლანჭებში" 20

■ ავტოფანები
„ავტომანქანა ჩემი ცოლია, ამიტომაც არ ვჩქარობ დაოჯახებას" 22

■ ექსტრემი
ქართველი ექსტრემალი „ოფროუდერები" 24

■ საპატარძლო
ვის ირჩევს „მის ბიკინი" საქმროდ... 26

■ ერუდიტი
უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გოგა ფიფიას ინტელექტი 28



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

— ფული იმდენი მქონდა, რომ სამ ქარავანს ვიყიდდი, თავის მცველებიანად, მაგრამ გარკვეულ დრომდე არ მინდოდა ამის გამჟღავნება, — ჩაილაპარაკა შიმ.

— მაშინ რატომ გითხრა უარი ყაენის ძმამ?

— ამპარტავნებამ სძლია. არ მოინდომა ჩამოკონკილ ცინთან საქმის დაჭერა, თავის თანატოლად არ მიმიჩნია.

86

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

92

26014

■ ანტიდეპრესანტი 30
■ ემიგრანტი
როდის მოხსნის მარიამ ქევხიშვილი მსოფლიო რეკორდს? 30
■ ჯანმრთელობა
მითები შიდსზე 32
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ცხოვრება 35
✓გზავნილები 51
■ ნამდვილი ამბავი
„ერთხელ ჭირისუფალსაც გაეცინება"... 67
■ ასპარეზი
პირველი ქართველი ფრანგულ ლიგაში და მამის კვალზე დამდგარი შვილი 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ რა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის 76
✓ მარტოობა თუ მუდმივი საფრთხის ქვეშ ყოფნა? 77
■ მეომარი
„გმირული სიკვდილისთვის სიცოცხლეს არც მე დავიშურებდი" 78
■ შენ, სისხლო ჩემო
მამაცი მეომრის ქვრივი და გმირი ჯარისკაცის დედა 80
■ წმინდანები
ღვთისმშობლის ხატი — „პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი" 82
■ ფესვები
როგორ ვრცელდებოდა დედაენა ფერეიდნელ ქართველთა შორის 85
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 86
■ თინეიჯერული პონტები
✓ანგარებიანი ქორწინება ანუ როცა სიმდიდრე გვაბრმავებს 91
✓ „რად გინდა, გქონდეს ფული და უბედური იყო?" 93
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98


## რა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის



განსხვავებული ტემპერამენტის ადამიანები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერთო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამონახონ.

76

## ქართველი ექსტრემალი „ოფროუდერები"

„რა თქმა უნდა, დამატებითი დეტალების გარეშე ვერ მოხერხდება ექსტრემალურ ადგილებში მოძრაობა. არის საბურავები, რომლებიც ჩვეულებრივ ტრასაზე სიარულისთვის არაკომფორტულია".



24

## მამაცი მეომრის ქვრივი და გმირი ჯარისკაცის დედა



20 წლის ვახტანგის დალუპვის შემდეგ უბედურ დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მწუხარებით აღსავსე მისი დღეები გარდაცვლილ შვილზე ზრუნვაში გადის: ან ვახოს საფლავს უვლის, ან ეკლესიის აშენებისთვის საჭირო საქმეებს აგვარებს.

80




— ვა, რა მაგარია! მიყვარს მსახიობები, — ტაში შემოჰკრა შორენამ.

— მგონი, საინტერესო ღამე გველის, — გაიცინა ნუკრიმ.

— თქვენ რატომ არაფერს ამბობთ? — მომიბრუნდა ნინო. — სიტყვაძუნწი ხართ?

— ალბათ, — პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე.

— აი, ნამცხვარს რომ დავჭრით, მერე მოვა ლაპარაკის ხასიათზე, — შენიშნა შორენამ და ნუკრის გვერდით მოკალათდა.

70

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა"
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში": 37-78-07; 38-78-70.

# პომპეზური რევოლუციის მოკრძალებული იუბილე ანუ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"



რა სწრაფად გარბის დრო! რომ მითხრეს, „ვარდების რევოლუციის" ხუთი წლისთავიაო, გამიკვირდა, მე კიდევ მეგონა, აწი იყო მოსახდენი რევოლუცია! მოკლედ, ხუთი წელია უკვე, ვარდს კოკორი გაეფურჩქნა და თავისი სილამაზითა და არომატით ათრობს მთელ ქვეყანას. რამდენი რამ გაკეთდა ამ ხუთი წლის მანძილზე: აშენდა ფოთის პორტი, აშენდა სუფსის ტერმინალი, აშენდა აეროპორტი და ერთი სიტყვით, აშენდა შენი ოჯახი, სააკაშვილო, თორემ რას ჰგავდა ჩვენი ცხოვრება ხუთი წლის წინ: გაწვიმდებოდა თუ არა, „ფოთის პორტი" ქუჩებში გვქონდა და უშუქობის გამო „სუფსის ნავთობტერმინალი" — სახლებში; ღამით ეზოებში ცეცხლმოკიდებული „პაკრიშკით" ვთბებოდით და დღისით პურის რიგში — ერთმანეთთან ჩახუტებით.



არა, რევოლუციური ვარდის სურნელით მთვრალი კი არ ვარ, მისი ეკლები რომ ვერ შევნიშნო, მაგრამ როგორც პატიოსანმა და ობიექტურმა პროვოკატორმა, კარგიც უნდა ვთქვა და — „უკეთესიც". ჯერ მარტო ის რად ღირს, სახლები რომ გავაფერადეთ და გამოვაცოცხლეთ ქალაქი: ერთი კორპუსი სალათისფერია, მეორე — მელანქოლიური სტაფილოსფერი, მესამეს კვერცხის გულის ტონი მივეცით და რომ შეხედავ, მასივი კი არა, ვინეგრეტია — ნერწყვი მოგდის, გშივდება, ფული არ გაქვს და გულმოსული გაიძახი, კორპუსები ვჭამოთო?!



ასფალტზე ალარაფერს ვამბობ. ხომ გახსოვთ, მათემატიკური სასწაულები რომ ხდებოდა თბილისში: სახლიდან სამსახურამდე 10 კილომეტრი იყო, მაგრამ მანქანას იმდენი ორმოს შემოვლა უწევდა, რომ 20 კილომეტრს გადიოდა. სამსახურში რომ მიხვიდოდი, უკვე წამოსვლის დრო იყო; მოხვიდოდი და სახლამდე სანამ მოაღწევდი, უკვე წასვლის დრო დგებოდა და ვცხოვრობდით ასე, ცელოფანისფანჯრიან „მარშრუტკაში": ფულს ჯიბგირი ამოგაცლიდა და ჯიბეცარიელს, მძღოლი დედას შეგაგინებდა, — შვილებს შენი მადლობა ვაჭამოო?!

გნებავთ, პოლიცია ავიღოთ: როგორი უსუსური პოლიცია გვყავდა! მიტინგის დარბევა რომ დასჭირვებოდა, ერთი ბალონი ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიაც კი არ გააჩნდა. ახლა კიდევ, ისეთი ალჭურვილი შსს გვყავს, მთავარია, ხალხს დასჭირდეს და არც გაზი მოაკლდება და არც — რეზინა. ვიდეოთვალები ხომ საერთოდ, ევროპაა! დილით დაარღვევ მოძრაობის წესს, საღამოს ეთერში ხარ. ერთი ჩემი მეზობელი სულ არღვევს და ისეთი პოპულარული გახდა, რომ უკვე ჟურნალისტები დასდევენ, — ინტერვიუ მოგვეციო.

უფასო „03" რომ არ ვახსენო, უსინდისობა იქნება: ისეთი გაწკრიალებული მანქანებით დადიან და მომსახურებაც ისეთი აქვთ, რომ შეგშურდება კიდეც, მეზობელთან რომ მივლენ და არა — შენთან. მაგრამ რა გაგხდის ცუდად, როცა კარგ ასფალტზე დადიხარ, ფერად სახლში ცხოვრობ და ჩემი მეზობელივით პოპულარული ხარ?!. მოკლედ, მინისტრობა არ ამცდება, იმდენს ვაქებ მთავრობას, მაგრამ რად გინდა, როდის იყო, მთავრობა პრესას კითხულობდა?!

ყოველივე ამის შემდეგ საცოდაობა კი იყო, ხუთი წლის იუბილე პომპეზურობით არ აღგვენიშნა და დიდი კონცერტი არ მოგვეწყო, როგორც გვჩვევია, უცხოელი ვარსკვლავების მონაწილეობით, მაგრამ ნაომარ ქვეყანაში, სადაც დევნილთა ქალაქები შენდება, იუბილე ცოტა არ იყოს, უხერხულია. ამიტომ, მოკრძალებული „დაბადების დღე" გადავიხადეთ და არც არავინ დაგვიპატიჟებია, — ვისაც გავახსენდებით, ის მოვა-თქო. გახსენებით ბევრს გავახსენდით, მაგრამ არ ჩამოვიდნენ — არ შევაწუხოთო და პირდაპირ ფული გვაჩუქეს. ჩამოსვლით კი პოლონეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა, მაგრამ ვაი ისეთ ჩამოსვლას — კინალამ ახალგორის მისადგომებთან მივაკალით ამოდენა, ნატოსა და ევროკავშირის წევრი კაცი.

ახლა დარწმუნებით ვერ ვამბობთ, პრეზიდენტებს ესროლესთქო, მაგრამ სროლა რომ იყო, ფაქტია. იქნებ, ნიკანდრო ქილიასი არ იყოს, ერთმანეთს ესროდნენ, მაგრამ თუ ასე არ იყო, მაშინ მაგრად გაგვიმართლა, რომ ორივე გასროლა უშედეგო აღმოჩნდა. ისე, რომ მიდიხარ, სად მიდიხარ და სად მიგყავს ეს სტუმარი კაცი?! რა დროს მარშრუტის უცებ შეცვლა და იმპროვიზაციაა?! ან შენს თავს რას ერჩი და ან ჩვენ ვის იმედზე გვტოვებ?!

აგერ, ქალბატონი ნინო გამოჩნდა ისევ პოლიტიკურ სარბიელზე და ისეთი პრეზენტაცია მოაწყო, პრეზიდენტის ინაუგურაციას უფრო ჰგავდა. პარტიის სახელიც ვრცელი და მრავლისმთქმელია: „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" (პარტიის სახელები ყოველთვის კარგი იცოდა). უკვე სახელში დევს დაპირებები!.. ჩემთვის რომ ეკითხა, ბარემ რამდენიმე სიტყვასაც მივამატებდი და საარჩევნო პროგრამაც აღარ დასჭირდებოდა: „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო-ნათელი მომავალი-მაღალი ხელფასები-ევრორემონტი სველი წერტილებით კაფელში-არავითარი კარიესი"... აჰა, როგორია?! ნეტავ, მომავალი მთავრობა მაინც თუ კითხულობს პრესას? იქნებ, მართლა ველირსო მინისტრობას!..

*p.s. პარტიის საარჩევნო პროგრამის გაცნობა:*

*— ბატონებო, მხარი დაგვიჭირეთ არჩევნებზე და თუ ჩვენ მოვალთ მთავრობაში, აღმოვფხვრით კორუფციას, დავასაქმებთ ხალხს, ჩავჭრით და გავიტანთ რადიატორებს, დაგიმზადებთ ავგაროზებს.*

*— უკაცრავად, თირკმლები მაწუხებს და ხმა თქვენ მოგცეთ?*

*— არა, ქალბატონო, თირკმლები და იშიაზი ლეიბორისტების კომპეტენციაა.*

**პროვოკატორი**

# კიწმარიშვილი-თარგამაძის დაპირისპირება და შეწყალებული პატიმრები

**გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების დიდ ნაწილს საპარლამენტო დროებითი კომისიის მიერ ეროსი კიწმარიშვილის დაკითხვა და თარგამაძე-კიწმარიშვილის ურთიერთშელაპარაკება მიაჩნია. ადამიანების უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ კიწმარიშვილი არასწორად მოიქცა. გარდა ამისა, ხალხს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმაც ძალზე აშფოთებს. თუმცა, გასულ კვირას, სასიხარულო ფაქტიც მოხდა. ასზე მეტი შეწყალებული პატიმარი ოჯახს დაუბრუნდა...**

*ნათია ქივიძე*

**ლალი რუხაძე,** *ინჟინერი, 53 წლის:*

— ჩემი აზრით, ეროსი კიწმარიშვილის ყველა ბრალდება ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს მოვლენების მთავარ დამნაშავედ მეც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მიმაჩნია, კიწმარიშვილს მაინც არ ვენდობი. როდის როგორც სჭირდება, ისე ლაპარაკობს. ჯერ ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, ახლა კი ოპოზიციაში გადაინაცვლა. ძალიან კარგს იზამს დავითაია, თუ კიწმარიშვილის წინააღმდეგ მართლა შეიტანს სარჩელს სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გივი თარგამაძის საქციელს მაინც არ ვამართლებ. რაც უნდა იყოს, ამ დაკითხვას პირდაპირ ეთერში მთელი საქართველო უყურებდა და კალმის სროლა არაეთიკურად მიმაჩნია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, სააკაშვილსა და პოლონეთის პრეზიდენტს ცეცხლი რომ გაუხსნეს. როგორც ჩანს, რუსეთი პოზიციების დათმობას არ აპირებს. ჩემი აზრით, ამ საკითხით ევროკავშირიცა და ნატოც უნდა დაინტერესდნენ და რუსეთის წინააღმდეგ გაცილებით მკაცრი ზომები მიიღონ.



**გიორგი აბულაშვილი,** *ეკონომისტი, 34 წლის:*

— ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ეროსი კიწმარიშვილისა და გივი თარგამაძის დაპირისპირება. საერთოდ ვერ ვხვდები, კიწმარიშვილს რა უნდოდა პოლიტიკაში, მით უფრო, ელჩად; თან ისეთ ქვეყანაში, რომელთან ურთიერთობის მოგვარებაზეც პროფესიონალ დიპლომატს უნდა ეზრუნა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კიწმარიშვილი ჩვენს სასიკეთოდ ვერაფერს გააკეთებდა და ასეც მოხდა. ახლა კი გადაწყვიტა, ირაკლი ოქრუაშვილივით, პროვოკაციისთვის მიემართა და სახალხოდ რაღაც უაზრო ბრალდებებით გამოვიდა. რატომ მოიქცა ასე, ძალიან მიკვირს. ალბათ მასაც საზღვარგარეთ ცხოვრება სურს და რომელიმე ქვეყნისგან ისიც პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვს... გარდა ამისა, ძალიან გამიხარდა, პატიმრები რომ შეიწყალეს. რამდენი სიხარულით აცრემლებული ადამიანი ვნახეთ. გასაგებია, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ პატიმრები მაინც ძალიან მეცოდებიან და ყოველ შეწყალებას მოუთმენლად ველოდები. კარგია, ეს შეწყალება ძირითადად, ქალებსა და არასრულწლოვნებს რომ შეეხოთ.

**ელისო ჩქარეული,** *დიასახლისი, 64 წლის:*

— გასული კვირა მნიშვნელოვანი მოვლენებით დახუნძლული იყო. ყველაზე აქტუალური ალბათ რუსეთის მხრიდან სააკაშვილზე თავდასხმა და გივი თარგამაძისა და ეროსი კიწმარიშვილის პირდაპირ ეთერში წაკამათება გახლდათ. სირცხვილია, ამხელა კაცები ემოციებს რომ ვერ თოკავენ და სახალხოდ ასეთ სცენებს მართავენ. ჩემმა 19 წლის შვილიშვილმა მაგ დღეს ყველა საინფორმაციო გამოშვებას მხოლოდ იმიტომ უყურა, რომ ენახა, როგორ ესროდა კალამს თარგამაძე კიწმარიშვილს და ამის გამო სიცილით კვდებოდა. „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“...

**დავით მუსელიანი,** *მუშა, 52 წლის:*

— მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ნატომ მაპის მოცემაზე კიდევ ერთხელ რომ გამოგვიცხადა უარი. როგორც ჩანს, რუსეთი ისეთი ძლიერი სახელმწიფოა, რომ მისი ამერიკასაც კი ეშინია. სწორედ ამის გამო, საქართველო სულ მარტოა და ჩვენი დამხმარე არავინაა. ამიტომაც, სულ მალე ალბათ ისევ გუბერნიებად დაგვანაწილებენ და ქართველებიც ნელ-ნელა გადავშენდებით. გარდა ამისა, არც ის ფაქტი მომწონს, ახალი კომპიუტერული თამაშები რომ გამოვიდა, სადაც საქართველო და რუსეთი ერთმანეთს ეომებიან. ახლანდელი თაობა ისედაც სულ კომპიუტერს არის მიჯაჭვული და სულ ვილაცებს ხოცავენ და ახლა ის უნდა ვასწავლოთ, როგორ ეომონ რუსეთს და როგორ სძულდეთ რუსი ადამიანები? არა მგონია, ეს კარგი გადაწყვეტილება იყოს და ამ მოსაზრებით აღზრდილმა თაობამ გაამართლოს. მნიშვნელოვან მოვლენებში არ შემიძლია არ აღვნიშნო ეროსი კიწმარიშვილის დაკითხვა. ძალიან მიზანშეწონილად მიმაჩნია, თუ პაატა დავითაია მის წინააღმდეგ სარჩელს ნამდვილად შეიტანს, რადგან როდესაც ადამიანი ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს ავრცელებს, ამაზე პასუხი აუცილებლად უნდა აგოს...

**ელენე ჩანქსელიანი,** *პროგრამისტი, 29 წლის:*

— ახლა საქართველოში ისეთი მძიმე მდგომარეობაა, ყველა მოვლენა მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ძალიან აღმაშფოთა პრეზიდენტზე თავდასხმის ფაქტმა. ამბობენ, ომი დასრულებულიაო. როგორ არის დასრულებული, თუ გალსა და ახალგორში ყოველდღე, ქართველს კლავენ, ყოველდღე ნაღმები ფეთქდება და ამ ყველაფერთან ერთად, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ცეცხლს უხსნიან? ევროპაცა და ამერიკაც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ამიტომ, ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად ხელს არ ანძრევს. მათი მხრიდან ეს სწორი მიდგომა არ არის. თუ დახმარება არ შეუძლიათ, მაშინ მეგობრობასაც ნუ გვეფიცებიან და უამრავ დაპირებას ნუ გვაძლევენ. ძალიან გამიხარდა, პრეზიდენტმა უამრავი პატიმარი რომ შეიწყალა. საერთოდ, მოხარული ვარ, ჩვენს ქვეყანაში შეწყალების ტრადიცია რომ დამკვიდრდა და ყოველ დღესასწაულზე პატიმართა გარკვეული ნაწილი საკუთარ ოჯახს უბრუნდება... ■



# „ჩვენ რა ვქნათ, დავიძინოთ?..“

## ანუ როგორია ოპოზიციის „ხმის ტემბრი“



**ხელისუფლების მიერ დაშვებული უამრავი შეცდომის მიუხედავად, ოპოზიციონერმა ლიდერებმა ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ისევ ვერ მოახერხეს. აგვისტოს ომის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნაცვლად, რატომ დავკარგეთ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი პუნქტები — ახალგორი და კოდორი? ქართულ არმიაში, რომლის ბიუჯეტიც 2008 წლისათვის, 1 მილიარდ 545 მილიონ ლარს შეადგენდა, რატომ აღმოჩნდნენ მოუმზადებელი ოფიცრები და დეზერტირი ჯარისკაცები? რატომ ვერ გვარდება დასაქმების პრობლემა და ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი სილატაკეს? მაგრამ ოპოზიცია ამ კითხვებსა და უამრავ სხვა პრობლემას სათანადო დონეზე ვერ სვამს. რა არის ამის მიზეზი და რას აპირებენ უახლოეს მომავალში — ამის შესახებ „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი გვესაუბრება. მის მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და ზოგადად, ოპოზიციური ძალების საქმიანობას პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცინცაძე შეაფასებს.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო ლევან, თავად როგორ შეაფასებთ ოპოზიციის მოქმედებას დღეს შექმნილ სიტუაციაში?**

— ნაგებული ომისა და სხვა პრობლემების გამო ქართველ ხალხს მთელი პოლიტიკური სისტემის, მათ შორის — ოპოზიციის მიმართაც გული გაუცრუვდა. ვიცით, რომ დღეს არსებულ ვითარებაში ჩვენი როლი ისეთი არ არის, როგორიც გვინდა, მაგრამ იმედს მაძლევს ის ფაქტი, რომ ქართველ ხალხში ზომიერი და გონიერი პოლიტიკის მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. ალბათ, მალე დადგება დრო, როდესაც ქვეყნის ბედს დინჯი და გაწონასწორებული ადამიანები გადაწყვეტენ. ამ ეტაპზე ოპოზიცია ძლიერი არ არის, მაგრამ გაკოტრებული ხელისუფლების ფონზე, მაინც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

**— საზოგადოება ელოდა, რომ 7 ნოემბერს ან თუნდაც „ვარდების რევოლუციის“ მორიგ წლისთავზე ფართომასშტაბიან აქციას მოაწყობდით და საზოგადოებაში არსებულ კითხვებს დასვამდით.**

— საზოგადოება არაფერსაც არ ელოდა. ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვები და ვიცოდით, რომ საპროტესტო აქციაზე ხალხი არ გამოვიდოდა. დღეს საზოგადოება აქტიური მოქმედებისთვის მზად არ არის.

**— თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— ომის წაგების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზოგადოება ითრგუნება; დეპრესიიდან გამოსვლის შემდეგ მომხდარ ფაქტებს აანალიზებს, მერე ეძებს და პოულობს დამნაშავეებს... ამ ყველაფერს დრო უნდა. დღეს ქართველი ხალხი დეპრესიაშია. ასეთ დროს მისი მხრიდან ენთუზიაზმი და აქტიურობა მოსალოდნელი არ არის.

**— ოპოზიცია ასეთი ვითარებიდან გამოსვლის გეგმებზე მუშაობს თუ უბრალოდ დროის გასვლას ელოდება?**

— მთლიანად ოპოზიციაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენს პარტიას უკვე შემუშავებული აქვს თავისი გეგმა. „რესპუბლიკელებს“ მიგვაჩნია, რომ გამოსავალი — საპარლამენტო არჩევნების მომავალ გაზაფხულზე ჩატარება იქნება, რისთვისაც საერთაშორისო დახმარება უნდა გამოვიყენოთ.

**— საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას როგორ აპირებთ?**

— საპარლამენტო არჩევნებით.

**— ფიქრობთ, რომ იმ ხალხის მხარდაჭერასაც მოიპოვებთ, ვინც რუსეთთან დაპირისპირების პერიოდში, ხელისუფლების კრიტიკას ღალატის ტოლფასად მიიჩნევს?**

— სამწუხაროდ, მართლაც, ხშირად ამბობენ, — ახლა ქვეყანაში რთული ვითარებაა და სიმართლის თქმა არ შეიძლებაო. ეს იცით, რას ნიშნავს? ვიღაცამ რომ გითხრათ: ვიცი, ორჯერ ორი — ოთხია, მაგრამ მოდი, ჯერ ექვსი იყოსო... ასე შორს ვერ წავალთ. სიმართლის თქმის დრო ყოველთვის არის. არისტოტელეს განმარტებით, ადამიანი — პოლიტიკური ცხოველია, ცხოველსაც და პოლიტიკასაც კითხვების დასმა სჩვევია: ცხოველის კითხვაა — რა ვჭამო? პოლიტიკოსის — რა მიზნებს უნდა მივაღწიო? რომელი მათგანის შეჩერება შეიძლება იმის გამო, რომ ახლა მაგის დრო არ არის?.. და როდის დადგება ეს „ნეტარი დრო“?.. სააკაშვილის მსგავსად, ზვიად გამსახურდიაც და შევარდნაძეც გვეუბნებოდნენ: ახლა ჩემი კრიტიკის დრო არ არისო. ჩვენ რა ვქნათ, დავიძინოთ?.. მერე, ესენი მოგვცემენ გარანტიას, რომ გამოღვიძებულებს, საქართველო ისევ ამ ადგილზე დაგვხვდება?! სააკაშვილმა, როგორც პრეზიდენტმა, შევარდნაძესა და აბაშიძესთან დაპირისპირებისას ამოწურა საკუთარი თავი. 2004 წლის მაისის შემდეგ ის ტყუილად ანიავებს ქვეყნის ქონებას, ტერიტორიებსა და პრესტიჟს. ეს კაცი მავნეა და ჩვენ რომ მსოფლიოსთვის მისი ნამდვილი სახე ადრე გვეჩვენებინა, ბევრ რამეს გადავურჩებოდით. საქართველო შაგრენის ტყავივით დნება და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს საზოგადოებას ფიქრი დაეზარა.

**— მაპ-ის მისაღებად, აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება; ასეთ დროს იმის თქმა, რომ ქვეყანას არადემოკრატი-**




ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი
“ზეევთან” (ისრაელი)

*გინეკოლოგია
*ენდოკრინული გინეკოლოგია

*კოსმეტოლოგია
*ფოტოეპილაცია
*ფოტოგაახალგაზრდავება

*ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
*ფიტნესი
*იოგა
*სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაკე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge



**ული ხელისუფლება მართავს, პრობლემებს არ შეგვიქმნის?**

— სააკაშვილი ახლა სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სფეროში გვიქმნის პრობლემებს და ცდილობს, დემოკრატიული იმიჯი დეკორატიული შტრიხებით შექმნას. საქართველოს მართლა ძალიან სჭირდება დემოკრატიული ხელისუფლება — არადა, როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე სააკაშვილი არ გამოსწორდება. შარშან, 7 ნოემბრის შემდეგ, ადამიანებს იმედი გაუჩნდათ, რომ ის შეიცვლებოდა, მაგრამ წელს, 7 აგვისტოს ვნახეთ, რომ უარესი დაგვმართა. ჩემი აზრით, აუცილებელია, განვახორციელოთ ცვლილებები იქ, სადაც ხალხი ლაპარაკობს ანუ — პარლამენტში და შემდეგ, პრეზიდენტის (მიშა იქნება თუ სხვა) ძალაუფლებაც შევზღუდოთ.

**— არჩევნების წინ, ოპოზიცური ძალების გაერთიანებას ხომ აღარ გეგმავთ?**

— არა, შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, დავრწმუნდით, რომ ასეთი დიდი გაერთიანებები სერიოზულ შედეგს არ მოიტანს. როდესაც შარშან, ნოემბერში გავერთიანდით, ხელისუფლებაზე მორალურად გავიმარჯვეთ. იანვრისთვის დანიშნულ არჩევნებში ფრეს მივაღწიეთ, მაგრამ მერე სიტუაცია ველარ გავაკონტროლეთ და ოპოზიცია დამარცხდა.

**— კულუარული ინფორმაციით, „მემარჯვენეები" და „რესპუბლიკელები" გაერთიანებას აპირებენ.**

— ეს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. მოლაპარაკებებს ნამდვილად ვმართავთ სხვადასხვა პარტიასთან, მათ შორის, „მემარჯვენეებთან", რომლებთანაც ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ ორი პარტიის მაგივრად ერთის ჩამოყალიბება არ იგეგმება. როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, ამის შესახებ განცხადებას მერე გავაკეთებთ. ოპოზიციის რიგებში გადაჯგუფება აუცილებლად მოხდება.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ამ გადაჯგუფების დროს, თქვენ გვერდით აღმოჩნდნენ ხელისუფლებაზე განაწყენებული — ბურჯანაძე და ნოღაიდელი?**

— ჯერჯერობით, ხელისუფლებიდან წამოსული არავინ მიგვიღია. ნოღაიდელი, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, უკვე იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი, მაგრამ ის ბატონ ზურაბ ჟვანიას ჩვენი ნებით „გადავეცით". რომ ვთქვა, ეს ფიგურა რომელიმე პოლიტიკურ ფრთას გააძლიერებს-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ვილაცას მისი ფული ნამდვილად, დააინტერესებს. სიმართლე რომ გითხრათ, არც ბურჯანაძის გვერდით დგომას ვაპირებთ.

**— პოლიტიკური ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას საზოგადოების მხარდაჭერა და გაპრეზიდენტების შანსი აქვს.**

— მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, ბურჯანაძეს პარლამენტში მოხვედრის გარკვეული შანსები აქვს, მაგრამ მის საპრეზიდენტო ამბიციას უპერსპექტივოდ მივიჩნევ, ბევრი მიზეზის გამო. მათ შორის, მთავარი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს ახლა მუდმივად შეშფოთებელი ლიდერი კი არა, საქმიანი ადამიანი სჭირდება.

**— თქვენ ვის მიიჩნევთ საქმიან ლიდერად?**

— შარშან ქართველი ხალხი ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანებას მოითხოვდა, წელს კი მიგვანიშნეს — თვალით არც ერთი აღარ დაგვენახოთო! მას ახალი სახე უნდა, არც ბურჯანაძე სჭირდება და არც რომელიმე „რესპუბლიკელი" ან „მემარჯვენე".

**სოსო ცისკაძე:**

— ოპოზიცია ხვდება, რომ საზოგადოებისათვის ადრე მორგებული გასაღები დაკარგა და ახალ სვლებს ეძებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს პოულობს.

**— როგორ ფიქრობთ — ოპოზიცია რატომ არ ალაპარაკდა იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ გამოიკვეთა?**

— ალაპარაკდა, მაგრამ „ხმის ტემბრი" აღარ უვარგოდა. ოპოზიციის უუნარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეს მოსახლეობის ნაწილს, წაგებული ომი — მოგებული ჰგონია. სააკაშვილი გვპირდებოდა, რომ მისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში ცხინვალს დაიბრუნებდა, მეორეში კი — სოხუმს, მაგრამ სინამდვილეში, ახალგორი და კოდორიც დაგვაკარგვინა. ამის გამო ოპოზიციას ხელისუფლებისთვის სერიოზული პასუხი უნდა მოეთხოვა, მაგრამ ვერ მოახერხა, იმიტომ, რომ ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავს. მე თუ მკითხავთ, უკეთესი იქნება, თუ ოპოზიცია საკუთარ თავს დაუსვამს კითხვებს და საკუთარ შეცდომებზე მაინც ისწავლის რამეს. საზოგადოებას მასზე გული აქვს გატეხილი და ახალ ოპოზიციურ ძალას ელის. ალბათ ამიტომ იყო, რომ ბურჯანაძის პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე 5 ათასი კაცი შეიკრიბა. ამხელა აუდიტორია, „ნაციონალური მოძრაობის" შექმნის დროს სააკაშვილმაც კი ვერ შეკრიბა.

**— ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე სერიოზულ ოპოზიციურ ძალას ჩამოაყალიბებს?**

— რასაკვირველია. ვისაც არ უნდა, ვერ დაინახავს, მაგრამ ეს ფაქტია.

**— როგორ შეაფასებთ იმას, რომ დანარჩენი ოპოზიციური ძალები მასთან თანამშრომლობას არ აპირებენ?**

— ვინ არ აპირებს?

**— თუნდაც „რესპუბლიკელები" და „მემარჯვენეები".**

— „რესპუბლიკელებს", „ლიდერების პარტიას" ტყუილად როდი ეძახიან — ეს მართლაც, ყველაზე ინტელექტუალური ძალაა, მაგრამ დამოუკიდებლად არჩევნები მას ჯერ არ მოუგია. მე ეს სულაც არ მახარებს. ჩვენი საზოგადოების დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ასეთ პოლიტიკურ ძალას ვერ აფასებენ, მაგრამ სიმართლე ასეთია.

**— თქვენი აზრით, ქართველი ხალხი იმ პოლიტიკურ ფიგურას დააფასებს, რომლის საქართველოში გაპრეზიდენტებას კრემლი ითხოვს?**

— რუსეთს ნამდვილად არ ამოსდის მზე და მთვარე ბურჯანაძეზე. უბრალოდ, მოსკოვს დღეს, ჩვენს ხელისუფლებაში, სააკაშვილის გარდა, ნებისმიერი ვინმე აძლევს ხელს.

**— მაგრამ იქ მხოლოდ ბურჯანაძის ფიგურაზე გაამახვილეს ყურადღება.**

— ეს იმიტომ, რომ რუსეთი მას უფრო კარგად იცნობს, ვიდრე უსუფაშვილს ან გამყრელიძეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი და არაექსცენტრიკული პიროვნებაა. საზოგადოებამ ოპოზიციის სხვა ლიდერსაც მისცა შანსი. გაჩეჩილაძე ძალზე წესიერი და თავდადებული კაცია, მაგრამ ის უძლური აღმოჩნდა. ახლა საზოგადოებას ახალი სახე სჭირდება.

**— ბურჯანაძე ახალი სახეა?**

— ოპოზიციაში — კი.

**— თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ოპოზიციურ სპექტრში, იდეოლოგიურად ახლოს მდგომი პარტიების ერთ დაჯგუფებად ჩამოყალიბება?**

— შეუძლებელია, იმიტომ, რომ საქართველოში მეცნიერულად დახვეწილი იდეოლოგია და პროგრამა არც ერთ პარტიას არ აქვს და თუ ვინმეს აქვს, მოსახლეობამ ამის შესახებ არაფერი იცის. თქვენ თუ იცით, რომელი პარტია უჭერს მხარს დაბალ გადასახადებს?

**— ლეიბორისტული პარტია.**

— თეორიულად — კი, მაგრამ გაწერილი არც მათ აქვთ, რითი უნდა შეავსონ დაბალი გადასახადებით დაკარგული ფული ბიუჯეტში. „ლეიბორისტებს" უნდათ, რომ ქვეყანაში ყველაფერი უფასო იყოს, მაგრამ პოლიტიკასა და ცხოვრებაში, უფასო მარტო ყველია — სათაგურში. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული პირი ვარ, არ ვიცი — როგორია ოპოზიციური პარტიების იდეოლოგია, ვის რამდენი წევრი ჰყავს და როგორ უყურებენ ნეოკონსერვატორულ ლიბერალიზმს, ფინანსურ პრობლემებს; კეისიანისტები არიან თუ რუზველტის კურსის მომხრეები. საქართველოში მხოლოდ ლიდერები ერთიანდებიან ხოლმე, ელექტორატი კი თავისთვის რჩება. როგორი ენთუზიაზმითაც უნდა გაერთიანდნენ ლიდერები, „ფუნდამენტალისტ" „ზვიადისტებს" ვერავინ აიძულებს, რომ ხმა მისცენ ბერძენიშვილებს.

**— „მემარჯვენეებისა" და „რესპუბლიკელების" შესაძლო გაერთიანებაზე რას იტყვით?**

— ღმერთმა ხელი მოუმართოს! მაგრამ არ ვიცი, სადამდე მიდის „ახალი მემარჯვენეების" მემარჯვენეობა. მათ არ მოეწონებათ, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ კახა ბენდუქიძე — კლასიკური მემარჯვენეა. გამყრელიძემ მოსახლეობას უნდა აუხსნას, რა განსხვავებაა მასა და ბენდუქიძეს შორის, გარდა იმისა, რომ კახა 250 კილოს იწონის, დათო კი — 80-ს. მე არ ვიცი, არადა, ძალიან მაინტერესებს, რომელი პარტია დგას სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის პლატფორმაზე. ხალხი დაბნეულია და არ იცის, რა შეიცვლება ხელისუფლებაში „მემარჯვენეების" ან „რესპუბლიკელების" მოსვლით. ვიდრე პოლიტიკური პარტიები სტრუქტურულად არ დალაგდებიან და საზოგადოებას თავიანთ პროგრამებს არ გააცნობენ, ვერაფერს მიაღწევენ. ■

# პრეზიდენტის „ჩამოსაგდებად“ მოსული ჯარი და „მურტალი“ სიმთვრალის მქონე ოკუპანტები

## ანუ ვინ გვეომება — რუსეთი თუ ამერიკა?..

**ნაოკუპანტარი სოფლების უმეტესობას თვალის ერთი გადავლებით, თითქოს არაფერი სჭირს, მაგრამ დამალული ჭირი როდის იყო, თავს მალავდა და ღობემორღვეულ ეზოებსა და მინებჩამტვრეულ სახლებში მცხოვრები, მოსავლის გარეშე დარჩენილი ქართველებიც, ასე თუ ისე, მოთმინებით იტანენ გაჭირვებას.**



*ელენე ბასილიძე*

*სოფელ ქვემო ხვითშიც, თითქმის დანგრეულ ძველი კლუბის შენობაში ბავშვები დღემდე ეძებენ ავტომატის ტყვიებსა და რაკეტების ნამსხვრევებს. იქ შუაღამისას ისევ ისმის ავტომატის ჯერისა და აფეთქებების ხმა. 10 წლის ლუკა ემოციურად მიყვება რუსი ჯარისკაცების შესახებ.*

— როგორც კი სოფელში რუსი ჯარისკაცები შემოვიდნენ, ვინც სოფელში იყო დარჩენილი, ყველა სახლში შეიკეტა. მარნებში იმალებოდნენ და გარეთ ცხვირსაც კი არ ყოფდნენ. რუს ჯარისკაცებს უკვირდათ; თუ ვინმეს გარეთ გამოსულს დაინახავდნენ, ეკითხებოდნენ: გარეთ რატომ არ გამოდიხართო? მერე ჩვენებიც გათამამდნენ, ჯარისკაცებთან მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ: რა გინდათ ჩვენგან, წადით, ვერ ხედავთ, გვეშინია და გარეთაც ველარ გამოვსულვართო?! ისინიც იცინოდნენ, — ნუ გეშინიათ, ვერ ხედავთ, რომ არაფერს გიშავებთ? თქვენგან არაფერი გვინდა, ჩვენ სააკაშვილის „ჩამოსაგდებად“ ვართ მოსულებიო... სოფელში ისე პატრულირებდნენ, თითქოს რომელიმე ბუჩქის უკან ჩვენი პრეზიდენტი ეგულებოდათ ჩასაფრებული (*იცინის*). მერე მოგვთხოვეს, — სახლის ჭიშკარზე თეთრი ქსოვილი ჩამოკიდეთ და არაფერს დაგიშავებთო. არადა, თეთრი ხომ დანებებისა და დამორჩილების ფერია! ცოტას გადავრჩით გარუსებას (*იღიმება*)...

**— ოსები შემოდიოდნენ სოფელში?**

— არა, ერთხელაც არ შემოსულან. ალბათ რუსების ეშინოდათ. რუსი ჯარისკაცები გაკვირვებულები ლაპარაკობდნენ ოსებზე: ვინ ყოფილან ეს ჯიბგირებიო!.. არც კაზაკები მოსწონდათ და არც ოსები. სანამ სოფელში რუსები იდგნენ, ფეხიც ვერ შემოდგეს ოსებმა. იცი, რას ამბობდნენ?.. გორში კაზაკები ბინებს ქურდავდნენ და რუსები წამოსდგომიან თავსო; ჰოდა, ამ რუსებს იქვე ჩაუხვრეტიათ კაზაკები, ცელოფანის პარკებში გახვეულები დამარხესო... ჩემი ბიძაშვილი გორში ცხოვრობს და როცა ქალაქის დაბომბვა დაიწყო, მეზობლებთან ერთად, სარდაფში ცხოვრობდა, სანამ რუსები ქალაქში დაპარპაშებდნენ. მაღაზიებიც არ მუშაობდა, მთელი ქალაქი მოსპეს რუსებმა. ერთ საღამოსაც ჩემს ბიძაშვილს სიგარეტი გამოლევია. გარეთ გამოსულა და ქუჩაში პირდაპირ რუსების მანქანას გადასწყდომია რას დადიხარო? — ჰკითხეს. — სიგარეტი მინდა ვიშოვოო, — ამას უთქვამს. ამოუღიათ რამდენიმე კოლოფი და მიუციათ.

**— შენი ნალაპარაკებიდან ისე ჩანს, თითქოს არაფერს აშავებდნენ...**

— სახლში არ გვიცვივდებოდნენ და არაფერს გვართმევდნენ, თორემ მთელ ვაშლის ბაღებს მუსრი გაავლეს, აღარაფერი შეარჩინეს. პამიდორსა და სიმინდსაც იპარავდნენ. ჩვენ მოსავლის ასაღებად ვერ გავდიოდით და ისინი ჭამდნენ ჩვენ მაგივრად.

**— მოსავლის გარდა, ხელი არაფერს ახლეს?**

— საღამოობით, ვითომდა კომენდანტის საათი ცხადდებოდა. ბირჟაზე რამდენიმე კაცი იდგა. ჯარისკაცებმა დაინახეს და, — სახლში წადით, აქ რატომ დგახართ, ვერ ხედავთ, ოსები დათარეშობენ და რომ დაგინახონ, ჩაგცხრილავენო! — უთხრეს. ჩვენებს უთქვამთ: სიგარეტის ყიდვა გვინდა, მაგრამ გამყიდველი მაღაზიას არ აღებსო. რუსებს „ბეტეერით“ შეუმტვრევიათ მაღაზიის კარი, თვითონ 2 წვენი გამოუტანიათ, ჩვენებისთვის კი უთქვამთ: შედით და რაც გინდათ, გამოიტანეთო. მეორე დღეს მაღაზია თითქმის ცარიელი იყო.

**— რას ამბობდნენ ჯარისკაცები, რა გვინდა საქართველოსგანო?**

— ჩვენი სოფლელები თავს შორს იჭერდნენ ჯარისკაცებისგან, მაგრამ ერთხელ ვერ მოითმინეს და ჰკითხეს: რას გვემართლებით, ნაკლები ტერიტორიები გაქვთ? ჩვენგან რაღა გინდათ, ხალხი რატომ ჩახოცეთო? რუსებსაც გულახდილად უთქვამთ: ჩვენ სულაც არაფერი გვინდა თქვენგან, მაგრამ ომის კანონები არ იცით?.. იძულებული ვართ, ჩვენი მეთაურის ბრძანებები შევასრულოთ, თორემ ცოლ-შვილი და სახლ-კარი აღარ შეგვრჩებაო.

**— ლუკა, სასმელს არ ითხოვდნენ?**

— (*იცინის*) ერთხელ მთვრალი ჯარისკაცი თავისიანებს ჩამორჩა. ისეთი მთვრალი იყო, გზა ველარ გაიგნო, ჩემი მეზობლის ჭიშკართან წამოგორდა და დაიძინა. მეზობელი ტრაქტორს ელოდებოდა, სახლში უნდა შეეყვანა და კინაღამ გადაირია: ესღა მინდოდა?! სად დაწოლილა, ზედ ხომ არ გადავატარებო! ძლივს გადაათრიეს...

„ჯი. ბი. თი.“

გთავაზობთ დასაქმებას ექიმებსა და ექთნებს

10-თვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ საშუალება გეძლევათ, მიიღოთ მაღალანაზღაურებადი სამუშაო გერმანიაში.

მასაჟის კურსები

„ჯი.ბი.თი.“ ასევე გთავაზობთ სამკურნალო და სალონური მასაჟის 5-თვიან ინტენსიურ კურსს.

კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

მისამართი: თბილისი, ლვოვის ქ. №82

ტელ: 38 05 95; 30 86 61 ელ-ფოსტა: office@gbt-edu.ge

ისე კი არაყს თუ წაილებდნენ, სოფელში არ სვამდნენ, წავიდოდნენ ბაღებისკენ და იქ თვრებოდნენ. ძალიან „მურტალი“ სიმთვრალე კი ჰქონდათ — ერთმანეთს დაერეოდნენ და იყო ერთი ამბავი...

**ლენა,** *70 წლის:*

— შვილო, ჩვენს სოფელში იმდენი მიცვალებული ჯარისკაცი იყო!.. მთელი 5 დღე უპატრონოდ იყვნენ მიტოვებულები. ისე გვეშინოდა, მათ დასამარხავადაც კი ვერ გავდიოდით გარეთ. მთელი არხი სავსე იყო პირტიტველა ბიჭებით (*ტირის*). ომის ბოლო ღამეს, 14 აგვისტოს მთელი ცა წითლად ღუოდა, ღამის 11 საათზე დღესავით იყო განათებული სოფელი. ლიახვის ხეობის ქართული სოფლები სულ გრეიდერით დაანგრიეს, სახლი აღარ დატოვეს მთელი. სამხედრო აეროდრომს აკეთებდნენ... ახლა რა ხდება იქ, აღარ ვიცი, მაგრამ ყოველღამე ისვრიან, აფეთქებების ხმაც ისმის. ჩემი ბაღის ბოლოდან რუსების მოფრიალე დროშა ჩანს. აქვე არიან, 2 ნაბიჯზე.

**— ოკუპანტები თუ აშავებდნენ სოფელში რამეს?**

— რუსების ჯარი რომ შემოვიდა სოფელში, მაშინვე მინდვრები დანალმეს. გარეთ საქონელსაც ვერ ვუშვებდით საბალახოდ. საკარმიდამო ეზო რომ გადაძოვეს ძროხებმა, საჭმელი ბალახი აღარსად იყო და შიმშილით ხომ ვერ დავხოცავდი?! ავდექი და საბალახოდ გავრეკე. თან გული მისკდებოდა, გზაზე ჯარისკაცებს არ გადავეყარო-მეთქი. მინდვრამდე არც ვიყავი მისული, დავინახე, რომ დიდი მანქანით მოდიოდნენ ჯარისკაცები. ვიფიქრე, ძროხებს დამიხოცავენ-მეთქი და საქონელი ავაჩქარე, მაგრამ სად გავასწრებდი?! როცა მომიახლოვდნენ, შემეშინდა, გზიდან გადავუხვიე და ბუჩქებში ჩავიმალე. რა თქმა უნდა, დამინახეს. მანქანა რომ გამისწორდა, დავინახე — იცინოდნენ. საქონელი ვაბალახე და უკან რომ ვბრუნდებოდი, იგივე მანქანა და ერთი ტანკი მოდიოდა. დასამალი ადგილიც არსად იყო რომ გზიდან გადამეხვია. გამისწორდნენ მანქანით, ერთერთმა ჯარისკაცმა თავი გადმოყო და მომესალმა: „ზდრასტვუი, ბაბუშკა!“ თან ისე გულიანად იცინოდნენ (*ღიმება*)!.. სულ ახალგაზრდები, 18-19 წლის ბავშვები იყვნენ.

**— . არ მაროდიორობდნენ?**

— სახლებიდან არაფერი გაჰქონდათ და ჩვენც გვიკვირდა ეს ამბავი. ისე, ცოტ-ცოტას ქურდბაცაცობდნენ: მეზობელს გოჭი მოჰპარეს, ატამს, ვაშლსა და პამიდორსაც იპარავდნენ. ბაღებთან რომ გავივლიდი, სიმწრის ღიმილს ვერ ვიკავებდი — თითო ხეზე 10 ჯარისკაცი მაინც იყო შემომჯდარი. სანამ თავიანთი საგზალი ჰქონდათ, თავი გაჰქონდათ, მაგრამ ახლა ახალგორში სულ მშივრები სხედან. რუსეთს თავისი ჯარისკაცები ფეხებზე ჰკიდია და ჩვენ შეგვიბრალებს?!.

**— ჯარისკაცებს ხალხთან თუ ჰქონდათ ურთიერთობა?**

— ჩვენს სოფელში რუსული ბევრმა არ იცოდა; ვინც იცოდა, ისინი კი ელაპარაკებოდნენ. თავიდან, რომ შემოვიდნენ, მთელი ქართული სოფლები გაცალეს. რასაც ვერ ერეოდნენ და ვერ მიჰქონდათ — წვავდნენ. ჩვენს სოფელში მოგვიანებით შემოვიდნენ, ალბათ უფროსობისგან გაფრთხილებულები იყვნენ და სახლებიც იმიტომ არ დაგვიცარიელეს.

**ნანა,** *50 წლის:*

— ომი რომ დაიწყო, ჩემი დედამთილი



ყველა სახლში შეიკეტა. მარნებში იმალებოდნენ და გარეთ ცხვირსაც კი არ ყოფდნენ

კუხვში დარჩა, არაფრის დიდებით არ გამოგვყვა. ბოლოს კი, როცა „წითელ ჯვარს“ მისცეს ქართულ სოფლებში შესვლის უფლება, მაშინ წამოიყვანეს მოტყუებით: ექიმთან უნდა წაგიყვანოთო, — უთქვამთ. 21 აგვისტოს ჩამოიყვანეს თბილისში. ჩვენ თითქმის გამოტირებული გვყავდა, აღარც გვეგონა, ცოცხალს თუ ვნახავდით.

**— სანამ თქვენი დედამთილი სახლში იყო, სახლი გაძარცვეს?**

— სანამ დედამთილი სახლში იყო, სახლიდან არაფერი გაუტანიათ, ღვინის გარდა. ახლა ჩვენი სახლი აღარ არსებობს, მთლიანად დანგრეულია... ჩემი დედამთილი 84 წლის ქალია, დიდხანს სჯეროდა, რომ ამერიკა გვეომებოდა. ძლივს დავარწმუნეთ, რომ რუსები შემოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე. რას ამბობ, ნანა, რუსები ხომ ჩვენი მეგობრები არიანო! — მეუბნებოდა. დღემდე, სტალინს ცუდად რომ ვახსენებ, მთხოვს, — სტალინს ნუ ლანძღავ, ჩემი ხათრით მაინცო... რუსეთი რომ ჩვენი მეგობარი ქვეყანა არასოდეს ყოფილა, დღეს ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა...

■

კონფლიქტი

# რატომ ვაგებთ რუსეთთან საინფორმაციო ომს?!

ლალი პაპასკირი

**აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთს თითქოს ნახევარი მსოფლიო დაუპირისპირდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ჩანდა. მაგრამ ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ეს მხარდაჭერა უფრო ზომიერი გახდა, შემდეგ კი — რუსეთისადმი ლოიალური განცხადებებითაც კი შეიცვალა... მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ბუფერულ ზონებში არსებულ ვითარებას ევროკომისიის დამკვირვებლები სწავლობენ, იქ რუსი ოკუპანტები და ოსი სეპარატისტები დაპარპაშებენ. აქვთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებს ასეთ ზონებში ობიექტური მუშაობის პირობები, რა მიზეზებით აგებს საქართველო რუსეთთან საინფორმაციო ომს და სადამდე მიიყვანს დასავლეთს რუსეთის „მოფერების პოლიტიკა“ — ამ და სხვა საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე გვესაუბრება.**

— თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგი ისეა მოწყობილი, რომ იმ კონფლიქტურ რეგიონებში, სადაც დიდი სახელმწიფოები პროცესში მონაწილეობენ, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეფექტური ზომების მიღების საშუალება არ აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ბუფერულ ზონებში ომი, ფაქტობრივად, ისევ გრძელდება, გაეროს უშიშროების საბჭო გასუსულია. ყველა რეზოლუცია, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით უნდა მიეღოთ, გარკვეული პრინციპის გათვალისწინებით შეიმუშავეს და იმის შიშით, რუსეთმა ვეტო არ დაადოსო, უშიშროების საბჭოს წევრები არც კი იკრიბებიან... არადა, წესდების მესამე მუხლის თანახმად, არ შეიძლება, ვეტოს უფლებით სარგებლობდეს სახელმწიფო, რომელიც ამ კონფლიქტის მონაწილეა... რაც შეეხება ეუთოს სამართლებრივ სისტემას, იგი ისეა აგებული, რომ კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაში, ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ასე რომ, 55 სახელმწიფოს შორის, სადაც რუსეთს ნებისმიერი საკითხის დაბლოკვა შეუძლია, ეუთო პრინციპული ვერ იქნება. ამგვარად, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა იმდენად სუსტია, რომ რეალურად, ვერანაირ შედეგს ვერ გვაძლევს. იმავეს ვიტყვი ევროკავშირის მიმართაც. მართალია, მისმა თავმჯდომარემ თითქოს ბევრი რამ გააკეთა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ექვსპუნქტიანი შეთანხმება მიღწეულიყო და გვარწმუნებს, რომ 4 პუნქტი პრაქტიკულად, შესრულებულია, მაგრამ ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს სარკოზი, როცა ამას აცხადებს. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობ, ნატო უფრო აქტიური უნდა იყოს. მარტო იმის აღნიშვნა, რომ საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდება, არაფერს შეცვლის.

გაგრძელება იხ. გვ. 84.

# „ავერსის" კლინიკა — ევროპული დონის მომსახურება საქართველოში



ეზოში შესვლის შემდეგ თავისუფლად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ევროპის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში მოხვდით. ხოლო კლინიკაში შესულებს ეჭვიც კი გაგიჩნდებათ: მართლაც საქართველოში ხდება ეს ყველაფერი?_ ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი რეალობა უკვე სახეზეა — საქართველოშიც გვაქვს კლინიკა, რომელიც თავისი მომსახურების დონითა და აღჭურვილობით არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს. ასეთი კლინიკა საბედნიეროდ, მარტო თბილისში კი არა, რეგიონებშიც გვაქვს. ეს კი დიდი წინსვლაა ქვეყნისათვის.

კომპანია „ავერსმა" სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი შექმნა. პროექტის ფარგლებში უკვე 4 კლინიკა მუშაობს: მარნეულში, რუსთავში, ლანჩხუთსა და თბილისში, სადაც კლინიკა სულ ახლახან გაიხსნა.

*ლელა ხიყაშვილი*

**პაატა კურტანიძე,** *ფარმაცევტული კომპანია „ავერსის" დამფუძნებელი:*

— დღეს ჩემი დიდი ხნის ოცნება ახდა, მიზანს მივაღწიეთ და თბილისში „ავერსის" კლინიკა გავხსენით. 1994 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი რომ ვიყავი, ვოცნებობდი, გამეხსნა კლინიკა, მაგრამ ამის საშუალება არ გამიჩნდა. იმ დროს დაწყებული ერთი პატარა სააფთიაქო ბიზნესის განვითარებამ 14 წლის შემდეგ ასეთი ნაყოფი გამოიღო. მიხარია, რომ მოვახერხეთ მსოფლიო დონის კლინიკის გახსნა, როგორც აღჭურვილობითა და აპარატურით, შენობით, ასევე ექიმების მომზადებით. კლინიკა ვერ გაიხსნებოდა, საქართველოში რომ არ იყოს ასეთი აბსოლუტურად შეღავათიანი და ხელშემწყობი პირობები ბიზნესის განვითარებისათვის. არც სამედიცინო მომსახურება, არც მედიკამენტები არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით. მთავრობა ზრუნავს, რომ რაც შეიძლება იაფი იყოს სამედიცინო მომსახურება. თითქმის ყოველწლიურად ხდება ცვლილებები საგადასახადო სფეროში — მცირდება გადასახადები. ამან მოგვცა საშუალება, აგვეშენებინა ასეთი დონის კლინიკები და ჩაგვედო ინვესტიციები. ცხადია, შევეცადეთ, კლინიკა რაც შეიძლება მაღალი დონის ყოფილიყო. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომსახურების ფასიც მაღალია. ჩვენ დავაწესეთ ის საშუალო ფასები, რაც თბილისშია. გვინდა, მოსახლეობისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი მაღალხარისხიანი მომსახურება. დასავლეთის ქვეყნებში ჯანდაცვის სისტემაში სწორი გამოსავალი — სამედიცინო დაზღვევაა... ჩვენმა მოსახლეობამაც ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ დაეზღვიოს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. მიღწეულით არ გვინდა დავკმაყოფილდეთ და მომავალშიც ვიზრუნებთ სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე.

**სანდრო კვიტაშვილი,** *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი:*

— გასახარია ასეთი კლინიკის გახსნა საქართველოში. ის ერთ-ერთი საუკეთესოა იმ კლინიკათა შორის, რომლებიც მინახავს მსოფლიოში. სწორედ ეს არის ის მოდელი, რომელიც გვინდა დავნერგოთ საქართველოში. მაღალი ხარისხის შენობასა და აპარატურასთან ერთად, უნდა გვყავდეს მაღალპროფესიული კადრებიც და მომსახურების მაღალი დონე, რომელსაც ყველა ჩვენი მოქალაქე იმსახურებს, მიუხედავად იმისა, შეძლებულია თუ სოციალურად დაუცველი. გვინდა დავიწყოთ და მოვიცვათ მთელი საქართველო კერძო კლინიკების ქსელით. სახელმწიფო ამაში ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ის იქნება ერთ-ერთი დამფინანსებელი... მიმწოდებელი გვინდა კერძო ქსელი იყოს, სადაც ბევრად მაღალ დონესა და მომსახურების ხარისხს ველით. მთელ მსოფლიოში ასეა. ჩვენ არ ვიქნებით გამონაკლისები. ვინც ამ კლინიკას ნახავს, ცხადია, მოეწონება. ვულოცავ ბატონ პაატას ოცნების ასრულებას. ბევრს მთელი ცხოვრება სჭირდება, რომ მიზანს მიაღწიოს, მან კი ეს მოკლე დროში მოახერხა. დარწმუნებული ვარ, ასევე განაგრძობს და მალე ასეთი დონის კლინიკები გვექნება მთელ ქვეყანაში.





**დიმიტრი ჯორბენაძე,** *„ავერსის" კლინიკის გენერალური დირექტორი:*

— საქართველოში ბევრგან, სამწუხაროდ, ჯერ ისევ საბჭოური სტანდარტები მოქმედებს. არ ვაცდენთ არც ერთ გამოფენას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია — დიუსელდორფის გამოფენა, სადაც მთელი მსოფლიო იყრის თავს. ჩვენ ვეცნობით უახლეს მწარმოებლებს, ტექნოლოგებს. სამედიცინო აპარატურა იმდენად სწრაფად ვითარდება, შეიძლება, 3-4 წელიწადში მოძველებული გახდეს. ამიტომ მუდმივი განახლება სჭირდება. ევროპულ დონეს არ განსაზღვრავს მხოლოდ შენობა და ტექნოლოგიები. აუცილებელია მაღალპროფესიონალური კადრებიც. ჩვენ ინვესტიცია არ განგვიხორციელებია მხოლოდ ტექნოლოგიებში, დიდ ინვესტიციას ვახორციელებთ ექიმთა მომზადებაშიც, ეს არის ტრენინგებზე დასწრება თუ უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა და ტრენინგების ორგანიზება. დღესაც ოთხი ჩვენი თანამშრომელი იმყოფება საზღვარგარეთ ახალი ტექნოლოგიების შესასწავლად. ეს განსაზღვრავს საერთო ჯამში, ჩვენი კლინიკის მომსახურების დონეს და კიდევ — გულისხმიერი დამოკიდებულება. თურმე პაციენტთა 60-70%-ის კმაყოფილებაზე ზეგავლენას ახდენს ექიმის დამოკიდებულება და არა მისი ცოდნა და გამოცდილება. ამ თვისების დასახვეწადაც, ტრენინგები გვაქვს დანიშნული... 140-მდე ექიმია დასაქმებული „ავერსის" კლინიკაში. გვყავს ყველა დარგის სპეციალისტი. კლინიკა ორიენტირებულია სრული სპექტრით ამბულატორიულ დახმარებაზე, მაღალტექნოლოგიურ დახმარებაზე გინეკოლოგიაში, უროლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, ყელ-ყურში, ენდოვიდეოქირურგიაში, ანგიოქირურგიასა და ლაპარასკოპიულ ქირურგიაში. კლინიკაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები. ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი, ბავშვთა მოსაცდელი დარბაზი და სასადილო.

*გისურვებთ ჯანმრთელობას და „ავერსის" კლინიკა თქვენს სამსახურში იგულეთ.*

# პირველი ქალბატონები



სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ დგას მისი მეთაურის გვერდით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველი ლედი – სუპერსახელმწიფოს გამგებლის მეუღლეა, შესაძლოა, მნიშვნელოვან ფიგურად იქცეს არა მარტო თავისი ქვეყნისთვის, არამედ გაცილებით დიდი გეოგრაფიულ–პოლიტიკური არეალისთვისაც...

ისტორია იმის არაერთ მაგალითს ინახავს, თუ რაოდენ დიდი გავლენა მოუხდენია პოლიტიკაზე ქალს, თავისი თანამეცხედრის „საკუთარ ჭკუაზე მოყვანის" გზით. ძნელი სათქმელია, **XXI** საუკუნეში რამდენად დიდია პირველი ლედების ძალა უშუალოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მათ სოლიდური როლი აკისრიათ თუნდაც „გვირგვინოსანი" მეუღლეების გუნება–განწყობილების განსაზღვრისას...

## ამერიკისა და რუსეთის მმართველთა ცოლები

თეთრ სახლში შესვლის სამზადისში გართულ ბარაკ ობამას ჯერ ბოლომდე კარგად როდი აქვს გაცნობიერებული, თუ მას, როგორც პრეზიდენტს, რა სახის სირთულეებთან მოუწევს შეჯახება. თუმცა იმის გარკვევა კი ნამდვილად მოასწრო, რომ სანამ მას ამერიკის პირველ პირად ირჩევდნენ, თვით აშშ-მა პოზიციები დათმო და ის უკვე აღარ არის მსოფლიოს სტაბილურობის ერთადერთი გარანტი. ამასთან, დედამიწის მეორე ნახევარსფეროში საკმაოდ აქტიურად წამოყო თავი და საკუთარი მოთხოვნებიც დაუფარავად წამოაყენა ზესახელმწიფოდ კვლავ გადაქცევის პრეტენზიის მქონე მეორე დიდმა ქვეყანამ — რუსეთმა...

დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ბარაკ ობამასა და დმიტრი მედვედევს ერთმანეთთან შეხვედრა და ახალ პოლიტიკურ პირობებში ურთიერთთანამშრომლობაზე მოლაპარაკება მოუწევთ. როგორც მსგავს სიტუაციებში ხდება ხოლმე, ქვეყნების მეთაურების პირველი შეხვედრისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის არაოფიციალური ღონისძიებები, რომლებზეც ერთ-ერთ მთავარ როლს ამ ქვეყნების პირველი ქალბატონები ასრულებენ. სვეტლანა მედვედევა და მიშელ ობამა უბრალოდ ვალდებული არიან, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ. და თუ ეს მართლაც მოახერხეს, მაშინ მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობაც უთუოდ დათბება. მსგავსი ოპტიმიზმის საფუძველს კი ის გარემოება იძლევა, რომ ორივე ქვეყნის პირველ ქალბატონებს საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ თავიანთ ქმრებზე, რაც სახელმწიფო მეთაურებს თავად არაერთხელ აღუნიშნავთ.

### სვეტლანა მედვედევა

**ნარმომავლობა**

სვეტლანა მედვედევა (ქალიშვილობისას — ლინიკი) 1965 წლის 15 მარტს, რუსეთის „კულტურულ დედაქალაქ" ლენინგრადში, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში, სადაც მომავალი მეუღლე, მისი პარალელურკლასელი დმიტრი მედვედევი გაიცნო. სკოლაში სვეტლანა ფრიადოსანი იყო და ყველა სასკოლო სპექტაკლსა და მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წარმოდგენაშიც აქტიურად მონაწილეობდა. სკოლის გამოსაშვებ მეჯლისზე კი ის დედოფლადაც აირჩიეს.

**კარიერა**

სვეტლანამ ლენინგრადის საფინანსოეკონომიკური ინსტიტუტის სტატისტიკის, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სპეციალობით დიდხანს არ უმუშავია. დიპლომის აღებიდან 2 წლის შემდეგ, ის დმიტრი მედვედევს გაჰყვა ცოლად და იქიდან მოყოლებული, ძირითადად, ქმრის კარიერაზე ზრუნვითა და ქველმოქმედებით იყო

# პირველი ქალბატონები

დაკავებული. ხოლო როგორც კი პირველი ლედი გახდა, საკუთარი პოზიცია უმალ ახალი ვითარებიდან გამომდინარე დააფიქსირა და განაცხადა: „პრეზიდენტის მეუღლეობა ჩვენს ქვეყანაში და სხვაგანაც მარტო პირველი პირის ცოლობა კი არა, სერიოზული სამსახურიცაა“.

### ოჯახი

1995 წელს ცოლ-ქმარ მედვედევებს ვაჟიშვილი — ილია შეეძინათ. მას კომპიუტერი და ფეხბურთი იტაცებს და იური ლუჟკოვის ქალიშვილებთან ერთად, ფარიკაობასაც აქტიურად მისდევს. სვეტლანა ხშირად წუხს იმის გამო, რომ დმიტრი ზედმეტად ანებივრებს ვაჟიშვილს. თუმცა ქმრის ასეთი საქციელის მიზეზსაც კარგად ხვდება: „ის ხომ საჭიროზე ნაკლებ დროს ატარებს შვილთან“...

ახლახან დმიტრი მედვედევს დაბადების დღეზე ინგლისური სეტერი აჩუქეს და მას ახლა მამა-შვილი ერთად ასეირნებს ხოლმე. კატა დოროთე კი, რომელიც მედვედევების ოჯახში მრავალი წელია, ცხოვრობს, კონკურენტის გამოჩენას საკმაოდ ეჭვის თვალით უყურებს.

### სარწმუნოება

სოფიის ტაძრის მრევლში გავრცელებული ხმების თანახმად, მედვედევა ეკლესიაში თავისი უფროსი დის — ეკატერინას ზეგავლენით მივიდა. თუმცა მას შემდეგ არც ერთ საეკლესიო დღესასწაულს არ აკლდება და ყოველი მნიშვნელოვანი საქმის დაწყების წინ, ოჯახის მოძღვარს — მამა ვლადიმირ ვოლგინს ეთათბირება.

### სტილი

სვეტლანა ფონდის — „რუსკი სილუეტ“ ხელმძღვანელ ტატიანა მიხალკოვასა და მოდელიერ ვალენტინ იუდაშკინის მეუღლესთან მეგობრობს. თავად იუდაშკინს, რომელსაც ლამის აღმერთებს, საკუთარ იმიჯთან დაკავშირებითაც ხშირად ეთათბირება. საკმაოდ დახვეწილი გემოვნებითა და სასიამოვნო გარეგნობით დაჯილდოებული ქალბატონი, ამ ყველაფერს ზედმიწევნით გემოვნებით შერჩეული გარდერობის მეშვეობით, კიდევ უფრო უსვამს ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პირველი ლედის წელში გამოყვანილი კოსტიუმები ყველაზე მეტად, Yves Saint Laurent-ის სამოსს მოგაგონებთ, ოფიციალური წყაროები ამ საკითხით დაინტერესებულთ, მაინც, კუტუზოვის პროსპექტზე მდებარე ატელიეზე მიუთითებენ.

### ფული

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატ დმიტრი მედვედევის ოჯახის შემოსავლების შესახებ 2008 წლის იანვარში გამოქვეყნებული მონაცემებით, სვეტლანას ბოლო 4 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავალი არ ჰქონია. რუსეთის პირველი ლედის საბანკო ანგარიშზე დღეისათვის, 380 მანეთი და 20 კაპიკი ირიცხება. მას ასევე ძველი Volkswagen golf და ავტოფარეხში ორი სამანქანე ადგილიც ეკუთვნის.



## მიშელ ობამა

### წარმომავლობა

მიშელ ობამა (ქალიშვილობაში — ლა ვონ რობინსონი) 1964 წლის 17 იანვარს, ამერიკული მაფიის აკვნად წოდებულ ქალაქ ჩიკაგოში, წყალგაყვანილობის კომპანიის მუშაკისა და დიასახლისის ოჯახში დაიბადა. მშობლებმა ქალიშვილის მოწყობა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახელმწიფო სკოლაში მოახერხეს, სადაც მიშელი ლიტერატურულ წრესა და კულინარიის კურსებზეც დადიოდა.



### კარიერა

1985 წელს, პრინსტონის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მიშელმა სწავლა ჰარვარდში განაგრძო. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო იურიდიულ ფირმაში, სადაც ბარაკ ობამა გაიცნო. მალე ახალგაზრდები დაახლოვდნენ და 1992 წელს იქორწინეს კიდეც. დაოჯახების შემდეგ, მიშელი სამუშაოდ მერიაში გადავიდა და ქალაქის თავის თანაშემწე გახდა. ერთი წლის შემდეგ კი სტუდენტებთან საზოგადოებრივ სამუშაოზე გადაერთო და მალე ჩიკაგოს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტობას მიაღწია.

### ოჯახი

ობამებს ორი ქალიშვილი — 1999 წელს დაბადებული მალია და 2001 წელს დაბადებული ნატაშა (რომელსაც ყველა საშას ეძახის) ჰყავთ. ზოგჯერ, ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროსაც კი მიშელი მეუღლეს მოფერებითი სახელით — პაწია — მოიხსენიებს, თუმცა ასევე ხშირად, ყველგან მიყრილ-მოყრილი წინდებისა და ხვრინვის გამოც ტუქსავს. მიშელმა ძალზე გაიხარა, როცა არჩევნების მოგების შემდეგ, ქმარმა გამოუცხადა: ოჯახში ლეკვს, ალბათ უფრო — ნიუფაუნდლენდს მოვიყვანო.

### სარწმუნოება

ობამები ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ერთ-ერთი ქრისტიანული ეკლესიის — Trinity United Church of Christ — მრევლი იყვნენ. მაგრამ 2008 წლის მაისში წყვილმა საკვირაო მესაზე სიარულის მრავალწლიან ჩვეულებაზე უარი თქვა. მიშელმა ეს გადაწყვეტილება ქმრის საარჩევნო კამპანიის ინტერესებით ახსნა: აქაოდა, ჩვენი პასტორის მიერ წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა შეიძლება, ბარაკის ნათქვამთან იყოს გაიგივებული და საპრეზიდენტო მარათონში ხელი შეუშალოსო.

### სტილი

მიშელმა კარგა ხანია, არჩევანი სა-

# პირველი ქალბატონები

შუალო აფრომამერიკელის გარდერობის უცილობელ შემადგენელ — ხასხასა ფერის უბრალო ნივთებზე შეაჩერა. 180 სმ სიმაღლის ქალბატონი შეკვეთით არასდროს არაფერს იკერავს და, ერთის გარდა (ლაპარაკია Giorgio Armani-ზე), სხვა ცნობილ საფირმო ნიშნებს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. „დიდი ხანია, ატელიე Giorgio Armani-ის კლიენტი ვარ", — აღნიშნა მიშელმა მას შემდეგ, რაც ჟურნალმა People ყველაზე მოხდენილად ჩაცმული ქალების სიაში მეორედ შეიყვანა.

### ფული

საკმაოდ კარგი განათლების მქონე მიშელს ყოველთვის — მაღალანაზღაურებადი სამსახური და ერთხანს სენატორ ქმარზე მეტი შემოსავალიც კი ჰქონდა. 2006 წელს მისმა წლიურმა ხელფასმა 324.818 დოლარი შეადგინა და ოჯახის მარჩენლად თავიც სრულიად სამართლიანად მიიჩნია. სამაგიეროდ, ბარაკმა ამ ხნის განმავლობაში 2, ბესტსელერად ქცეული წიგნის დაწერა და გამოცემა მოასწრო და წინასაარჩევნო რბოლამდე 3,8 მილიონი დოლარის ჰონორარიც აიღო.

## კარლა ბრუნი

### წარმომავლობა

მოდელი, მსახიობი და მომღერალი კარლა ბრუნი 1968 წლის 23 დეკემბერს, ტურინში, მდიდარი იტალიელი მეწარმის ოჯახში დაიბადა. 5 წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა. სწავლობდა შვეიცარიის ერთ-ერთ ინტერნატში, მოგვიანებით — პარიზის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩააბარა.

### კარიერა

19 წლის კარლამ ბედი სამოდელო ბიზნესში სცადა და პირველი კონტრაქტი სააგენტოსთან — City models გააფორმა. 90-იან წლებში კარლა უკვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, ის რამდენიმე ფილმშიც, მათ შორის, 1988 წელს Paparazzi-ში, ხოლო 1995-ში — Catwalk-ში გადაიღეს. 1999 წელს ბრუნიმ პოპულარულ ფრანგ მომღერალ ჟულიენ კლერკს საკუთარი სიმღერები შესთავაზა. კლერკს ისინი იმდენად მოეწონა, რომ თავის ფირფიტაში — Si J'etalis elle შეიტანა. თავად კარლას სადებიუტო ალბომი 2002 წელს გამოვიდა და საკმაოდ დიდი წარმატებაც ხვდა წილად. მარტო საფრანგეთში 8000 დისკი გაიყიდა, რეალიზაციის მსოფლიო მაჩვენებელმა კი მილიონი ასლი შეადგინა. კარლა მარტო კი არ მღერის, თითქმის თავისი ყველა სიმღერის მუსიკასა და ტექსტსაც თავადვე წერს. 2004 წელს ნომინაციაში — „წლის საუკეთესო მომღერალი ქალი" კარლა ბრუნის საფრანგეთის ხმისჩამწერი ინდუსტრიის უმაღლესი ჯილდო — „ვიქტორია" გადაეცა.



### ოჯახი

2007 წლიდან კარლა ბრუნი თითქმის მთელმა მსოფლიომ გაიცნო, რისი მიზეზიც — ცოლთან ახალგაცილებულ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან გაბმული ვნებიანი რომანი გახდა. 2008 წლის 2 თებერვალს სარკოზიმ კარლა ბრუნიზე ოფიციალურად იქორწინა.

კარლა არ მალავს, რომ წარსულში რამდენიმე ცნობილ მამაკაცთან, მათ შორის, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანთან — დონალდ ტრამპთან და როკმუსიკოს მიკ ჯაგერთანაც ჰქონდა რომანი. თუმცა იმასაც ხაზს უსვამს, რომ სარკოზი მაინც სულ სხვაა. „როცა მასთან ვარ, მჯერა, რომ ცუდი არაფერი მოხდება", — აცხადებს იგი.

როგორც ჩანს, კარლა ბრუნი ქალების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ თხოვდება. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთის პირველმა ლედიმ მტკიცე პირობა დადო, რომ ყოველთვის ამ სტატუსის შესატყვისად იმოქმედებს. „მე იტალიური კულტურის წარმომადგენელი ვარ და ამიტომაც, განქორწინებას არ ვისურვებდი. ჩემი მეუღლის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე პირველ ქალბატონად, სიცოცხლის ბოლომდე კი — მის ცოლად დავრჩები" — ირწმუნება ბრუნი.

### ფული

მეუღლის დიდი სიყვარულისა და სამარემდე ერთგულების ფიცი-მტკიცის მიუხედავად, კარლას მასთან საქორწინო კონტრაქტის გაფორმება მაინც არ დავიწყნია. მეტიც, ამის გაკეთება დაბეჯითებითაც კი მოითხოვა. თანაც, განქორწინების შემთხვევაში, მისი და სარკოზის ფული და ქონება შუაზე კი არ გაიყოფა, როგორც ეს საფრანგეთის კანონებითაა მიღებული, არამედ — ქორწილის დღეს დაფიქსირებული პროპორციის მიხედვით. და ეს არცთუ უმნიშვნელო დეტალია, რადგან იმ მომენტისთვის კარლას ქონება 18 მილიონ ევროდ იყო შეფასებული, სარკოზის კი „ჯიბეში" სულ რაღაც 2 მილიონი ედო.

კარლას მზითევი პატიოსანი და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ჯერ ერთი, მამამ დაუტოვა სოლიდური თანხა და არც თავად მჯდარა ოდესმე გულხელდაკრეფილი: მოდელად მუშაობისას წელიწადში თითქმის 2 მილიონ ევროს იღებდა. როგორც მომღერალსაც, საქმე მხოლოდ წინ მიუდის...

## ჰილარი კლინტონი



### წარმოშობა

ჰილარი როდჰემ კლინტონი, ქალიშვილობაში — ჰილარი დაიან როდჰემი 1947 წლის 26 ოქტომბერს ჩიკაგოში დაიბადა. 1965 წელს დაამთავრა ილინოისის შტატის პარკ-რიჯის საშუალო სკოლა. უელსლის კოლეჯში სწავლის პარალელურად, საზოგადოებრივი საქმიანობითაც აქტიურად იყო დაკავებული. 1969 წელს ჰილარიმ ბაკალავრის ხარისხი მიიღო და იელის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწორედ იქ გაიცნო მომავალი მეუღლე — ბილ კლინტონიც.

### კარიერა

1973 წელს ჰილარიმ სამართლის დოქტორის ხარისხი მიიღო. მუშაობდა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის აპარატსა და ბავშვთა დაცვის ფონდში. შემდეგ გადავიდა არკანზასის შტატში, სადაც ბილ კლინტონმა პოლიტიკური კარიერა დაიწყო. 1978 წელს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ჰილარი კლინტონი იურიდიულ მომსახურებათა კორპორაციის მმართველობის წევრად დანიშნა. იმავე 1978 წელს ბილ კლინტონი არკანზასის შტატის გუბერნატორად აირჩიეს. ჰილარი ამ შტატის პირველი ლედი მთელი 12 წლის განმავლობაში იყო და საკმაოდ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

მრავალთა აზრით, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ჰილარი კლინტონმა საკუთარი კარიერა ქმრის პოლიტიკურ კარიერას ანაცვალა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბილმა კარიერის მწვერვალს მიაღწია, ქალიშვილი კი გაიზარდა, მისის კლინტონმა, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავზეც სერიოზული ზრუნვა დაიწყო. შედეგად, საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პოლიტიკური საქმიანობის შემდეგ, 2007 წლის 20 იანვარს სენატორმა ჰილარი კლინტონმა საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმის სურვილი ოფიციალურად დაადასტურა...

### ოჯახი

ჰილარიმ და ბილმა 1975 წელს იქორწინეს. 1980 წელს ქალიშვილი ჩელსი შეეძი-

# პირველი ქალბატონები

ნათ. 1998 წელს, უკვე ამერიკის პირველი ლედი, ჰილარი კლინტონი ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა: აგორდა სკანდალი ბილ კლინტონისა და თეთრი სახლის პრაქტიკანტ მონიკა ლევინსკის ურთიერთობის ირგვლივ, რაც კლინტონს კინაღამ პრეზიდენტის პოსტის დაკარგვად დაუჯდა. მაშინ ჰილარი ქმარს ამოუდგა მხარში და ამ ფრიად საჩოთირო სიტუაციის მთელი სიმძიმეც მასთან ერთად გადაიტანა. თუმცა, როგორც სკეპტიკოსები ირწმუნებიან, მან ეს საკუთარი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე უფრო გააკეთა...

### „მისის პრეზიდენტი“

ბილ კლინტონი პრეზიდენტობისას როდი მალავდა, რომ ცოლის რჩევებს ყურს უგდებდა. ახლახან გამოქვეყნებულ მემუარებში კი მკითხველს იმის შესახებაც გულახდილად უამბო, — ჰილარისთან ერთად, ბევრ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეზე ვმსჯელობდიო. მოგვიანებით, აქტიურ პოლიტიკაში უკვე უშუალოდ ჩაბმული ჰილარი კლინტონის „ყულაბაში“ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გამოცდილება და ბევრი ამერიკელის სიმპათიაც დაგროვდა, თუმცა...

როგორც ჩანს, რაოდენ მოწინავედაც უნდა მოჰქონდეს თავი, ამერიკული საზოგადოება ბევრ საკითხში მაინც კონსერვატორია და არც ქვეყნის სათავეში ქალის მოსასვლელად აღმოჩნდა მზად. ასე იყო თუ ისე, ამერიკას დღეს ახალი და ისევ მამაკაცი პრეზიდენტი ჰყავს. თუმცა როგორც ცნობილია, მისის ჰილარი კლინტონი ბარაკ ობამას კაბინეტში ფრიად სერიოზულ თანამდებობას დაიკავებს...

## სანდრა რულოვსი

ახლა კი იმ „უიშვიათესი გამონაკლისების“ დროც დადგა, წერილის თავშივე რომ ვახსენეთ. საქართველოს პირველი ლედი — სანდრა რულოვსი, რომელიც თავის „კოლეგა“ ქალბატონებს არც ჭკუით, არც განათლებით და, მით უფრო, არც მომხიბვლელობით ჩამოუვარდება, მათგან ერთგვარად, მაინც განზე დგას და თითქოს, საერთო კონტექსტიდანაც კია ამოვარდნილი. ამას არაერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი აქვს. მთავარი კი ალბათ, ისაა, რომ თვით საქართველოა დღეს საერთო მსოფლიო კონტექსტიდან თუ წესრიგიდან ამოვარდნილი. იმის გამო, რომ ქართველებს მსოფლიო წესრიგი კი არა და, სადღეგრძელოც კი განსხვავებული გვიყვარს, მოდი, ჩვენს პირველ ქალბატონსაც განსხვავებულად ანუ ქართულად „ჩავუკირკიტოთ“.

### განათლება

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ფილოლოგ სანდრას შესანიშნავი ევროპული განათლება აქვს მიღებული და მშობლიური ჰოლანდიურის გარ; ა, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებსაც ფლობს, საქართველოში ჩამოსულმა, ხელახლა მიჰყო ხელი განათლებას და ახლა ქართულად, მეგრულად და ოსურადაც კი ლაპარაკობს. უცხოური გამოცემები მას ხშირად, ქართველებში ევროპული კულტურის შემტანის მძიმე ტვირთს ჰკიდებენ, მას კი მშვიდად ეღიმება და იმავე ქართველებს მეგრულად შესრულებული „ნანათი“ უთბობს გულებს.

### ევროპის სიმბოლო, დასავლური კულტურის ადამიანი

„ჰოლანდიელი სანდრა საქართველოს ახალი სიმბოლოა, ისევე, როგორც ვარდი, რომელიც აქ, სხვათა შორის, ასევე ჰოლანდიიდან შემოაქვთ“, — შენიშნა ერთხელ ერთ-ერთმა უცხოურმა ტელეარხმა. ისე, კარგი იქნებოდა, იმ ტელეარხის წარმომდგენლისთვის ის მაინც აგვეხსნა, რომ ჩვენთვის ვარდი მთლად უცხო ხილი არც მანამდე იყო და თვით „სავარდო და სამაისო“ ქალაქი ქუთაისიც კი გვაქვს. თუმცა თავად სანდრა ნამდვილად ქართულად მოიქცა და შეახსენა, რომ მისი მეუღლე — „მიშიკოც ევროპული ოჯახის წევრია. ის იყო ევროპის საბჭოში, იტალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში სწავლობდა. მას ჰოლანდიელი ცოლი ჰყავს და ასე შემდეგ. ასე რომ, მას მართლაც ევროპული ორიენტაცია აქვს...“

### ოჯახი

ბევრი ფიქრობს, რომ სანდრასა და მიხეილ სააკაშვილის უფროს ვაჟს ედუარდი, შევარდნაძის პატივსაცემად დაარქვეს, მაგრამ სინამდვილეში ეს არჩევანი სანდრას მამის პატივსაცემად გააკეთეს. ისე, თავად სანდრამ ერთხელ ხუმრობით ისიც შენიშნა, — ვარდის სიყვარულით, მომდევნო შვილს „ვარდიკო“ უნდა დავარქვაო, — მაგრამ საბოლოოდ, ქართულ ტრადიციას ვერც აქ უღალატა და მეორე ვაჟს მამამთილის სახელი — ნიკოლოზი დაარქვა.

### პოლიტიკა

ჟურნალისტები, განსაკუთრებით უცხოელები, ხშირად ინტერესდებიან, სანდრა, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მარტო პოლიტიკოსის ცოლია თუ გარკვეულწილად, თავადაც პოლიტიკოსად გრძნობს თავს. „მე ყოველთვის ვცდილობდი, პოლიტიკაში არ ჩავრეულიყავი, მაგრამ პოლიტიკა ყველგანაა, ყოველ ნაბიჯზე. ასე რომ, ხანდახან მიჭირს ჩაურევლობა“, — მშვიდად პასუხობს იგი. თუმცა ასეთი ხაზგასმული თავმდაბლობის ფონზეც კი დღემდე ბევრი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ გამარჯვებებში სანდრას დიდი წვლილიცაა. ერთმა ჟურნალისტმა ამას „ორის გამარჯვებაც“ კი უწოდა, რადგან სანდრამ, არჩევნებზე გამორჩეული აქტიურობით, ქმრის ხმებს მხოლოდ ერთი და ორი პროცენტი როდი შემატა. აი, თავად მიხეილ სააკაშვილმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში ხუმრობით შენიშნა, — საქართველოს მოქალაქეობას სანდრას ამდენ ხანს იმიტომ არ ვაძლევდი, რომ მეშინოდა, საპრეზიდენტო არჩევნებში კონკურენტი არ გამჩენოდაო.

### აწმყოს შიში და მომავლის იმედები

იყო დრო, როცა სანდრა იმედოვნებდა — მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში გამგზავრებისას მეუღლე მასაც თან იახლებდა. თავად მიხეილ სააკაშვილი კი ცოლს რუსეთში გაგზავნას რუსული ენის დასახვეწად უპირებდა. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა (და თანაც — მღვრიემ) ჩაიარა და ახლა სანდრა ძირითადად, იმ საფრთხეებზე წუხს, რომლებიც რუსეთისგან ზოგადად, საქართველოს და კონკრეტულად, მის ოჯახს ემუქრება.

„მეშინია, არ მოგვწამლონ, — ამბობს იგი, — მეჩვენება, რომ რუსეთს ჩემი ქმრის მიმართ უკვე პერსონალური მტრობა აქვს. ჩვენ უკვე ვიცით, რისი ჩადენა, რაზე წასვლა



შეუძლიათ მათ... მოსკოვს ჩემი ქმრის მთავრობის დამხობა „ვარდების რევოლუციის“ პირველი დღეებიდანვე სურდა. ის ამას ჯერ ეკონომიკური სანქციებით ცდილობდა, შემდეგ — ბომბებითა და ქვეყანაში შემოჭრით. ახლა კი ალბათ, თავისის გატანას დიოქსინიანი წვნიანით ანდა პოლონიუმიანი ჩაით შეეცდება“.

თუმცა, მსგავსი პესიმიზმი და უიმედობა ალბათ მაინც ხანმოკლე და წარმავალია. ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში, როცა ჟურნალისტმა (სხვათა შორის, ისიც უცხოელი იყო) ჰკითხა, — საქართველოს, როგორც მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის პერიფერიის შემხედვარეს, უიმედობა და პესიმიზმი ხომ არ გიპყრობთო? — პირველმა ლედიმ ასე უპასუხა: „ყოველთვის მინდოდა, ადამიანებს იმედის შენარჩუნებაში დავხმარებოდი. ვეუბნებოდი, მეც აქ, თქვენთან ვარ-მეთქი. არსებობს ჰოლანდია, სადაც ყველაფერი კომფორტულადაა, მაგრამ მე აქ ვარ და იმედს არ ვკარგავ...“ ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

# სუნამოები

## ძლიერი მამაკაცისა და თავნება ქალბატონისთვის...




**ბოლო დროს პარფიუმერიულ სამყაროში სიახლეების შესახებ ინფორმაციებს კომპანია „ისი-პარის" მარკეტინგის დეპარტამენ-ტის დირექტორი ხატია შამუგია აქტიურად გვაწვდის. ამისთვის კი ხშირად მართავს პრესლანჩს ჟურნალისტებისთვის. ბოლო ორი კვირის განმავლობაში მან რამ-დენიმე ძალიან ლამაზი პრესკონ-ფერენცია მოაწყო.**

ლალი ფაცია

**— ხატია, წლების განმავლობაში რადიოს მუსიკალური წამყვანი იყავი. პირდაპირ ეთერში მუშაობის ნოს-ტალგია ხომ არ გაგიჩნდა? მიკრო-ფონი არ გენატრება?**

— ჩემი დღევანდელი სამსახური არ მა-ძლევს იმის საშუალებას, რომ მიკროფონი დამავიწყდეს. როდესაც ამა თუ იმ სუნამოს წარდგენა მიწევს, მაინც მიკროფონით ხელ-ში ვლაპარაკობ ხოლმე... ეს — ხუმრობით. ისე კი რადიო იმდენად ჩემია, რომ მას სამსახურად ვერ აღვიქვამ, სახლივით არის. იგი ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი მოგ-ონება და მნიშვნელოვანი ნაწილია. რაც შე-ეხება ჩემს დღევანდელ სამსახურს, მიუხე-დავად იმისა, რომ ძალიან შრომატევადია, საოცრად საინტერესოა. ყოველკვირა იმდენ სიახლეს ვიგებ, რომ მოდუნების საშუალე-ბა არ მაქვს. ამოუწურავი, ზღვა ინფორმა-ციაა სფეროში, რომელსაც პარფიუმერია ჰქვია. მით უმეტეს, განსაკუთრებულად საინ-ტერესოა იმ ქალბატონისთვის, რომელსაც ეს სფერო ძალიან იზიდავს.

**— რაღაც, კარგად გამოიყურე-ბი. კომპანიაში, რომელშიც მუშაობ, შენს გარეგნობაზე განსაკუთრებუ-ლად ზრუნავენ?**

— მადლობა კომპლიმენტისთვის. როცა ქალს საინტერესო სამსახური აქვს და კმაყ-ოფილია ამით, ეს მის გარეგნობაზეც აისახება. ასე რომ, თავს ჩემს ამპლუაში ვგრძნობ.



**— ესე იგი, მუსიკალური დიჯეი — ხატია შამუგია გარდაისახა აქ-ტიურ, საქმიან ქალბატონად?. როგორია შენი სამუშაო დღე?**

— სამუშაო დღე 10 საათზე იწყება, რომელიც ხანდახან საღამოს 8-9 საათამ-დეც გრძელდება. დრო ისე გადის საქმეში, რომ ვერც კი ვიგებ, იმდენი რამ არის გასაკეთებელი.

**— სუნამოს სურნელს, როგორც ვიცი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებ. დღის განმავლობაში მას რა ინტენ-სივობით იპკურებ?**

— ვერ დავთვლი. შემიძლია ვთქვა, რომ სუნამოს მანიაკი ვარ. ამიტომ, ველარ ვა-კონტროლებ, მას დღეში რამდენჯერ ვიპ-კურებ. ორ წვეთს კი არ ვისხამ, სუნამოში ვბანაობ. ერთი კოლოფი მაქსიმუმ ორი კვირა მყოფნის. თან, სამსახურიდან გამომ-დინარე, უამრავი სიახლეა, ახალი პროდუ-ქცია ხომ უნდა გავსინჯო?!

**— რა გრძნობაა, როდესაც ასე-თი ცნობილი კომპანიის მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორი ხარ?**

— დიდი პასუხისმგებლობაა. ამიტომ, მაქსიმალურად მობილიზებული ვარ.

**— სიახლეები ახსენე და მოდი, ამაზე უფრო კონკრეტულად გვესა-უბრე, რადგანაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში თქვენი კომპა-ნიის ახალი პროდუქცია პრესლანჩზე ჟურნალისტებს წარუდგინე.**

— კი, ერთი გახლავთ „ბუგატის" ახალი სუნამო მამაკაცებისთვის. ეტორე ბუგატი არის ადამიანი, ვინც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირე-ბული ავტომობილი შექმნა. ცოტა ხნის წინ „ბუგატის" კომპანიამ პარფიუმერიაშიც მოსინჯა ძალები და სუნამო გამოუშვა, ეს ნაბიჯიც მისთვის წარმატებული აღმოჩნდა (გახსოვთ, ალბათ „ბუგატის" სუნა-მოს პირველი გრანდიოზული პრეზენტაცია ჩვენთან, ერთი წლის წინ რომ გაიმართა). სწორედ მაშინ აღინიშნა საქართველოში ამ ბრენდის (არომატი) პირველი შემოსვლა. ამ სუნამოს ფლაკონზე შემორტყმულია ისეთი ძვირფასი ტყავი, როგორიც ჰერმესია, — სწორედ ის ტყავი, რომლითაც გაწყობილია ავტომობილ „ბუგა-ტის" სალონი („ბუგატისა" და ჰერმესის მწარმოებელს 80-წლიანი ურთიერთთან-ამშრომლობა აკავშირებთ). მათ სუნამოს ძალიან ძვირფასი არომატი აქვს. არადა, შეიქმნა მითი, თითქოს „ბუგატი" ძვირი და მიუწვდომელი სიამოვნებაა. ეს ასე არ არის, ეს უბრალოდ, ძვირფასი არომატია, მაგრამ — საკმაოდ ხელმისაწვდომი. სუ-ნამოს გამორჩეული არომატი აქვს და ძლიერი, ქალაქელი მამაკაცისთვის არის განკუთვნილი, რომელიც საკუთარ თავ-შია დარწმუნებული... ასე რომ, „ბუგა-ტის" მეორე სუნამოს პრეზენტაციაც შესა-ბამისად აღინიშა.

**— და რას გვეტყვი გოტიეს სუნამოზე, რომელიც ასევე დიდი პრეზენტაციისას იყო წარმოდგენი-ლი?**

— გოტიე გიჟია, ნორმალური არ არის... მან თავის დროზე, სხვენზე ბებიის ნაქონი, ქალის კორსეტი იპოვა და ამ ნივთმა შეასრულა მისი შემდგომი შემო-ქმედებისთვის მუზის მისია. სწორედ მა-შინ გაუჩნდა სურვილი, რომ „ფეშენში" წასულიყო. ამიტომაც, ნებისმიერ მის ახალ არომატში, ყველგან, ფლაკონში დებს ქა-ლის კორსეტს. ეს ატრიბუტი მისი შემო-ქმედების სიმბოლოდ იქცა. არაჩვეუ-ლებრივ სურნელთან ერთად, ფლაკონის გაფორმება და დიზაინიც გამორჩეულია. ამჯერად ახალ სუნამოს ჰქვია — Ma Dame. ეს სუნამო ტემპერამენტიან, თავნება, ვნებიან ახალგაზრდა ქალბატონებს განასახიერებს. და ზუსტად ასეთია, ამჯერად „მა დამის" სახე — ცნობილი ინგლისელი მოდელი, მომღერალი და დიზაინერ ჟან პოლ გოტიეს ფავორიტი — აგნეს დეინი. ■




ბავშვობიდან წერდა... სტრიქონ-სტრიქონ გაბნეულ ლექსებსა და მოთხრობებს მეგობრები ინახავდნენ... მისი პირველი შემფასებელი მეუღლე იყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ ერთი ლექსი დაწერა. ლექსების კრებული, რომელსაც „დაბადება“ ჰქვია, ოთხ ნაწილად არის დაყოფილი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. პირველი ორი — სკოლის პერიოდისაა, მომდევნო ორი კი სტუდენტობის წლებში შექმნილ კუპლეტებს იტევს...

# „დაბადების“ დაბადება – ანუ სევდიანი სტრიქონების კრებული

*ანა კალანდაძე*

26014

22 ნოემბერს, 19 სთ-ზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სარეკლამო კომპანია „იმპერიალის“ ორგანიზებით, ქალბატონ თამარ თავბერიძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია შედგა.

*„გაგიღიმეთ... მოგენდეთ...*
*და გადაგიშალეთ სული...*
*ნუ გამკიცხავთ... არც შემაქოთ...*
*თქვენც უბრალოდ გამიღიმეთ გულით...“*

ამ სიტყვებით აღებს კარს მკითხველი ავტორის სამყაროში, რომელიც ქალური ხევდითა და ტკივილით არის სავსე.

წიგნის პრეზენტაციას, რომელსაც „დაბადება“ ჰქვია, ძალზე ორიგინალური და დახვეწილი სახე ჰქონდა. თეატრალიზებულ საღამოს რუსთაველის თეატრის მსახიობი დავით დარჩია უძღვებოდა, რომელთან ერთად, სცენაზე ლექსების კითხვისას ერთმანეთს 6 დამწყები მსახიობი ცვლიდა. საღამოს მუსიკალური გაფორმება ქეთი გაბისიანს ეკუთვნოდა. ის რიგრიგობით იხმობდა როიალთან: ნინო არაზაშვილს, ნატო მეტონიძეს, დავით არჩვაძეს... სრულდებოდა როგორც სოლო სიმღერები, ისე დუეტები, რომლებიც სასიამოვნოდ ერწყმოდა საღამოს ფორმატს...

სარეკლამო კომპანია „იმპერიალი“ საქართველოში ერთ-ერთი პირველი სარეკლამო სააგენტოა, რომელიც პირველსავე დღიდან სარეკლამო მომსახურების სრულ სპექტრზე იყო ორიენტირებული და შესაბამისად, საკუთარ საქმიანობას სარეკლამო სფეროს ყველა მიმართულებით ავითარებდა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კომპანია „იმპერიალს“ ყველა წამყვან მიმართულებაში მოწინავე პოზიციები უკავია. დაარსებიდან დღემდე კომპანიის წარმატებული პროექტებია: UNICEF, WELLA, GALINA BLANCA, VOLVO, SCHWARZKOPF & HENKEL, BF, სახალხო ბანკი, ბაზის ბანკი, WRIGLEY, BEELINE, „ჯეოსტარი“ და ა.შ.

წლების განმავლობაში კომპანიამ ყველა სახის სარეკლამო მიმართულებით მიაღწია მსოფლიო სტანდარტებს და შესაბამისად, სერვისის დონის ამაღლებამ საერთაშორისო კლიენტების მოზიდვა განაპირობა. „იმპერიალი“ არაერთი საერთაშორისო პრიზის მფლობელია. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამ ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის სლოგანი დაახლოებით ასე ჟღერს: „ჩვენ ვიცით, რომ შეუძლებელი არაფერია!“

„იმპერიალის“ დამაარსებელი გახლდათ კახა კუპატაძე, რომელიც აღნიშნულ კომპანიას 1992 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ კი კომპანიის სათავეში მისი მეუღლე — ქალბატონი თამარ თავბერიძეა.

საღამოს, ქალბატონი თამარის მეგობრები, ახლობლები და კომპანიის პარტნიორები ესწრებოდნენ. როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, მან სწორედ მეგობრების დაჟინებული თხოვნით გადაწყვიტა, რომ წლების განმავლობაში შექმნილი ლექსები ერთ წიგნად შეეკრა და მისთვის „დაბადება“ დაერქმია. წიგნი ირაკლი ფარჯიანის ნახატებითაა ილუსტრირებული. ბატონი ირაკლი თამუნას მამინაცვალი იყო და მისი ბავშვობის ლექსების პირველი შემფასებელია.

ქალბატონი თამარის შემოქმედების შეფასება მსახიობებს — დავით დარჩიასა და ნათია ნიკოლაიშვილს ვთხოვეთ.

**დავით დარჩია:**

— როცა ამ საღამოს წაყვანა შემომთავაზეს, მაშინ მე თამუნას ლექსებს არ ვიცნობდი. როცა ისინი წავიკითხე, ძალიან მომეწონა. თითოეული ლექსი მშვენიერი ქალის მიერ, ქალის სილამაზითაა გაჟღენთილი. ვფიქრობ, ძალიან ლამაზი საღამო გამოვიდა. დღეს კიდევ ერთი ლამაზი ლექსების ავტორმა გააცნო თავი საზოგადოებას და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება აიტაცებს ამ სტრიქონებს. როგორც თავად ნახეთ, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, საღამოზე ერთი პატარა, სახუმარო ლექსი მეც წავიკითხე:

*„ეზოს გაღმა ქალი დადის,*
*ტანით სუროს ემსგავსება,*
*მისი ლამაზი თვალები,*
*ახლაც ძილში მელანდება.*
*ეზოს აქედან ვტკბებოდი,*
*ქალიც ჩუმად იღიმება.*
*თურმე, სახლის სარკმელიდან*
*მისი ქმარი იცქირება.*
*ქმარი ღობესთან მოვიდა,*
*სულ მუშტებით მემუქრება.*
*— რაო, ძმაო, რასა ბრაზობ?*
*მიყვარს, ხომ არ მეჯავრება?!“*

**ნათია ნიკოლაიშვილი:**

— მინდა, თამუნას მივულოცო ეს დღე. ის ძალიან კარგი და თბილი პიროვნებაა — პირველივე შეხვედრისას მომეწონა. შემდეგ უკვე მის ლექსებსაც გავეცანი და აღფრთოვანებული დავრჩი. მისი ყველა ლექსი საოცარია. ამ საღამოსთვის თითქმის ერთი თვე ვემზადებოდით და ვფიქრობთ, რომ წიგნის პრეზენტაციამ შესანიშნავად ჩაიარა...

*საღამოს ბოლოს, ყველა სტუმარს ლექსები და სასაჩუქრე კრებული გადაეცა. ლექსების კრებულის პირველ გვერდზე ავტორის ხელით მიწერილი შემდეგი ფრაზებია: „საუკეთესო სურვილებით ავტორისაგან“. ჩვენც ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ „დაბადების“ ავტორს!..*



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მედიატორი“ — დეტექტიური დრამა პასუხგაუცემელი კითხვებით

**გვამი, პროზექტურა, პოლიცია და გამომძიებელი, რომელიც საგამოძიებო ექსპერიმენტებითა და ჩვეული კრიმინალისტიკური მეთოდების გამოყენებით, მკვლელობის გამოძიებასა და მოკლულის უკანასკნელი დღეების სურათის აღდგენას ცდილობს... დიტო ცინცაძის დეტექტიური დრამა — „მედიატორი“ — მაყურებელს ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას უტოვებს.**



დიტო ცინცაძე (უკანა პლანზე) გადასაღებ მოედანზე

*ეთო ყორღანაშვილი*

**დიტო ცინცაძე,** *რეჟისორი:*

— „მედიატორი“ — ესაა ფილმი, რომელშიც ყველა გმირი მედიატორის ანუ შუამავლის როლს ასრულებს. პერსონაჟები ჭადრაკის ფიგურებივით არიან. მათ თავიანთი მისია აქვთ, მაგრამ თვითონაც არ იციან, თუ რას ან ვის ემსახურებიან. ფილმის გმირების სამოქმედო ხერხები ბინძურია. ამ მხრივ, დღევანდელ საზოგადოებაშიც საკმაოდ მძ-



კადრი ფილმიდან (ნუცა კუხიანიძე)

იმე სურათი გვაქვს. „მედიატორი“ მხატვრული ხერხებით გადმოცემული რეალობაა.

— **„ოსკარის“...**

— (*მაწყვეტინებს*) „ოსკარის“ ცერემონიაზე ნურაფერს მკითხავთ. ამას მომავალი გვიჩვენებს.

— **კარგი. მაშინ ის მაინც მითხარით, როგორ ფიქრობთ — დასავლელი მაყურებლისთვის „მედიატორის“ სიუჟეტი საინტერესო იქნება?**

— იმედი მაქვს, რომ დაინტერესდებიან. წინასწარ მართლა ვერაფერს ვიტყვი... საერთოდ, კრიტიკას ცუდად არ ვხვდები, პირიქით — ეს კარგია. ჩვენი მიზანი სწორედ ის იყო, რომ მაყურებელი რაღაცის გამო გაღიზიანებულიყო. კითხვები გასჩენოდა... ფილმის გმირები ცუდი ადამიანები არ არიან, უბრალოდ — „დაღუპული“ ხალხია, მაგრამ გამოსწორების შანსი ყველას აქვს, ოღონდ ეს მათზეა დამოკიდებული. მოკლედ, მაყურებელს „მედიატორის“ ნახვის შემდეგ საფიქრალს ვუტოვებთ.

— **ფილმის გადაღების პროცესი სად და რამდენს ხანს მიმდინარეობდა?**

— გადასაღებად, დაახლოებით 2 თვე დაგვჭირდა. გადაღებები საქართველოში მიმდინარეობდა. მხოლოდ 2 დღე ვიყავით გერმანიაში. „მედიატორზე“ მუშაობა საკმაოდ რთული იყო, რადგან ძალიან მცირე დრო გვქონდა. გუკა რჩეულიშვილის დამსახურებაა, რომ ყველაფერი სწრაფად დავასრულეთ.

**გუკა რჩეულიშვილი,** *პროდიუსერი:*

— გადაღება 2 მილიონი დოლარი დაჯდა. მილიონ 300 ათასი ქართულმა მხარემ გაიღო, დანარჩენი — გერმანულმა. ალბათ, გერმანელი კინოხელოვნები ფილმის სცენარმა დააინტერესა.

*სცენარის ავტორები დიტო ცინცაძე და აკა მორჩილაძე გახლავთ. ფილმში ღიად დატოვებული საკითხები „მედიატორს“ დეტექტიური ჟანრის სხვა ფილმებისგან განასხვავებს.*

**გიორგი ნაკაშიძე,** *მსახიობი:*

— „მედიატორში“ გამომძიებლის როლს ვასრულებ. ჩემი გმირი დალხენილი ადამიანი არაა. ცდილობს, თავისი საქმე აბსოლუტური პროფესიონალიზმით გააკეთოს, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც მას უნდა. ჩემი პერსონაჟი არც დადებითია და არც — უარყოფითი: როგორც ყველა ადამიანს, მასაც ორივე თვისება აქვს — კარგიც და ცუდიც. მე, პირადად, მაქვს რაღაც თვისებები, რომელსაც ფილმის გმირთან საერთო არაფერი აქვს, შესაბამისად, ამ თვისებების „მოცილება“ და პერსონაჟის ხასიათის გათავისება დამჭირდა. ჩემი გმირი გარეგნულად მშვიდი და გულჩათხრობილია, მე კი ემოციური ადამიანი ვარ, ჟესტებით ლაპარაკი მიყვარს... როლის შესრულება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. როცა ფილმის ხარისხიანობაზე გაქვს პრეტენზია, სირთულეს ვერ გაექცევი. „მედიატორი“ რამდენად ხარისხიანია, ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია.



კადრი ფილმიდან (მერაბ ნინიძე)

**მერაბ ნინიძე,** *მსახიობი:*

— როლის შესრულება საერთოდ არ გამჭირვებია, რადგან დიტო ცინცაძე გენიალური რეჟისორია! იცი, როგორი ადამიანის როლს ვასრულებ? დღეს რომ დილერია და ხვალ შესაძლოა, ჯაშუში გახდეს — სადაც მეტს გადაუხდიან, იქ იმუშავებს. შინაგანად ძალიან „დამსხვრეული“ პიროვნებაა — თავისი საქმიანობის გამო, ბედნიერი არაა. როცა ფილმში ვმონაწილეობ, ჩემი მიზანია, ადამიანებს ადამიანობა დავანახვო. ვცდილობ, მაყურებლისთვის მკვლელიც კი ახლობელი იყოს, რათა გაუგონ... „მედიატორმა“ ბევრ კითხვას პასუხი შეგნებულად არ გასცა — პასუხგაუცემელი კითხვა ჩვენს ცხოვრებაშიც ბევრია და მგონი, დაგვაფიქრებს.

*მსახიობი* **ნუცა კუხიანიძე,** *„მედიატორში“ ორსული მკვლელის როლს ასრულებს:*

— ყველა მსახიობი თავის გმირში რაღაც საერთო შტრიხს პოულობს. ჩვენც გვქონდა რაღაც საერთო. თუნდაც — თმის ფერი (*იცინის*)... არავინ იცის, ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში როგორ მოიქცევა. მართალია, ცხოვრებაში რადიკალური გადაწყვეტილებები არ მიმიღია, მაგრამ ალბათ ამის საჭიროების წინაშე არ დავმდგარვარ. ზოგჯერ რაღაცაზე მიდიხარ, იმიტომ, რომ გადარჩე — შესაძლოა, ჩემს გმირთან საერთო ეს თვისება „დავიჭირო“. ჩემი პერსონაჟი რადიკალურია!

— **მის საქციელს ამართლებთ?**

— ვფიქრობ, ძლიერი ადამიანი სხვანაირად მოიქცეოდა, თორემ ისე როგორ არ ვამართლებ?! ცხოვრებაში ყველაფერი „მოსულა“ (*იცინის*)!.. რაღაც მომენტში მართლა ვამართლებ იმიტომ, რომ როცა დედა ხარ, შესაძლოა, შენი შვილისთვის ყველაფერი გააკეთო... „მედიატორი“ ბევრი ნიჭიერი ადამიანის შრომის შედეგია. ჩემი აზრით, ეს ფილმი ჩვენს მოლოდინს გაამართლებს.

## გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

# „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:**

**„ვეფხისტყაოსანი"**

**„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია"**

**„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"**







## მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"**

**www.elva.ge**

**T: 38 26 73; 38 26 74**

**elva@kvirispalitra.com**

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში. რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაყიდვის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

**თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი**

**თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!**

# როგორ მოიქცია რადიო „პალიტრის“ პრესის მიმომხილველმა ზაქრო ინწკირველი თავის „კლანჭებში“

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ნინო მურღულია
რესპონდენტი – ზაქრო ინწკირველი

ისინი თითქმის ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან — ეს გახლავთ პრესის მიმოხილვა. სხვაობა იმაშია, რომ ერთი — იუმორისტულ ჟანრში აკეთებს ამას, მეორე — აბსოლუტურად სერიოზულად. ზაქრო ინწკირველს „ვანოს შოუში“, როგორც გუნდის არც-თუ სუსტ მოთამაშეს, პრესის იუმორისტული მიმოხილვა მეგობრებმა მიანდვეს, ნინო მურღულიას კი — რადიო „პალიტრის“ მესვეურებმა. აქ ერთი ნიუანსია — ნინო, პრესის მიმომხილველობის გარდა, ჟურნალ „რეიტინგის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეცაა — იმ გამოცემისა, რომელიც ხშირად ხვდება ზაქროს „კლანჭებში“. ახლა კი სწორედ ისინი არიან ჩვენი რუბრიკის სტუმრები... ზაქრომ, როგორც ჯენტლმენმა, პირველად ქალბატონს დაუთმო ჟურნალისტის როლში ყოფნა.



**— როგორ ხარ, ზაქრო? რამდენი ხანია, არ მინახავხარ...**

— ძალიან კარგად. დაღლილი, მაგრამ ხომ გესმის — სასიამოვნოდ დაღლილი...

**— საღამოს 9-ის ნახევარია. ასე გვიან ამთავრებ მუშაობას?**

— საქმე უფრო გვიანაც დაგვისრულებია.

**— გიღირს ამდენი ენერგიის ხარჯვა?**

— კი, რა თქმა უნდა.

**— ახლა ჩვენ ვიმყოფებით „კვირის პალიტრის“ კომპანიაში, იქ, სადაც შენი კარიერა წლების წინ დაიწყო. იქნებ, ორი სიტყვით რაიმე გაიხსენო ამის შესახებ?**

— ამის გახსენებას ორი სიტყვა არ ეყოფა (იცინის)... „კვირის პალიტრაში“ დაახლოებით, 2 წელი მაქვს გატარებული, რითაც უმნიშვნელოვანესი ფურცლებია ჩაწერილი ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო პირველი ოფიციალური სამსახური, როცა მე შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, დავიწყე კოლექტივში მუშაობა. აქ ნებისმიერი ადამიანის დანახვა ძალიან მიხარია და მსიამოვნებს.

**— რას საქმიანობდი?**

— ვიყავი იუმორისტულ ჟურნალ „ფილთაქვის“ რედაქტორი და ამასთან, პატარა ნაკვესებსაც ვწერდი „კვირის პალიტრისთვის“.

**— შენც ჟურნალ-გაზეთებიდან მოდიხარ და რას გვერჩი, შოუში პრესას რომ „აშაყირებ“?**

— მაგ საქმეს სიყვარულით ვაკეთებ. ყოველთვის მირჩევნია, ვიხუმრო იმ ადამიანებზე, ვინც მიყვარს: უფრო გემრიელი ხუმრობა გამოდის. ტიპი თუ არ მევასება, ვცდილობ, მასზე ხუმრობას თავი ავარიდო.

**— ვინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ვანოს შოუში“ პრესის იუმორისტული მიმოხილვა შენ გაგეკეთებინა?**

— შოუს ყოველთვის სჭირდება სიახლე, რადგანაც დრო რომ გადის, რაღაც უნდა შეიცვალოს. ამ მიმართულებით ყველამ გამოვთქვით ჩვენი აზრი. ბოლოს ჩემი იდეა შეირჩა და გადაწყდა, რომ პრესის მიმოხილვას მე გავაკეთებდი. გადაწყვეტილება ჯანსაღად, დემოკრატიულად და ორგანიზებულად მივიღეთ. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც შეცდომა ვიპოვოთ ჟურნალში. თუ შოუში ფრაზა გამომაქვს სამსჯავროზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაცამ რაღაც ცუდად დაწერა. სხვათა შორის, აღვნიშნავ იმასაც, რომ პრესაში შეცდომები დიდი ხანია, აღარ მინახავს. ისე, ნებისმიერი სათაურისა და მასალის იუმორისტულად წარმოჩენა შეიძლება. მაგრამ ვიმეორებ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მასალა არ ვარგა.

**— შოუში განსახილველ სტატიებს როგორ არჩევ?**

— მთელი კვირის პრესას ვინაწილებთ, მერე, 40 წუთის განმავლობაში ვკითხულობთ და ბოლოს ვაჯამებთ. ისე, ჩემში შინაგანი ცენზორი სულ მუშაობს. ვცდილობ, არაეთიკურად არ ვიხუმრო.

**— არადა, ზოგიერთ თქვენს გადაცემაში სწორედაც რომ არის ბევრი არაეთიკური ხუმრობა. მაგალითისთვის, გადაცემა „კომედი ქლაბს“ დავასახელებ. ამასთან, იმასაც ამბობენ, რომ ეს არ არის იმ დონის გადაცემა, რომელიც რუსეთში მზადდება და რომლის ანალოგის მიხედვითაც თქვენ გააკეთეთ. თქვენი ხუმრობების დონეც საკმაოდ დაბალი ხარისხისაა.**

— თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ჩვენი და რუსული „კომედი ქლაბის“ ვერსიების ერთმანეთთან შედარება მაყურებლისთვის ადვილია, რადგანაც იქ ქვეყანაც სხვაა და მაყურებლის კულტურის დონეც. რუსულ „კავეენზე“ გამოვსულვარ და ვიცი, იქ მაყურებელი რისთვის მიდის შოუზე. პასუხი მარტივია — იმისთვის, რომ იცინოს და არა ისეთი სახით იჯდეს — აბა, ახლა რას იზამენ იუმორისტებიო?.. ჩვენთან სამწუხაროდ, ეს პრობლემა დგას.

**— ესე იგი, იუმორის აღქმის პრობლემაა?**

— კი. შეიძლება, ეს იმის ბრალია, აქ უმრავლესობა უმუშევარი რომ არის. მათ რაღაც შურის მომენტი უჩნდებათ. იმ კაცისთვის, რომელიც ვერაფერს აკეთებს, ადვილია, დაჯდეს და სხვისი ხუმრობა გააკრიტიკოს.

**— მიზეზი მარტო ეს არის, ზაქრო?**

— კი, დამიჯერე, ასეა. აქ მაყურებელს სხვა განწყობილება აქვს. ხალხის ნებაზეა დამოკიდებული, თუნდაც ერთსა და იმავე ხუმრობაზე თქვას ხან კარგი, ხან — ცუდი. მთავარია, შენ მიმართ როგორ არიან განწყობილები.

**— დღეს მაყურებელს უკვე აქვს არჩევანი: „რუსთავი 2“-ზეც უყუროს იუმორისტულ შოუს და — „იმედზეც“. რადგანაც ცოტა ხნის წინ იქ ახალი გადაცემა — „ღამის შოუს სტუდია“ დაიწყო. რას ფიქრობ — კონკურენციასა და პრესის იმ მიმოხილვაზე, რომელიც იმ გადაცემაშიც გაკეთდა?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ-ჩვენს გადაცემებში ერთსა და იმავე თემაზე (პრესა) ვხუმრობთ, მაინც მგონია, რომ სხვადასხვანაირი ბლოკი გვაქვს. რაც შეეხება კონკურენციას, — ძალიან კარგია, რომ ასეთი გადაცემა გაჩნდა. როდესაც პარალელურ რეჟიმში შენნაირ შოუს აკეთებენ, ეს კარგია, — ესე იგი, უკეთესი გაქვს დასაწერი და შესაქმნელი. ეს ყველაფერი გაფხიზლებს და მოდუნების საშუალებას არ გაძლევს.

**— ზაქრო, ისე, მაინც რატომ გახდა ასეთი აქტუალური, პრესის მიმოხილვა?**

— რადგანაც პრესაა თვითონ აქტუალური. გაზეთებში ხომ ისეთ ადამიანებზე

იწერება, რომლებიც აქტუალურები არიან, შუქდება თემები, რომლებიც აგრეთვე აქტუალურია... ჟურნალ-გაზეთები ხომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანარეკლია.

— **მე კი ვფიქრობ, რომ ტელევიზიები ისე, როგორც ადრე, ველარ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. ჩემი აზრით, პრესა, რადიოსთან ერთად, უფრო მეტად დამოუკიდებელი და თავისუფალია ანუ ამ სფეროში ადამიანს მეტი არჩევანის საშუალება აქვს... კარგი, შევცვალოთ თემა. ალბათ შენს თაყვანისმცემლებს აინტერესებთ, როგორი გოგონები მოსწონს პრესის იუმორისტულ მიმომხილველ — ზაქრო ინწკირველს?**

— გოგონას, რომელიც მე მომეწონება, იუმორი აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

— **გარეგნულად როგორი უნდა იყოს?**

— არ უნდა შემრცხვეს მასთან ერთად გავლის. ისევე, როგორც მას არ უნდა შერცხვეს ჩემთან გავლის.

— **შეყვარებული გყავს?**

— კი და მეტს ამ თემაზე არაფერს გეტყვი.

— **კარგი, არც მე ჩაგეძიები.**

— მოდი, ახლა მე დაგისვამ შეკითხვებს.

**ჟურნალისტი – ზაქრო ინწკირველი**
**რესპონდენტი – ნინო მურღულია**

— **ენერგიული ადამიანი ხარ. დღის ბოლოა, რაღაც დაღლილი არ ჩანხარ.**

— არა. ყოველდღე 8 საათზე ვიღვიძებ. მოვდივარ სამსახურში. ვკითხულობ პრესას, რაც საქართველოში გამოდის, რომ შემდეგ მიმოვიხილო რადიოეთერში.

— **შენი ულევი ენერგიის წყარო რაში მდგომარეობს?**

— გეტყვი, რომ ენერგიაზე ახლა შენ მომიყვანე — რაღაც, კარგი აურა გაქვს.

— **მართლა? მე, ხომ იცი, ფსიქოლოგი ვარ პროფესიით. თუმცა თავიდან, 5 წელი სამედიცინო უნივერსიტეტში ვისწავლე და „კავეენის“ გამო, პედიატრიის ფაკულტეტიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის (ბავშვთა ფსიქოლოგია) მეორე კურსზე გადავედი. ასე რომ, უნივერსიტეტის „კავეენის“ გუნდში ამიყვანეს. საკუთარ თავს ვეძებდი და ხედავ, სად ვიპოვე?!**

— აბა! რა ადამიანი ზის ჩემ წინ?! მაგარი სასიძო ბიჭი ხარ...

— **მაინტერესებს, მუსიკით ან სპორტით თუ ხარ გატაცებული?**

— მუსიკალური განათლება არ მაქვს, მაგრამ მთელი ჩემი ოჯახი მუსიკალურია. სიმღერაზე ვგიჟდები. ვუსმენ ჯაზსა და არენბის. სპორტით არ ვარ დაინტერესებული, რადგანაც ჩემმა ძმამ ყველანაირი სპორტი შემაძულა, ბავშვობიდან ფეხბურთს გაგიჟებით უყურებს.

— **საერთოდ, სპორტსმენობა გავლენას ახდენს ადამიანის შემდგომ საქმიანობაზე. 12 წელი აქტიური მოჭადრაკე ვიყავი. სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახლავარ. ამიტომ, ეს ფიქრში, ანგარიშში, გათვლაში, თუნდაც სკეტჩის აწყობაში მეხმარება.**

— არა, სპორტს ჩემზე ასეთი გავლენა არ მოუხდენია. არც პირადად ვყოფილვარ დაკავებული რომელიმე სპორტით და არც მიგულშემატკივრია რომელიმე სახეობისთვის.

— **პროფესიით ჟურნალისტი ხარ?**

— კი. სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. მერე ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურა — სახელმწიფო მართვის სპეციალობით.

— **რადიო „პალიტრაში“ პრესის მიმოხილვას უძღვები. რას გვეტყვი შენს ამ საქმიანობაზე?**

— ჩვენს რადიოში პრესის სერიოზული მიმოხილვა გვაქვს. ის საკმაოდ ვრცელია. აღსანიშნავია ის, რომ მაქვს სრული თავისუფლება, არავინ არაფერს მახვევს თავს... ყოველ დილას, 10 საათსა და 15 წუთზე გავდივარ ეთერში. 15 წუთის განმავლობაში უნდა მოვასწრო ყველაფრის წაკითხვა, რაც კონკრეტულად, იმ დღეს არის გამოსული. ჩემთვის ეს სრულიად ახალი საქმიანობაა და ძალიან საინტერესო.

— **მთავარი მიზანი რა არის, როდესაც პრესის მიმოხილვას იწყებ?**

— ის, რომ ადამიანებმა გაიგონ, თუ რა არის მთავარი, რა იბეჭდება დღეს პერიოდულ პრესაში. წინ წამოვწიო გამოცემებში დაბეჭდილი საინტერესო თემები. ოღონდ ერთ-ორ შეკითხვას ვტოვებ, რომ გაზეთის მესვეურებმა სრულიად სამართლიანად არ დამისვან შეკითხვა: თუ ყველაფერს ეთერში წაიკითხავ, მაშინ ჩვენთან რაღას უნდა გაეცნონო?!. ასე რომ, მსმენელს აქვს საშუალება, გაიგოს, თუ რა იწერება პრესაში.

— **აბა, გამიმეორე რადიოს სიხშირე.**

— რადიო „პალიტრა“ — 103,9, რომელმაც აგვისტოს ომის დროს დაიწყო მუშაობა. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ეთერში გადის საინფორმაციო გამოშვება. „პალიტრას“ აქვს ძალიან საინტერესო ტოქშოუები. ისინი მიჰყავთ ისეთ გამოცდილ ჟურნალისტებს, როგორებიც არიან: ირინა თევდორაშვილი, თამარ ცაგარეიშვილი და მამუკა არეშიძე. ისინი სერიოზული პროფესიონალები არიან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ასეთ გამოცდილ ადამიანებთან მაქვს შეხება.

— **მიმოხილვისას ტენდენციური არ ხარ? შენს კომენტარს არ ურთავ ხოლმე?**

— ძალიან შეფარვით.

— **იმის გამო, რომ ჟურნალშიც მუშაობ, სხვა ჟურნალის გადაფურცვლისას ხელი თუ გიკანკალებს? ალბათ ხვდები, რასაც ვგულისხმობ...**

— არანაირად. გამორიცხულია. ამას ვერავინ იტყვის. ჩვენი მედიასახლის გამოცემების გარდა, ყველა ჟურნალ-გაზეთს ვაშუქებ. არაფერს უგულვებელვყოფ.

— **ასე ვმუშაობ მეც.**

— ასე რომ არ იყოს, მსმენელი სიყალბეს იგრძნობს, შენიშნავს და არ გაპატიებს. რადიოს პრესტიჟს კი ეს არაფერში სჭირდება.

— **შაბათ-კვირასაც მუშაობ?**

— კვირას — არა.

— **ახლა უნდა შეგაპარო კითხვა: ამდენ საქმეს რომ აკეთებ, პირადი ცხოვრებისთვის როდის იცლი? მე მაგალითად, სამსახურს რომ ვამთავრებ, მეგობრებთან ერთად მივდივარ სადმე და ვერთობი, ვისვენებ. დღეს ჩემს მეგობრებს არ სცალიათ და იქნებ, ერთად წავიდეთ სადმე?**

— როგორც იტყვიან, პრობლემა არ არის. აქენად მივდივართ იქ, სადაც შენ იტყვი (იცინიან).

— **პირად ცხოვრებაზე არაფერი მიპასუხე.**

— რა გიპასუხო? შეყვარებული არ ვარ, რადგანაც ამისთვის არ მცალია.

— **მსგავს რაღაცას ხალხთან ლაპარაკისას ფარად იყენებენ...**

— ხალხთან საერთოდ, ამ თემაზე არ ვლაპარაკობ. ახლა მკითხე და გიპასუხე.

— **საერთოდ, დანაშაული რომ მოხდება, ოქმში ჩასაწერი ფრაზები არსებობს. შენი ნათქვამი ფრაზაც ასეთია — ოქმში ჩასაწერი.**

— ამრიგად, ბატონო ზაქრო, ოქმში ჩაწერეთ, რომ პირადი ცხოვრებისთვის ვერ ვიცლი. ეს — ხუმრობით. ისე, ალბათ, ჯერ არ შემხვდა ისეთი ადამიანი, ვისაც ჩემნაირად ეყვარება მუსიკა, რადიო და პრესა...

— **დიმიტრი გელოვანს ელოდები?!.**

— კი, მაგრამ მეუბნებიან, ნუ ელოდები, ასეთი არ არსებობსო.

— **მართალია. დავეშვათ მიწაზე და ვიფიქროთ ადამიანურად.**




რას გეერჩი, მოუში პრესას რომ „აშაყირებ“

# „ავტომანქანა ჩემი ცოლია, ამიტომაც არ ვჩქარობ დაოჯახებას“

**„ავტომობილებზე საუბრით არასოდეს დავიღლები“, — მითხრა ინტერვიუს დაწყებამდე, მომღერალმა რატი დურგლიშვილმა, რომელიც მანქანებზე მართლაც ფანატიკურად არის შეყვარებული. ამბობს, რომ მანქანა მისი „ცოლია“ და ისე უფრთხილდება, როგორც საყვარელ ადამიანს. რამდენად მოწესრიგებული მძღოლია დუეტ „ჯორჯიის“ წევრი და როგორი ურთიერთობა აქვს პატრულთან, ამის შესახებ მისსავე ინტერვიუდან შეიტყობთ.**



***სოფო ჭონიშვილი***

— ბავშვობაში თანატოლების მსგავსად, ავტომობილებით არასოდეს ვინტერესდებოდი. ძირითადად, ჩემი ინტერესის სფერო ხატვა და სიმღერა იყო. მამაჩემი და ჩემი ძმა მეხვეწებოდნენ, საჭესთან დავმჯდარიყავი და ტარება მესწავლა. 6-7 წლის ასაკში მამა კალთაში მისვამდა და მანქანას ისე ვმართავდი.

**— ტარება მამამ გასწავლა?**

— დიახ, თუმცა მასთან ერთად მანქანას ყოველთვის დაძაბული ვატარებდი და ხშირად რაღაცები მეშლებოდა.

**— მკაცრი მასწავლებელი იყო?**

— ძალიან, სულ შენიშვნებს მაძლევდა. პირველი ავტომანქანა რომ ვიყიდე, მართვის მოწმობაც არ მქონდა.

**— მართვის მოწმობის გარეშე დადიოდი?**

— დიახ ისე დავდიოდი, რომ პატრულს არც კი გავუჩერებივარ. მერე ავტოსკოლაში ვიარე, გამოცდები ჩავაბარე და მართვის მოწმობაც ავიღე. მაშინ ნაცნობობა და ახლობლობა უკვე აღარ ჭრიდა. 7 წელია საჭესთან ვზივარ. მანქანა ჩემთვის ყველაფერია, მის გარეშე არსად დავდივარ. როცა ტურნეებზე ქალაქგარეთ უმანქანოდ მიწევს წასვლა, ძალიან განვიცდი.

**— მანქანა შენთვის კომფორტისა და ფუფუნების საგანია, თუ გადასაადგილებელი საშუალება?**

— ოო... მანქანა ჩემი „ცოლია“ (*იცინის*). ცოლის შერთვას იმიტომაც არ ვჩქარობ. მანქანა ჩემთვის ყველაფერია. საჭესთან ჯდომისას მაქსიმალურ სიამოვნებას ვიღებ. ეს ძალიან საჭირო და აუცილებელი რამ არის.

**— მანქანა ასე რომ გიყვარს, მისი მოვლა თუ გიყვარს?**

— მგონი, მანქანის მოვლას უფრო მეტ დროს ვუთმობ, ვიდრე საკუთარი თავის ფორმაში მოყვანას. კვირაში ერთხელ „პროფილაქტიკაში“ მიმყავს და ვამოწმებინებ, ხომ არაფერი დაუზიანდა. განსაკუთრებით კი მაშინ ვუვლი, როცა ახალნაყიდი მანქანა მყავს. მერე როცა მის შეცვლაზე ფიქრს ვიწყებ, ამ მხრივ ყურადღებას ცოტა ვადუნებ. თუმცა, პირველ რიგში საკუთარ უსაფრთხოებაზე ვფიქრობ. საჭესთან უყურადღებობა დაუშვებელია. ბევრი მძღოლი ვიცი, რომელიც მსგავს რაღაცებზე არ ზრუნავს, სანამ მანქანა დადის, „პროფილაქტიკას“ არ აკითხავს. ასეთი დაუდევარი მძღოლები ქმნიან საავარიო სიტუაციებს. საკუთარ თავზე თუ არ ფიქრობ, სხვას რას ერჩი? რაც შეეხება სისუფთავეს, ჩემი მანქანა ყოველთვის სუფთაა, ხშირად ვრეცხავ, მაგრამ ამ ბოლო დროს დაკვირვებული ვარ — როცა კი მანქანას გავრეცხავ და კარგად გავაპრიალებ, არ არსებობს, რომ არ გაწვიმდეს. ამ დროს იცით, რა მემართება? — ვგიჟდები.

**— მანქანას თავად რეცხავ?**

— ზაფხულის პერიოდში ხშირად თვითონ ვრეცხავ, თუმცა ისე ვერ ვამშრალებ და ვაპრიალებ, როგორც — სამრეცხაოში.

**— მანქანისთვის ყველაზე მთავარ აქსესუარად რას მიიჩნევ?**

— ოო... ყველაზე მთავარი ჩემთვის დისკებია. ხარისხიანი და ორიგინალური დისკები მანქანის მთავარი აქსესუარია. ისე, ჩემს მანქანაში რას არ ნახავთ: სიმღერის ნოტებს, დისკებს, სათვალეს, სუნამოს და ა.შ. (*იცინის*).

**— ცნობილ და პოპულარულ ადამიანებს საკუთარ ავტომობილებზე ორიგინალური სერია და ნომერი აქვთ, შენ?**

— ასეთ რაღაცებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, უფრო მეტიც — ძალიან მაღიზიანებს. მობილურის და მანქანის ნომერიც ჩვეულებრივი ავიღე.

**— როცა პირველად დამოუკიდებლად მიუჯექი საჭეს, როგორ გრძნობდი თავს, არ ნერვიულობდი?**

— არანაირად. ჩვეულებრივი პროფესიონალი მძღოლივით საჭესთან ძალიან თავისუფლად დავჯექი და მთელ თბილისს შემოვუარე. მივხვდი, რომ საკუთარ მანქანაში თავს



დაუდევარი მძღოლები ქმნიან საავარიო სიტუაციებს

კომფორტულად და მოხერხებულად ვგრძნობდი. მამაჩემის მანქანა ცოტათი მძაბავდა, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი არ იყო.

**— შეგიძლია, მანქანა მეგობარს ათხოვო?**

— ავტომობილის ვინმესთვის თხოვება ჩემთვის წარმოუდგენელია. როცა მანქანას მეგობარს ან საყვარელ ადამიანს ათხოვებ, დაზიანების შემთხვევაში, პასუხს ვერ მოსთხოვ. საქმიან ადამიანს მანქანა შეიძლება, ყოველ წამს დასჭირდეს. სულ აქეთ-იქით დავდივარ, ამიტომ ავტომობილს ვერავის ვათხოვებ. სხვათა შორის, სხვისი ავტომობილის საჭესთან არც თავად ვჯდები. ერთადერთი, მხოლოდ ჩემს ძმას შეუძლია, ჩემი ავტომობილით დაუკითხავად ისარგებლოს, რაც ძალიან იშვიათად ხდება, რადგან მანქანა თავადაც ჰყავს.

**— რა სიჩქარეს ავითარებ საჭესთან?**

— ძალიან დინჯი მძღოლი ვარ. ქალაქში საშუალო სიჩქარით — 80-100-ით დავდივარ, ქალაქგარეთ ყველაზე დიდი 160-180 კმ/სთ სიჩქარით მიტარებია. ისე, ხანდახან ეშმაკური გაძრომა-გამოძრომა ძალიან მიყვარს. „სპიდომეტრს ყოველთვის ვაკონტროლებ, რადგან საკუთარი თავი მიყვარს და ვუფრთხილდები კიდეც (*იცინის*).

**— პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ძალიან კარგი. ჯერ ერთი, იშვიათად მაჩერებენ, თუ გამაჩერეს, მცნობენ და მიშვებენ. მოძრაობის წესებს არასოდეს ვარღვევ, ამიტომ პატრულთან ნაკლები შეხება მაქვს.

**— საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდები?**

— არასოდეს. როცა ვსვამ, 4 საათის განმავლობაში საჭესთან აღარ ვჯდები. ვიცი, რომ ალკოჰოლი ორგანიზმიდან 4 საათში გამოდის. საერთოდ კი ალკოჰოლური სასმელები ნაკლებად მიზიდავს. ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობ (*იცინის*).

**— სიგარეტსაც არ ეწევი?**

— კი, სიგარეტს ვეწევი. ამის გამო ჩემს მანქანაში მუდმივად სიგარეტის სუნი დგას.

**— თბილისში მანქანით მოძრაობა არ გიჭირს?**

— კი, და ამის გამო ნერვები ხშირად მეშლება. როცა ვხედავ, რომ ჩემ უკან მანქანა დიდი სიჩქარით მოდის, გადავდივარ და გზას ვუთმობ. ამ მხრივ ქალაქში ძალიან ცუდი სიტუაციაა. ამიტომაც არის საცობები.

**— როცა საჭესთან ქალი ზის და მოძრაობის წესებს არღვევს, რა რეაქცია გაქვს?**

— 2-3 კმ მანძილიდან ვხვდები, რომელ ავტომობილს მართავს ქალი. მართალია, ზოგჯერ ვცდები, მაგრამ... სამწუხაროდ, ცუდი მძღოლები მამაკაცებიც არიან. ქალი მძღოლი ჩემთვის წარმოუდგენელია. ხშირად ისეთი შემთხვევაც მქონია, რომ მანდილოსანს გაუსწრია ან გვერდით ამომდგომია, უცნივარ და „გონკაობა" დაუწყია. ასეთ შემთხვევაში, მას გზას ვუთმობ და ვაგრძნობინებ, რომ ამ საქმეში მამაკაცებთან შერკინება არ ღირს.



საჭესთან ჯდომა მამშვიდებს

**— ღამით მანქანით სეირნობა გიყვარს?**

— ძალიან, ღამის 4 საათზე, როცა სახლში წასვლას დავაპირებ, ჯერ რუსთაველიდან ვაკემდე ერთ წრეს დავარტყამ და შინ ისე ვბრუნდები. საჭესთან ჯდომა ძალზე მამშვიდებს. რაც უნდა გაბრაზებული და გაღიზიანებული ვიყო, ჩავჯდები თუ არა ავტომობილში, ყველაფერი მაშინვე გამივლის ხოლმე.

**— ბევრი მანქანა გამოგიცვლია?**

— სულ ორი მანქანა. პირველი „ოპელ ომეგა" იყო და მეორე — ის, რაც ახლა მყავს — E კლასის „მერსედესი".

**— ავტომობილის შერჩევისას უპირატესობას რას ანიჭებ?**

— ვიზუალურობას, მოტორის სიმძლავრეს, სალონს... „მერსედესის" ფირმის ავტომობილები ჩემთვის შეუდარებელია, მეგობრებში ხშირად ვდაობთ — BMW სჯობს თუ „მერსედესი". მათ BMW ფირმის ავტომობილები მოსწონთ, მე კი მიმაჩნია, რომ BMW ძალიან უხეში და დამღლელი მანქანაა. თუმცა ახალგაზრდების 80% BMW-თი დადის.

**— მანქანის შეკეთება თუ გეხერხება? საბურავი რომ დაეშვას, შეგიძლია გამოცვალო?**

— კი, როგორ არა?! მანქანა თუ არ შევამოწმე, ქალაქგარეთ ისე არ გავდივარ. თუ ყველაფერი მწყობრში არ არის, დიდ მანძილზე არ მივდივარ. ასეთ დროს, საფრთხეში არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ირგვლივ მყოფებსაც ვაგდებ.

**— საჭესთან მობილურით თუ ლაპარაკობ?**

— იშვიათად. ვცდილობ, თუ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ზარს არ ვუპასუხო. ტელეფონზე საუბრისას მძღოლს ყურადღება ეფანტება.

**— სახლში ჯარიმის ფურცლები ხშირად მოგდის?**

— ასეთი შემთხვევა სულ ერთხელ მქონდა, რაც ძალიან მეწყინა. შუქნიშანთან ხაზი ოდნავ გადავკვეთე და იმიტომ დამაჯარიმეს. თანხა დიდი არ იყო, მაგრამ მაინც არ მესიამოვნა.

**— მნიშვნელოვანია თუ არა შენთვის ის ფაქტი, ავტომობილი რამდენად ეკონომიურია?**

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ამიტომ ჯიპს არ ვყიდულობ. ისეთი მანქანა არ მინდა, რომლის საწვავიც ერთი მანქანის ღირებულება დამიჯდება. წუწუნში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მანქანა შენ უნდა გამოიყენო და არა — პირიქით.

**— დღის განმავლობაში რამდენ ლიტრ ბენზინს ასხამ?**

— 50 ლარის საწვავი 2 დღე მყოფნის. ჩემი ავტომანქანა ეკონომიურია, ბევრს არ წვავს.

**— საკუთარი ავტომანქანით ყველაზე დიდ მანძილზე სად ყოფილხარ?**

— ბათუმში, რაჭაში, სიღნაღში, სხვაგან — არსად. „იურმალის" კონკურსიდან რომ დავბრუნდი, ემოციებით ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ჩავჯექი მანქანაში და მთელი ღამე ვიარე. ბოლოს კი გავაჩერე და შიგ დავიძინე.

**— რატი, იმ მანქანებს („შევროლეს" მარკის), რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა გაჩუქათ, რა ბედი ეწია?**

— ამჟამად ავტოფარეხში დგას. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი ალბომის დასაფინანსებლად სპონსორი ვერ ვიპოვეთ, მე და მაკამ გადავწყვიტეთ, მანქანები გავყიდოთ და საკუთარი ალბომი თავადვე დავაფინანსოთ. ■




# ქართველი ექსტრემალი „ოფროუდერები“

## მიუვალ ადგილებში სიამოვნების მისაღებად გასული ხალხი და გზა ტალახებისაკენ

**ისინი მანქანით ხშირად დადიან მიუვალ ადგილებში, ატარებენ შეჯიბრებებს და საკუთარი კლუბიც აქვთ ჩამოყალიბებული. მათ მანქანებს იოლად გამოარჩევთ იმავე მარკის სხვა მანქანებისაგან დიდი ზომის ბორბლებითა და სპეციალური აღჭურვილობით. მათთვის თითოეული ქალაქგარეთ გასვლა საკუთარი თავისა და მანქანის ერთგვარი გამოცდაა. ბატონი ლევან კინწურაშვილი წელიწად-ნახევარია, რაც „ოფროუდერების“ კლუბის წევრია და დღემდე აქტიურადაა ჩაბმული კლუბის საქმიანობაში.**




*ელენე ბასილიძე*

— ოფიციალურად „ოფროუდერების“ კლუბი, 3 წელია, რაც არსებობს. თავდაპირველად, რამდენიმე მოყვარული „ოფროუდერი“ ინტერნეტსაიტზე ვირტუალურად შეხვდა ერთმანეთს, მერე კი კლუბიც ჩამოაყალიბეს. მათ წელიწად-ნახევრის წინ შევუერთდი. კლუბი, შარშან დეკემბერში დარეგისტრირდა ოფიციალურად, როგორც საქართველოს ექსტრემალური ავტოტურიზმის კავშირი —Off-roaders club georgia.

**— რამდენი წევრია თქვენს კლუბში?**

— დღესდღეობით 27 წევრია დარეგისტრირებული.

**— მათგან ყველას ჰყავს მანქანა და მონაწილეობს შეჯიბრებებში?**

— ყველა წევრი მონაწილეობს შეჯიბრებებში, კლუბის ქალაქგარეთ გასვლებსა და შეკრებებში, მაგრამ ყველას არ ჰყავს მანქანა. კლუბის წესდებაში გვიწერია, რომ სავალდებულო არ არის, თითოეულ წევრს მანქანა ჰყავდეს. კლუბში პიროვნებას ვიღებთ და არა — მანქანას (*იღიმება*).

**— თქვენ რა მანქანა გყავთ?**

— მეორე თაობის „მიცუბიში პაჯერო“.

**— როგორც ვიცი, მას „წითელი ეშმაკი“ ჰქვია...**

— კი, ასე დაარქვეს. სხვათა შორის, მისი „ნათლია“ კლუბის ასაკით ყველაზე უფროსი წევრი — ბატონი შალვაა. ქალაქგარეთ ვიყავით გასულები, წინააღმდეგობები უნდა გადაგველახა. მე გამოჩენა შემაგვიანდა და ბატონმა შალვამ, „გძე ეტოტ კრასნი ძიავალ“-ო?—იკითხა. მერე ყველამ აიტაცა ეს სახელი და შერჩა...

**— ეშმაკობა თუ სჩვევია? ამართლებს სახელს?**

— კი, რა თქმა უნდა. მეც და მასაც ისეთი გატაცება გვაქვს, რომ „კეთილი ეშმაკობები“ ყოველთვის გვჭირდება.

**— სახელი მხოლოდ თქვენს მანქანას აქვს?**

— ახლა რომ ვთქვა, კლუბის ყველა წევრი თავის მანქანას სახელს არქმევს-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ გვყავს „სუძუკი სამურაი“ — მეგი, „სუძუკი“ — სიუზი, ერთი „პაჯერო“ გვყავს, რომელსაც ევლინა ჰქვია... ჩვენი დამოკიდებულება მანქანასთან ისეთივეა, როგორიც — ქალთან, ამიტომაც, ჩვენი მანქანები „გოგონები“ არიან.

**— ხშირად აწყობთ ქალაქგარეთ გასვლას?**

— საკლუბო გასვლა საკმაოდ ხშირად ეწყობა. ბოლო დროს ომის ავადსახსენებელმა დღეებმა შეგვიშალა ხელი. თითქმის ყოველ მეორე კვირას ვაწყობთ გასვლას. გვაქვს აგრეთვე სეზონური შეჯიბრებებიც, რომლებიც 3 თვეში ერთხელ ეწყობა.


გვაქვს აგრეთვე სეზონური შეჯიბრებებიც, რომლებიც 3 თვეში ერთხელ ეწყობა

**— თქვენს ფორუმზე ვნახე, რომ ყველას ეპატიჟებით გასვლაში მონაწილეობისთვის. რა არის მათგან საჭირო, რომ თქვენთან ერთად წამოვიდნენ?**

— ჩვენი კლუბი ღიაა, ამიტომაც ყველას, ვისაც სურვილი აქვს, ადრენალინის გარკვეული დოზა მიიღოს, ქალაქგარეთ გასასვლელად ვიწვევთ. მსურველები ფორუმის მეშვეობით, ასე თუ ისე, იგებენ, რომ მდელოზე სასეირნოდ არ ვეპატიჟებით. სირთულეებიცაა და სახიფათო ადგილებიც. მსურველებს სიტუაციას ვაცნობთ, ჩვენი დახმარებით ემზადებიან. მანქანა მუშა მდგომარეობაში რომ უნდა იყოს, ეს გასაგებია (*იცინის*). მათ მანქანებს სპეციალური საბურავები უნდა ჰქონდეს, რომელიც მთაგორიან ადგილებსა და ტალახებში სასიარულოდაა აუცილებელი; და რაც მთავარია — ბუქსირი და თოკები! რამე რომ მოხდეს, ხომ უნდა ვუშველოთ?! (*იცინის*). თითოეული ასეთი მოგზაურობა ძალიან უცნაურ შეგრძნებას ტოვებს. ყოველი გასვლის წინ იცით, როგორი შეგრძნება მაქვს?... პატარაობაში პაემანზე რომ მივდიოდი და მღელვარებისაგან მთელი ღამე ვერ ვიძინებდი, დაახლოებით ასეთივე განცდა მაქვს



გასვლის წინაც.

— **რა კრიტერიუმით ირჩევთ კლუბის წევრებს?**

— რაც მთავარია, მანქანის მიხედვით არ ვირჩევთ! მე ახლა მყავს მანქანა, მაგრამ ათასი რამ ხდება და ხვალ მანქანა რომ აღარ მყავდეს, კლუბიდან უნდა გამრიცხონ?!. მთავარია, კლუბის მომავალ წევრს კარგად ვიცნობდეთ, ჩვენთვის სულით მონათესავე იყოს. თუ პიროვნული თვისებებით ერთმანეთს დავაკმაყოფილებთ, მაშინ მსურველი კლუბის წევრიც გახდება. ჩვენი კლუბი ჩემთვის გემრიელი და კარგი ოჯახია. როგორც ადამიანი უფრთხილდება საკუთარი ოჯახის ღირსებას, ასევე ვუფრთხილდებით ჩვენც ჩვენი კლუბის ღირსებას.

— **თქვენი მანქანები რამით თუ არის გამორჩეული? აქვს მათ დამატებითი ფუნქციები?**

— რა თქმა უნდა, დამატებითი დეტალების გარეშე ვერ მოხერხდება ექსტრემალურ ადგილებში მოძრაობა. არის საბურავები, რომლებიც ჩვეულებრივ ტრასაზე სიარულისთვის არაკომფორტულია, მაგრამ აუცილებელია მიუვალი ადგილებისათვის. ჩვენი მანქანებისათვის აუცილებელია ე.წ. „დალიფტვა" ანუ მანქანის აწევა მიწის ზედაპირიდან რაც შეიძლება მაღლა — დაბრკოლებების იოლად გადალახვა რომ შეძლოს. უკეთესია, თუ მანქანას მექანიკური გადაცემათა კოლოფი ექნება, რადგან „ავტომატიკა" შედარებით ფაქიზია, დატვირთვას შეიძლება, ვერ გაუძლოს და „მოსლაბდეს". რა თქმა უნდა, აქცენტი გამძლეობაზე კეთდება. ის ხომ მხოლოდ ერთი გასვლისთვის არ გვჭირდება! წლობით უნდა გვემსახუროს და თუ ერთ გასვლაზე დაიშალა, არაფერი გამოვა.. ბლოკირების სისტემაც საჭიროა. კარგია, თუ მანქანას მისი მფლობელი ამ ყველაფერს დაუმონტაჟებს. როცა პატრონი ოღროჩოღრო გზაზე სიამოვნების მისაღებადაა გასული და მანქანა ხელს არ უწყობს, გაწვალდება და სხვისი სათრევი გახდება. ერთხელ ამოათრევ ტალახიდან, მეორედ, მერე კი ყელში ამოგივა, აბა რა იქნება (*იცინის*)?!



დამატებითი დეტალების გარეშე ვერ მოხერხდება ექსტრემალურ ადგილებში მოძრაობა



— **მანდილოსნები თუ ირიცხებიან თქვენს კლუბში?**

— კი, დედა-შვილი გვყავს კლუბში. ქალბატონი მაია გოშაძე ჩვენი კლუბის სახეა. მან ერთ-ერთ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილიც კი აიღო. მისი შვილი, ჩვენი მარიამიც დედას ჰგავს. უყვარს ექსტრემი და თავგადასავლები...

— **მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ ქალებს მანქანის მართვა არ შეუძლიათ...**

— (*ფიქრობს*) ყოველთვის მიძნელდება ამის თქმა, მაგრამ მანქანის ნორმალურად მართვა პროცენტულად მეტ მამაკაცს შეუძლია, ვიდრე — ქალს. ალბათ ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქალებს უფრო ნაკლებად უხდებოდათ ტრანსპორტთან ახლოს ყოფნა და მძღოლობა. დღეს უკვე ინტენსიურად დაიწყეს მანდილოსნებმა საჭის ათვისება და მალე ალბათ პროცენტული მაჩვენებელიც გათანაბრდება. თუმცა როცა ჩემ წინ მანქანა მიდის, შეუცდომლად შემიძლია ვთქვა, მძღოლი ქალია თუ — კაცი.

— **ქალებს მართვის განსხვავებული მანერა აქვთ?**

— კი, ცოტა უფრო მშიშრები არიან, ნებისმიერ მოძრაობასა თუ ხმოვან სიგნალზე უცბად აქვთ რეაქცია და ხშირად არაადეკვატურები არიან. ამიტომაც, როცა ვხვდები, რომ ქალი ზის საჭესთან, ვცდილობ, არ დავუსიგნალო და არაფრით შევახსენო, რომ მის უკან ვარ და ფრთხილად გავეპარო, რაღაც უცნაური მოძრაობა რომ არ გააკეთოს (*იცინის*).

— **თქვენი ფორუმის დათვალიერებისას, ბევრი ტალახში გაჭედილი მანქანის ფოტო ვნახე. მსგავს სიტუაციებს თავს როგორ აღწევთ?**

— როგორც წესი, სპეციალურად ვირჩევთ ისეთ მარშრუტს, რომელიც უფრო ძნელია. იქ მივდივართ, სადაც უფრო დიდი ტალახი გვეგულება. ამით მანქანასაც ვცდით. არის მომენტები, როცა ვიცით, რომ იმ ადგილას ძალიან ცუდი გასასვლელია და გვერდით აქვს შემოსავლელი რამდენიმე გზა... აააარა, ჩვენ ზუსტად იქ უნდა გავიაროთ (*იცინის*). თუ მაინცდამაინც გამოუვალი სიტუაციაა და მანქანა ტალახიდან თავისი სვლით ვერ ამოდის, მაშინ ჩვენ გვაქვს სპეციალური მოწყობილობა — ელექტროჯალამბარი, რომელსაც მანქანა ტალახიდან ამოჰყავს. ჩვენ ჩვენი მოძრაობის წესები გვაქვს, რომელიც ამცირებს მანქანის დაზიანებისა და ხიფათის რისკს. ყოველი გასვლისას, 7 საათს მივუთითებთ, რომ როგორმე მეორე დღეს 12 საათისათვის მაინც დავიძრათ (*იცინის*). ალბათ 12 საათი რომ მივუთითოთ გასვლის დროდ, მეორე დილამდე ვერ გავალთ.

— **რატომ? ეს ქართული ხასიათის ბრალია?**

— უჰ, რა ვიცი, ზოგს დილით ეძინება. მთელი ღამე რომ ნერვიულობ, მეორე დღეს რა და როგორ იქნება, დილით გვიან გაიღვიძებ, აბა, რა! მერე დილით, შეკრების დროს იწყება: საკვების მომზადება, იმის გარკვევა, თუ ვინ სად და რომელ ბაზარში შევა... მერე დაიფანტებიან. ბოლოს და ბოლოს, შევიკრიბებით და მერე გვახსენდება, უი, თურმე საწვავიც ჩასასხმელი გვაქვს!.. ზოგი დიზელზე გარბის, ზოგი — გაზზე... ბოლოს და ბოლოს, 12 საათისთვის ძლივს გავდივართ (*იცინის*). მიგვაქვს სპეციალური სანავიგაციო მოწყობილობა — GPS-ები. რაციებით ვკონტაქტებით ერთმანეთს. როცა ასეთ მიუვალ ადგილებში მივდივართ, შეიძლება, რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს და ჩავრჩეთ. ამიტომაც შინაგანად ყველაფრისთვის მზად ვართ. არა მგონია, კლუბის წევრებიდან ვინმე ისეთი იყოს, რომ ამ დროს წუწუნი დაიწყოს, — ვაიმე, მცივა და მშიაო!.. თუ გცივა და გშია, სახლში უნდა იყო (*იღიმება*)... უფლის მადლით, ჯერ სერიოზული ხიფათი არ შეგვხვედრია და იმედია, ასეც იქნება მომავალში. ■



ერთხელ ამოათრევ ტალახიდან, მეორედ მერე კი ყელში ამოგივა, აბა რა იქნება?!



უფლის მადლით, ჯერ სერიოზული ხიფათი არ შეგვხვედრია

# ვის ირჩევს „მის ბიკინი“ საქმროდ...



„მის ბიკინის“ — ნონა დიაკონიძეს მიაჩნია, რომ კონკურსმა მას პოპულარობა მოუტანა, რასაც ცხოვრებაში შემდგომი ნაბიჯებისა და წარმატებისთვის გამოიყენებს. დღევანდელი ჩვენი „საპატარძლო“ ცოტა ჯიუტი, ეჭვიანი და, ცოტა არ იყოს, საკუთარ თავზე შეყვარებული გოგონაც აღმოჩნდა.

*სოფო ჭონიშვილი*

— *ჩემი მშობლები* სპორტსმენები არიან: დედა სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა, მამა ახალგაზრდობაში სპორტს აქტიურად მისდევდა. ახლა სპეცრაზმში მუშაობს. დედა საქართველოს ჩემპიონი გახლდათ ნიჩბოსნობაში, რითაც ბავშვობაში ვამაყობდი კიდეც. მათ ერთმანეთი ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიცნეს და დაქორწინდნენ. მყავს ერთი უმცროსი და, რომელიც ჯერ 9 წლისაა.

— **შენ რამდენი წლის ხარ?**

— 19 წლის 20 იანვარს გავხდები.

— **პროფესია უკვე არჩეული გაქვს?**

— ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადები. მინდა, საბანკო საქმე შევისწავლო და ჩემი საქმის პროფესიონალი გავხდე.

— **15 დეკემბრს, როგორც ვიცი, „მის ბიკინის“ მსოფლიო კონკურსზე მიდიხარ...**

— 15 დეკემბერს გავემგზავრები. ვნახოთ, რას ვიზამ. ძალიან მინდა, იქიდან ტიტულით დავბრუნდე.

— **წელს კონკურსში გამარჯვების შემდეგ პოპულარული გოგონა გახდი. თაყვანისმცემლები თუ მოგემატა?**

— (*იცინის*) ძალიან. ამ კონკურსში გამარჯვება ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. რაც შეეხება პოპულარობას, სასიამოვნოა. მინდა ეს პოპულარობა არასოდეს დავკარგო.

— **შეყვარებული თუ გყავს?**

— მყავს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც ძალიან მომწონს, მაგრამ ჯერჯერობით გათხოვებასა და ოჯახის შექმნაზე არ ვფიქრობ.

— **მოდი, შენს თაყვანისმცემლებზე ვილაპარაკოთ. როგორი მამაკაცები იქცევენ შენს ყურადღებას?**

— პირველ რიგში, ის მამაკაცური უნდა იყოს, პატივს მცემდეს მეც და, რა თქმა უნდა, ჩემს მშობლებსაც. უნდა ვუყვარდე ისე, რომ ჩემ გარეშე ყოფნა არ შეეძლოს.

— **გარდა გარეგნობისა, მამაკაცში კიდევ რას აქცევ ყურადღებას?**

— გარეგნობის შემდეგ, მამაკაცში გემოვნებას ვაფასებ. მომწონს, როცა მას გემოვნებით აცვია. არ ვამბობ, რომ აუცილებელია, ძვირად ღირებული ან რომელიმე ცნობილი ბრენდის სამოსი ეცვას. შეიძლება, იაფფასიან, მაგრამ გემოვნებით შერჩეულ სამოსში იყოს გამოწყობილი.

— **მისი მატერიალური მდგომარეობით არ დაინტერესდები?**

— ბავშვობიდან ვამბობდი იმას, რომ მე მაქვს ორი ხელი, ორი ფეხი და ამიტომ, მივაღწევ იმას, რაც მინდა! სხვათა შორის, დღესაც ასევე ვფიქრობ, სანამ არ მივაღწევ მატერიალურ სტაბილურობას — ისეთს, როგორიც მინდა, არ გავთხოვდები. მამაკაცის მატერიალური მდგომარეობა ნაკლებად მაინტერესებს. წინა პლანზე სხვა რაღაცებს ვაყენებ.

— **მაგალითად, შეგიყვარდა ისეთი მამაკაცი, რომელსაც იმდენი შემოსავალი არ აქვს, რომ თვეში ერთხელ მაინც რომელიმე პრესტიჟულ ბარში დაგპატიჟოს და დაბადების დღეზეც საჩუქარი მოგიძღვნას. ამას ყურადღებას არ მიაქცევ?**

— თუ ის მამაკაცი მართლა მიყვარს, ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ მივაქცევ. ვეცდები, გავუგო. მთავარია, მას გულით უნდოდეს ჩემი პატივისცემა. არასოდეს გავთხოვდები ისეთ მამაკაცზე, რომელსაც მხოლოდ ფული და ფუფუნება შეუძლია შემომთავაზოს. ჩემთვის ყველაზე მთავარი — სიყვარულია, რომლის გარეშეც ვერ ვიცხოვრებ.

— **შენ თუ შეგიძლია (ან თუ გქონია ისეთი შემთხვევა), რომ თაყვანისმცემელი ან შეყვარებული ბარში დაპატიჟო, როცა იცი, რომ მას ამის საშუალება არ აქვს?**

— ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ყველაფერი ურთიერთობაზეა დამოკიდებული. როცა ადამიანს დიდი ხანია, იცნობ და მისი ყველაფერი იცი, შეიძლება, ასე



**მყავს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც ძალიან მომწონს**



მოიქცე და თანაც არანაირი უხერხულობის გრძნობა არ დაგეუფლოს.

**— როცა მამაკაცი მოგწონს, რას აკეთებ მისი ყურადღების მისაქცევად?**

— ჩემი ერთადერთი ცუდი თვისება ის არის, რომ საკუთარი თავი ძალიან მიყვარს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩემთან ურთიერთობისას პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადმოდგას. კომპლექსიანი ადამიანი არ ვარ, მაგრამ მამაკაცებთან ურთიერთობისას აქტიურობა არასოდეს ვიჩენ. როცა ინიციატივას ვხედავ, ამ შემთხვევაში, შეიძლება, გავუღიმო და რაღაც ვაგრძნობინო. საერთოდ, ძალზე თავშეკავებული გოგონა ვარ.

**— შეგიძლია, საკუთარი თავი დაახასიათო? გვითხარი, როგორი ადამიანი ხარ.**

— ცუდი ნამდვილად არ ვარ (*იცინის*). კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საკუთარი თავი ძალიან მიყვარს. თუმცა არ გეგონოთ, ამაყი ვარ, პირიქით, თავმდაბალი გახლავართ. დედა მსაყვედურობს, რომ ძალიან მძიმე ხასიათი მაქვს, მაგრამ ბოლომდე ვერ მწირავს და მეუბნება, — მაინც კარგი ადამიანი ხარო.



საკუთარი თავი ძალიან მიყვარს

**— მართლა მძიმე ხასიათი გაქვს?**

— ჩემი მძიმე ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ წყენას ძნელად ვივიწყებ. ვიცი, რომ გულში წყენის ჩადება ძალიან ცუდია და ვცდილობ, გამოვასწორო, მაგრამ არ გამომდის. სხვათა შორის, ყველაზე ხშირად დედას ვებუტები.

**— დეპრესიული ხარ?**

— სამწუხაროდ. როდესაც რაღაც ჩანაფიქრს ან გეგმას ვერ ვახორციელებ, დეპრესიაში ვვარდები. მაშინ რატომღაც ყველა პრობლემა მახსენდება და „ვიგრუზები". ასეთ დროს სახლიდან გარეთ არ გავდივარ.

**— საოჯახო საქმის კეთება თუ გეხერხება?**

— რაც მიყვარს, მხოლოდ იმას ვამზადებ — „აკროშკას", მწვადს, სალათა „ოლივიეს"... ხორციანი კერძები ძალიან მიყვარს, ამიტომ მწვადის შეწვა გულმოდგინედ ვისწავლე, გემრიელი გამომდის. რაც შეეხება სახლის დალაგებას, ხანდახან მეზარება, მაგრამ რომ ვიცი, გასაკეთებელი და დასალაგებელია, რას ვიზამ, ვალაგებ. როცა კარგ ხასიათზე ვარ, ყველაფერს 5-იანზე ვაკეთებ.

**— შენს ქორწილზე თუ გიფიქრია?**

— ბავშვობაში ამ თემაზე ბევრს ვფიქრობდი. ძალიან მომწონდა, კათოლიკეების ქორწილი. ბავშვობაში მათი რიტუალი რომანტიკულად მეჩვენებოდა. რაც წამოვიზარდე, ამ საკითხზე აღარ მიფიქრია. მინდა, ქორწილის დღეს, ძალიან ლამაზი და ორიგინალური კაბა მეცვას. არ მიყვარს გრანდიოზული ქორწილები.

**— რამდენად მისაღებია შენთვის, ქორწინებამდე წყვილის თანაცხოვრება?**

— ტრადიციები მომწონს, თუმცა ყველა — არა. ჩემთვის მისაღებია ის ფაქტი, რომ შეყვარებულები ქორწინებამდე ერთად ცხოვრობდნენ. ერთმანეთი წყვილმა შეუღლებამდე კარგად უნდა გაიცნოს. ამის შემდეგ ნაკლები შანსია, ოჯახი დაინგრეს.

**— მშობლებისთვის რამდენად მისაღებია შენი ეს მოსაზრება?**

— მამაჩემი მკაცრი ადამიანია. ის ტრადიციებს პირველ ადგილზე აყენებს. დედა უფრო თანამედროვეა. თუ პრობლემები მაქვს ან რაღაც ცხოვრებისეული კითხვა მიჩნდება, დედას ვეკითხები, მაგრამ მასთან ამ თემაზე ჯერ არ მილაპარაკია. მამაჩემმა ჯერ ის ძლივს გადაიტანა, სამოდელო სააგენტოში რომ დავიწყე სიარული, ქორწინებამდე წყვილის თანაცხოვრებაზე რომ აღარაფერი ვთქვა...

**— გიშლიდა?**

— ახლაც წინააღმდეგია, მაგრამ რაც მინდა, იმას აუცილებლად ვაკეთებ. საქმროდ ავირჩევ ისეთ ადამიანს, რომელიც ჩემს აზრებს და მისწრაფებებს პატივს სცემს.



ყველაფერი ურთიერთობაზეა დამოკიდებული

**— მეუღლემ რომ აგიკრძალოს მოდელობა?**

— მოდელობას თავს არ დავანებებ. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ამ საქმიანობაზე უარს თავად ვიტყვი და ბიზნესლედი გავხდები. მოდელობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ!

**— ეჭვიანი ხარ?**

— ძალიან... შეიძლება, უბრალო რაღაცაზე ვიეჭვიანო. თუმცა ხშირად, ვცდილობ, ეს ცუდი თვისება არ გამოვამჟღავნო. ეჭვიანობა საშინელი სენია.

**— შენ გვერდით მყოფმა მამაკაცმა სხვა გოგონას ყურადღება რომ მიაქციოს და შენ უყურადღებოდ დაგტოვოს, რა რეაქცია გექნება?**

— ძალიან ცუდი. ავდგები და წყნარად და მშვიდად იქაურობას დავტოვებ. ისტერიკები და ჩხუბი ჩემთვის მიუღებელია. იმ ადამიანს საბოლოოდ დავშორდები.

**— ნონა, შენს თაყვანისმცემლებთან შეხვედრაზე რას იტყვი? შეხვდები მათ?**

— აუცილებლად, რა პრობლემაა?! თაყვანისმცემლებს დიდ პატივს ვცემ. მათ უყურადღებოდ არასოდეს დავტოვებ.

*P.S. მგონი, სასურველი „საპატარძლო" წარმოგიდგინეთ. ნონას ფანებო, იაქტიურეთ! გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(98) 23.09.21 ის ერთ-ერთ თქვენგანს აუცილებლად შეხვდება.*

# უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გოჩა* ფიფიას ინტელექტი



„არა მგონია, თქვენი რუბრიკისთვის კარგი რესპონდენტი ვიყო, ერუდირებული ადამიანი არ ვარ", — მითხრა პარტია „ქართული პოლიტიკის" ლიდერმა გოჩა ფიფიამ, მაგრამ „ერუდიტში" სტუმრობაზე მაინც დამთანხმდა. მას წიგნებთან „მეგობრობა" მე-8 კლასიდან დაუწყია. აღიარებს — ეს მამამ მაიძულა, თორემ კითხვის სურვილი თავად არ მიჩნდებოდაო. დღეს მისთვის გამორჩეულად საყვარელი ჟანრი არ არსებობს. წაკითხულ წიგნებს ხელმეორედ არ უბრუნდება: ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა. მეგობრის რჩევით, „დათა თუთაშხიას" ცალკეული ეპიზოდები გადაიკითხა. მანქანაში ყოველთვის აქვს დისკი, რომელზეც „დიდოსტატის მარჯვენიდან" ავტორის მიერ გახმოვანებულ პაპასა და მეფე გიორგის დიალოგია ჩაწერილი. ამ დისკის მოსმენა არასდროს ჰბეზრდება.

## როგორ გადმოვიდა შეტევაზე პოლიტიკოსი

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— დღეს ქართული პოლიტიკა ვინმეს რომ სჭირდებოდეს, შედეგი გვექნებოდა. მხოლოდ ქართული პოლიტიკის გატარებას შეუძლია, ქვეყანა ისეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქციოს, რომელსაც ჩვენ, პარტია „ქართული პოლიტიკის" წარმომადგენლები რეალურ და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას ვეძახით.

**— დღეს საქართველო დამოუკიდებელი არ არის?**

— რა თქმა უნდა, არა. დღეს არც ხელისუფლების წარმომადგენლებისა და არც ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის ის ფუნდამენტი, რომელზეც ქართული სახელმწიფო უნდა აღმოცენდეს, მისაღები არ არის. ის ფუნდამენტი არის ქართული ცნობიერება, ის შინაგანი ბუნება, რაზეც ქვეყნის მომავალი უნდა აიგოს.

**— თქვენ მიიჩნევთ, რომ საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადდეს, მაგრამ ამ მოსაზრებას ცოტა მიმდევარი ჰყავს. რატომ?**

— თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ. ამ იდეას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს. სამწუხაროა, რომ დიქტატურის პირობებში, როცა ნებისმიერ იდეას იარლიყებს ჩამოჰკიდებენ ხოლმე, ხალხი ითრგუნება და საკუთარი აზრის გამოთქმის შიში უჩნდება.

**— რა აკავშირებს ნაპოლეონთან ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე პუშკინს, ჯორჯ ბაირონს და ჰაინრიხ ჰაინეს?**

— მგონია, რომ აბსოლუტურად არაფერი.

**— ყველას მისთვის ლექსი აქვს მიძღვნილი. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „გიორგი სააკაძე"?**

— ვარაუდით უნდა ვთქვა (*ფიქრობს*).

**— მიგანიშნებთ — ამ რეჟისორს მიხეილი ჰქვია.**

— მიხეილ ჭიაურელი.

**— ჩვენამდე მოაღწია დემეტრე I-ის მიერ შექმნილმა, საყოველთაოდ ცნობილმა საგალობელმა, რომელსაც მისი პირველი სიტყვების გამო „შენ ხარ ვენახი" უწოდეს. ვის ეძღვნება ეს საგალობელი?**

— ამ კითხვებით ჩემს ერუდიციას ამოწმებთ? ამან შეიძლება, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდოს, შეიძლება, ვინმემ ისეთი შეკითხვები შექმნას... მერჩივნა, პოლიტიკაზე გვესაუბრა...

**— ბატონო გოჩა, ჩვენ სატელეფონო საუბრის დროს შევთანხმდით, რომ ამ რუბრიკაში უნდა ჩამეწერეთ. რაც შეეხება „შეკითხვების შექმნას", იცოდეთ, რომ კითხვებს მხოლოდ მე ვარჩევ.**

— გავაგრძელოთ.

**— დასმული კითხვის სწორი პასუხია — ღვთისმშობელს. „კვირა" ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს...**

— ?

**— საუფლოს. რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი, „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ"?**

— ეს მარტივი შეკითხვაა — „ქეთო და კოტეში"?

**— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?**

— „ძალა ერთობაშია".

**— რომელია ყველაზე დიდი ზომის მინანქრის ხატი მსოფლიოში?**

— არ ვიცი.

**— ხახულის ღვთისმშობელი. რომელ საუკუნეში დაიყვნენ ქრისტიანები მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად?**

— შუა საუკუნეებში.

**— XI საუკუნეში. მსოფლიოში ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი რომელ ქვეყანას აქვს?**

— უნდა გამოვიცნო, დავფიქრდები...

**— მიგანიშნებთ, რომ ამ ქვეყანას მხოლოდ ერთი სახმელეთო მეზობელი ჰყავს.**

— (*ფიქრობს*) კანადა.

**— დედამიწაზე ორი საოცარი ქალაქია. ერთი მათგანი 2 კონტინენტზე მდებარეობს, მეორე კი — ორ ნახევარსფეროში; ერთი — სახელმწიფოს დედაქალაქია, მეორე კი — ყოფილი დედაქალაქი. დაასახელეთ ეს ქალაქები.**

— ერთი წუთით, მოფიქრების საშუალება მომეცით (*ფიქრობს*). შეკითხვა კიდევ გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) ერთი უნდა იყოს სტამბოლი. მეორე?

**— მიგანიშნებთ, ნულოვან მერიდიანთან კავშირშია.**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებთ.

**— ლონდონი. სკოლაში მათემატიკა თუ გიყვარდათ?**

— არ მიყვარდა.

**— ბიჭს ჰყავს იმდენივე და, რამდენიც ძმა,**

**ხოლო მის დას ორჯერ ნაკლები და ჰყავს, ვიდრე ძმა. რამდენი და და რამდენი ძმა არის მათ ოჯახში?**

— (ანგარიშობს) ვერ გიპასუხებთ.

— **4 ძმა და 3 და. „ენა ძველ ბერძნებს მოჰპარეს, რჯული — ებრაელებს, ბულგარელებს — ცეტინიუსი, სომხებს — ანისი, ბასიანს გალმა ქვეყნები — ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაჰგლიჯეს, რადგან ისეთი რამ არ სჭირიათ ჯერ-აც", — ვის გულისხმობს „დიდოსტატის მარჯვენის" პერსონაჟი, მეფე გიორგი?**

— ერთხელაც გამიმეორეთ (*გამეორების და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ*). მგონი, ბიზანტიელებს, არა?

— **დიახ. „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა" — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— ვაჟა-ფშაველა.

— **რომელ სოფელში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პერსონაჟი ოთარაანთ ქვრივი?**

— არ ვიცი.

— **წაბლიანში. რომელი ციური სხეულის სადიდებელი სიმღერაა „ლილე"?**

— (*ფიქრობს*).

— **„ლილე" მზის სადიდებელი სიმღერაა... ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი კი — მის საზღვრებს გარეთ. რომელია ეს ტბა?**

— არ ვიცი.

— **ჯანდარის ტბა. რა ერქვათ მარიამ ღვთისმშობლის მშობლებს?**

— არ ვიცი.

— **იოაკიმი და ანა. „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია..." რომელი უკვდავი აფორიზმი სწერია „ჩინს ქვასა ზედა"?**

— „...ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

— **ნათლობის გარდა, კიდევ როდის სცხებენ მირონს ადამიანს?**

— ბერად აღკვეცისას? არა, არა (*ფიქრობს*).

— **მიგანიშნებთ, ეს ყველა ადამიანის ხვედრი არ არის.**

— არ ვიცი.

— **მეფედ კურთხევისას. XX საუკუნის ბოლოს, მცხეთაში ცხოვრობდა სალოსი ბერი, რომელიც უფლის ნებით, სასწაულებს ახდენდა. დღეს მისი საფლავიდან აღებული სასწაულმოქმედი ზეთით ბევრი ადამიანი იკურნება. რა ერქვა ამ წმინდა ბერს?**

— გაბრიელი.

— **ამ პროდუქციამ XIX-XX საუკუნეებში 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მიიღო. ვინ იყო ის ქართველი მეწარმე, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია და რა პროდუქციას უშვებდა ის?**

— სავარაუდო პასუხი მაქვს. თუ შეიძლება, კითხვა დამიზუსტეთ. ეს პროდუქცია უალკოჰოლო სასმელი იყო?

— **არა, ალკოჰოლური.**

— (*ფიქრობს*) დავით სარაჯიშვილი.

— **მირიან III, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II — ამ მეფეებიდან რომელი არ იყო ქრისტიანი?**

— ალბათ ვახტანგ გორგასალი.

— **ცდებით, ქრისტიანი ფარნავაზი არ იყო. რომელი უღელტეხილით უკავშირდება იმერეთი რაჭას?**

— ვერ გეტყვით.

— **მიგანიშნებთ, ამ უღელტეხილზე გადის ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზა.**

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— **ნაქერალის უღელტეხილი. ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ მიედინება. რომელია ეს ქვეყანა?**

— (*ფიქრობს*)

— **მიგანიშნებთ. ამ ქვეყნის დედაქალაქია ერ-რიადი. მდიდარია ნავთობით.**

— არ ვიცი.

— **საუდის არაბეთი. რომელი სრუტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან წყნარი და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეები?**

— არ ვიცი.

— **ბერინგის სრუტით. რომელი ზღვაა დედამიწაზე ყველაზე თბილი ზღვა?**

— შავი ზღვა.

— **ცდებით, წითელი ზღვა. ძველ ქართულში კვირის რომელი დღე იყო აფროდიტესი?**

— ხუთშაბათი.

— **რა ერქვა ადრე ქალაქ სენაკს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **ცხაკაია. ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"?**

— არ ვიცი.

— **სანდრო ჟორჟოლიანმა. „ყოფილა დავით მეფე ალმაშენებელი,/ ყოფილან ოპიზრები გასაშტერებელი,/ ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,/ რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი" — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **მურმან ლებანიძე. რომელმა მწერალმა თქვა: „ცუდსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი"?**

— ვერ გეტყვით.

— **ვაჟა-ფშაველამ. რამდენ სენატორს ირჩევს ამერიკის თითოეული შტატი?**

— ვერ გეტყვით.

— **2 სენატორს. ამერიკის რომელ შტატში მდებარეობს პენტაგონი?**

— არ ვიცი.

— **ვირჯინიაში. დაასრულეთ ფრანგი მწერალ-მორალისტის ჟან დე ლა ბრუიერის გამონათქვამი: „პოლიტიკაში დაბნეულობის წყარო ის არის, რომ ძალაუფლების მპყრობელნი მხოლოდ..."**

— ეს გამონათქვამი არ მახსოვს.

— **„...მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ".**

— ეს ბოლო კითხვა იყო?

— **დიახ.**

— ერთი წუთით (*ფიქრობს*), დავით ალმაშენებელი რომელ წლებში მეფობდა?

— **ამას რატომ მეკითხებით?**

— ისე, არ შეიძლება?

— **აქ კითხვებს მე ვსვამ, მაგრამ თქვენ რომ არ იფიქროთ, ჩამჭრელი კითხვა დაგვუსვიო, გიპასუხებთ 1089-1125 წლებში.** ■

ერუდიტი +

## ცნობილთა ცხოვრებიდან

*როცა ისლამის ფუძემდებელი მუჰამედი მექადან მედინაში გაიქცა, გზად, მდევრებისგან თავის გადარჩენის მიზნით, თავი გამოქვაბულს შეაფარა. გამოქვაბულში მუჰამედის შესვლისთანავე, ობობამ ქსელი მოქსოვა, რამაც შესასვლელი სრულად დაფარა. მდევრებმა, რომლებიც გამოქვაბულს მიადგნენ, ობობას ქსელი დაინახეს და იფიქრეს, — მუჰამედი აქ არ იქნება, შესვლის შემთხვევაში ქსელს გაარღვევდაო და გზა განაგრძეს. ასე გადაარჩინა ობობამ ისლამის ფუძემდებელი.*

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ვერიკო ანჯაფარიძე ქუთაისში დაიბადა.

2. ალენ დელონი წარმოშობით კორსიკელია.

3. სტეპანაკერტი მთიანი ყარაბაღის ადმინისტრაციული ცენტრია.

4. ალმასის დამუშავებისას დაახლოებით, მისი ნახევარი იკარგება.

5. მშრალი ხიდის ქვეშ მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე მტკვარი მიედინებოდა.

6. კონსტანტინოპოლს სტამბოლი ოფიციალურად, მხოლოდ 1930 წლის 28 მარტს ეწოდა.

7. როდენის განთქმული „მოაზროვნის" მენატურე, პროფესიონალი მოკრივე ჟან ბო გახლდათ.

8. მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი — „კულინანი" 1905 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იპოვეს.

9. გერმანიაში ვერმახტისა და SS-ის სამხედრო უნიფორმას საყოველთაოდ ცნობილი გერმანული ფირმა — „ჰუგო ბოსი" კერავდა.

10. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭორები ძირითადად, დიასახლისთა წყალობით ვრცელდება. ამ ფენომენს რუსები „სარაფანნოე რადიოს" ეძახიან.

11. თავისი ანსამბლის სახელწოდება „პინკ ფლოიდის" სოლისტმა სიდ ბარეტმა მისი საყვარელი ბლუზმუსიკოსების — პინკ ანდერსონისა და ფლოიდ კაუნსილის სახელებისგან შექმნა.

12. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლაშენებული, მთავარი შენობა, თავისი 36 სართულითა და 240 მეტრის სიმაღლის კოშკით, ყველაზე მაღალი შენობა იყო იმ პერიოდის ევროპაში.

13. ვაჟა-ფშაველა ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა პეტერბურგის უნივერსიტეტი, რომლის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო 1883-1884 წლებში.

14. 1990 წელს ალასკის სამხრეთით, წყნარ ოკეანეში კონტეინერულ ტანკერ Hansa Carrier-იდან შტორმის დროს წყალში 80 ათასი წყვილი „ნაიკის" ფირმის სპორტული ფეხსაცმელი ჩაცვივდა. მეცნიერებმა ეს კატასტროფა ოკეანის დინებების საკვლევად გამოიყენეს. მათთვის ცნობილი იყო ტანკერის კატასტროფის დრო და ადგილი და დინების სისწრაფესა და მიმართულებას იმის მიხედვით ადგენდნენ, თუ სად და რა დროში აღმოჩნდებოდა ზემოთ ხსენებული ფირმის სპორტული ფეხსაცმელი.



15. ერთმა მუსიკათმცოდნემ ახალგაზრ-



# როდის მოხსნის მარიამ ქევხიშვილი ჯოტია ცაავას რეკორდს?



ბოლო წლებში არ ვართ განებივრებული წარმატებებით სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიც მძლეოსნობაა, კერძოდ კი — ბირთვის კვრაში. ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს ქართული მხატვრული ფილმი „რეკორდი", რომლის მთავარი გმირი ჯოტია ცაავა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე მდგარ, შემგინებელ თანასოფლელს კარგა მოზრდილ ლოდს ესვრის და მსოფლიო რეკორდს ამყარებს. ქართველებს ახალი „ჯოტია ცაავა" გვყავს — 23 წლის მარიამ ქევხიშვილი, რომელსაც ბირთვის კვრაში დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ. მან ორ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა, თუმცა საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. ქართველი სპორტსმენის ნიჭი არ გამოჰპარვიათ ამერიკელ სპეციალისტებს და... მარიამი უკვე ორი წელია, აშშ-ში ცხოვრობს, სწავლობს და თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

ანა აგულავა

### ამერიკაში ახდენილი, ბავშვობის ოცნება

*თავდაპირველად ტანმაღალმა მარიამმა ვარჯიში სიმაღლეზე ხტომაში დაიწყო...*

— ერთ-ერთ ვარჯიშზე შემამჩნია სპეციალისტმა — ყარამან საბანაშვილმა, რომელმაც მირჩია, ბირთვის კვრაში მომესინჯა ძალები. მისი რჩევა გავითვალისწინე და სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც რამდენჯერმე მოვიპოვე. ამ წარმატებების წყალობით, საერთაშორისო სარბიელზეც აღვმოჩნდი. მართალია, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დიდად ვერ გამოვიჩინე თავი და საპრიზო ადგილები ვერ მოვიპოვე, მაგრამ ამერიკელი სპეციალისტი სტივ ლემკე დაინტერესდა ჩემით. როცა შინ დავბრუნდი, ის დამიკავშირდა და აშშ-ში ჩასვლა შემომთავაზა. ცოტა ხანში ლემკე პირადად ჩამოვიდა და ჩემს მშობლებს მოელაპარაკა... პირობა ასეთი იყო: რომელიმე ამერიკულ უნივერსიტეტში უნდა ჩამებარებინა და სწავლის პარალელურად, მევარჯიშა. თავგადაკლულმა სწავლამ შედეგი გამოიღო და 2006 წლის ზაფხულში ფლორიდის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. პარალელურად, სტივ ლემკეს ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი და წარმატებებმაც არ დააყოვნა: აშშ-ის უნივერსიტეტებს შორის პირველობაში ჩემპიონი გავხდი. ეს ჩემთვის დიდი სიხარულის მომტანი იყო. ამერიკას შევეჩვიე... ჩემი ბავშვობის დროინდელი ოცნება ველოსიპედი იყო და ერთხელ, როცა ერთ-ერთ მაღაზიაში ტრანსპორტის ეს საშუალება დავინახე, ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე შევიძინე. წარმოიდგინეთ, ჩემი აღნაგობის ადამიანი რომ დაიწყებს სეირნობას ველოსიპედით — პარკში ჩემი და ჩემი „რკინის მეგობრის" დანახვაზე ხალხი სიცილით იგუდებოდა.

### იმედგაცრუება „ჩინურად"

— პეკინის ოლიმპიადაზე დიდ იმედებს ვამყარებდი, რადგან მანამდე ჩინებული სეზონი მქონდა, მაგრამ ჩავფლავდი, არ გამიმართლა. ვერ ვიასპარეზე სათანადო დონეზე და მთელი ორი წლის ნაშრომი წყალში ჩამეყარა... ამის შემდეგ, პრაქტიკულად, ყველაფერი ნულიდან დავიწყე. ახლა ახალი სეზონისთვის ვემზადები. ვიმედოვნებ, რომ წარმატებული იქნება ჩემთვის. პეკინი გულდაწყვეტილმა, მაგრამ შთაბე-

ჭდილებებით დატვირთულმა დავ-ტოვე — მაღალ დონეზე, ლამაზად ორგანიზებული ოლიმპიადა იყო. ერთი კია, რომ ბრინჯის ჭამით სული ამომხდა და კიდევ ერთი, ქუჩაში ძაღლი არ მინახავს: თურმე ჩინელები ადამიანის ერთგული ცხოველისგან გაკეთებულ კერძებს სთავაზობდნენ სტუმრებს... კერძებზე გამახსენდა: ქართულ სამზარეულოს არაფერი სჯობია... ამერიკაში მეუღლესთან, დავით მაჭავარიანთან ერთად ვცხოვრობ. ცხადია, ქართულ კერძებს ხშირად ვამზადებთ. ერთხელ, თანაგუნდელებთან „ფართიზე" ჩემი გაკეთებული ჩახოხბილითა და ტოლმით გამოვცხადდი. ნეტავ, ასე არ მოვქცეულიყავი: იმის შემდეგ მთელი გუნდი ერთხმად მოითხოვს, რომ მსგავსი „გემრიელობა" რაც შეიძლება ხშირად მოვამზადო. მეც ვამაყობ ქართული სამზარეულოთი.

## „მის გეორგია" თუ „უბრალოდ, მარია"?

— ჩემი გვარის წარმოთქმა უცხოელებს უჭირთ. ამასთან დაკავშირებით, ერთ სახალისო ამბავს მოგიყვებით. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ნაცნობმა მსაჯმა მთხოვა, — მასწავლე, შენი გვარი როგორ გამოითქმისო. ვერაფრით დავამახსოვრებინე იქით დავიწყე ყურება... მერე ის მსაჯი დავლანდე, რომელიც ყვირილით ჩემკენ მორბოდა. ჩემი თანაგუნდელები ახარხარდნენ. მსაჯსაც გაეცინა და მითხრა: არც ახლა მასწავლი შენს გვარსო?

## ომის ექო

— აგვისტოს მოვლენების დროს პეკინის ოლიმპიადაზე ვიმყოფებოდი. საშინლად განვიცდიდი. ყოველდღე ვრეკავდი ჩემს მშობლებთან. ისინი მამშვიდებდნენ, თურმე მიმალავდნენ, რომ ჩემი 21 წლის ძმა ომში წაეყვანათ. მადლობა ღმერთს, შინ ცოცხალი დაბრუნდა! ახლაც ხშირად, ინტერნეტით ვეცნობი ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ... ვერ წარმოიდგენთ, როგორი ტკივილია აქედან დანახული საქართველო. მინდა, ერთიან და ძლიერ საქართველოში დავბრუნდე.

## როდის მოხსნის მარიამი ჯოტია ცაავას რეკორდს?

*ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ მარიამის მშობლები კახეთის უმშვენიერესი სოფლიდან — პატარა ჩაილურიდან არიან. მავანთა ჭორებს თუ დავუჯერებთ, როცა სოფელში არდადეგებზე ჩასულ მარიამს სოფლელი ბი-*



მწვრთნელთან ერთად

და ბოლოს ვუთხარი, — ახლა ამისთვის არ მცალია და უბრალოდ, მარიამი დამიძახე-მეთქი. შეჯიბრების შემდეგ მთელი გუნდი აეროპორტისკენ გავეშურეთ. მოსაცდელ დარბაზში შესულს, უეცრად ყვირილი მომესმა: „მის გეორგია! მის გეორგია!" გამეხარდა, ვინმე ჩემი ქვეყნის სილამაზის კონკურსანტი იქნება ჩამოსული-მეთქი და აქეთ-

*ჭები სიმაღლის გამო აბრაზებდნენ, მომავალ ბირთვის მკვრელს არაერთხელ გაუსროლია ლოდი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე... ვინ იცის, მომავალში მარიამმა იქნებ, მართლაც მოხსნას ჯოტია ცაავასი თუ არა, მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რესპონდენტი იმედიანადაა და ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ...* ■



# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

## მოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

და ჩაიკოვსკი გააკრიტიკა: „ონ სლაბ ი კონსერვატივენ". გულნატკენი კომპოზიტორი მთელი დღე ოთახში ბოლთას სცემდა და მოთქვამდა: „ია პუსტაცვეტ, ია ნიჩტოჟენ, ია ნიჩევო ნე სტოიუ!.. ვ დვადცატ პიატ ლეტ ია ნიჩევო ნე დასტიგ!"

16. 1937 წელს ჩატარებული, მოსახლეობის აღწერის ორგანიზატორები ციხეში ჩასვეს, რადგან საბჭოთა მოქალაქეების რაოდენობა გაცილებით მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ამას სტალინი მოელოდა.



17. ღია კოსმოსში მომუშავე ასტრონავტებს, დაბალი წნევის გამო, თავიანთ სკაფანდრებში ევერესტზე ასული ალპინისტებივით ეკვრით სუნთქვა. ამიტომ ისინი მხოლოდ სუფთა ჟანგბადით სუნთქავენ.

18. „ნეპ"-ის („ნოვაია ეკონომიჩესკაია პოლიტიკა") დროს საბჭოთა რუსეთში ახალგამდიდრებული „ნეპმანები" რესტორნებში ხშირად ასეთი ფორმით ახდენდნენ საკუთარი სიმდიდრის დემონსტრირებას: ყინულისათვის განკუთვნილ თასს შამპანურით ავსებდნენ, მასში ლაიკის ტყავის ხელთათმანებს ასველებდნენ და შემდეგ ამ ხელთათმანით ფეხსაცმელს იპრიალებდნენ.

19. აკვიატებულ შიშთა შორის, ტრისკაიდეკაფობია (13 რიცხვის შიში) ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია მსოფლიოში. საფრანგეთსა და ლონდონში ვერ ნახავთ სახლს, რომელსაც 13 ნომერი აწერია. იტალიაში არ არსებობს მეცამეტე ნომრის ლატარიის ბილეთი. ამერიკის ცათამბჯენებში მეთორმეტე სართულს ყოველთვის მეთოთხმეტე მოსდევს.

20. მატერიალური სიდუხჭირის გამო, ნიკოლოზ ბარათაშვილი 1835 წლიდან უბრალო ჩინოვნიკად მუშაობდა სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში. 1844 წელს დაინიშნა ნახიჩევანის მაზრის მმართველის თანაშემწედ, ხოლო 1845 წლის ივნისში — იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ, მალარიით მძიმედ დაავადებული, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა.

21. კოხტა-მალაჩილა ლეკებს სარდლობდა ასპინძის ომში. ბრძოლის დროს იმას ლამობდა, როგორმე პირისპირ შეჰყროდა მეფე ერეკლეს. ერეკლე შეება და შუაზე გააპო კოხტა-ბელადი.

22. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების, ქუთაისის დაკავებისა და ოსმალური ულლის გადაგდების შემდეგ, სოლომონ მეფემ მოიცილა იმერელ მეფეთა დამამცირებელი თიკუნი: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა..." და საკუთარ ბეჭედზე ამოაკვეთინა წარწერა: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე — სოლომონ".

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# მითები შიდსზე

## წერილი რედაქციას

„გზის“ რედაქციამ შიდსის თემაზე მკითხველთა რამდენიმე წერილი მიიღო. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს:

„გთხოვთ გამარკვიოთ, რა განსხვავება და რა მსგავსებაა შიდსა და აივ-ინფექციას შორის; იძლევა თუ არა ანალიზი შიდსზე 100%-იან პასუხს; პრეზერვატივი დაგვიცავს თუ არა შიდსისგან და შიდსით დაავადებულის განკურნება თუ არის შესაძლებელი?

წინასწარ გიხდით მადლობას. ბ.ვ.“



მეოთხედი საუკუნის წინ აშშ-ში მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ცნობა, ამერიკელ მამაკაცებს შორის გაუგებარი დაავადების არსებობის შესახებ. ასე დაიწყო შიდსის და მასთან ერთად, ამ ახალ ინფექციაზე მითების გავრცელების „ეპიდემია“.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო დაფიქსირებული აივ-ინფექციის არც ერთი შემთხვევა, მაგრამ უკვე ყველამ ვიცოდით, რომ ეს „XX საუკუნის შავი ჭირი“ გახლდათ; რომ ეს დაავადება მხოლოდ ამორალურ ადამიანებში გვხვდებოდა და ა.შ. დღეს უკვე ვიცით, რომ შიდსს იწვევს ვირუსი; ვიცით, როგორ და როდის გადადის; რომ ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს და რომ არსებობს მისი სამკურნალო საშუალებები. მაგრამ შიდსის შესახებ ახალ-ახალი მითები მაინც ვრცელდება.

შიდსის „მითოლოგიას“ მთელი წიგნიც კი შეიძლება მიეძღვნას. ჩვენ რამდენიმე, ყველაზე გავრცელებულ მცდარ მოსაზრებაზე შევჩერდებით და თან, მკითხველის შეკითხვებს ვუპასუხებთ.

### მითი I — შიდსი და აივ-ინფექცია ხან — ერთი და იგივე, ხანაც ორი სხვადასხვა დაავადებაა

ადამიანებს დღემდე ეშლებათ აივ (ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსი) და შიდსი. შიდსი — შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომია. იმუნოდეფიციტი ნიშნავს, რომ იმუნური სისტემა, რომელიც ჩვენს ორგანიზმს ვირუსებისა და ბაქტერიებისაგან იცავს, არასწორად მუშაობას იწყებს. იმუნოდეფიციტი შეიძლება, ადამიანს დაბადებიდან ჰქონდეს, განვითარდეს სიბერის ან მძიმე დაავადების გამო. შიდსი — განსაკუთრებული ხასიათის იმუნოდეფიციტია და ერთ-ერთი ვირუსის აქტიურობას უკავშირდება.

აივ — ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსია. როგორც ყველა ვირუსს, გასამრავლებლად, მასაც სხვა უჯრედი ესაჭიროება. ადამიანის ორგანიზმში არის ისეთი სახის უჯრედი, სადაც აივ მრავლდება. უჯრედების ეს სახეობა იმუნურ სისტემაშია და ეწოდება CD4. გარკვეული დროით იმუნური სისტემა უძლებს აივ-ს და ავსებს CD4-ის დანაკარგს. მაგრამ მკურნალობის გარეშე, რამდენიმე წელიწადში აივ-მა შეიძლება მიგვიყვანოს იმუნოდეფიციტამდე — შიდსამდე. სწორედ ამიტომ, გამოთქმა — „დასნებოვნდა შიდსით“ ან „ანალიზი შიდსზე“ — სწორი არ გახლავთ. გადადება ხდება აივ-ის და ანალიზითაც ამ ვირუსის არსებობას განსაზღვრავენ.

### მითი II — აივ-ზე ანალიზი ხშირად არასწორ პასუხს იძლევა

ზოგჯერ გავიგონებთ, რომ რამდენიმე წელი აივ-ზე ანალიზმა შეიძლება, ვირუსის არსებობა არ აჩვენოს. ეს სწორი არ არის. აივ-ინფექციამ შეიძლება, რამდენიმე წელი ნამდვილად, არ მოგვცეს თავის შესახებ ნიშანი, მაგრამ აივ-ზე ტესტი დადებითი ხდება ინფიცირების პირველსავე კვირაში. შემთხვევათა 95%-ში ანალიზი დადებითია უკვე 3 თვიდან, დანარჩენებში კი — 6 თვიდან.

მაგრამ აივ-ზე პირველი ანალიზის დადებითი შედეგი მართლაც, შეიძლება, ზოგჯერ არასწორი იყოს — ანუ ცრუდადებითი. ამიტომ სხვა, დამადასტურებელი ანალიზით მისი გადამოწმება აუცილებელია. ეს ანალიზი სულ სხვა ტიპისაა — ის ზედმიწევნით ზუსტია. ამიტომ თუ გეტყვიან, რომ აივ-ზე ანალიზი საეჭვოა ანუ — დადებითია და საჭიროა გადამოწმება, პანიკაში კი არ ჩავარდეთ, არამედ გადაამოწმეთ იგი. აი, თუ მეორე ტიპის ანალიზიც დადებითია, მაშინ ექიმი „აივ-ინფექციის“ დიაგნოზს დასვამს.

### მითი III — პრეზერვატივში არის პატარა ნახვრეტები, საიდანაც აივ აღწევს ორგანიზმში

ზოგი ამბობს, რომ პრეზერვატივში არის პატარა ნახვრეტები, რომლებიც აივ-ზე გაცილებით დიდი ზომისაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვირუსები თავისუფალი სახით ორგანიზმში არსებულ სითხეებში „ცურავენ“. მათ არ შეუძლიათ, სადღაც გაძრომა ან გადახტომა. პრეზერვატივი არ უშვებს სითხეს, ე.ი. არც აივ-ს გაატარებს.

პრეზერვატივი არ იცავს 100%-ით — ის შეიძლება გაიხეს. მაგრამ აივ-ის წინააღმდეგ მისი ეფექტურობა მრავალი კვლევითაა დამტკიცებული. აი, ერთ-ერთი მათგანი: გამოიკვლიეს 171 წყვილი, რომელთაგანაც ერთ-ერთ პარტნიორი ინფიცირებული იყო აივ-ინფექციით და რამდენიმე წლის განმავლობაში იყენებდა პრეზერვატივს. აივ-ინფექცია მხოლოდ 3 ჯანმრთელ პარტნიორს გადაედო. ანუ პრეზერვატივი 98%-ში იცავს ინფიცირებისგან.

### მითი IV — თუ ორსულს აქვს აივ-ინფექცია, ე.ი. ბავშვიც ინფიცირებული დაიბადება

ეს მოსაზრება გადაჭარბებულია. მიიჩნევა, რომ აივ-ინფექცია დედიდან ბავშვს გადაეცემა ორსულობისას, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს. თუ ძუძუთი კვების, ორსულობისა და მშობიარობის დროს არ იქნა მიღებული დაცვითი ღონისძიებები, ბავშვის ინფიცირების რისკი 20-30%-ია. ხელოვნური კვება და სპეციალური ანტივირუსული მკურნალობა ორსულობის დროს ბავშვის ინფიცირების რისკს 1-5%-მდე ამცირებს.

ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ბავშვებში აივ-ინფექციის გადაცემის რისკი, დიდი ხანია, 1%-ზე ნაკლებს შეადგენს. იმიტომ უკეთდებათ ორსულებს ანალიზი აივ-ინფექციის არსებობაზე, რომ დროულად მიიღონ სათანადო ზომები.

### მითი V — აივ-ინფექცია სასიკვდილო განაჩენია

არსებობს ქრონიკული დაავადებები, რომლისგანაც ადამიანი არ იკურნება, მაგალითად, დიაბეტი ან ჰიპერტონია. მაგრამ ეს სასიკვდილო განაჩენს არ ნიშნავს. აივ-ინფექცია — ქრონიკული დაავადებაა, ამგვარად, არ არსებობს მეთოდი, რომელიც ორგანიზმს ვირუსისგან გაათავისუფლებდა.

ზოგჯერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამა თუ იმ ადამიანმა შეძლო აივ-ინფექციისგან ავადმყოფის განკურნე-

ბა, მისი მაღალ ტემპერატურამდე გადახურებით ან საიდუმლო ბიოველების მეშვეობით. ამას, როგორც წესი, თაღლითები ავრცელებენ, გამდიდრების მიზნით. დღემდე არ ყოფილა დაფიქსირებული აივ-ინფექციისგან განკურნების არც ერთი შემთხვევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აივ-ინფექციის მკურნალობა შეუძლებელია.

1996 წლიდან არსებობს აივ-ინფექციის მკურნალობის ეფექტური საშუალებები — ანტივირუსული კომბინირებული თერაპია, რომელიც ორგანიზმში აივ-ის გამრავლებას თრგუნავს. თერაპიის მიზანია — შეაჩეროს აივ-ინფექციის განვითარება და არ დაუშვას, რომ ადამიანს შიდსი ჩამოუყალიბდეს. აივ-ინფექციის საწინააღმდეგო მკურნალობა უნდა ტარდებოდეს მუდმივად, დაახლოებით ისე, როგორც ინსულინოთერაპია — შაქრიანი დიაბეტის დროს.

შეიძლება ითქვას, რომ აივ-ინფექციის აღმოჩენა და მკურნალობა შესაძლებელია, მით უმეტეს, ძალზე ადვილია მისგან თავდაცვა. პირველ რიგში, უნდა გაუფრთხილდეთ საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობას და არ დაუჯეროთ მითებს.

## სასარგებლოა თუ არა სირბილის დროს სითხის მიღება?

ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გრძელ დისტანციაზე მორბენალ სპორტსმენებზე ჩაატარეს ექსპერიმენტების სერია და დაადგინეს, რომ სირბილის დროს ბევრი სითხის მიღება ისევე საშიშია, როგორც სითხეზე უარის თქმა. სირბილის დროს ადამიანი საკმაო რაოდენობის ოფლს გამოყოფს და თუ გარედან არ მოხდება დაკარგული სითხის შევსება, მას სითხისგან დაცლა და სითბოს დარტყმა დაემუქრება. სირბილის დროს ბევრი სითხის მიღებას ნატრიუმის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა მოსდევს, რასაც მივყავართ მოთენთილობამდე, აპათიამდე, გარემოში დეზორიენტაციამდე და რესპირატორული დაავადებების გაჩენამდეც კი (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარათონელები, რომლებიც სირბილის დროს ბევრ სითხეს იღებენ, ფინიშთან, წონაში მომატებულიც კი მიდიან). ექსპერიმენტის ავტორები სპორტსმენებს სირბილის დროს ოდნავ მლაშე, მსუბუქი საუზმის მიღებას ურჩევენ.



## ყველაზე მთავარი ვიტამინი

ებრაელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ E ვიტამინი უშველის ავადმყოფებს, რომლებმაც მოულოდნელად და გაურკვეველი მიზეზის გამო დაკარგეს სმენა. სპეციალისტებმა გამოიკვლიეს 380 პაციენტი და ერთნაირი მკურნალობა დაუნიშნეს. ამასთან, პაციენტების ნახევარს ყოველდღიურად, დამატებით ეძლეოდა 400 მლ E ვიტამინი. ორი კვირის შემდეგ, მათ ვინც ვიტამინს იღებდა, სმენა 75%-ით აღუდგათ.

ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს
პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში




ოჯახის პედიატრი
შეკითხვები პედიატრს
0-დან 1-მდე
ბავშვის ფსიქოლოგია
როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა
შეაგროვე და აკინძე

## თუთუნი

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს მიზეზი იმისა, თუ რატომ აცხადებენ მწეველები, რომ სიგარეტი ეხმარებათ სიმშვიდის მოპოვებასა და უხერხულობის მოხსნაში.



სპეციალისტების აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მოწევა თავის ტვინში გარკვეული ნივთიერების (ენდოგენური ოპიოიდები) ცირკულაციას აძლიერებს. ეს ნივთიერება კი პასუხისმგებელია ადამიანის „კარგ გუნებაგანწყობილებაზე". ანალოგიური ეფექტი მიიღწევა ნარკოტიკების (ჰეროინი ან მორფინი) მიღებისას. ამ აღმოჩენის საშუალებით, ექიმებმა მეცნიერულ დონეზე დაადგინეს, თუ რატომ უჭირთ მწეველებს სიგარეტისთვის თავის დანებება.

## გაუფრთხილდით თავს

ამერიკელი ნევროლოგები, რომლებიც პარკინსონის დაავადების მიზეზებს იკვლევენ, მიიჩნევენ, რომ ამ მძიმე სენის მაპროვოცირებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, თავის ტვინის ტრავმა წარმოადგენს. ამასთან, ავადმყოფების კლინიკურმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ რაც უფრო სერიოზულია ტრავმა, მით მეტია პარკინსონის დაავადების ჩამოყალიბების რისკი. კვლევის ხელმძღვანელი ჯეიმს ბოუერი დარწმუნებულია, რომ დაავადების მიზეზი — ტრავმის შედეგად თავის ტვინის ქსოვილებში ნეირომედიატორობის ბალანსის დარღვევაა. ამიტომ უნდა გავფრთხილდეთ, რომ თავის ტრავმა არ მივიღოთ და ბავშვებსაც სიფრთხილისკენ მოვუწოდოთ.

## რატომ მიძგერს ასე ძლიერ გული?

ბერძენი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ თუ დღეში 1 ფინჯან ყავაზე მეტს მივირთმევთ, გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი მნიშვნელოვნად მოიმატებს. ასეთი დასკვნა მას შემდეგ გააკეთეს, რაც გამოიკვლიეს 3000 ადამიანის კოფეინისადმი „ლტოლვა": ვინც დღეში 200 მლ ყავაზე მეტს იღებდა, მათ გულში ანთებითი ცვლილებები აღმოაჩნდათ. რაც შეეხება დღეში ერთი ჭიქა ყავის მირთმევას, — ეს გულის იშემიური დაავადების არაჩვეულებრივი პროფილაქტიკური საშუალება აღმოჩნდა. ■



## „ისუნთქე", „არ ისუნთქო"

ჯანმრთელი ადამიანის ფილტვების მდგომარეობა თურმე დღის განმავლობაში იცვლება. ყველაზე კარგად „ჟანგბადის მომწოდებლები" საღამოს მუშაობენ, ცუდად კი — შუადღეს. გერმანელ მეცნიერთა აზრით, ეს განპირობებულია დღის სხვადასხვა მონაკვეთში ორგანიზმში მიმდინარე პროცესების განსხვავებული მარეგულირებელი მექანიზმებით, მაგალითად, როგორიცაა: ძილი, სიფხიზლე, ადამიანის აქტიურობის პერიოდი, ნივთიერებათა ცვლა და ა.შ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე დაავადებების მკურნალობის თვალსაზრისითაც. მაგალითად, ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე მიერთებული პაციენტების ბუნებრივ სუნთქვაზე გადაყვანა სასურველია არა დილით, როგორც ამას ბევრი ექიმი აკეთებს, არამედ საღამოს, როცა ფილტვები მაქსიმალურად შრომისუნარიანია. რაოდენ საოცრადაც უნდა მოგვეჩვენოთ, დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებაც თურმე საღამოსაა უკეთესი, დილით კი შედარებით მსუბუქად უნდა დავიტვირთოთ. ■

## სპეციალურად ქალებისთვის

მენსტრუალური ციკლის დროს ტკივილი, რომელიც მილიონობით ქალს ტანჯავს, შესაძლებელია, 20-წუთიანი მარტივი მასაჟით მოიხსნას. ეს დადგინდა ტაივანის ერთ-ერთი კოლეჯის 394 სტუდენტზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად. გოგონების ნახევარი მენსტრუალური ციკლის დროს ტკივილს ებრძოდა ხელისგულზე განლაგებული, ბიოლოგიურად აქტიური წერტილების 20-წუთიანი მასაჟით, დანარჩენი კი იღებდა ძლიერ ტკივილგამაყუჩებელს. პირველები გაცილებით სწრაფად და ეფექტურად სძლევდნენ პრობლემას და თანაც — 3 თვის შემდეგ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე გაუქრათ ტკივილი „კრიტიკულ დღეებში". ამის მიზეზად ექიმები აკუპუნქტურის შედეგად სისხლის ცირკულაციის გაძლიერებასა და ქალებში სასიცოცხლო ენერგიის მომატებას ასახელებენ. ■

## ვაშლი

საფრანგეთის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვინც ბევრ ვაშლს ჭამს, ონკოლოგიური დაავადებებით ნაკლებად ავადდება. აღმოჩნდა, რომ ამ ხილში ბევრია პროციანიდინი — უჯრედის დაყოფის მარეგულირებელი, ბუნებრივი ნივთიერება. მეცნიერთა აზრით, საკმარისია, დღეში 2-3 ვაშლის მიღება და კიბოთი დაავადების რისკი 10-20-ჯერ შემცირდება. ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ГЕО / GEO | 9.00 | 27.00 |
| 2. ЛИЗА | 2.50 | 32.50 |
| 3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ | 5.00 | 65.00 |
| 4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ | 8.00 | 24.00 |
| 5. СЕМЬ ДНЕЙ | 2.50 | 32.50 |
| 6. HELLO! / ХЭЛЛОУ! | 4.00 | 52.00 |
| 7. ОТДОХНИ! | 2.00 | 26.00 |

ქ. თბილისი ოსხუბიძის ქ. №49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

თქვენთვის, ქალბატონებო!

# როცა ასეთი სიყვარულია

მარინა ბაბუნაშვილი

ამას წინათ თბილისელი ქალბატონისგან წერილი მივიღე. ის ქალიშვილის საქციელით იყო შეშფოთებული — ჩემი შვილი სხვას ოჯახს უნგრევსო. უნებურად, ჩემი 2 წლის წინანდელი რესპონდენტი გამახსენდა. ქეთევანიც ამ წუხილით მესტუმრა მაშინ რედაქციაში და შემომჩივლა თავისი ოჯახის პრობლემებსა და სატკივარზე. დავეჭვდი, ნეტავ, ისევ ის ხომ არ არის-მეთქი?! — და ქალბატონ ქეთევანს შევეხმიანე. იუარა, თუმცა, თემის გაგრძელებაზე სიამოვნებით დამთანხმდა. თავდაპირველად 2006 წლის 13 თებერვალს დაბეჭდილი წერილის შინაარსს გაგაცნობთ („ჩემმა შვილმა სხვას ოჯახი დაუნგრია“...)

### ამბავი პირველი

### „ვერ გაიგია, ჩვენ რას გვერჩის?“

ქეთევანი ქალების იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთი დღეც არ უმუშავია და კარიერას ოჯახი ამჯობინა. მისთვის ყველაზე მთავარი ქმარ-შვილზე ზრუნვა იყო. სამი შვილიდან ნაბოლარა, გვანცა, ყველაზე ნებიერა გახლდათ, რადგან ორი შვილის მერე, მესამეზე აღარც ფიქრობდნენ, ის კი ქვეყნიერებას მოევლინა.

გვანცას სტუდენტობაში სიყვარული ეწვია. თითქმის გადაწყვეტილი იყო მათი ამბავი, რომ რაღაცის გამო იჩხუბეს და დაშორდნენ. ატყობდა ქეთევანი, ძალიან განიცდიდა გვანცა საყვარელ ადამიანთან დაშორებას, მაგრამ დედას არაფერში უტყდებოდა და სწორედ ეს უკლავდა ქალს გულს. ადრე ხალისიანი და გახსნილი გოგონა, ახლა პირზე კლიტედადებულივით იყო. 21 წლისამ მუშაობა რომ დაიწყო, მერე ცოტათი გახალისდა. სამსახურიდან ყოველთვის 7-ზე ბრუნდებოდა. მერე დაგვიანებაც დაიწყო და ოჯახის წევრებს ეუბნებოდა, ძალიან მეგობრული კოლექტივია, ერთმანეთის დაბადების დღეებს ზარ-ზეიმით აღნიშნავენ და მეც ამიყოლიესო.

ქეთევანს უხაროდა, რომ დიდი ხნის შემდეგ გვანცამ როგორღაც სძლია დარდს.

ერთ მშვენიერ დღეს, ტელეფონმა დაიწკრიალა. ყურმილს მიღმა ვიღაც ქალი გაცხარებული ლანძღავდა ქეთევანს ცუდი შვილის გაზრდისთვის:

„მიხედეთ თქვენს ტუტუც გოგოს, სამშვილიან კაცს რომ აჰკიდებია და ოჯახს უნგრევს. ჩემი ქმარი 43 წლისაა, თქვენი შვილი — 22-ის, ლამის შვილად ერგება, არ რცხვენია? ასეთი ნამუსგარეცხილი როგორ არის, არაფერი გისწავლებიათ მისთვის წაგლეჯის მეტი?“ ქეთევანს ცივმა ოფლმა დაასხა. ქალი კი არ ცხრებოდა, — უზნეო ქალიშვილი გყავთ. კაცს თავბრუ დაახვია და ცოლ-შვილზე ხელი აალებინა. თბილისის გარეუბანში ბინა აქვთ დაქირავებული და იქ ხვდებიან ერთმანეთსო.

ელდისაგან ქეთევანი ისე იყო გაოგნებული, რომ ისიც ვერ მოიფიქრა, ყურმილი დაედო.

სანამ გვანცა შინ დაბრუნდებოდა, მოსვენება დაკარგა. ერთი



სული ჰქონდა, სიმართლე გვანცასგან მოესმინა. შინ გვიან დაბრუნებულ გვანცას ქეთევანმა ყველაფერი უამბო. გოგონა დადუმდა. დედა კი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს.

ამონარიდი წერილიდან: *„არ შემიძლია ამდენი ტყუილი. ადრე თუ გვიან, ხომ უნდა გაგეგოთ სიმართლე? რაც არის — არის. დიახ, მე და რეზოს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. მერე რა, რომ ცოლშვილიანია? ჩვენ მალე მოვაწერთ ხელს და სულ ერთად ვიქნებით. ამაში კი ხელს ვერავინ შეგვიშლის“.*

ქეთევანმა ისე განიცადა ეს ამბავი, ინფარქტი მოუვიდა. თუმცა, მისმა ავადმყოფობამ მხოლოდ დროებით შეაფერხა გვანცასა და რეზოს თანაცხოვრება. ქეთევანი გამომჯობინდა თუ არა, გვანცამ თავისი გეგმები გააცნო: — ჩვენ ერთად ყოფნა გადავწყვიტეთ და რაც უნდა მოხდეს, ამ აზრს აღარ შევიცვლით, რეზოს გერმანიაში მცხოვრები მეგობრისგან მოწვევა მოუვიდა, იმ კვირაში ხელს ვაწერთ და ერთად გავემგზავრებით; რეზოს ისეთი ცოლი ჰყავს, აქ კარგა ხანს ვერ ვიცხოვრებთ მშვიდად, წარმარა სკანდალს მოგვიწყობს, ამიტომაც რამდენიმე წელი იქ ვიქნებითო.

გვანცას მამა გაცილებით მშვიდად შეხვდა შვილის გადაწყვეტილებას. ცოლი დაამშვიდა: — როცა ასეთი სიყვარულია, დათმობა ჯობსო.

გვანცამ და რეზომ ხელი მოაწერეს და გერმანიაში გაემგზავრნენ. მიუხედავად იმისა, რომ ცოლი კარგა ხანს უარს ამბობდა განქორწინებაზე, რეზომ იგი საბოლოოდ მაინც დაითანხმა, საკმაოდ დიდი თანხის ფასად.

ქეთევანს დარდი არ განელებია. სულ იმას გაიძახოდა, არ შეიძლება სხვისი ტკივილისა და მწუხარების ხარჯზე ადამიანმა საკუთარი ბედნიერება მოიწყოსო. ქმარი კი კვლავ მიაგებებდა — რას იზამ? როცა ასეთი სიყვარულია, ყველაფერზე თვალები უნდა დახუჭოო.

რეზოს ცოლი ცოტა ხანს წყნარად იყო, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ქმარი საბოლოოდ დაკარგა და იერიში კვლავ გვანცას ოჯახზე მიიტანა.

ამონარიდი წერილიდან: *„გული მიკვნესის რეზოს შვილების შემხედვარე, მაგრამ რა ვქნა, რისი შეცვლა შემიძლია? რეზო მათაც ეხმარება, თუმცა მის ცოლყოფილს დაუჟინია — არაფერი მინდა, ქმარი დამიბრუნეთო. გვანცამ და რეზომ თავს უშველეს, მე კი ყოველ ზარის დარეკვაზე გული მისკდება. როდის დამთავრდება ეს კოშმარი, არ ვიცი.*

*ამას წინათ ისევ მოგვივარდა, უმცროსი ბიჭუნა ახლდა თან. ჩემმა მეუღლემ უთხრა, თუ აქედან არ წახვალთ, იძულებული ვიქნები, პატრული გამოვიძახოო. ბავშვი ატირდა. ქალმა მოგვაძახა, — ჩემი შვილების ცოდვა თქვენს კისერზეაო და კარი გაიჯახუნა... ძალიან ვწუხვარ, რომ გვანცა ოჯახის დანგრევის მიზეზი გახდა, მაგრამ მე ვერაფერს შევცვლი. გვანცა და რეზო გერმანიიდან ჩამოსვლას არ აპირებენ, მალე ბავშვს ელოდებიან, რეზოს ცოლყოფილს კი რამდენჯერაც ქმარი გაახსენდება, იმდენჯერ „მეხმიანება“! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიხვდეს, რომ ჩხუბით ქმარს ვერ დაიბრუნებს? ჩვენ, გვანცას მშობლებს კი მთელ ამ ორომტრიალში ნაკლები ბრალი მიგვიძღვის“.*



## ამბავი მეორე

## „სხვის უბედურებაზე შეიძლება ბედნიერება აგო?“

გვანცას და რეზოს ქალიშვილი შეეძინათ. საქართველოში ჩამოსვლას ჯერ არ ჩქარობენ, თუმცა რეზო ერთხელ იყო თბილისში, შვილები და ახლობლები მოინახულა. ქეთევანმა მათი შემდგომი ცხოვრების შესახებ მომითხრო:

*— გახსოვთ, რედაქციაში რომ გესტუმრეთ? გარდა იმისა, რომ სახალხოდ და თანაც ძალიან გულწრფელად გამოვთქვამდი ჩემს წუხილს, მინდოდა, რეზოს ყოფილ ცოლს შეეგნო, რომ მე და ჩემი ქმარი არაფერ შუაში ვიყავით და საბოლოოდ, შეეწყვიტა ჩვენი დაწიოკება და შანტაჟი.*

**— მერე, გამოიღო შედეგი იმ წერილმა?**

*— მართალი გითხრა, ასე მალე არც ველოდი შედეგს. იმ ქალმა, რომელიც თავისებურად მებრალებოდა კიდეც, შეწყვიტა ჩხუბი და აყალმაყალი. რეზო რომ ჩამოვიდა, ყველაფერი ვუამბე. „როცა ბავშვების სანახავად მივედი, მათი დედაც ვნახე. ვუსაყვედურე იმ თავშეუკავებლობისა და ჩხუბის გამო. შეცვლილი მეჩვენა. მითხრა, შენმა ახალმა სიდედრმა ისეთი რამ გააკეთა, გარეთ გასვლის სურვილიც კი აღარ მაქვსო. ასე რომ, აწი აღარ შეგაწუხებთ“, — მითხრა რეზომ. მოგვიანებით, რაღაც ჩამწყდა გულში.*

**— რატომ? მაინც შეგეცოდათ?**

*— რა თქმა უნდა. ეკლესიური ადამიანი ვარ, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი. ამიტომაც განვიცადე გვანცას ნაბიჯი. არიან მშობლები, რომლებიც არაფერს დაეძებენ, ოღონდ კი შვილი ბედნიერი ჰყავდეთ. მე კი მიმაჩნია, რომ სხვისი უბედურების ხარჯზე არ უნდა ეძებო ბედნიერება.*

**— ბედნიერებისთვის ბრძოლაა საჭირო. გვანცასაც და რეზოსაც ბარიერების გადალახვა მოუხდათ ბედნიერების მოსაპოვებლად.**

*— მეც ქალი ვარ და ვუგებ რეზოს ყოფილ ცოლს... იგი ძალიან შეურაცხყოფილი იყო ქმრის საქციელით. არ ესმოდა და არც უნდოდა გაეცნობიერებინა, რომ მის ქმარს სხვა ქალი შეუყვარდა. რეზო საოცრად პატიოსანი და მართალი კაცია. იგი სხვებივით არ მოიქცა. ხომ შეეძლო, სხვა კაცივით საყვარელიც ჰყოლოდა და ცოლიც? მაგრამ მას მართლა შეუყვარდა გვანცა და არ შეეძლო ორი ქალი მოეტყუებინა. სიმართლე არჩია, თუმცა ამან ერთს კი მოუტანა ბედნიერება, მაგრამ მეორე დააზარალა.*

**— თქვენი შვილი რომ ყოფილიყო რეზოს ყოფილი ცოლის ადგილზე, რას იტყოდით?**

*— მაშინაც ძალიან ვინერვი-*

ულებდი, მაგრამ რას ვიტყოდი?! არაფერს! განა შეიძლება, ჩხუბით რაიმეს მოპოვება ან დაკარგულის დაბრუნება, მით უფრო — სიყვარულის?!

**— დიდი ხანია, გვანცა არ გინახავთ?**

— ბავშვი ორი თვის იყო, მე და ჩემი ქმარი გერმანიაში რომ გავემგზავრეთ. ისეთი საყვარელი გოგო გვყავს, თან ისეთი ლამაზი, რომ ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვლენ. საახალწლოდ აპირებენ თბილისში ჩამოსვლას და ალბათ, ერთი თვე დარჩებიან.

**— გვანცასთან არ გილაპარაკიათ იმ ორომტრიალზე, რაც რეზოს ყოფილმა ცოლმა დაატრიალა?**

— როცა გერმანიაში მოვინახულე, ბოდიში მომიხადა, — მაპატიე, დედა, რომ ასეთ დღეში ჩაგაგდე, მაგრამ მერწმუნე, რეზოსთან ძალიან ბედნიერი ვარ და ყველა პრობლემა ამად ღირდაო.

**— ისევ ძველებურად გჯერათ, რომ სხვის უბედურებაზე ადამიანი თავის ბედნიერებას ვერ ააწყობს?**

— კი, შინაგანად ისევ ამ აზრზე ვარ, მაგრამ ჩემი შვილის გაბრწყინებული თვალები რომ მაგონდება... მოკლედ, დაბნეული ვარ.

**— ალბათ, ამის ახსნა ისევ და ისევ იმ ფრაზით შეიძლება, რასაც თქვენ მეუღლე დღემდე გიმეორებთ...**

— „როცა ასეთი სიყვარულია“, არა? დიახ, ალბათ დიდი სიყვარულით თუ აიხსნება ამხელა ორომტრიალის შემდეგ მოპოვებული ბედნიერება.

●

# წარსულს ძალიან ვნანობ

„16 წლისას უგონოდ შემიყვარდა ჩემზე 3 წლით უფროსი ბიჭი. მან არ იცოდა ჩემი გრძნობის შესახებ და როცა გოგონებმა უთხრეს, მოვიდა და გამეცნო. ერთ კვირაში შემომთავაზა: წამო, ბათუმში გავიპაროთ, ერთი კვირა კარგ დროს გაგატარებინებო. არც ცოლობა უთხოვია, არც სიყვარული აუხსნია. მე კი, ისე მიყვარდა, ამ სიტყვებზეც ჭკუა დავკარგე და სახლიდან გავიპარე.

მამა სამი წლის ასაკში გარდამეცვალა. დედას ყველაფერს ვუყვებოდი ხოლმე, მაგრამ რატომღაც გიგაზე არაფერი მითქვამს. რაღა თქმა უნდა, არც



ის გამიმხელია, გაპარვას რომ ვაპირებდი.

ბათუმში ყოფნისას სახლში რომ დავრეკე, ჩემმა დამ ტირილი დაიწყო, დედა ცუდადაა და ექიმი გვყავს გამოძახებულიო. შევწუხდი, მაგრამ ჩემმა გულის სწორმა დამამშვიდა: დედებს ასეთი რაღაცები ემართებათ, როცა ქალიშვილები სახლიდან მიდიან. არა უშავს, 3 დღეში დაბრუნდები და დამშვიდდებაო... მართლაც დავბრუნდი. გიგას ცოლობაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისე ჩამომიყვანა თბილისში. სკოლაში ვინღა მიმიშვებდა? ღამის სკოლაში გადამიყვანა დედამ. დავამთავრე ღამის სკოლა. ახლა მე მომიტანეს ამბავი, კობას უყვარხარო (ისიც ღამის სკოლაში სწავლობდა). ისე მქონდა სიყვარულზე გული აცრუებული, ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. იმ წელს ვერ ჩავაბარე უმაღლესში და ხელი ჩავიქნიე. მერე კობამ ცოლობა მთხოვა. დავთანხმდი და გავიპარე მასთან ერთად. დავამშვე, რომ არ ვუთხარი გიგას არსებობის და იმ შემთხვევის შესახებ. ძალიან განიცადა, როცა გაიგო, ჩემთვის პირველი მამაკაცი რომ არ იყო. ორი დღის მერე დედაჩემთან მიმყვა და მოუბოდიშა: მე თქვენი ქალიშვილი მართლა ძალიან მიყვარდა და ცოლადაც მინდოდა, მან კი სიმართლე დამიმალა, ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოვაო.

იმ ღამეს დედამ პირველად მცემა, მეორე დღეს კი საავადმყოფოში წაიყვანეს. დედა მეორედაც წამოდგა ფეხზე... მუშაობა რომ დავიწყე, გადავწყვიტე, აღარასოდეს მეფიქრა ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ბავშვი მინდოდა. სამსახურში ერთ თანამშრომელ კაცთან ფლირტი გავაჩაღე, მალე გამოვუტყდი კიდეც: შენგან შვილის გაჩენა მინდა, ნუ შეგეშინდება, არაფრით შეგაწუხებ მომავალში-მეთქი. ასე გაჩნდა ჩემი მარიკო. დედა ძალიან განიცდიდა ჩემს მდგომარეობას, მაგრამ ატყობდა, რომ ჩემში რაღაც მნიშვნელოვანი და აუცილებელი ჩამკვდარიყო. აღარ უჩხუბია, შეეგუა ყველაფერს.

მოგვიანებით მეგობრებმა გამაგებინეს, გიგა პატიმრობაშიაო. საჩუქრებით დავიხუნძლე და მივაკითხე ზონაში. ჩემი დანახვა გაუხარდა, — თურმე ამქვეყნად, მარტო შენი გყვარებივარო. მას მერე, თვე არ გავიდოდა, არ მომენახულებინა. მეუბნებოდა, რომ ტყუილად იხდიდა სასჯელს, რომ ვიღაც „მათხოვრებმა“ ნარკოტიკი ჩაუგდეს მანქანაში. პატიმრობის პერიოდში კარგად გამომიყენა. გამოვიდა და გაქრა. დეპრესიაში ჩავვარდი. ის ერთი თვე ისე ცუდად ვიყავი, ბავშვსაც ველარ ვაქცევდი ყურადღებას. რამაც გამომაფხიზლა, დედის უეცარი სიკვდილი გახლდათ. საშინლად იმოქმედა დედის გარდაცვალებამ. თითქოს ამხელა დანაკლისი იყო საჭირო, რომ საბოლოოდ გონს მოვსულიყავი. ჩემმა უაზრო სიყვარულმა შეიწირა იგი. დამნაშავე ვარ დედასთან. მის საფლავზე მისული სულ ამას ვჩურჩულებ: „მაპატიე, დედა!“

**თქვენი მუდმივი მკითხველი“.**

# ბედისწერამ ასე ინება



„საზღვარგარეთ ვცხოვრობ და ვმუშაობ. „გზის“ ორი ნომერი ხელში ჩამივარდა და როცა თქვენს რუბრიკას გავეცანი, გადავწყვიტე, მეც მომეწერა ვრცელი მესიჯი.

ჩემი სიყვარულის ამბავი 18 წლის წინ დაიწყო. კახეთის ერთ ქალაქში მე ვცხოვრობდი, მეორეში — ნინო. ჩემს ნათესავთან სტუმრად ვიყავი მისული. ნინოც იქ გავიცანი. ეს გოგო ერთი ნახვით შემიყვარდა, მაგრამ ვერ ვბედავდი მისთვის რაიმე მეთქვა, რადგან ის მდიდარ ოჯახში იყო გაზრდილი, ფუფუნებას და უზრუნველ ცხოვრებას მიჩვეული, ცოტა თავნებაც, მე კი სხვა გარემოში ვიზრდებოდი. ძალიან მეშინოდა, სიყვარულზე უარი არ ეთქვა და სამუდამოდ არ დამეკარგა. ვარჩევდი შესაფერის დღეს, როცა სიყვარულში გამოვუტყდებოდი, მაგრამ ვერა და ვერ დავაყენე საშველი. ერთხელაც, საბოლოოდ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მეთქვა ჩემი გულისნადები. მივედი ჩემს ახლობელთან. ნინოც იქ დამხვდა. გული ცუდს მიგრძნობდა. მართლაც, მოხდა ის, რისიც მეშინოდა. ერთი ბიჭის სახელი ახსენა და თვალები ისე გაუბრწყინდა, მივხვდი, დამაგვიანდა... იქაურობას დროზე რომ არ გავცლოდი, ალბათ, გული გამისკდებოდა. თბილისში წამოვედი. ჩემს თავსაც და ნინოსაც — ორივეს გავურბოდი. ჩემს ქალაქში ჩასვლასაც კი ვერიდებოდი, რადგან არ მინდოდა შევხვედროდი და მისი ბედნიერებისთვის ხელი შემეშალა. საკუთარ ქმედებებზე პასუხს არ ვაგებდი. არ ვიცოდი, რას მოვიმოქმედებდი, ის რომ დამენახა.

თბილისში სამსახური ვიშოვე, ანაზღაურებაც კარგი მქონდა. თითქოს ავაწყვე ცხოვრება, მაგრამ ნინოზე მაინც გამუდმებით ვფიქრობდი. მალე გავიგე, რომ ნინო გათხოვდა. ალკოჰოლს მივეძალე, რომ რამენაირად დარდი შემემსუბუქებინა. სამსახურში არ მაპატიეს „ლოთობა“ და გამათავისუფლეს. კარგა ხანს ვიყავი დეპრესიაში. მერე მეგობრების დახმარებით, ნელ-ნელა გამოვედი მდგომარეობიდან. ეკლესიაშიც ხშირად დავდიოდი. როგორც იქნა, გადავწყვიტე და ცოლი შევირთე... ორიოდე წლის წინ ჩემი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უცხოეთს მივაშურე. იქ ნაცნობები ვნახე და მითხრეს, რომ ნინოს უთანხმოება მოსვლია მეუღლესთან და ისიც იმ ქვეყანაში იყო წასული, რომელშიც მე ვიყავი, ოღონდ სხვა ქალაქში ცხოვრობდა. მოსვენება დავკარგე. საქმეს ველარ ვაკეთებდი, დილიდან საღამომდე ნინოზე ვფიქრობდი. გავიგე მისი კოორდინატები და დავურეკე. გაუხარდა ჩემი ხმის გაგონება, შეხვედრაზეც უცებ შევთანხმდით. ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავდა ის დღე ჩემთვის; ვისხედით ერთ მყუდრო კაფეში და წარსულს ვიხსენებდით. ჩემ წინ იჯდა საოცნებო ქალი, რომელზეც ფიქრებში ღამეები მითენებია. ნინოს ყველაფერი ვუთხარი, რაც 18 წლის წინ ვერ გავბედე. სინანულით შემომხედა და სევდიანი ღიმილით მითხრა: თავის დროზე რატომ არ მითხარი შენი გრძნობის შესახებ, არც ასე დაიტანჯებოდი და დღეს, ორივე ბედნიერი ვიქნებოდითო. განა ბედისწერა არ არის? ამდენი ხნის წინ დავკარგე და ღმერთმა აქ, საქართველოდან ძალიან შორს, ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს?

არ ვიცი, როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ მე დიდი ხნის მერე ძლივს ვიგრძენი თავი ბედნიერად, რომ ჩემს სიახლოვეს არის უძვირფასესი ადამიანი, რომელიც ახლაც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს.

**ლევანი“**

## მშობლის პირად საქმეში შვილი არ უნდა ჩაერიოს

„ვეხმაურები წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „კიდევ ერთი ბანალური ამბავი“. გამაოცა ქალიშვილების საქციელმა. როგორ შეიძლება, მშობლის პირად საქმეში ასე ჩარევა? ვინ მისცა შვილს იმის უფლება, აკონტროლოს მამის ან დედის ყოველი ნაბიჯი ან კატეგორიულად უარყოს მისი გადაწყვეტილება?

ერთი ნაცნობის შვილებმა მამა უარყვეს იმის გამო, რომ მან სრულიად ახალგაზრდა მამაკაცმა (48 წლის ასაკში) ცოლის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ შეირთო მეორე ცოლი. — კაცია და რა ექნა? როდემდე ყოფილიყო უცოლოდ? ორივე შვილი გათხოვილი იყო, თავიანთ ოჯახებში ცხოვრობდნენ და მამას აიძულებდნენ, მარტოს ეცხოვრა. უფროსმა ქალიშვილმა თითიც კი დაუქნია, თუ ცოლს მოიყვან, ჩვენ დაგვკარგავო. ჯაბა ძალიან გაბრაზდა, არ დაიხია უკან და მაინც შეირთო ცოლად თავისი თანამშრომელი. 5 წლის მანძილზე მის ამბავს საერთოდ არ კითხულობდნენ შვილები. როცა მამა თანამდებობის პირი გახდა, მერე და მოიბრუნეს პირი მისკენ. ერთხანს ჯაბაც ჯიუტობდა, შვილებს ძველებურად აღარ ეკონტაქტებოდა, მაგრამ მერე მასაც გაუწელდა სიბრაზე

**პატივისცემით, თამილა ხურხეულიძე, თბილისი“**

**ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ**

**ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru**

# ვენეციელი არისტოკრატი ქალის აღსარება

დასაწყისი იხ. გზა №47

— „ჩემი ტუჩები ჩემი გულის ყველა საიდუმლოს ინახავს“... — მორჩილად ჩაიჩურჩულა პაგანინიმ და ქალს ტუჩებზე დაეწაფა.

იცოდა, რომ კამათს არავითარი აზრი არ ჰქონდა. ყურში ღამის მელოდიის ჰანგიც კი ჩაესმა. მართალია, ტონი სუფთა იყო, მაგრამ მას სხვა მელოდიაც ერთვოდა, უფრო ძლიერი — დილის, ალიონის, მზის.

1825 წლის 30 ივლისი. პალერმო. იტალია.

ნიკოლომ ნერვიულად დაჭმუჭნა ქაღალდი და მეზობელი ოთახის მიხურულ კარს შიშით გახედა. თავისი უსაფუძვლო შიშის გამო ჩაიცინა: ბიანკა პატარა აკილეს არწევდა და „იავნანას“ უმღეროდა. ამიტომ, წერილის დაჭმუჭნის ხმას ვერ გაიგონებდა — იმ წერილის, რომელზეც საშინელი, გულისმომკვლელი და მოულოდნელი ინფორმაცია ეწერა. მან ნიკოლოს ცხოვრების ფიალას კიდევ ერთი შხამიანი წვეთი შეამატა. მართალია, ცხოვრებას „შეეშალა“ და რამდენიმე კვირის წინ მაესტროს სასიამოვნო საჩუქარი მიუძღვნა აკილეს სახით, მაგრამ საერთო ჯამში ბოლო დროს ის ნიკოლოს არ სწყალობდა. მიუხედავად ბიანკას პროტესტისა, ბავშვს ჰომეროსის პოემის გმირის სახელი დაარქვა. ამ ბოლო დროს კი ცოლის ყვირილის შიში დასჩემდა. ეს ქალი თავისი სკანდალებით მეტისმეტად აშინებდა. მას არ ჰქონდა იმის შიში, რომ რომის საუკეთესო მასწავლებლების მიერ დაყენებულ საუცხოო ხმას დაკარგავდა, არ ეშინოდა, რომ ფილტვებს გაიფუჭებდა, მეზობლებს შეაშინებდა. სკანდალი და ისტერიკა მისი სტიქია იყო. მას შემდეგ, რაც გაბრაზებული ბიანკა ჭურჭლის მსხვრევას მორჩებოდა, დაღლილი და ცრემლიანი, დივანზე იძინებდა. ძილში კი პატარა ბავშვივით კრთებოდა ხოლმე. ის განებივრებული, ეგოიზმით აღსავსე ქალი იყო. მაესტროს რაღაცნაირად, ეცოდებოდა კიდეც ცოლი და შვილის გამო ყველაფერს აპატიებდა. ნიკოლო მშვიდდებოდა, როდესაც ფეხაკრეფით ბავშვის საწოლს მიუახლოვდებოდა და მის მშვიდ სუნთქვას ყურს მიუგდებდა. პატარა ხელზე ფრთხილად შეეხებოდა და იღიმოდა. „ბავშვის ღიმილი ისეთივე ამოუცნობია, როგორიც მუსიკა, სიყვარული, სიკვდილი“, — ფიქრობდა ის.

სიკვდილი... ნუთუ ის ცოცხალი აღარაა, ვინც ასე გაალმერთა? ამბობენ, მოქანდაკის ხელებში თიხა მღეროდა, როცა მას აქანდაკებდა... ახლა კი სამუდამოდ წავიდა... მაესტრომ ამის შესახებ 2 კვირის წინ, თავისი მორიგი კონცერტის დღეს შეიტყო. ვიოლინოს ხემში მაშინ მთელი თავისი განცდა და მწუხარება, მოგონებები და აუხდენელი ოცნებები ჩაატია. პაოლეტა... მათ შორის მუდამ დიდი უფსკრული


ნიკოლო პაგანინი

იყო, რომლის გადალახვაც შეუძლებელი გახლდათ. იმედი, რომ ცხოვრება არ მოითხოვდა ძვირ საფასურს იმ ნიჭის გამო, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა, მოკვდა... ის უბადლოდ ფლობდა ვიოლინოს. მის გარშემო კი ყველას ეს ინსტრუმენტი სძულდა, რადგან შიშით აღმერთებდნენ, როგორც ეშმაკისა და სატანის მიერ მოვლენილ იარაღს.

ერთხელ, განრისხებულმა ბიანკამ ვიოლინოს დამსხვრევაც სცადა. ის ეჭვიანობდა მასზე, როგორც ქალზე. „ვიოლინო მძინარე ქალის სხეულს ჰგავს“, — ამბობდა ის.

პაგანინის გული უცნაური სიამით აევსო, როდესაც ის შორეული, ტურინული ღამეები გაახსენდა. როგორი წამიერი იყო ეს მოგონება... დაუდგრომელმა პაოლეტამ საცოდავი მევიოლინე მალე გაცვალა უფრო ახალგაზრდა ჯუზეპე ფელიჩიო ბალანჯინში, სასახლის მუსიკოსსა და მაესტროს მეგობარში. გალანტური ჯუზეპე ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა. რას იზამ, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

ნაღალატევ ნიკოლოს მხოლოდ სიმშვიდე სჭირდებოდა. ის ტოსკანაში დაბრუნდა და დარწმუნებული იყო, რომ ტურინში უკვე დაივიწყეს. მადამ პოლინა ბორგეზეს იოლად შეეძლო ყველაფრის დავიწყება, რადგან მას მეხსიერებაზე მბრძანებლობა შეეძლო. რას წამოადგენდა მისთვის საცოდავი მევიოლინე? არადა, მაესტროს ბალანჯინი ნამდვილ მეგობრად მიაჩნდა. თუმცა, ალბათ ასეც ხდება, რომ ნამდვილ მეგობარს საყვარელი ქალიც უნდა გაუნაწილო.

ნიკოლომ დაჭმუჭნილი ქაღალდი გაშალა, ხელით გაასწორა, თავს ძალა დაატანა და მოლივლივე ასოებს დახედა. სიტყვები ერთმანეთს მიჰყვებოდა და წინადადებებად ლაგდებოდა:

„ნიკოლო, ვერ ვიჯერებ, რომ ის აღარაა. კუბო თავდახურული იყო, სამძიმარზე მოსული ხალხისთვის მისი სკულპტურა გამოდგეს. იმ ქანდაკებამ მისი ახალგაზრდობა შემოინახა... მას ხომ წლების ძალიან ეშინოდა... 40 წლის შემდეგ ის მარგალიტის 40 მძივს იკეთებდა, რათა კისერზე გაჩენილი ნაოჭები დაემალა. ჩემი პრანჭია პაოლეტა... გარდაცვალებამდე 2 კვირით ადრე მისი ქმარი, კამილო ბორგეზე ჩამოვიდა და პაპის, ლევ XIII-ს დაჟინებული მოთხოვნით ცოლს შეურიგდა. ამბობენ, რომ გაუსაძლისი ტკივილის დროს ქალბატონი გლეხის ქალივით იგინებოდა და ყვიროდა. ის საშინელმა დაავადებამ შიგნიდან შეჭამა. დიდი ხნის განმავლობაში ავადმყოფობდა და სასახლის ექვსივე ექიმი ირწმუნებოდა, რომ ამის მიზეზად მისი ახალგაზრდა საყვარელი, ნიკოლა დე ფორბენი იქცა. ის ძალზე ძლიერი იყო მისი სუსტი სხეულისთვის და მისი ქალური სინაზე ახალგაზრდა მამაკაცის ვნებას ვერ უძლებდა.

ექიმები უშედეგოდ ცდილობდნენ მის განკურნებას, სიმშვიდეს ურჩევდნენ და დამაწყნარებელ აბაზანებს უნიშნავდნენ; ემუდარებოდნენ, რომ დაოკებულიყო და ასეთი ვნებით არ მისცემოდა ახალგაზრდა საყვარლის ალერსს. ამას ისიც დაერთო, რომ ყოვლისშემძლე ბონაპარტი დაეცა. პაოლეტამ 4 თვე ელბაზე, ძმასთან ერთად გაატარა. არავინ ელოდა ამ ნებიერი, სიმდიდრის, ფუფუნებისა და მამაკაცის ალერსის მოყვარული ქალისგან ასეთ მსხვერპლს. მან ბონაპარტს მთელი თავისი სამკაულები მისცა, რის გამოც ეს ჭირვეული ბორგეზე ძალიან აღშფოთდა. პაოლეტამ ამას ყურადღება არ მიაქცია. ის პარიზში მხოლოდ



პაოლეტას ქანდაკება

ძმის დაჟინებული მოთხოვნით დაბრუნდა, რადგან ელბის მკაცრმა კლიმატმა მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეარყია. შემდეგ ის კვლავ ტურინში დაბრუნდა, თავის ვილაში დასახლდა და მდიდრულ მიღებებსა და წვეულებებს აწყობდა. დაუნანებლად ფლანგავდა იმ მილიონებს, რომელიც ქმარს ხელიდან გამოჰგლიჯა. ტურინელებს ის ძველებურად უყვარდათ. არ ვიცი, ნიკოლო, გიხსენებდა თუ არა ხშირად. ალბათ — არა! მან ხომ მეც მალე მიმატოვა და ისე მექცეოდა, თითქოს ვერც მხედავდა. ჩემი ოპერები კვლავ ძველებურად იდგმებოდა მის თეატრში. ერთხელ კი ხუმრობით მკითხა, შემეძლო თუ არა, რომ ამ ოპერებში მისთვის რაიმე პარტია ჩამეწერა და ემღერა. თავაზიანი უარი ვუთხარი. „რა თქმა უნდა, მომღერლად ვარ ვივარგებ, მე ხომ ვიოლინოს გაწყვეტილი სიმი ვარ. გაგიგონიათ, რომ მაესტრო პაგანინი ერთ სიმზე უკრავდა? ეს ერთი სიმი მე ვარ“, — მითხრა შემდეგ. არ ვიცი, ჩვენი პაოლეტა მართლაც სიმი იყო თუ არა, მაგრამ დამასკური, წითელი ვარდი ნამდვილად იყო... არა, ნიკოლო, ვერაფრით ვიჯერებ, რომ ის აღარაა... ვარდები ხომ ასე გვიან კვდებიან. ის, როგორც ჭეშმარიტი ქალი, სარკით ხელში მოკვდა“...

1840 წლის 18 მაისი.

მაისის ამ თბილ დღეებში პაგანინის ლაპარაკი უკვე აღარ შეეძლო. მას სუნთქვა ეკვროდა და საშინლად ახველებდა. ქაღალდის ფურცლებზე რაღაცას ჯღაბნიდა და საწოლიდან ძირს ყრიდა. ფურცლებს მაშინვე იღებდა მისი შვილი აკილე. ის მაღალი, მოხდენილი ახალგაზრდა იყო, რომელიც ყველა ახალგაზრდა ქალის ყურადღებას იპყრობდა. რამდენიმე დღის წინ ნიკოლომ ჭამაც შეწყვიტა, ვინაიდან აუტანელ ტკივილს განიცდიდა. დაუძლურებულმა პაგანინიმ ვიოლინოს ხელში აღება შეძლო. ხემს აკოცა და რამდენიმე მომაჯადოებელი ნოტის აღებაც მოახერხა. ქუჩაში გამვლელები ჩერდებოდნენ. აკილეს თვალები აუწყლიანდა და გულში იმედი ჩაესახა.

თვითონ მაესტრომ კარგად იცოდა, რომ ეს გამომშვიდობება იყო; გამომშვიდობება — სიცოცხლესთან, მუსიკასთან, იმასთან, რაც იყო და რაც აღარასოდეს დაბრუნდებოდა; ახალგაზრდობა, დიდება, სიყვარული, სამყაროს ფერები...

პაგანინი ღრმა სავარძელში იჯდა და ჭაღარა თავი უკან ჰქონდა გადაგდებული.

ღმერთო, მას ცხოვრებაში ყველაზე მეტად ქალის ხავერდოვანი კანი, მისი თითების მოფერა, ტუჩების შეხება, დაისის ფერები და ახალი მელოდიის დაბადება უყვარდა, რომელიც თავიდან, ვიდრე სანოტო ფურცლებზე გადაიტანდა, ასეთი შორეული, ამოუცნობი, დამასკური, წითელი ვარდივით



პაოლეტა ბორგეზე

სურნელოვანი იყო...

მის თვალწინ ვარდის ფურცლები გაჩნდა, რომლებიც ჰაერში ირეოდა და მიწისკენ ნელ-ნელა მოიწევდა... ისინი იმ ქალის ფეხებთან ცვიოდა, ვინც თავად ასე ჰგავდა დამასკურ ვარდს.

უეცრად, ძალზე მკვეთრად დაინახა თავისი პაოლეტას სახე, რომელიც მისკენ მოაბიჯებდა. ხელებს მისკენ იწვდიდა და რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ნიკოლო სიტყვებს ვერ არჩევდა. თუმცა, ძალიან უნდოდა, მისი ხმა გაეგონა. მაესტრომ თითები აამოძრავა და აკილეს ფანქარი სთხოვა, რომ მისი სიტყვები ჩაეწერა... ან იქნებ ნოტები, რომელიც მის გონებაში ჩნდებოდა... აკილე მიუხვდა და ქაღალდი და ფანქარი მიაწოდა. შემდეგ იატაკიდან ფურცელი აიღო, რომელზეც ეწერა: „წითელი ვარდები... წითელი ვარდები... დამასკური წითელი ვარდები“...

ასოები ქაღალდზე გაფანტულად ეწერა, მაგრამ კარგად იკითხებოდა. ეს იყო მაესტროს ბოლო სიტყვები. ამის შემდეგ მან ფანქრის ხელში აღება ველარ შეძლო.

9 დღის შემდეგ, 1840 წლის 27 მაისს მაესტრო გარდაიცვალა. იმ დღეს ბორგეზეს ბაღში დამასკური ვარდები გაიფურჩქნა...

**დასასრული**



ოთახი, სადაც ნიკოლო გარდაიცვალა

# ზარი კოსმოსიდან ანუ – „სუ, ეს ვინ გასწავლა?“

ჩემი მკითხველი უკვე შეეჩვია ჩემი მეგობრების შესახებ დაწერილ კურიოზებს. ჰოდა, ამჯერად კვლავ ერთ-ერთი ოჯახის ამბავს მოგიყვებით.



მარი ხაფარიძე

**მოქმედი „გმირები“:**
*სოფო (ჩემი მეგობარი);*
*ქალბატონი გულსუნდა (ჩემი მეგობრის დედა);*
*ზურა (ჩემი მეგობრის ქმარი — ჩასიძებული);*
*ლაშა (სოფოსა და ზურას 14 წლის შვილი);*
*ანანო (სოფოსა და ზურას 4 წლის გოგონა).*

ჩემს სტუმრობას სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ. შინ ზურა, გულსუნდა, ლაშა და ანანო დამხვდნენ.

— სოფო სამსახურიდან ბრუნდება და სადაცაა, მოვა, — ინფორმაცია მომაწოდა ზურამ.

— კი, მაგრამ 1 საათის წინ მითხრა, 10 წუთში შინ ვიქნებიო, ამდენ ხანს სადაა? — გამიკვირდა.

— რაც მანქანა ვუყიდე, იმის მერე სულ 3 საათით გვიან მოდის, — ამოიოხრა.

— რატომ? უფრო ადრე არ უნდა მოვიდეს? — კიდევ უფრო გაკვირვებული დავრჩი.

— რატომ და ჯერ ვერ დაამუღამა, ძლივს „მოფორთხავს“, მაგალითად, „პავაროტნიკს“ რომ ჩართავს, გააჩერებს, მანქანას გარს შემოუვლის, დარწმუნდება, რომ ჩართულია და მერე აგრძელებს გზას.

— აუჰ, რა საინტერესო დასანახავი იქნება, არა? — გულიანად გამეცინა.

ამ დროს ზურას ტელეფონმა დარეკა.

— აი, მირეკავს, ალბათ რაღაც პრობლემა აქვს ისევ, — თქვა ზურამ ღიმილით და ტელეფონს უპასუხა. — ჰო, პატარავ, რა მოხდა? რა დაემართა მანქანას? როგორც დაგარიგე, გახსოვს? ბენზინი ჩაასხი? ჰო? კარგი გოგო ხარ... მაინც არ იქოქება? ცუდად დადის? „გაზს“ ვერ აძლევ? რა დაემართა? აბა, ჩემო ჭკვიანო გოგო, ახლა მანქანა სადმე, გვერდზე გადააყენე. გაჩერდი? ახლა მანქანიდან გადადი, ჩემი ჭკვიანი გოგო, ახლა დაიხარე და ძირს რომ „კოვრიკი“ აგია, სიჩქარის „პედლის“ ქვემოთ იქნება შეტენილი და გამოიღე. შეტენილი იყო? დაიჭმუჭნა? არა უშავს, გასწორდება. აბა, ახლა სცადე და დაქოქე. დაიქოქა? კარგად დადის? კარგი გოგო ხარ, ახლა ფრთხილად წამოდი, მარი უკვე მოვიდა და გელოდება. კარგი, გკოცნი...

ყურმილი რომ დაკიდა, ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ. ჩვენს სიცილზე სამზარეულოდან ქალბატონი გულსუნდა გამოვიდა.

— რა გაცინებთ? ვაჟბატონო, შენ ის გირჩევნია, რომ ეს ტელევიზორი ისევ მაღაზიაში მიიტანო და გამოაცვლევინო.

— რა სჭირს ტელევიზორს, 2 კვირის წინ არ იყიდეთ? — ზუსტად ვიცოდი, რომ ახალი ტელევიზორი ჰქონდათ, რადგან მის შეძენაში თავად ვმონაწილეობდი.

— ჰო, მაგრამ გულსუნდა ამბობს, რომ გაფუჭებულია. ხომ იცი, ახლა მოდაშია, შავ-თეთრი კლიპები ან სინათლის ეფექტები. ჰოდა, გულსუნდა ამბობს, რომ ფერებს ვერ აჩვენებს. საათები დამჭირდა, რომ ამეხსნა, რაში იყო საქმე და მეგონა, რომ გავაგებინე, მაგრამ, როგორც ვატყობ, ტყუილად მქონდა იმედი.

ზურას ამ სიტყვებს გულსუნდა მოჭუტული თვალებით უსმენდა, მერე თავი გადააქნია და ისევ სამზარეულოში გავიდა. ზურამ შეთქმულივით ჩამიკრა თვალი და ამოიოხრა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონმა გულსუნდამ ლანგარზე დადებული ყავის ფინჯნები შემოიტანა და ცალი თვალით ტელევიზორს გახედა, რომელსაც ლაშა მისჯდომოდა და რაგბის მატჩს უყურებდა. გულსუნდამ უჩვეულოდ სწრაფად დადო ლანგარი მაგიდაზე, დოინჯი შემოირტყა და ზურას ნიშნის მოგებით გადახედა.

— ვაჟბატონო, გუშინ ფეხბურთს უყურე?

— კი, — უპასუხა გაოცებულმა ზურამ.

— აბა, ახლა ამას შეხედე, — გულსუნდამ თითი ეკრანისკენ გაიშვირა. ორივე ეკრანს მივაჩერდით.

— შევხედე, მერე? — კიდევ უფრო გაოცებული ხმა ჰქონდა ზურას.

— ტელევიზორი გამოსახულებას „წელავს“, ვერ ხედავ? გუშინ ბურთი მრგვალი იყო, ახლა კი ნესვივითაა წაგრძელებული. ახლაც იტყვი, რომ ტელევიზორი „ბრაკი“ არაა?

ჩვენმა ხარხარმა ლამის ჭერი ჩამოანგრია.

— ყველანაირი ნაგავი ამან უნდა მოათრიოს სახლში, — ჩაილაპარაკა განაწყენებულმა გულსუნდამ, ყავის ფინჯნები ჩამოგვირიგა და სამზარეულოში გაბრუნდა.

ამ დროს სახლის ტელეფონმა დარეკა. ვიდრე ზურა სავარძლიდან წამოდგებოდა, სამზარეულოდან გამოვარდნილმა გულსუნდამ მეტეორივით ჩაგვიქროლა და ყურმილს დასწვდა.

— დიახ, საქართველოა, — გასცა პასუხი და ჩვენკენ მობრუნებულმა ტუჩები გადმოაბრუნა, აქაოდა, ვერ გავიგე, ვინ რეკავსო. — კოსმოსიდან? — კოსმოსიდან მირეკავენ, — ყურმილს ხელი დააფარა და ჩურჩულით გვითხრა, — დიახ, დიახ, საქართველოა, — გაოცებისგან თვალები თანდათან უდიდდებოდა ქალბატონ გულსუნდას, — საქართველოა, საქართველო, გისმენთ! — მთელი ხმით ჩასძახოდა. — ადგილები?

ადგილები ალბათ აღარ გვაქვს, ყველგან დაკავებულია, ყველაფერი გაიყიდა, უკვე... კოსმოსშიც აღარ გაქვთ ადგილები? დედაა... რას აღარ გაიგონებ... კოსმოსში თუ აღარ გაქვთ ადგილი, საქართველოში გვქნება, თქვე კაი ხალხო? რა? სასტუმრო? არა, გენაცვალე, ეს სასტუმრო „საქართველო“ კი არა, კვიტინიძის ბინაა, ჩემი ბინაა, გენაცვალე...

თურმე, სასტუმრო „კოსმოსიდან“ რეკავდნენ და ნომერი შეეშალათ. აი, ასეთი კურიოზი მხოლოდ ქალბატონ გულსუნდას თუ შეემთხვევა.

ჩვენმა სიცილმა გულსუნდა გაანაწყენა.

— ასეთი რამ ყველას შეიძლება, შეემთხვას, რა გაცინებთ? ვაუბატონო, გუშინ ღამის 3 საათზე რატომ დაბრუნდი შინ? — გადაწყვიტა, ზურასთვის კარგი განწყობილება გაეფუჭებინა და წინა დღის „გრეხი“ გაუხსენა.

— ამაზე მე და სოფომ უკვე ვილაპარაკეთ, — ზურგს უკან მიაძახა სიძემ სამზარეულოში მიმავალ სიდედრს.

— აი, ასეა, — მომიბრუნდა ზურა, იცი, რას ნიშნავს მისი ნათქვამი? დილით რაიმეს დამავალებს და აუცილებლად უნდა შევუსრულო, თორემ გაუთავებლად შემახსენებს ამ 3 საათზე დაბრუნებას.

— ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენ და შენს ცოლს შეგალიეთ, — დაიწყო ქალბატონმა გულსუნდამ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მაინც ვერ გამოვდექი ისეთი სიძე, როგორიც თვითონ უნდოდა, — „გადამითარგმნა“ ზურამ.

— ყველა მისი წინადადების უკან სხვა აზრი დევს? — ძალიან მხიარულ გუნებაზე დავდექი.

— არა, ხანდახან ზუსტად იმას ამბობს, რასაც გულისხმობს, მაგალითად, როდესაც მეკითხება — „ფული გაქვს?“

— მამა, ახლა ტელევიზორში თქვეს, რომ თურმე, აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სასიძო არ იცის, ვინ არიან საცოლის ნათესავები და მათ მხოლოდ ქორწინების მერე გაიცნობს. მართალია?

— ეს აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში კი არა, ყველგან ასე ხდება, — ღრმად ამოიოხრა ზურამ, — იცი, ერთი მაგარი აღმოჩენა გავაკეთე, — მე მომიბრუნდა.

— რა აღმოჩენა?

— რა და, როდესაც ჩემი სიდედრი ტელეფონზე დაქალს რაიმეს უყვება, მხოლობითსა და მრავლობით რიცხვს ერთმანეთში ურევს.

— ეს როგორ?

— აი, ასე... ახლა გადმოგცემ მის მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემაზე ნათქვამ ფრაზებს და თავად მიხვდები. „გამარჯობა, მადონა, იცი, ჩვენ ახალი ტელევიზორი ვიყიდეთ, გუშინწინ კი მეზობელთან წყალი ჩავუშვით და ძალიან ვინერვიულე... მე ბაზარში ვიყავი და იმდენი პროდუქტი მოვზიდე, რომ მთელი 3 კვირა გვეყოფა, მაგრამ ზეთის ყიდვა დაგვავიწყდა. ამას წინათ კარადა ვიყიდეთ და ავაწყვეთ. ძალიან მაგარია, მაგრამ ზურამ სახელური მოსტეხა და ტელევიზორის პულტიც გააფუჭა. მე იმდენი საქმე გავაკეთე დღეს, რომ ფეხზე ძლივს ვდგავარ. ჩვენ რომ ოთახი გავარემონტეთ, ის ოთახი მე დავალაგე. სოფოს მანქანა ვუყიდეთ, ბავშვს ველოსიპედი შევუძინეთ, ზურამ ფანჯარა ჩატეხა და ახლა ჩავსვით. სოფო 3 დღით მივლინებაში იყო და ძალიან განვიცდიდი, რადგან მეც ჩემს დასთან წავედი და ბავშვები ზურას დავუტოვეთ“...



ამასობაში სოფოც მოვიდა. პატარა ანანო სიხარულით შეხვდა დედას.

— მობრძანდი, ქალბატონო? ანანომ საჭმელი არ ჭამა, დედა მაჭმევსო, შენ კი ძლივს მოაღწიე აქამდე... — დოინჯშემოყრილი გამოეგება გულსუნდა.

— კარგი რა, დედა, ამომასუნთქე, — რბილად უსაყვედურა სოფომ და სავარძელში ჩაეშვა. ზურა საძინებელში გავიდა, გულსუნდა — სამზარეულოში და მე და ჩემი მეგობარი მარტო დავრჩით. ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— ზურა შემეცოდა, რა დღეშია, დედაშენი სისხლს უშრობს, — გავუზიარე ჩემი წუხილი, — ერთი საათია, აქ ვარ და არ მოასვენა, სულ კბენს.

— არც ეგაა მამა აბრაამის ბატკანი, ეგეც არ აკლებს სიდედრს, — ტუჩი აიბზუა სოფომ.

— კარგი, რა, მე ხომ ვნახე, რაც ხდება?!

— ეჰ, შენ ზურას არ იცნობ...

— ქმარს ემდური? — გამიკვირდა და გავიფიქრე, რომ უბრალოდ, დედას უჭერდა მხარს.

— არა, სამდურავი რა მაქვს, მაგას და დედაჩემს რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ, სამაგალითო ოჯახი გვექნებოდა, — მითხრა სოფომ და დედამისს ცხელი კერძით სავსე, ღრმა თეფში ჩამოართვა. ეს ანანოსთვის განკუთვნილი ვახშამი იყო.

— ანანო, მოდი, დედა, — ბავშვს მოუხმო სოფომ.

ანანომ მოირბინა, დედას წინ დაუჯდა, გვერდით ფუმფულა კურდღელი მოისვა და სავახშმოდ გაემზადა. ჯერ მორჩილად უღებდა დედას პირს, შემდეგ კი გადაწყვიტა, თავისი ხელით ეჭამა. ერთი კოვზი თავად ჩაიდო პირში, მეორე კი კურდღელს პირთან მიუტანა და უთხრა: „აბა, ჩემო გოგონა, ახლა ჭამე, თორემ შენი ურჩხული ბებია მოვა, თავის „მოფლაშულ“ პირს გააღებს და შენი საჭმლიანად ხახაში გადაგიშვებს, თან ყვავივით დაიჩხავლებს, კუდს გადააქნევს და ენას გველივით აასისინებს“...

მე და სოფომ ერთმანეთს გადავხედეთ...

— სსუ, ეგ ვინ გასწავლა? — პირზე ხელი ააფარა ბავშვს.

— შენ რომ არ იყავი და მე და მამა მარტო რომ ვიყავით, ასე მაჭმევდა... — ძლივს ამოილუღლუღა ანანომ და თავისი ცისფერი თვალები შემოგვანათა...

# როგორ გავიუმჯობესოთ ცხოვრება

უმეტესწილად, პრობლემები ჩვენივე გონებიდან მომდინარეობს და ისინი რაიმე მოვლენის, უიღბლობისა და სხვა ადამიანების ქმედების შედეგი არ გახლავთ. პრობლემის უმეტესობა ჩვენი მენტალური ჩვევების გამო ჩნდება. თუ ამ ჩვევებისგან გათავისუფლდები, უამრავ პრობლემას მოაგვარებ.



## ნუ გამოიტან ნაჩქარევ დასკვნებს

ჯერ ერთი, გგონია, რომ წინასწარ იცი, რა მოხდება, ყურადღებას ადუნებ და მოქმედებას „გგონიას" გავლენით იწყებ. ადამიანები ცუდი წინასწარმეტყველები არიან და მათი უმეტესობა წინასწარ პროგნოზს ვერ აკეთებს. ამ ჩვევის მეორე მხარე ის გახლავთ, რომ გგონია, აზრების წაკითხვა შეგიძლია და ზუსტად იცი, რით არის განპირობებული ამა თუ იმ ადამიანის ქმედება. ეს მცდარი აზრია და სწორედ ეს სისულელე ანგრევს ურთიერთობებს.

## ნუ ეცდები დრამატიზებას

ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს, რომ მცირე წარუმატებლობისგან უზარმაზარი კატასტროფა შექმნას და შესაბამისადაც რეაგირებს. ბუზისგან სპილოს შექმნის ჩვევა შიშს ბადებს. სინამდვილეში კი პრობლემა ისეთი უმნიშვნელოა, რომ მის გამო ღელვაც არ ღირს. გაითვალისწინე, ეს დიდი სისულელეა და თანაც — დამღუპველი.

## ნუ მოიგონებ წესებს

ყველა „აუცილებელია" და „ვალდებული ვარ", რომელიც მუდმივად თან გდევს, უსარგებლოა. საკუთარ პასუხისმგებლობაზე ასეთი წარმოდგენა ნარვულ სტრესსა და დანაშაულის შეგრძნებას იწვევს. როდესაც ამ გამოგონილ წესებს მისდევ, გონებას უსარგებლო წინალობებით ამძიმებ. თანაც, როდესაც ცდილობ, ეს წესები სხვებს მოარგო, საშიშ, თავდაჯერებულ ფანატად გადაიქცევი.

## თავი აარიდე სტერეოტიპებსა და იარლიყებს

სიტყვებმა, რომელსაც ლაპარაკისას იყენებ, შესაძლოა, გაგცეს. კრიტიკა ნეგატიურ აზროვნებას ბადებს. მცდელობა იმისა, რომ ზოგიერთი საგანი განსაზღვრულ კატეგორიაში მოაქციო, მათ რეალურ დაიშნულებას აკარგვინებს და ამით შენი აზროვნება უსარგებლო ხდება. ყველაფერს რეალურად შეხედე და თავადაც გაოცებული დარჩები.

## ნუ იქნები პერფექციონისტი

ცხოვრება მხოლოდ „თეთრი და შავი" და „ყველაფერი ან არაფერი" არ არის. უმეტეს შემთხვევაში „საკმარისი" საკმარისს ნიშნავს. თუ იდეალური სამსახურის მოძებნას შეეცდები, სავარაუდოა, რომ მას ვერასდროს იპოვი. ამასთან, ნებისმიერი სხვა სამსახური იმაზე ცუდი მოგეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. თუ იდეალური მეორე ნახევრის ძებნას დაიწყებ, შესაძლოა, სულაც მარტო დარჩე. პერფექციონიზმი მენტალური დაავადებაა, რომელიც ცხოვრებით ტკბობის საშუალებას არ მოგცემს და გაიძულებს, მუდმივად ეძიო ის, რაც არ არსებობს.

1-2 წარუმატებლობა მუდმივ ჩავარდნას სულაც არ ნიშნავს, ხოლო უეცარი ტრიუმფი გენიოსად ვერ გაქცევს. ერთეული მოვლენა კი ტენდენცია არ არის.

## გულთან ახლოს ნუ მიიტან

მეგობრები, ახლობლები და კოლეგები დროის 99%-ს შენ არ გიძღვნიან. ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა არ გიცნობს და ალბათ, არც სურვილი აქვთ, რომ გაგიცნოს. წინსვლა და წარუმატებლობა, სხვა ადამიანების სითბო და გულგრილობა შენთან არანაირ კავშირში არ არის. თუ ისინი თავს აიძულებენ და შენდამი გადამეტებულ ყურადღებას გამოიჩენენ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდები და თავს უბედურ ადამიანად იგრძნობ.

## ნუ აჰყვები ემოციას

რასაც გრძნობ, ყოველთვის არ არის რეალურად მომხდარის მაჩვენებელი. შეგრძნება არ ნიშნავს, რომ ეს მართლაც ასეა. ხანდახან ემოციის წყარო შესაძლოა დაღლილობა, შიმშილი, გაღიზიანება ან უბრალოდ, სურდო იყოს. კარგად გრძნობ თავს თუ ცუდად, ამით მომავალი არ შეიცვლება.

## ნუ მიეცემი აპათიას

იმისათვის, რომ ოპტიმისტი გახდე, უნდა ივარჯიშო. თუ ცხოვრებისგან მხოლოდ ცუდის მოლოდინში იქნები, აუცილებლად ცუდს გადაეყრები. ნეგატიური განწყობილება იგივეა, რომ სამყაროს ჭუჭყიანი სათვალით უყურო. ასე კი მხოლოდ ნაკლს აღმოაჩენ, დანარჩენს — ვერა. ეს წესი მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებს არ ეხება. თუ პოზიტიურ განწყობილებას „მოძებნი", მას აუცილებლად იპოვი.

## ნუ იცხოვრებ წარსულით

ეს ყველაზე სასარგებლო რჩევაა: დაივიწყე და იცხოვრე! სამყაროში ყველაზე მეტი ბოროტება, იმედგაცრუება და უბედურება იმ ადამიანებისგან მოდის, ვინც წარსულ წყენასა და პრობლემებსაა „ჩაჭიდებული". რაც მეტჯერ დაატრიალებ მათ გონებაში, მით უფრო ცუდად იგრძნობ თავს. ნუ შეებრძოლები უბედურებას. დაივიწყე და ცხოვრება განაგრძე.

# როგორ მამაკაცს უნდა ერიდოთ?



როგორი კრიტერიუმით ხელმძღვანელობ, როდესაც მამაკაცს ირჩევ? გაქვს შემუშავებული რაიმე წესი თუ ინტუიციით ხელმძღვანელობ? თუ ჯერ კიდევ არ იცი, როგორ გამოარჩიო მამაკაცი ბრბოდან, ჩემი რეკომენდაციები აუცილებლად გამოგადგება.

გრაფი თარხანი

## 1. ლამაზი მამაკაცი

წარმოიდგინე, რომ ქუჩაში, შენს შესახვედრად იდეალური სილამაზის მამაკაცი მოდის — დი კაპრიოს, ტომ კრუზისა და ჯონი დეპის „კონცენტრატი". მზად ხარ, მისი თითოეული გამოხედვა მილიონად შეაფასო, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მისი ჰოლივუდის ღიმილისგან „დაბრმავებულ" თვალებში სინათლე დაგიბრუნდება. ის ისეთი ლამაზია, რომ ამ მშვენიერების გადმოცემა მხატვარსაც კი გაუჭირდება. უკვე დადნობა დაიწყე? ნუ იჩქარებ! ასეთი სილამაზის მქონე მამაკაცთან ფხიზლად უნდა იყო. ის, როგორც წესი, სხვებთან ურთიერთობის დროს „შენს ადგილს" იკავებს. სულ მალე იძულებული გახდები, პაემანი შენ დანიშნო, ყურადღება მიაქციო და საჩუქრებიც მიუძღვნა. სავარაუდოა, რომ მან შენთან შეხვედრას ფიტნესზე წასვლა ან მასაჟისტთან ვიზიტი არჩიოს. ის თავის სილამაზეს ისე უფრთხილდება, რომ ნებისმიერ ქალს შეშურდება. ლამაზი მამაკაცი მთელ თავისუფალ დროს საკუთარი სურვილების ასრულებაზე ზრუნვას უთმობს. ის ძვირად ღირებულ სალონში, რესტორანსა და საღამოებზე დადის და ამ ყველაფრისთვის ფული შენ უნდა გადაიხადო. მუშაობისთვის დრო არ რჩება, რადგან ასეთ მამაკაცებზე დიდი მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე, მისგან ერთგულებასაც არ უნდა ელოდე. უყვარს, როცა მის გარშემო ერთდროულად რამდენიმე ქალბატონი ტრიალებს. ბუნებით ეგოისტია და რთულ სიტუაციაში მისგან მხარდაჭერას არ უნდა ელოდე და თუ ბნელ ჩიხში ერთად მიმავალთ თავს ვინმე დაგესხმებათ, ის სირბილში ყველა რეკორდს მოხსნის.



## 2. ხუმარა

შესაძლოა, ერთ-ერთ წვეულებაზე ახალგაზრდა, მხიარული მამაკაცი გაგაცნონ და მთელი საღამო მასთან ერთად, მხიარულად გაატარო. ის სიტყვაუხვია და უამრავი ანეკდოტი იცის. მასთან თავს ისე კარგად გრძნობ, რომ ვერც კი ამჩნევ, როგორ სწრაფად გარბის დრო. ასეთი მამაკაცი ყოველთვის კომპანიის სული და გულია და ყველას უყვარს. თუმცა, ცხოვრება არც ისე მხიარულადაა მოწყობილი და ამ მხიარულების სევდით „შეზავება" გიწევს. ხუმარა მამაკაცს ამის გაკეთებას ვერ აიძულებ. პრობლემის გადაჭრის დროს მისგან სასარგებლო რჩევას არ უნდა ელოდე. შესაძლოა, გითხრას: „ცხოვრებას ხუმრობით უნდა შეხედო" ან „გაუღიმე ცხოვრებას და ისიც გაგიღიმებს". ამას რომ გეტყვის, ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა: „როცა გძინავს, მაშინ მაინც თუ ხარ სერიოზული?" საქმე ის გახლავთ, რომ მუდამ კარგ განწყობილებაზე ყოფნა გარკვეული კომპლექსის დაფარვის მცდელობაა. შესაძლოა, ეს წარსულში გადატანილი სულიერი ტრავმა იყოს ან უბრალოდ — არასრულფასოვნების კომპლექსი. ასეთ მამაკაცთან ბრძოლა უშედეგოა, რადგან ის მაინც ხუმრობით გიპასუხებს. როდესაც ის მარტო რჩება, აგრესიული და ბოროტი ხდება. ამას კი ერთგვარი ახსნა აქვს: მუდმივად კარგი განწყობილების შენარჩუნებას დიდი ენერგია სჭირდება, რაც გამოფიტვას იწვევს. მისი შედეგი კი გაღიზიანება და ნერვული სტრესი გახლავთ. ასე რომ, ფხიზლად იყავი, ხუმარა და მხიარული მამაკაცი მხოლოდ პერიოდულადაა „სასარგებლო".

## 3. ოქროს სკივრი

პირველ პაემანზე ის ძალიან ლამაზი და ძვირფასი ვარდებით მოვა. მეორეზე — ფუმფულა სათამაშოს გაჩუქებს, მესამეზე კი ოქროს სამკაულით მოგხიბლავს. ამ ყველაფერს ძვირად ღირებული რესტორნითა და ლიმუზინით „ამაგრებს". ნამდვილი ოცნების მამაკაცია, ოღონდ მანამდე, ვიდრე შენზე მბრძანებლობას დაიწყებს. როგორც კი თავის საკუთრებად დაგიგულებს, ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდება. საწადელს მიაღწევს

თუ არა, ვეღარაფრით დაინტერესებ. ასეთი მამაკაცი ქალების კოლექციას სწორედ იმავე ხერხით აგროვებს, როგორითაც შენ მოგინადირა. მისი უბის წიგნაკი იმ ქალების ტელეფონის ნომრებითაა სავსე, რომლებიც მზად არიან, მის დაძახილზე თუნდაც ანტარქტიდიდან ჩამოვიდნენ. ასე უმეტესწილად უცხოელი მამაკაცები იქცევიან, მაგრამ არც ჩვენები არიან გამონაკლისი. მას ერთგვარი ჰარამხანა აქვს შექმნილი და რაც მეტი ქალია ამ ჰარამხანაში, მით უფრო კმაყოფილი, თავდაჯერებული და ვაჟკაცურია.

## 4. ყურადღებიანი

ტირი, იმის გამო, რომ შეფმა უხამსად მოგმართა? იქნებ საყვარელ მამაკაცთან დაშორებაა შენი ცრემლების მიზეზი? ამ დროს, საიდანღაც „ის" გამოჩნდება, მოგისმენს, ცრემლს შეგიშრობს, თვალებს მოგწმენდს, დილით კი შემოგივლის და შენს ამბავს იკითხავს. ის ყველა მეგობარს სჯობია. თუ ეს მამაკაცი ჰეტეროსექსუალია, მაშინ დაფიქრდი... ფიქრობ, რომ ეს ადამიანი ემპათიის მაღალი დონით გამოირჩევა? რაღა თქმა უნდა, გამოირჩევა, მაგრამ გაითვალისწინე, რომ რაც უფრო დიდია შენი მკერდის ზომა, მით მეტია მისი ემპათიურობა. ასეთი მამაკაცისგან ნუ ელი გაგებას მას შემდეგ, რაც თქვენი ურთიერთობა ინტიმურ ჩარჩოში მოექცევა. თუმცა, შეიძლება, ელოდო კიდეც, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ეს „ინტიმი" მას ძალიან მოეწონება. ხშირად კამათობენ ხოლმე, არსებობს თუ არა მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის. დაიმახსოვრე, რომ ასეთი კატეგორიის მამაკაცი არასოდეს გახდება მეგობარი. მეგობრის ნიღბის მიღმა ნამდვილი მხეცი ზის. მასთან ურთიერთობისას არაა გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაურეკო და გითხრას: „აღარ დამირეკო".

## 5. მელანქოლიკი

წინა ტიპის მამაკაცის სრული ანტიპოდია მელანქოლიკი. ის არასოდეს დაიწყებს შენს დამშვიდებას და ნუგეშის ცემას. მასთან ურთიერთობისას, შენ უნდა დაამშვიდო, რადგან ყოველთვის პრობლემა აქვს. ვერც სამსახურში აქვს საქმე დალაგებული, მშობლებთანაც ცუდი ურთიერთობით გამოირჩევა. შენ კი, როგორც სიკეთით სავსე ადამიანმა, უნდა უშველო, ანუგეშო, თორემ შესაძლოა, თავი მოიკლას. ის დაგარწმუნებს, რომ შენ ყველაზე მაგარი ხარ — ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი,



მოკლე ჩართვა

# რჩევა, რომელიც გამომადგა

• ყველაზე კარგი მრჩეველი გრაფი თარხანია. მან ზუსტად იცის ყველაფერი. ხანდახან ჩვეულებრივი ადამიანი არც მგონია. ეკა.

• როცა რჩევას მაძლევენ, ყურადღებით ვუსმენ, მაგრამ მერე მე როგორც მსურს, მაინც ისე ვაკეთებ. green girl.

• დედის რჩევა, რომელიც უმეტესწილად ამართლებს, განსაკუთრებით გამომადგა პროფესიის არჩევისას. ამისთვის ულრმეს მადლობას ვუხდი ჩემს საყვარელ დედას. კეთილი ფერია.

• პოო, რჩევას ყველა მაძლევს და ალბათ, ყველა გამომადგებოდა, რომ ვითვალისწინებდე. მე ვარ ადამიანი, რომელიც შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს და თან ამას სულაც არ განიცდის.

• მე თეთრი, წითელი და შავი ანგელოზი მყავს და მხოლოდ მათ რჩევებს ვითვალისწინებ. თეთრი ანგელოზი მუდამ ზრუნავს ჩემზე და არ სურს ჩემს სახეზე ცრემლების დანახვა. წითელი ანგელოზი ოცნებას მიკრძალავს და მირჩევს, რეალობით ვიცხოვრო. შავი ანგელოზი კი მუდამ მიმეორებს, რომ მხოლოდ მე მაქვს უფლება საკუთარი ცხოვრების წარმართვის. მე ამ რჩევებს ვითვალისწინებ და მსურს, მუდამ ჩემთან იყვნენ ანგელოზები. ლუნა.

• საერთოდ, რჩევებს იქით ვარიგებ, გამთვალისწინებელი კი მოგებული და კმაყოფილია. გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს მეძახიან. ადრე ერთი უცნობი ბიჭის გარეგნობით ვიყავი ძლიერ თავბრუდახვეული. დედამ მირჩია, რომ გაიცნობ, ხასიათს დაუკვირდიო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ნამდვილი იდიოტი აღმოჩნდა. სვანის ასული.

• ყველაზე სასარგებლო რჩევა ცხოვრებამ მომცა — ყველას მოუსმინე, მაგრამ ცოტას დაუჯერეო. ჩემი საუკეთესო მრჩეველი თავად მე ვარ. ეშმაკუნა.

ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე ნაზი. ამასთან აუცილებლად გაუსვამს ხაზს, რომ სასტიკი და დესპოტი დედა ჰყავდა (ეს ფსიქოლოგიური მეთოდია, რომლის შედეგადაც სურვილი გაგიჩნდება, დედის ადგილი დაიკავო და საუკეთესო დედა იყო). ამ დროს ობობას ქსელში გახვეულ ბუზს ემსგავსები — ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, მაგრამ შენი ვამპირი შენი ენერგიით საზრდოობს. როგორც კი თავის დახსნას დააპირებ, მკერდზე მოგეყრდნობა და ინუწუნებს, როგორი საცოდავი და საწყალია. დარწმუნებული იყავი, რომ მისთვის ეს დროებითი დეპრესია კი არა, ცხოვრების წესია. მანამ გამოგიყენებს, სანამ არ მოსწყინდები და მრავალფეროვნება არ მოენატრება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, თავისი ქმედებით შოკში ჩაგაგდოს და ზრდასრული, ძალ-ღონით სავსე მამაკაცი დაინახო, რომელიც მომავალს ფხიზლად უყურებს. თუმცა, თქვენი გზები უკვე გაიყრება. ის მადლობას გადაგიხდის, მიბრუნდება და კარს გაიჯახუნებს. ამის შემდეგ ნუ დაელოდები.



აი, ასეთი სხვადასხვაგვარები არიან მამაკაცები და თუ მათ შეცნობას შორიდან შეძლებ, ბევრ შეცდომას აიცილებ თავიდან.

საერთოდ, ყველა ქალი იდეალურ მამაკაცს ეძებს, თუნდაც გათხოვილი იყოს ან მეგობარი მამაკაცი ჰყავდეს. როგორია იდეალური მამაკაცი და რატომაა გავრცელებული აზრი, რომ იდეალური მამაკაცი არ არსებობს და თუ არსებობს, მისი მოხელთება შეუძლებელია. ის თხევადი საპონივით გაძვრება თითებს შუა და რაღა თქმა უნდა, საუკეთესო მეგობარს ან სიავით განთქმულ შენს შეფ ქალბატონს ერგება. მოუხელთებელი კი იმიტომაა, რომ იდეალურია. როგორც ამბობენ, იდეალური მამაკაცი არ არსებობს, მაგრამ ამ აზრს შენი შეჩერება არ შეუძლია. დილაუთენია დგები, თავს რომ მიხედო, პომადა წაისვა, იქნებ სწორედ დღეს უნდა შეხვდე თეთრ ცხენზე ამხედრებულ ოცნების პრინცს? თუმცა, „თეთრი ცხენი" ძალზე ბანალურია და სხვათა შორის — „მერსედესიც". „ბმვ" მათთვისაა, ვინც რეალურად უყურებს ცხოვრებას, „ბენტლი" კი ყველაზე ანგარებიანი მანდილოსნებისთვის. და მაინც, ყველა ეძებს, ეძებს...

იდეალური მამაკაცის შესახებ ქალმა ბევრი რამ არ იცის. იქნებ ის ისეთია, როგორიც შენი მეგობრის ქმარი? ის ხომ ამაყობს ქმრით და იკვეხნის კიდეც. ის ხელისგულზე ატარებს თავის ქალბატონს. აი, ნამდვილი მამაკაცი! იდეალი! რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს მეგობარი ატირებული დაგირეკავს და გეტყვის, რომ მისი სუპერმენი სხვა ქალთან წავიდა და ახლა მას ატარებს ხელისგულზე. კი, მაგრამ რა მოხდა? ვინ იცის... ის ხომ ასეთი იდეალურია...

თუ ეცდები, რომ იდეალური მამაკაცი მთელი ცხოვრების განმავლობაში შენს ბრჭყალებში მოაქციო, წლების განმავლობაში უხილავ მტრებთან ჭიდილი მოგიწევს და წინასწარ უნდა განსაზღვრო, სადაა საფრთხე ჩასაფრებული, მარტოხელა, მომხიბვლელი ქალის სახით. იდეალური მამაკაცი ყოველთვის იდეალურად ჩაცმული, დანაყრებული უნდა იყოს და საუკეთესო სუნამოს სურნელსაც აფრქვევდეს. როგორ უნდა გამოიყურებოდეს იდეალური მამაკაცის იდეალური ქალი? აუჰ, ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა. საიდან უნდა გქონდეს ამდენი თავისუფალი დრო, თავს რომ მიხედო? თუ თავს არ მიხედავ, შენი იდეალური მამაკაცი ხელიდან გაგისხლტება.

აი, მითი ასეთია. იქნებ, ეს მითი კი არა, რეალობაა? გყავთ ნაცნობი იდეალური მამაკაცი? ან ნაცნობის ნაცნობი?!

როგორ უნდა მოიქცე, თუ იდეალურ მამაკაცს ვერ გადაეყრები? ისღა დაგრჩენია, მთელი ცხოვრება ძებნაში გაატარო.... თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი. შეგიძლია, იდეალური მამაკაცი თავად შექმნა — ასწავლო, როგორ უნდა დალიოს (უფრო სწორად, საერთოდ არ დალიოს), როგორ ჭამოს და ჩაიცვას, როგორ გაჩუქოს ყვავილები, იყოს გალანტური, მომთმენი და ზრდილობიანი, მაგრამ საინტერესოა, როგორ უნდა იქცეს ის საყვარელ მამაკაცად? გადაკეთებით კი გადააკეთებ, გამოძერწავ, მაგრამ რაში გჭირდება ასეთი მამაკაცი? მისი ყველა საქციელი ხომ წინასწარ გეცოდინება, რადგან თავად ასწავლე... და ისევ დაიწყება ძიება იდეალური მამაკაცისა. მერე კი ისევ იმ აზრამდე მიხვალ, რომ იდეალური მამაკაცი არ არსებობს.

●





# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა

• „მე, შენ და საქართველო, ოდელია, რა-ნუ-ნი!“ :) GREEN GIRL.

• „აბა, ერთი კაციც და გავდივართ!“ კოზანოსტრა.

• „ემანსიპაციის შედეგი“.

• „— მააწექ, დედაკაცოოო, წინ ნათელი მომავალიააა! წინ, ნატოსკენააა!

— იიი, მეხი კი დაგათხლიშე შენც და შენს ნატოსაცა!“ საჩალელი.

• „წინ, რუსებისკენ! დაგენძრააააათ!“

• „ავეჯის გადაზიდვის სერვისი... 25.60.60“. აფერისტკა.

• „ა, ასე ვაშენებდით „გზავნილიორკს“. სად იყო მაშინ ამდენი ტექნიკა? სულ წვალებით ავაგეთ ყველაფერი. ასე ვცდილობდით საქმის დაძვრას“. ეშმაკუნა.

• „მააწე, მაროოოო!“

• „წინ, განათებული საქართველოსკენ! 2800 წელი, სადაც უკვე ყველაფერი გალამაზებულ-შეღებილია, ყველა უზრუნველად ცხოვრობს. მიშა და ეს „მალიარი“ ტიპი ბუხართან სხედან, პუტინი ლანგრით სიგარას მიართმევს და ვახშამზე ობამას ელოდებიან“. თაისი.

• „მაგრად მააწექ, ქალოო, იქნებ მალე მოვრჩეთ ქუთაისის კეთილმოწყობას, თორემ სულ „კეთილებს“ გვიგინებენ, ქუთაისელები“. თაისი.

• „— კაცო, დააყენე ის საბურავიც, გავწყდი წელში.

— ცოტაც გაუძელ, ქალო, აგერ, გამოჩნდა ვულკანიზაცია“. 9717.

• „— წინ, ნატოსკენ!

— ახლა წაგიღებ და „სვალკაზე“ დაგაგდებ, მამინდომა ნატო და ბოზებში სიარული!“

• „უჰ, რაც ამ ფოტომ წარწერა დაკარგა, სულ მე ვიპოვე“.

• „გენდერული უთანასწორობა“.

• „ქართველ კაცთა 89%-ის ნამდვილი სახე. ქალები საზღვარგარეთ არიან, მათი გამოგზავნილი ფულით კი ქმრები სახლებს ყიდულობენ, რემონტს აკეთებენ და წუწუნებენ, უჰ, დავიღალეო“. თაისი.

• „მონტე-კარლოს რბოლის ტრეკზე ქართული საჯინიბოც გამოჩნდა“. ნ. გაფრო.

• „ნათელი მაგალითი იმისა, რომ როდესაც კაცს ცოლი მოჰყავს, ქალს ეკისრება მძიმე საქმის შესრულება, კაცი კი ან ფეხს ფეხზე გადაიდებს, ან ნერვებს უშლის“. ვიკა.

• „2112 წელი, საქართველო.

ცოლი: აეთრიე, შენი დედა მ...ნ! მაცალე, ამას მივწევ და მერე ჟუდელი მაქვს გასალესი.

ქმარი: ჰო, საყვარელო, მალე მორჩი და მერე კაფეშიც წამიყვანე, რაა“...

• „მააწე მაროოო, დეენძრა რუსეთს!“ ირაკლი.

• „საყვარელო, უკვე გადამიყვარდი, ახლა დაგსვამ, დავქოქავ და გაგაქროლებ პირდაპირ ჯანდაბაში. იქ შენამდეც ბევრი გამიგზავნია და უკან არც ერთი არ დაბრუნებულა. იმედია, არც შენ იქნები გამონაკლისი“. იკუშკები.

• „ვაიმე, ძალიან ცუდად ხარ? :-( რამდენი დაგრჩა?“

• „ბათუმის იაფფასიანი მეტრო — დაჯექი და „იკატავე“. სოფუშკა.

• „გაუმარჯოს თანასწორუფლებიანობას!“ უჭკო.

• „ასეთია ქალის ხვედრი“. თეო.

• „ყველაზე ორიგინალური თაფლობის თვე“. აზიელი.

• „— მიდი, მიდი, გეინძერი, მამაწექი ცოტა ჩქარა, ფასადები გადავღებოთ, მიშამ ასე დაგვიბარა. — გედირიე ბიჭო შენე, რა დროს ფასადების დროა? თუ გეიგო მედვედევმა, ხელმეორედ, ისევ მოვა. ეს ურიკა გადავმალოთ, სანამ მართლა გეიგებენ, უნიტაზის მომპარავნი, ამასაც ქე წეიღებენ“. მაესტრო.

• „მააწექ, დედაკაცო, მარა ემანდ, არაფერი გაგძვრეს“. ტიფოზი.

• მაგ ფოტოს, შენ რომ გაუკეთე, ის წარწერა მაგრად უხდება. მე დავამატებ — „წინ დასხედით, მალე მიხვალთ!“

• „შენს ქალს მიხედე, ნატო სახლში არ დაგხვდებააა“... დაჩი.

• „ნატოში დემოკრატიის გარეშე არ მიგიღებენ, ქალი უნდა დასვა და შენ მიაწვე“. დაჩი.

• „ეგ თუ ტანკია, ბიჭუნი, მაშინ ლულაც გამოაჩინე“. ელენიკო.

• „პუტინ, მიზანში ხარ!“ ●

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

**„აქეთ მზე, იქით მთვარე, ღმერთო, შენ გთხოვ, დამიფარე"...**



*დასაწყისი — „გზა", №38-47*

მარი ხაფარიძე

არავითარ ვალდებულებას არ ვგრძნობდი ნიცას წინაშე, მაგრამ თითქოს თავი მაინც ვიგრძენი დამნაშავედ. ახლა ვცდილობდი, ისეთი რამ მეთქვა, რომ გოგონა გამენაწყენებინა.

— იცი, რა? მაგ სულელ ქალს ენას ამოვგლეჯ, — დავემუქრე ვიტალის ნაშას, — საიდან მოიტანა, რომ ოთახში მარტო არ ვიყავი? შინ რომ მივედი, ბიჭები საქეიფოდ ემზადებოდნენ, ორივეს თავისი საყვარელი ჰყავდა მოყვანილი, მათთან ერთად რა უნდა მეკეთებინა? წავედი და დავიძინე, თანაც, ხომ იცი, როგორი დაღლილი ვიყავი?!

— მომატყუა? — მივხვდი, როგორ გაუხარდა.

— ჰო, აბა რა, მაგისგან ყველაფერს უნდა ელოდე...

— მე კი მეგონა...

— გეგონა... გეგონა... — გავაწყვეტინე სიტყვა. — ამის მერე, თუ სხვის ნათქვამს დაიჯერებ და ამის გამო ჩვენ შორის შავი კატა გაირბენს, იცოდე, შენს თავს დააბრალე, — გავთამამდი მისი მიამიტობით და უკვე მუქარაზეც გადავედი.

ნიცა გაჩუმდა.

მე კი იმაზე ვფიქრობდი, რაში დასჭირდა მარინას სიმართლის მიხლა? მან ხომ არ იცოდა, ვინ მკითხულობდა?

მოკლედ, ყველა ქალი ერთნაირია, რა...

აზრი წარსულში გამექცა...

მაშინ თბილისში ვცხოვრობდი და II კურსის სტუდენტი ვიყავი. მეგობრებმა მოვილაპარაკეთ, რომ მშობლებს ფულს გამოვართმევდით და ქალებში წავიდოდით. ჩვენ შორის ერთი, ჯარიდან ახალდაბრუნებული, შესაბამისად — ასაკით უფროსი ბიჭი, ჯაბა იყო და ინიციატივაც მისგან მოდიოდა.

საღამოს შევიკრიბეთ, ყველანი ადგილზე ვიყავით და ჯაბას ველოდით. აგვიანებდა და ძალიან ვნერვიულობდით, რადგან ქალები მას უნდა მოეყვანა და თუ არ მოვიდოდა, ყველაფერი ჩაიშლებოდა.

როგორც იქნა, მოვიდა. ყველანი მივვარდით და კითხვები დავაყარეთ:

— სად არიან ქალები?

— მარტო რატომ მოხვედი?

— გადაგვაგდე?

ჯაბამ ძლივს დაგვაწყნარა, ტაქსი გააჩერა და ყველანი შიგნით შეგვტენა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტაქსი კერძო სახლს მიადგა. სამსართულიანი სახლი იყო, ლამაზი ეზოთი.

— სად მოგვიყვანე? — ვიკითხეთ ერთდროულად და პირდაღებულები ვიყურებოდით აქეთ-იქით.

ჯაბა სახლში შეგვიძღვა. შინაურულად მიიღეს, ეტყობოდა, აქაურობის ხშირი სტუმარი იყო.

ჩვენ გვეგონა, სტუმრად მივედით, თურმე ბორდელი ყოფილა. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი გამოგვეგება, ჯაბა გადაკოცნა, ჩვენ შეგვათვალიერა...

ჯაბა კარგა ხანს რაღაცას ეჩურჩულებოდა, მერე კი 12 გოგო გამოვიდა და ჩვენ წინ ჩამწკრივდა.

— აბა, ბიჭებო, ამოირჩიეთ, რომელიც გინდათ, — გვითხრა და განცალკევებით მდგარ გოგოს, რომელიც მე ყველაზე მეტად მომეწონა, ხელი გადახვია.

ყველაზე თამამი მე აღმოვჩნდი. გოგონებს ჩამოვუარე და ყველა სათითაოდ შევათვალიერე. ბოლოს იმ გოგოს მივადექი, ჯაბასთან რომ იდგა.

არა, ეს გოგო აშკარად

**კარგი, ოღონდ, ერთი პირობით — ჩემთან უნდა დაწვე. თუ უარს მეტყვი, იცოდე, რომ შენს საიდუმლოს გამოვააშკარავებ**

ყველას სჯობდა.

— მე ამას ვირჩევ-მეთქი, — ვთქვი, მკლავში ხელი ჩავავლე და ჩემკენ მოვზიდე. მერე გარშემო შემოვუარე და მოწონების ნიშნად თავი დავაქნიე.

ჯაბას გაეცინა.

— კარგი, რადგან ეს მოგწონს, ეს იყოს, დღეს დაგითმობ, — მითხრა და გოგონას ხელი მსუბუქად ჰკრა.

ყველანი ცალ-ცალკე ოთახებში განვმარტოვდით.

იმ დღეს მეძავთან პირველად ვიყავი. აღაც მახსოვს, პირველად ქალის სხეულის გემო როდის გავიგე და მას შემდეგ მუსუსის სახელიც მოვიხვეჭე, მაგრამ ამ საქმეში ფული არასოდეს გადამიხდია. თითქოს შებორკილი ვიყავი, დავიმორცხვე კიდეც... შემდეგ კომპლექსი მომეხსნა...

— ლამაზი ხარ, — ვუთხარი ჩემს მკერდზე თავდადებულ ქალს.

— ვიცი, ოღონდ ახლა არ დამიწყო — რატომ ბოზობ, რა გაიძულებს, აქედან წადი და პატიოსანი შრომით ირჩინე თავიო...

— არა, მორალის კითხვას არ ვაპირებ, — ვუთხარი და წარმოვიდგინე, როგორ არიგებდნენ ჭკუას დღეში რამდენჯერმე.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ არ აპირებ, თორემ უკვე გული მაქვს გაწყალებული. მოვა ფულიანი, გაზულუქებული ბიძა, ჯერ უმოწყალოდ, ყველა პოზაში გამჟიმავს, მერე გაითხლაშება საწოლზე და ჭკუას მარიგებს, რომ ასე ცუდად არ უნდა ვიქცეოდე, რომ დროა, გონს მოვეგო და ოჯახი არ შევარცხვინო. მათი პირიდან მოსმენილი ბრძნული რჩევა-დარიგება სასაცილოა და მეტი არაფერი, — გულიანად გაიცინა ქალმა.

ის იყო, წამოდგომა დავაპირე, რომ საიდანღაც ქალის ყვირილი გავიგონე. წამოვხტი, წამებში ჩავიცვი და გარეთ გავვარდი.

დერეფანში ჩვენი ბიჭები წამომეწივნენ. ყველანი იქით გავრბოდით, საიდანაც ხმა მოდიოდა. კარი ჩაკეტილი დაგვხვდა და იძულებული გავხდით, შეგვემტვრია. პირველი ჯაბა შევარდა ოთახში, მერე ჩვენც მივყევით. ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი იატაკზე დაგდებულ, შიშველ ქალს ზევიდან წამოსჯდომოდა და უმოწყალოდ სცემდა.

როგორც იქნა, ავაგლიჯეთ გამხეცებული კაცი და გარეთ გავათრიეთ.

დათო ქშინავდა, თვალებს გიჟივით ატრიალებდა, პირიდან დუჟი სდიოდა და ისევ ქალისკენ მიიწევდა. როგორც იქნა, დიასახლისიც გამოჩნდა და გოგონა წაიყვანა.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, თურმე დათოს ქალთან არაფერი გამოსვლია და გამხეცებულს ცემა დაუწყია.

ის ბიჭი იმ დღის შემდეგ ლექციებზე არ მოსულა. მე კი ამ დაწესებულების ხშირი სტუმარი გავხდი. ჩემი პარტნიორი უცვლელი იყო, ყოველთვის მას ვირჩევდი, ვისთანაც პირველად ვიყავი. ისე გავშინაურდით, რომ ვიოლეტას ხანდახან კაფეშიც კი ვეპატიჟებოდი. ჩვენი „დუეტი“ მას შემდეგ დაიშალა, რაც მე რუსეთში წამოვედი.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც თბილისში, ახლო ნათესავის ქორწილში ჩავედი, ვიოლეტას ისევ შევხვდი, ოღონდ, ამჯერად — შემთხვევით. ის პატარძალი იყო. თვალები გამიფართოვდა, როცა თეთრ კაბაში გამოწყობილი ვიოლეტა დავინახე. ჯერ ვიფიქრე, რომ ძალიან ჰგავდა, მაგრამ მის თვალებს რომ შევხედე, ისე მიყურებდა, მივხვდი, კი არ ჰგავდა, ნამდვილად ვიოლეტა იყო.

ქორწილის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მის ოთახში შევედი. მარტო იყო, სარკესთან იჯდა და თავის თავს გაშტერებული უყურებდა.

— აქ რა გინდა? — მკითხა ჩახლეჩილი ხმით.

— შენი ძვირფასი მეუღლე ჩემი ნათესავია, — ვუთხარი და კაბის ქვეშ ხელი შევუცურე.

— გთხოვ, არ გინდა, — თვალები აუწყლიანდა ქალს.

— როგორ, შენ ფიქრობ, აქედან ისე წავალ, რომ შენ არ გაგეიმავ? — ვკითხე და გავიცინე. იმ წუთს ძალზე საშინელი შესახედავი ვიქნებოდი, სახეზე დამცინავი ღიმილი აღმბეჭდვოდა და თვალები სიბრაზისგან ჩასისხლიანებული მქონდა.

— მინდა, რაღაც გთხოვო, — ჩურჩულით მითხრა და თვალი თვალში გამიყარა. თან ჩემი ხელი მუხლისთავიდან მოიშორა.

— რა უნდა მთხოვო? გინდა, რომ საიდუმლო შეგინახო?

ვიოლეტამ თავი უხმოდ დააქნია.

— კარგი, ოღონდ, ერთი პირობით — ჩემთან უნდა დაწვე. თუ უარს მეტყვი, იცოდე, რომ შენს საიდუმლოს გამოვააშკარავებ, — შანტაჟზე წავედი.

— კარგი, — დამეთანხმა უცებ.

— ახლა, აქ და ამ წუთში, — ბრძანების კილო მქონდა.

— არა, ახლა არა, პირველი ღამე ჩემს ქმარს ეკუთვნის...

— პირველი? რომელი პირველი? — ხმამაღლა გავიცინე, უფრო სწორად, გადავიხარხარე, — შენ, რა, „გაიკერე“? ვაა, „მალადეც“!

საუბარი ოთახში შემოსულმა სიძემ გაგვაწყვეტინა. ვიოლეტას გვერდით დადგა, მხარზე ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

— ხომ ლამაზი ცოლი მყავს? — მკითხა შემდეგ.

ის საღამო გამახსენდა, როცა ვიოლეტა პირველად ვნახე. თვალნათლივ დავინახე, ჯაბას რომ ჰქონდა ხელი გადახვეული...

ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც მაშინ. — ვიოლეტას მივუახლოვდი, მკლავში ხელი მოვკიდე და ჩემკენ მოვქაჩე. გარშემო შემოვუარე და მოწონების ნიშნად თავი დავაქნიე...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სიტყვა „ხვალე“
ზარმაცებისა და მშიშარა
ადამიანებისთვისაა მოგონილი.



# გზავნილები

27.11-3.12.2008

მარი ჯაფარიძე

# ჯადოქრობის მსხვერპლი

## შეურაცხადის იარლიყი და ჯადოსნური სამაჯური ანუ ბუ, ჰე, ჰე, ჰეეე!



კიდევ ერთი ხუთშაბათი მოვიდა და კიდევ გამარჯობა! მგონი აცივდა, რას იტყვით? რა სჯობია ახლა სადმე, სოფელში ყოფნას და ბუხრის პირას კაკლის მტვრევას, მაგრამ ჩვენ იმდენი საქმე გვაქვს, რომ ბუხრის პირას დასაჯდომად არ გვცალია. დღევანდელ „გზავნილებს" ერთი თხოვნით დავიწყებ: თუ ვინმემ იცით, რა დავუშავე ლუციფერს, იქნებ არ დაიზაროთ და შემატყობინოთ?! რამდენიმე დღის წინ მომწერა, მაგრად არ მევასები, გაუმარჯოს ლიკა ქაჯაიასო. ლიკას ენაცვალოს ჩემი თავი, „მევასება" კი არა, მაგრად მიყვარს, მაგრამ მე რით დავიმსახურე ლუციფერის წყრომა? თუმცა, გასაგებია, ყველას მოსაწონი ვერ იქნები, ვიღაცას ალბათ არ მოვწონვარ, ვიღაცას ვძულვარ კიდეც... ასეთია ცხოვრება... ყველას რომ უყვარდე, ან „კარგი ამინდი" უნდა იყო ან „ბევრი ფული"; მე კი სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერც ერთი ვერ ვიქნები. ჰოდა, რას ვიზამთ, ბედს შევეგუები და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

## „ნაბაგუნები", წაგებული და თავგატეხილი

„ჯადოქრობის მსხვერპლი ვართ მთელი უბანი. ჩვენს მეზობელ თამთას ვერანდიდან გაფენილი „ტრუსიკები" დაეკარგა. მკითხავმა ცისმარამ უთხრა — შენი ახლობლის ხელი ურევია, ჯადოს გიკეთებსო და დაჭამეს ერთმანეთი მან და მისმა მაზლის ცოლმა. ლაშას ცოლი რომ უბაგუნებს ყოველღამ, მეზობლები უკეთებენ ჯადოს და იმიტომ! ნუგზარამ ტოტალიზატორში რომ წააგო თბილისის ხუთოთახიანი ბინა, ესეც ჯადოს ბრალია. ცისმარამ თქვა და! მთვრალ კაკოს რომ თუთის ხე „გადაუდგა წინ" და თავი გაიხეთქა... ჰოო, ეს უკვე „ქიმსალა" ბებიაჩემის თვალების ბრალია. ჰა, ჰაა! „ქიმსალას" ეძახის. არადა, ჭკვიანი ქალია, „დაცუცუნებს" თავისთვის. ჰო, ჩვენს უბანში ამ ბოლო 3 წლის განმავლობაში 4 ბავშვი გააჩინეს გასათხოვარმა, პატიოსანმა, „კაცუნახავმა" გოგონებმა და ნეტავ, ესეც ჯადოქრობის ბრალია? კაქკაჭი".

## კეთილი ბაბუა

„წინა ზაფხულს ბიძაჩემს ვეხმარებოდი რესტორანში — ოფიციანტი ვიყავი. ძალიან მაგრად ვხალისობდი. ჩემი მოხუცი ბაბუაც იქ იყო ხოლმე. ჩვევად ჰქონდა — როცა კლიენტები მოვიდოდნენ, დარბაზში გამომყვებოდა ხოლმე და ესალმებოდა. ერთ დღეს, საქეიფოდ 4 ასაკოვანი კაცი მოვიდა. ბლოკნოტით გამოვედი და ბაბუაჩემიც გამომყვა. კაცები ჯერ შემოსულებიც არ იყვნენ, რომ პირში მიახალა: — აგერ, ეს ჩემი შვილიშვილია და ყველანაირად მოგემსახურებათო. კაცებმა სიცილი ატეხეს, არა, ბიძია, ჩვენ ყველანაირი მომსახურება არ გვინდაო. აუ, წარმოიდგინეთ, რა დამემართა. შუქნიშნის ფერებმა გადამიარა სახეზე... წუნკალა".

## შეურაცხადის იარლიყი

„მარის ჯადოქრობის მსხვერპლი ამჯერად მე ვარ. დიდი ხანია, არ მომიწერია და მაგრად მომენატრეთ. დღეს უნივერსიტეტში მივედი, რაფერცხა იქნა (როგორც ჩემი ლექტორი იტყოდა). ჰოდა, თურმე ლექცია მიცდებოდა. ყველა წავიდა, მე კი ცარიელ აუდიტორიაში შევძვერი და „გზას" ჩავუჯექი. ჰოდა, იმდენი ვიცინე, მთელი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები მე შემომეხვივნენ, — არიქა, შიზოფრენიის ანომალიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმეო და კინაღამ შეურაცხადის იარლიყსა და თეთრ ბილეთს გამოვკარი ხელი. :) უი, მინდოდა, ჩემს მეგობრებზე მომეთხრო. სასწაული ნაცნობები მყავს (ბიჭებს ვგულისხმობ). გუშინ ერთი იმდენს ელაპარაკა მეორეს — კბილის პასტა პლანის ექსტრაქტზეა დამზადებული და მაგარი კაიფი მოაქვსო, რომ ამ დებილმა დაიჯერა და ჭამა. ჰოდა, მთელი საღამო უნიტაზს ვერ ავაბდღვენით. :) მეორე სასწაულად მეტყველებს — „კოსტუმ-შარვალი", „ესკევატორი"... ჯერ 3 დღე აფთიაქში კითხულობდა, წითელწყაროს სულგუნი მინდაო, დღეს მაღაზიაში შევიდა და „სასისკიანი კალბასი" რა ღირსო? — გამყიდველს ჰკითხა. 2 დღეა, ჩემს კომპიუტერს რაღაც ვირუსი შეეყარა. გიოს ვთხოვე, „ვინდოუსის" დისკი მათხოვე, გადავაყენებ-მეთქი. რა მითხრა, იცით? შენს „კომპის" „ვინდოუსის" გადაყენება არ უშველის, მაგარი ვირუსი აქვს და „ფერვექსი" შეასხიო. :) მეტეხის ტაძრის ხედმა და ერთმანეთს ჩახუტებული წყვილების ხილვამ ისე აღაფრთოვანა დათო, რომ გამოსვლისას რკინის ფირფიტაზე გაფრთხილება დატოვა: არ „იზასაოთ", მეხი დაგეცემათო. :) ილინი".

## ბუ, ჰე, ჰე, ჰეეე...

„16 წლის პატარძალს, ანას, ჩვევად ჰქონია დედამთილის შეშინება. კარის უკან აიტუზებოდა და შინ შემოსულ დედამთილს გულს უხეთქავდა — გამოვარდებოდა, ვაუო, დაიძახებდა და შედეგი? დედამთილის აჩქარებული პულსი, აწეული წნევა და დაფეთებული თვალები... ერთ დღეს ანამ სადილის მომზადება განიზრახა. იმის შიშით, რომ არაფერი დაელეწა, დედამთილიც ეხმარებოდა. ხახვი დასჭირდა ანას და დედამთილმა მიუტანა — შენ არ შეწუხდე, შვილოო. მერე მწვანილიც მიუტანა და ტომატი რომ დასჭირდა, დედამთილმა უთხრა, ახლა შენ მოიტანეო. ანაც გაქანდა. სანამ ტომატს მოიტანდა, დედამთილმა ცოტა იცელქა — კარის უკან დაიმალა და როცა ანა ოთახში შევიდა, სამაგიეროდ გადაუხადა. ვაუო, დაიძახა და ლამის ზეზეულად მოკლა რძალი. ტომატი ძირს დაენარცხა, ანამ კი სამუდამოდ დაივიწყა მავნე ჩვევა. ლუნა".

## მკურნალი

„სოფელში, ბებიაჩემის მეზობელ მარგოს თურმე სულ ცივი ჰქონდა ფეხები და ყოველ საღამოს, ქმართან ერთად რომ იძინებდა, ქმარი ეჩხუბებოდა — გასწი ქალო, შენი ცივი ფეხებიო. ჰოდა, ასე ყვირილ-ყვირილში გადიოდა წლები. ერთხელ მარგომ გაიგო, რომ ქალაქში არის ექსტრასენსი, რომელიც ყველაფერს არჩენსო და იმ იმედით, რომ მასაც ეშველებოდა, ქალაქის გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს მივიდა დანიშნულების ადგილზე და სამ სეანსზე ჩაეწერა, მაგრამ ბედი არ გინდა? სანამ ქალი მკურნალობდა, მისი ქმარი გარდაიცვალა. საწყალი ქალი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, მაგრამ მისი ქმარი აღარ იყო ცოცხალი და ვინღა უნდა გაეთბო? აი, ასე შველიან ექსტრასენსები. კოზანოსტრა".

## ჯადოსნური სამაჯური

„ჯადოქრობის კი არა, „აფერისტობის" მსხვერპლია ჩემი მეგობარი. წინადღეს მკითხა, ხელზე სამი სამაჯური



## ჯიუტი სული

„ჩემს დაქალზე მოგიყვებით, რომელმაც რაღაც რიტუალი ჩაატარა, ასოები დაწერა, თეფშში დადო და მოკლედ, როგორღაც საიქიოდან სული გამოიძახა. ეს სული თეფშის მეშვეობით წერდა და ელაპარაკებოდა, თურმე (უუჰ, მაჟრჟოლებს ამის გაფიქრებაზეც კი). ბოლოს, როცა საქმე სულის უკან დაბრუნებაზე მიდგა, გაჯიუტდა „სტუმარი“ და მხოლოდ დიდი ხვეწნა-მუდარის მერე ინება საიქიოში წაბრძანება. ერთი კვირის მერე მომიყვა დაქალი ყველაფერს და ჯერ კიდევ ისე იყო შეშინებული, რომ მეც ავკანკალდი. აი, სული რომ არ წასულიყო, მართლა ჯადოქრობის მსხვერპლი გახდებოდა. ასეთი რიტუალების არ მჯერა, მაგრამ ჩემი მეგობარი კი კარგა გვარიანად შეშინდა. აბაა! P.S. ძველო მგზავნელებო, დაბრუნდით, რა... ლელუჩია“.

რად გინდაო? იმდენჯერ მკითხა, რომ ტვინი გახეთქა. ჰოდა, მეც ცალკე გავიყვანე და ვუთხარი, ერთ საიდუმლოს გეტყვი და შემინახე-მეთქი. მთელი სანათესავო დავაფიცებინე და მერე ვუთხარი — აგერ, ხელზე რომ 3 სამაჯური მიკეთია, ეს სამაჯურები ჯადოქარს გამოვართვი, მოჯადოებულია და ამ სამაჯურების წყალობით ვარ ძლიერი-მეთქი (ისე, სიმართლეს ვამბობ, რეგიონში პირველ ადგილზე ვარ მკლავჭიდში და მაგის გარდა კიდევ მაქვს მიღწევები სპორტის სხვა სახეობებში). ჰოდა, ეს რომ ვუთხარი, თვალები გაუფართოვდა და იმ დღის შემდეგ მეხვეწება, ერთი დღით მაინც მათხოვე, შენი სამაჯურებიო. აბააა! კოზანოსტრა“.

წლებია, ჯადოსა და წამლების ქვეშ ამყოფებს იმ კაცს და ასე ინარჩუნებს. თუ წამალმა მოქმედება დაკარგა, მაშინ ახსენდება კაცს საყვარელი ცოლი და შვილები და პატარა ბავშვივით ტირის. მან ერთი შვილი სულ ახლახან გაიცნო, რომელიც 12 წლისაა. ცოლი დღესაც მისტირის, გლოვობს დაკარგულ სიყვარულს და ბედნიერებას, რომელიც ჯადოქრობამ დააკარგვინა. ეშმაკუნა“.

## ოჯახის დამანგრეველი

„ჩემი მეზობლები სიყვარულით დაქორწინდნენ. უბედნიერესები იყვნენ, სანამ ვიღაც, ასაკით უფროსი ქალი არ გამოჩნდა ქმრის ცხოვრებაში. მოსიყვარულე ქმარი უცებ შეიცვალა, სახლში იშვიათად მიდიოდა, შვილები აღარც ახსენდებოდა, ერთ დღეს კი სულ წავიდა იმ ქალთან.

## „კუდიანომანია“

„ერთხელ დაქალთან ვიყავი. ღამე იყო და „კუდიანომანიით“ შეპყრობილებმა, შავი წიგნი შევკარით, შიგ მაკრატელი ჩავდეთ, შუქი ჩავაქრეთ და წავიდააა... მოკლედ, სულთან „ჭორაობაში“ ვიყავით გართული, კარის ხმა რომ გავიგეთ, რასაც უცნაური, არაადამიანური ხრიალი, ქშენა და შემდეგ ხარხარი მოჰყვა. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, იქ რა მოხდა? ერთი დაქალი ფანჯრიდან გადახტა, მეორე საწოლის ქვეშ შეძვრა, მე კი, როგორც გულადმა, მაკრატელს ვტაცე ხელი, „ეშმაკს“ ზურგზე შევახტი, წავაქციე და გამწარებული ვკიოდი. თქვენ უნდა გენახათ ჩვენი რეაქცია, შუქი რომ აინთო და სიცილისგან გადაბჟირებულ დაქალის ძმას ვეჯექი ზურგზე. იმას რა დაემართა, ეს უკვე თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, მაგრამ იმ დღის შემდეგ აღარ მიცდია კუდიანობა. ამ ზაფხულს კი დედულეთში ვიყავი. ჰოდა, დედაჩემის ბიძაშვილები მაინც ავტეხე, სული გამოვიძახოთ-მეთქი. დაღამდა, გავამზადეთ ყველაფერი, ავანთეთ სანთელი და დავიწყეთ... თეფში ისეთი სისწრაფით დაქროდა ქაღალდზე, რომ თვალები შუბლზე ამივიდა, მაგრამ ურწმუნო თომასავით ავიჩემე, არ მჯერა, რომ მართლა სულია-მეთქი. ჰოდა, გაბრაზებულმა სულმა გააპროტესტა და ერთადერთი, იმას წერდა, ლელა გავიდესო. ლამის გული გამიხეთქა, მაგრამ რა გინდა? რაც თქვა, ყველაფერი ახდა.

## დაუპატიჟებელი სტუმრები

„მაშინ პატარა ვიყავი. მე და დეიდიკო სასეირნოდ წავედით. გზაში დედაჩემის ნაცნობი ქალი შეგვხვდა. მოკლედ, დაიწყეს ქაქანი და ასე ქაქანით გავუყევით გზას. ერთ შენობას მივუახლოვდით, ავედით კიბეზე (იტალიური ეზო იყო) და შევაღეთ ბინის კარი. დასხდნენ დედა და ის ქალი სამზარეულოში, მაგიდაზე სიგარეტი იდო, გააბოლეს, ყავა მოადუღეს, თან გაუჩერებლად ქაქანებდნენ. ის-ის იყო, ყავის დალევას მორჩნენ, რომ ვიღაც ქალი შემოვიდა ხალათით — თქვენ ვინ ბრძანდებით და ჩემს სახლში რა გინდათო? :) უნდა გენახათ, სიცილისგან როგორ ვხოხავდით. იმ ქაქან-ქაქანში დედაჩემს ეგონა, იმ ქალის სახლში მივედით და იმ ქალს ეგონა, დედაჩემის სახლი იყო. :) მად“.



ნამდვილ მამაკაცს იმდენი ცოლი უნდა ჰყავდეს, რამდენიც სჭირდება. სასურველია — სხვისი ცოლები.

საშინელება იცით, რა იყო? უკან დაბრუნება რომ მოვუნდომეთ, არა და არ მიდიოდა, არ მინდა წასვლა, მეჭორავეთ, ხომ იცით, ლაპარაკი როგორ მიყვარდაო. სულები მელანდებოდა და თვალებდაჭყეტილმა, ბიძაშვილის ლოგინში გავატარე მთელი ღამე. ისე ვეხუტებოდი, დამცინოდა, ლამის შემეზარდეო. ეშმაკუნა".

## ოსების „საჩუქარი"

„ამას წინათ მეზობელი შემხვდა, მომესალმა და მკითხა — შვილო, რას შვრებით, ის კიდევ შიგ გაქვთო? გაკვირვებისგან თვალები შუბლზე ამივიდა და ძლივს ამოვილუღლუღე: — ბატონო?! — ჰო, ჰო, შვილო, მაინტერესებს, რა ქენით, ჩემმა გოგომ მითხრა ადრე, მაგრამ იმის მერე ველარ განახეთ, რომ გამეგო თქვენი ამბავი და ახლა მაინც მითხარი, რა ქენით, ისევ შიგ გაქვთ თუ შეძლეით განაღმვაო? ახლა კი მივხვდი, რას გულისხმობდა ქალბატონი ნათელა. :) ოსების მიერ ნასროლი ბომბი ჩემს სახლში იყო გაჭედილი. ჰოდა, აინტერესებდა, ისევ შიგ, უკაცრავად, სახლში გვქონდა თუ შევძელით გამოტანა. :) ასეა ბატონო, მაგი ამბავი. ნიკოლი".

## სამაგიერო

„ერთ საღამოს, ერთმა ადამიანმა, ახლა უკვე ჩემმა ქმარმა, ჩემი მოტაცება გადაწყვიტა. საქმის დაგვირგვინებაში 3 ძმაკაცი ეხმარებოდა. თან როგორ მომიტაცეს?! — ჩემი უბნიდან, დედაჩემის, ჩემი დისა და დეიდაშვილის გვერდიდან. უუჰ, ახლაც ცუდად ვხდები, იმ საღამოს რომ ვიხსენებ. მაშინ მე ვიყავი მათი ჯადოქრობის მსხვერპლი, მერე კი თვითონ გახდნენ ამოუცნობი ჯადოქრობის მსხვერპლნი. ახლა ყველას ჯვარი სწერია და, უფალმა გადმოხედოს მათ, მაგრამ იმ სამ ბიჭს იცით, რა დაემართა? ერთი საკუთარი „მარშრუტკით" ამოყირავდა, მეორეს ხანჯალი გაუყარეს, მესამე კი ავარიაში მოყვა. ძლივს გადარჩნენ. კარგია, რომ სამივე ცოცხალია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს ჯადოქრობა არ იყო? რა ვიცი, რა ვიცი... მერცია".

## მოღალატე

„ნიკო, როგორც ბატონი ციხე იტყოდა, ქალებმა და დროს ტარებამ დაღუპა (კ/ფ „შერეკილები"). ამბობდნენ, პირველი ღამის გარდა, სულ ღალატობდა ცოლსო. ასე იყო თუ ისე, მისი საყვარლების მრავალრიცხოვანი არმია ვეღარ აიტანა ჯულიეტამ და ქმრის ჯადოთი შენარჩუნება სცადა. მჩხიბავებთან კონსულტაციების შემდეგ, გული დაიმშვიდა სასურველი შედეგის მოლოდინში. ვერ გეტყვით, რა მაგიური რიტუალები შეასრულეს მისნებმა, მაგრამ ფაქტია, საწყალი ნიკო მთლად გამოლენჩდა. ჯულიეტამ კი შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ რაღა დროს? ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, სხვა ქალებთან კი არა, ცოლთანაც აღარ უქნია, ღმერთსო. ეჰ, ქალებო, რაში გჭირდებათ ჯადო და შელოცვა? კარატეზე იარეთ! პარიჟანკა".

## ხანმოკლე ბედნიერება

„მინდა, ერთი ძალიან კარგი ოჯახის სევდიანი ამბავი გიამბოთ. ჩემი მეზობელი აფხაზეთიდან დევნილი მოხუცი ქალია, რომელმაც ტყვიების წვიმაში, სიკვდილს ძლივს გადარჩენილმა, მეუღლე საკუთარი ხელით დამარხა, ხოლო შვილი ომიდან შინ მშვიდობით დაბრუნებული, მაინც ტყვიამ იმსხვერპლა. როგორც ამბობს, არც ბავშვობა ჰქონია დალხენილი, სწავლა მინდოდა და იმის საშუალება არ ჰქონდათ მშობლებს, ფეხსაცმელი

## ნობათი მიცვალებულისთვის

„გამარჯობა, მე ახალი მგზავნელი ვარ, სახელად — პუშკინა. ჩემი ბიძაშვილი ახალი გადასული იყო საცხოვრებლად ვაკეში, რომლის სახლშიც ჯერ ნამყოფი არ ვიყავი. ერთხელ, ჩამოვედი სოფლიდან, წამოვიღე სოფლის ნობათი და ვესტუმრე ჩემს ბიძაშვილს სოფლის ნობათით. ერთი ის ვიცოდი, რომ მე-8 სართულზე ცხოვრობდა, ლიფტიდან ხელმარჯვნივ. შევედი ლიფტში. კარი როცა გაიღო და გარეთ გამოვედი, დავინახე, რომ სახლის კარი ღია იყო. გამისარდა, ეტყობა, სადარბაზოში რომ შემოვედი, დამინახეს და კარი ღია დატოვესმეთქი. შევედი და მაშინვე „ზალისკენ" წავედი და რას ვხედავ? მიცვალებული წევს, გულზე ხელდაკრეფილი და ჭირისუფლები ტირიან. როცა დამინახეს, სიცილი აუვარდათ. ჰოდა, ერთმა ბავშვმა დედას სთხოვა, დედი, მურაბა და კომპოტი მინდაო. :) არ ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს დაცვა მოვიდა ჩემთან და რაციით გადასცა, რომ უცხო პირი შემოვიდა და უნდა დავაკავოთო. ვიფიქრე, გამძუყნეს-მეთქი, მაგრამ გადავრჩი. ამ დროს ერთი ჭაღარა კაცი მოვიდა და მკითხა — შვილო, აქ რა გინდაო? სახლი შემეშალა-მეთქი. მომეფერა და გამომიშვა. :) P.S. ის ჭაღარა კაცი ყველასთვის საყვარელი ქველმოქმედი, ივანიშვილი აღმოჩნდა, ხოლო მიცვალებული — მისი სიდედრი".



ეყიდათ, ამიტომ ვცდილობდი, დილით ადრე ავმდგარიყავი, ჩემი დის დახეული ფეხსაცმელი რომ ჩამეცვა და სკოლაში წავსულიყავიო. რა სამწუხაროა, რომ ასეთი მწარე ბავშვობით დაწყებული ცხოვრება ასე მწარედ, სულ ცრემლების ღვრაში მთავრდება და ამ უსაყვარლესი ქალბა-ტონისთვის ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. კახელო".

## „ჯადოქარი" ბიძა

„ზაფხულში დეიდაშვილთან ვისვენებდი, სოფელ კავთისხევში. ერთხელ მოვინდომეთ სახლის გენერალური დალაგება და ძველ კარადაში, ცელოფანში გახვეული თმა და გასალები აღმოვაჩინეთ. უნდა გენახათ, რა დატრიალდა იქ. დეიდაშვილი გასათხოვარია. ყველამ ვიფიქრეთ, რომ ეს ჯადო იყო, თანაც ბედზე გაკეთებული. იტირეს, ივიშვიშეს, ვის რა დავუშავეთო. ჯადო ნაილეს, ზედ დააშარდვინეს, შემდეგ კი დაწვეს. 2 დღე სამგლოვიარო სიტუაციაში ვიმყოფებოდით. შემდეგ? შემდეგ კარს მოადგა ოჯახის უფროსი. როცა ჩვენი გასაჭირი გავანდვეთ, ჯერ თვითონ იჯერა სიცილით გული და მერე ჩვენც დავშალეთ სამგლოვიარო ცერემონია. თურმე, ეს ადამიანის თმა არ იყო. ბიძაჩემს უყიდია, მას გაზისთვის იყენებდა. მილებზე ახვევდა, გასალები კი მარნის აღმოჩდა, რომელიც ნაჩქარევად გადაუხვევია და კარადაში შეუნახავს. უსკო".

## ჯადო

„ჯადოქრობის და ასეთი უაზრო ცრურწმენების არასდროს მჯეროდა. თუმცა, ერთი ამბავი მაინც მახსენდება. მაშინ მე-6 კლასში ვიყავი, ზაფხული იწურებოდა და სოფლიდან ქალაქში უნდა დავბრუნებულიყავით. მაშინ ქუთაისში ვსწავლობდი და მამაჩემიც იქ მუშაობდა. მოულოდნელად გავიგეთ, რომ მამა დიდ ვალში გადავარდა და სომხეთში წავიდა. იძულებული გავხდით, სოფელში გადა-ვსულიყავით, რადგან მამაჩემი 3 თვე არ ჩამოვიდა. ეგ კი არა და, მერე უკვე დარეკვითაც ალარ რეკავდა. მომდევნო 4 თვე ისე გავიდა, რომ არც ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ არა. ყველაფერი თავდაყირა დადგა, თითქმის ყოველდღე ახალი ვიღაც მოდიოდა და თავს მევალედ გვაცნობდა. ქალაქში მამაჩემის ვაიმეგობრებმა მისი კუთვნილი ავტომობილი „კაპიკებად" გაყიდეს და დაინაწილეს, რაც ოქრო გვქონდა, დავაგირავეთ; თითქმის ყველაფერი გავყიდეთ, რაც კი ღირებული გვებადა, მაგრამ მაინც ვერ „დავდექით ფეხზე". ერთ დღეს დედას მეზობელმა ურჩია, მკითხავთან წადი, იქნებ ჯადო გაქვს გაკეთებულიო. მართლაც, მივიდა ერთ მკითხავთან დედაჩემი. მანაც უთხრა, მოჯადოებული ხარ, ეზოში ერთი ხმელი ხეა, იქ არის ჯადო დადებულიო. მთელი ეზო „გადავატყავეთ", ბოლოს ერთი დაბალი თუთის ხე ვნახეთ, გამხმარი, პატარა ფუღურო ჰქონდა. ჰოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა და იმ ფუღუროში ქსოვილში გახვეული ერთი კვერცხი, ქალის აბურდული თმა და რაღაც მცენარის თესლი ვიპოვეთ. მერე ის დაწვეს და სულ მალე შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. ამ ამბის მერე მამა ერთ კვირაში დაბრუნდა, ნელ-ნელა გვეშველა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. არ ვიცი, რამდენად ერია აქ ჯადო, მაგრამ იმ დროს მართლა მეგონა, რაღაც არსებობდა და ჩემი ოჯახიც ამის მსხვერპლი გახდა. ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... მაესტრო".

## უიღბლო

„მართლა მჯერა ჯადოქრობის. ჩემს ახლობელ გოგოზე მოგიყვებით. სკოლა წარმატებით დაამთავრა, უნივერსიტეტი — ორჯერ მეტი წარმატებით. თავისი სრულფასოვნებით, განათლებით, განსაცვიფრებელი გარეგნობით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. სამსახურიც მალე დაიწყო. იურისტის პროფესია, მოგეხსენებათ, ურთულესია, მაგრამ ის ყველაფერს კარგად უმკლავდებოდა. 27 წლის ისე გახდა, ბიჭისკენ არ გაუხედავს, უამრავი კარგი მამაკაცი სთავაზობდა გულსა და სულს,

## ქათმების „პახმელია"

„აუ, ჩავბჟირდიიიი... ისა... ჩვენმა კარის მეზობელმა თამრომ შეცდომით, წყლის მაგივრად არაყი დაასხა კოპტონს, აურია და ისე აჭამა ქათმებს. უნდა გენახათ, იმისი ლოთი ქმრის ყვირილი და ლანძღვა. ახლა, მთვრალი ქათმები როგორ დაბორიალებდნენ?! მამალი რის ვაი-ვაგლახით აძვრა კუნძზე დასაყივლებლად, მაგრამ პუპლუც! არაფრის თავი აღარ ჰქონდა და ჩამოეძნეყვა ძირს. ჰოდა, ერთი ყრიამულია, ჩვენს მეზობლებთან. გინება და რამე... ნეტავ, ქათმებს როგორი „პახმელია" აქვთ? კაჭკაჭი".



მაგრამ ბედის ირონიით, ყველას უარით ისტუმრებდა. იმ პერიოდში ურთულესი გამოცდისთვის ემზადებოდა, მოსამართლე უნდა გამხდარიყო და გამოჩნდა ერთი „ბიძა", რომელიც ცოლობას სთხოვდა. 15 წლით უფროსი კაცი კუდში დასდევდა და გასაქანს არ აძლევდა. თავადაც თავისიანების ზეწოლის გამო ცდილობდა ცოლის შერთვას. სწორედ ჯადოს ზემოქმედებით გადაიბირეს ეს გოგო და დაიღუპა. იმპოტენტი, საყვარლისგან გამოლენჩებული ქმრის შეურაცხყოფა დიდხანს ვერ აიტანა და... აქ დამთავრდა ყველაფერი. აზიელი".

ულუფებით გვაყლაპებდა. :( ამაიდა ყელში და მეტროში ყოფნისას, გავეშაყირე — ახლა მატარებელი რომ გამოივლის, ხელი თუ არ დაუქნიე, ისე არ გააჩერებს-მეთქი. აბა, გუშინ თუ გააჩერაო? გუშინ შენ არა, მაგრამ სხვამ დაუქნია-მეთქი. ჩემს ბედზე, ზუსტად სათადარიგო ვაგონმა გამოიარა, ჩაგვიშხუილა და არც გაჩერებულა. :) ეეო, ერთი ამოიკნავლა და მივხვდი, მაგრად გავაბი. :) ჰოდა, რა მოგიყვეთ, ჯერაც გეირაბიდან გამოუსვლელ მატარებელს ხელს საცეცხლურივით რომ უქნევდა და კინაღამ ყელიც რომ გამოუწია? თუ ის, მემანქანე ბიჭმა საფეთქელთან თითი რომ დაიტრიალა და იმხელა ხმაზე დააპიპინა, კინაღამ კედებიდან ამომაგდო? :) ჩიხტიკოპიანი დილეტანტი".

## მოჯადოებული მამაკაცები

„მგონი, ადამიანთა ერთი ნახევარი მთლიანად მოჯადოებულია (კაცები მყავს მხედველობაში). არ გჯერათ? აბა, დააკვირდით! მაგალითად, გაჩერებაზე დგახარ, უცებ გამოჩნდება „სანდრაბუსი" და იქვე მდგომი ადამის ძე უცებ ახტება, ხელში შერჩენილ, ანთებულ სიგარეტის ნამწვს კი უბოდიშოდ მოგაგდებს ახალთახალ პიჯაკზე. თუ მოახერხე და შენც აეტიე ტრანსპორტში, გადაავლე თვალი ხალხს. ძირითადად, ბატონები სხედან და ქალებს ქვემოდან ირიბად თუ ამოხედავენ, მერე ისევ ტყუილად დაუწყებენ გაზეთის ფურცლებს ყურებას (დიდი ალბათობაა, უკუღმა ეჭიროთ). მეორე, ყურსასმენგარჭობილი, შედარებით ახალგაზრდა კატეგორია, ისეთი ცარიელი მზერით გიყურებს, თუ მოკლე კაბა არ გაცვია, შანსი არ არის, დაგსვას. ამათ შემხედვარეს, უნებურად გებადება აზრი, რომ მოჯადოებულები, რობოტებივით მოქმედებენ. ახლა იტყვიან, თქვენი ჯადოქრობის მსხვერპლნი ვართ და თქვენი ბრალიაო. კარგი რა, პატივცემულო „თავაზიანობის განსახიერებავ", ეგ რომ შეგვეძლოს, ეგ ენა არც გექნებოდათ, ხმა რომ ამოგეღოთ! P.S. მაპატიეთ, ვისაც არ გეკუთვნით. პარიჟანკა".

## „მომგებიანი" ხარი

„დუტას გათამაშება რომ იყო, მშობლებმა დეპოზიტი შემივსეს, რომ გათამაშებაში დამერეკა. მე კი არც გამხსენებია

## მკვდარი დონჟუანი

„ცოტა ხნის წინ დასავლეთში ვიყავი, „სატირალში". 84 წლის კაცი გარდაიცვალა. ეს კაცი ისეთი მექალთანე იყო, ოფიციალურად 9 ცოლი ჰყავდა „შერთულ-გამორთული" და არაოფიციალურად, — ვინ მოთვლის. არც მისი შვილების ზუსტი ოდენობაა ჯერ დადგენილი. „სატირალში" დედამიწის ყველა წერტილიდან ჩამოდიოდნენ შვილები და შვილიშვილები. მიცვალებულის სასახლესთან, მისასამძიმრებლად რომ დგებიან ქალები, ადგილების მოპოვება დაჯავშნით იყო. შენ მერე მე დავდგებიო, უთანხმდებოდა პირველ ცოლს — მეშვიდე. :) მოთქვამდნენ ისე, ლამის ნეკნები თვალებიდან გადმოვყარე სიცილისგან. :) „სად მიდიხარ, პავლე, სად ჯანდაბაში, შე უბედუროოოო," — ჯანდაბაში გზავნიდა ერთ-ერთი ექსმეუღლე მამაკაცს, რომელთანაც სავარაუდოდ, ულტრავნებიანი წარსული აკავშირებდა. „ადე პავლე, დაელაპარაკე ეთერს"... — ასე, რიგით მეოთხე ცოლი მოუწოდებდა, ყოფილ ქმარს, რომ ბოლო ცოლს დალაპარაკებოდა. „სად უნდა ჩაგაგდონ, ბიჭო, დღეს?" მე მიცვალებულის დაკრძალვა გამიგია, „ჩაგდება" — არა, თან ეს „ბიჭო" რა იყო? მოკლედ, ასეთი დამწვარ-დათუთქული შეძახილი მრავლად იყო, მაგრამ „მკლავის გახსნამ" საერთოდ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ცოლებმა რომ ყანწებით „ვახტანგურები" გაუშვეს, თამადა მიაჩმორეს. :) მერე, რომ დათვრნენ, ატყდა ერთმანეთის „ხვევნა-კოცნა, მტლაშამტლუში". რომელი ცოლი რომელს კოცნიდა ილლიაში და რომელი რომელს — ყურის ძირში, ვერ გაიგებდი. მერე თავიანთი სექსუალური თავგადასავლების მოყოლის ხასიათზეც დადგნენ და... რა ყოფილა, კაცო, ეს პავლე?! მიმიქარავს ჰოლივუდის ყველა ვარსკვლავი. :) P.S. ისა და, რატომ არ მომისამძიმრეთ და არ „მომინეკროლოგეთ", 84 წლის ბაბუა რომ გარდამეცვალა? :) კანიბალკა".

## გააჩერე!

„დაქალს სოფლიდან მეზობელი ჩამოუვიდა, სუუუფთა ბუმბულის ზარბაზანი! დაიწყებდა ტრაბახს, აბუქებდა ნაწვიმარზე, ჩვენ კი მტვერსა და ტყუილს დიდი

ჯობს სიმართლის
მთქმელი ქურდი იყო, ვიდრე
— მატყუარა მღვდელი.



და თანხა უცებ შემომელია. ჰოდა, ვსხედვართ მთელი ოჯახი და გადაცემას ვუყურებთ. დედაჩემმა „4“ აირჩიე ან „2“-ო. ჩემმა ძმამ — „9“-ო. ვითომ უკვე ველაპარაკებოდი დუტას. გული მიგრძნობს, დაგირეკავენო. რა იცოდნენ, ჩემი „გმირობის“ შესახებ?! ძლივს ვიკავებდი სიცილს. :-) აბეზარა“.

## კანიბალკა დაბრუნდა!

„მარიამულს ვენაცვალე, მსოფლიოში ყველაზე თბილ გულში. მოკლედ, შევიკრიბეთ ძველი მგზავნელლები და გადავწყვიტეთ, ასეთი აქცია მოვაწყოთ — ხუთშაბათს ყველანი დავბრუნდეთ „გზაში“. გვინდა, ამით სიტუაციის ამრევ, ზოგიერთ ახალს დავანახვოთ, როგორი იყო „გზავნილები“ მათ მოსვლამდე, რომ ბოლოს და ბოლოს, დამთავრდეს ამ ჩვენი აშენებული, ლამაზი სამყაროს ნგრევა. არანაირი აგრესია. მარტო ეს ერთი კვირა და, შეფასებას შენ მოგანდობთ, რომელი დრო სჯობდა. კიდევ ერთს გთხოვ, „გზავნილები“ ისევ „ჟურნალი ჟურნალში“-ს პირველ გვერდზე დაბეჭდე, როგორც იმ ლამაზ, ძველ დროს. უზომოდ მიყვარხარ და მე სულ თქვენთან ვარ... უბრალოდ, არ მსურს იმ „გზავნილებში“ ყოფნა, სადაც მტრობაა. კანიბალკა“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„თემასთან დაკავშირებით ალბათ ყველას ერთი ასოციაცია გაუჩნდება — უნამუსო ქალისგან ტვინარეული, მარიონეტად ქცეული კაცი, რომელიც სხვის დაკრულზე კარგად ცეკვავს; მშვენივრად ეგუება ბავშვების უნახაობას, ერთ დროს გიჟი მამიკო; დანგრეული, ადრე მოსიყვარულე ოჯახი; ფსიქოზამდე მისული, მიტოვებული, ერთგული ცოლი; სასოწარკვეთილი ბავშვები... ზღაპრის ბოლო ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგჯერაა კეთილი. ბოლოს ბოროტი კვდება, კაცს სალად აზროვნების უნარი უბრუნდება, ცრემლიანი ითხოვს პატიებას და ჰპატიობენ. თუმცა, სავალალო შედეგიც მინახავს. ჯადოების არ მჯეროდა, მაგრამ ამას სხვა ახსნა აქვს? ჩემ ირგვლივ ფაქტები ჯიუტად მეტყველებს და ეკლესიაც ადასტურებს. სვანის ასული“.

„ახალგაზრდა ცოლ-ქმარი (ცოლი ფეხმძიმეა) ბაზრობაზე იყო. გამყიდველი ყირაზე გადადიოდა, რომ როგორმე მყიდველისთვის ესიამოვნებინა და ჰკითხა — „შვილო, რამდენი თვის ხარ? სექსი იცით“? — „ქალბატონო, სექსი თუ არ ვიცით, ეს ბავშვი საიდან?“ — გაგიჟდა კაცი. უიმე, უიმე, უნდა მეკითხა, სქესი თუ იცით-მეთქი... — შერცხა გამყიდველს. აი, ასე!“

„ჯადოქრობის მსხვერპლი? ღმერთმა დაგვიფაროს ყველა. არ ვიცი, უბრალოდ, ალბათ ეშმა უსახლდებათ სულში (თუ საერთოდ აქვთ სული) ადამიანებს, ვინც ჯადოთი ცდილობს სხვა ადამიანების მართვას. ასეთები ყველანაირ ხერხს მიმართავენ მიზნის მისაღწევად. ერთ ახლობელს პატარა, გულსაკიდი „ფსალმუნი“ აჩუქეს. გახსნა და შიგნით რაღაც საშინელებები აღმოჩნდა. უბრალოდ, ვერ ვხვდები, რაში სჭირდებათ გამოდებილებული კაცები ან ცოდვას სად მიუდიან? ღმერთმა ყველას შეუნდოს. ელისო“.

„ვინ-ვინ და მე ხომ კარგად ვიცი, მარის როგორ ვტანჯავ ჩემი მესიჯების კითხვით. ვცდილობ (თუ — ვცოდვილობ), უშეცდომოდ ვწერო, მაგრამ არ გამომდის და რა ვქნა? ზოგმა შეიძლება თქვას, რა ქნა და მიბრძანდი, ბატონოო, მაგრამ ეგეც რომ არ შემიძლია, რა ვქნა? მოდი, ისევ უფალს ვთხოვ, მარის იმდენი გაძლება მისცეს, რომ ჩვენი ატანა შეძლოს. ძალიან კარგები ხართ, თქვენზე ვაფრენ. მერცია“.

„ამაზე დიდი ჯადოქრობის მსხვერპლი რა უნდა იყოს, როცა ყოფილი მეუღლის სურათს მკვდარს კუბოში ჩაუდებ და დამარხავ. ერთ კვირაში კი ის ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა“.

„ჯადო მე მაქვს გაკეთებული. ვინ გამიკეთა, არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ. როცა საშინლად მაბრაზებს რომელიმე მეგობარი, რატომ ვურიგდები, არ ვიცი. არ მინდა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. როცა სადმე შეხვედრას ვაწყობთ და 2 წუთით ადრე მეტყვის დაქალი, აღარ მოვდივარო, რატომ არ ვცემ, მიკვირს. როცა ერთხელ ქუჩაში ახალგაზრდა ბიჭმა ჩემს ნათესავ ხნიერ ქალს შეურაცხყოფა მიაყენა, რატომ იქვე არ გამოვჭერი ყელი, მიკვირს. რატომ მეშლება ნერვები, როცა ჩემი და ჩემს ჩუსტებს იცვამს, არც ეს ვიცი“.

„იცით, დღეს რა უხერხულ „ნოტაზე“ ვარ? წუხელ მამამთილმა კვერცხი იყიდა, მერე ჩემი ქმარი მოვიდა, იმანაც მოიტანა, ოღონდ, უფრო პატარები. ამ დილით მამათილს ვუთხარი — შენს კვერცხებს მოვხარშავ, უფრო დიდებია-მეთქი. შეშინებული კაცი თვალებში ველარ მიყურებდა და მეც მაგრად შემრცხვა. აბლახანუმი“.

„არ იქნა, ვერა და ვერ დავივიწყე ჩემი ყოფილი „ლოვე“, მაგრამ სამაგიეროდ მიეზღო და იცით, როგორ? საყვარელმა ჯადო გაუკეთა და დედიკოსთან ერთად მკითხავების გზები გასწორებული აქვს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ დონემდე მივიდოდა. არ ვარ ბოროტი ადამიანი, მაგრამ გული ძალიან მატკინა. გეფერებით ყველას. ჯენიფერა“.



[illegible]

*მომდევნო თემად გთავაზობთ — შემთხვევა, რომელიც წამმა გადაწყვიტა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვა კი ასეთია: რა ღირს ბედნიერება?*

# საარჩევნო ციებ-ცხელება უნივერსიტეტში ანუ „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“

ელენე ბასილიძე

წელს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა საპარლამენტო არჩევნები გახლდათ, რომელმაც საქართველოს უნივერსიტეტშიც პოვა ასახვა, სადაც კანდიდატები სტუდენტები არიან. სტუდენტები ერთიან, სტუდენტურ თვითმმართველობას თავიანთი მომავლის გასაუმჯობესებლად თავადვე ირჩევენ. ამ მოძრაობას აქტიურად აუწყო ფეხი სოხუმიდან „დევნილმა“ „სოხუმის უნივერსიტეტმაც“. არჩევნებამდე სულ რაღაც 6 დღეა დარჩენილი და დაძაბულობა პიკს აღწევს. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები არ ზოგავენ არც თავს, არც ნიჭს, არც ხმას, არც უნივერსიტეტის ბიუჯეტს და ისეთ წინასაარჩევნო პიარკამპანიას ატარებენ, ნებისმიერ პოლიტიკოსს შეშურდება. საგრძნობლადაა შეცვლილი უნივერსიტეტის გარემო, ჰაერში არჩევნების დამათრობელი სუნი ტრიალებს. გუშინდელი კურსელები დღეს უკვე ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ. მიმდინარეობს ჯანსაღი კონკურენცია — ბრძოლა თითოეული ხმისათვის. დღეს, არჩევნების გამოისობით, ნებისმიერ სტუდენტში ხმის მიცემის უფლების მქონე სუბიექტი იგულისხმება; აუდიტორიის კათედრა — ტრიბუნად, სასემინარო გამოსვლა კი — წინასაარჩევნო ბრიფინგად...

მსგავსად პოლიტიკური პარტიებისა, სოხუმის უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტური მოძრაობები. ასეთ ორგანიზაციებში რამდენიმე კანდიდატია შეკავშირებული, რომელიც შესაძლებლობების გაერთიანებით საარჩევნო ბარიერის დათქმული ნიშნულის გადალახვას ცდილობს.

ამ საარჩევნო ციებცხელებას 3 დეკემბერს დაესმება წერტილი. იმ დღეს, როცა სტუდენტების არჩევანს საბოლოოდ მოეფინება ნათელი.



ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რისთვის, რატომ და რა მიზნით კეთდება ეს ყოველივე.

ჩვენს კითხვებს სოხუმის უნივერსიტეტის „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, **ელიკო ბენდელიანი** პასუხობს.

**— რას გულისხმობს და რა მიზანს ემსახურება ერთიანი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები უნივერსიტეტში?**

— როგორც ჩვენთან, ასევე სხვა დანარჩენ უნივერსიტეტებში, ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა ანუ ყოველ ფაკულტეტს ეყოლება თავისი წარმომადგენელი, რომელთა ვინაობა ამ არჩევნების შედეგად გამოვლინდება. ეს ყოველივე კი უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში, ხელს შეუწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას. არჩეული ახალგაზრდები უფლებამოსილებას მიიღებენ, შეიმუშაონ წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემასა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიზანი კი ერთია — გავზარდოთ სტუდენტის აქტიურობა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არჩევნები საქვეყნო საქმეს ემსახურება.




**— რას წარმოადგენს და რას სთავაზობს სტუდენტებს თქვენი სტუდენტური ორგანიზაცია?**

— „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“, ეს არის არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც ჩამოყალიბდა სოხუმის უნივერსიტეტის ბაზაზე 2008 წელს. მისი დამფუძნებლები ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი სტუდენტები ვართ. ეს არის ორგანიზაცია, რომელმაც მოიცვა მთელი უნივერსიტეტი. მისი წევრები ვიყენებთ ჩვენს შესაძლებლო-



ბეჯს, ვცდილობთ გავაკეთოთ მაქსიმუმი, რაც სტუდენტს შეუძლია. ჩვენ ამით ახალგაზრდების გამოფხიზლება გვსურს. მათ უმეტეს ნაწილს საკუთარი თავის თვითრეალიზაცია სურს და გარდა ძირითადი პროფესიისა, შეუძლია, დამატებითი, კულტურულ-შემეცნებითი საშუალებებით შეავსოს სტუდენტური ცხოვრება. ისინი ამ ასაკში უფრო იოლად რისკავენ და უფრო თამამები არიან. მართალია, ყოველთვის სათანადოდ ვერ ვზომავთ ნამოქმედარს, მაგრამ თუ გულის კარნახთან ერთად გონებასაც მოვუსმენთ, ეს კარგი იქნება როგორც ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ასევე ჩვენი მომავლისთვის. მომავალი ხომ ჩვენ ვართ, მომავალს ხომ ჩვენ ვქმნით, მომავალი თაობისთვის. დღესდღეობით თითქოს დრო უფრო სწრაფი ტემპით მიდის. ამიტომ საჭიროა, ჩვენც არ ჩამოვრჩეთ მის დინებას. წარსულში ახალგაზრდობა უფრო ინერტული იყო, დღეს კი საგრძნობლად დიდი პროგრესი შეიმჩნევა, რაც დასაფასებელია და რაც ყველაზე მთავარია — გამოსაყენებელი. ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს, შეინარჩუნოს ამ ახალგაზრდების სულისკვეთება.

**— როგორ ემზადებით წინასაარჩევნო კამპანიისთვის?**

— წინასაარჩევნო კამპანიისთვის ვიყენებთ ყველა ფორმას, რაც კი საარჩევნო კოდექსითაა დაშვებული. შექმნილი გვაქვს ჩვენი ჰიმნი, ემბლემა, რომელზეც სოხუმის უნივერსიტეტის ლოგოა გამოსახული, დავამზადეთ მაისურები, რომლებზეც ეს ემბლემაა გამოსახული; ყოველ შაბათ-კვირას ვაწყობთ გასვლით ექსკურსიებს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით; ჩატარებული გვაქვს მინიტურნირები ფეხბურთში, ფასიანი საპრიზო ადგილებით. უახლოეს დღეებში ვაპირებთ მოვაწყოთ კონცერტები, ინტელექტუალური თამაშები, ე.წ. ახალგაზრდული „ფართი"; ვცდილობთ შევქმნათ ისეთი ატმოსფერო, სადაც ახალგაზრდა თავს ნამდვილ, სრულუფლებიან სტუდენტად იგრძნობს. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ჩვენ ასეთი კურსით გავაგრძელებთ მომავალშიც. არქიმედესი არ იყოს — მომეცით საყრდენი წერტილი და მე დედამიწას ამოვაბრუნებო — მოგვეცით შესაძლებლობა, მოგვეცით შანსი, მოგვეცით ხმა...

**თეონა ლემონჯავა,** *ერთიანი სტუდენტური მოძრაობის წევრი და კანდიდატი:*

— ნათქვამია, ერთი ადამიანის ჭკუას ორი ადამიანის ჭკუა სჯობსო. ვცდილობ, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო იმ საქმეში, რომელსაც „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" ემსახურება. მიხარია, რომ გასულ წლებთან შედარებით



სტუდენტები აქტიურად იყენებენ თავიანთ საარჩევნო უფლებებს, აქვთ სურვილი, რომ თვითონ დაიხარჯონ, თვითონ აირჩიონ, თვითონ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, თვითონ გადაწყვიტონ, თუ რა იქნება უკეთესი მათი სტუდენტური ცხოვრებისთვის. მიხარია, რომ მათ საკმაოდ კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რაოდენ დიდი ძალაა სტუდენტობა. ყველა დიდი მოვლენის ცენტრში ხომ მუდამ ახალგაზრდები იდგნენ და ახლაც აუცილებლად უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა. იყო სტუდენტი, არ ნიშნავს — მოხვიდე, მოისმინო ლექციები და წახვიდე. ძლიერი სტუდენტობა ძლიერ უნივერსიტეტს ნიშნავს, ძლიერი უნივერსიტეტი — ძლიერ ქვეყანას, ძლიერი ქვეყანა კი ისევ ჩვენვე წაგვადგება და სხვას არავის. ზოგიერთს სტუდენტურ თვითმმართველობაში ყოფნა მარტო გასართობი ღონისძიებების მოწყობა ჰგონია.

თვითმმართველობის უკან დგას ის სამუშაო, რის შედეგადაც ხდება სტუდენტების უფლებების დაცვა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის არჩევის გზით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობა. მისი მიზანია, ჩამოუყალიბოს სტუდენტს სწორი მსოფლმხედველობა და ა.შ. აზრს ბაჟი არ ედება, ყველა რაღაცას ამბობს, ყველა რაღაცას გვპირდება, მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩება, საქმე კი არ ჩანს. ჩვენ კი სწორედ საქმით ვცდილობთ დავამტკიცოთ ჩვენივე ნათქვამი, შევცვალოთ ბუნდოვანი მომავალი ლამაზი აწმყოთი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როცა ერთ კურსიდან რამდენიმე კანდიდატი გადის, ძნელია გააკეთო არჩევანი და ამ სუბიექტური მდგომარეობიდან ობიექტური დასკვნა გამოიტანო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენივე არჩევანი ჩვენვე დაგვხვდება წინ, ჩვენვე გამოგვადგება ცხოვრების ჯერ შეუცნობელ ასპარეზზე. მე მესმის, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა 1998 წლის 4 იანვარს მიიღო უმაღლესი საქმიანობის საგანმანათლებლო ლიცენზია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომელიც ერთად უნდა გავაკეთოთ. მივცეთ მხარი მხარს, გული — გულს, მოვიდეთ ყველანი არჩევნებზე და ავირჩიოთ ჩვენი მომავალი.



# მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

## ქალები



1. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს მამაკაცი, თბილისელი, მართლმადიდებელი, 45 წლამდე. მე ვარ 42 წლის, სიმპათიური, გასათხოვარი, ეკლესიური, თბილისელი.

2. ვარ 24 წლის. მინდა გავიცნო სერიოზული მამაკაცი. ცანცარებმა და არასერიოზულებმა თავი შეიკაონ.

3. ვარ 40 წლის, იმერელი, გასათხოვარი ქალბატონი. მაქვს კარგი სამსახური. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 48 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს, უცოლოს.

4. მინდა გავიცნო 29 წლამდე ასაკის ბიჭი. დამირეკეთ. მქვია ნატალი, ვარ 25 წლის.

5. ჩემს დაქალს ესაჭიროება ნამდვილი ოჯახის შექმნის მიზნით, 28 წლამდე ასაკის კაცი. დაურეკეთ და შექმენით ბედნიერი ოჯახი.

6. გთხოვთ, გამომიგზავნოთ „გზა“ №46, მე-13 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. ნინო.

7. ვარ 32 წლის, განათხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. ნანა.

## მამაკაცები



8. მე ვარ ფოთიდან, მქვია რეზო. მინდა გავიცნო 20 წლის გოგო, რომელიც თქვენს ჟურნალში აღმოვაჩინე. გთხოვთ, შემახვედრეთ.

9. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაცი და მეოჯახე გოგონა, 18-25 წლის. ვარ 25 წლის, მქვია თაზო. თუნდაც განათხოვარი იყოს, მთავარია — მეოჯახე.

10. მყავს უცოლო ნათესავი, 37 წლის, სიმპათიური, განათლებული. ცხოვრობს იმერეთში. ოჯახის შექმნის მიზნით დაუმესიჯეთ ლამაზმა, იმერელმა გოგონებმა, 32 წლამდე.

11. ვარ 36 წლის, დასაქორწილებელი ბიჭი. არ მაქვს მანქანა და ფუფუნება. დაოჯახების მიზნით გავიცნობ პატიოსან, არამწეველ ქალს. შევქმნათ თბილი და ტკბილი ოჯახი.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, ჭკვიან, სიმპათიურ და უბრალო, თბილისში მცხოვრებ გოგოს.

13. ვეხმაურები „გზა“ №47, მე-5 მესიჯის ავტორს. დანარჩენი — პირადად.

14. გავიცნობ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის, 45 წლამდე ასაკის ქალბატონს. სასურველია, იყოს ექიმი.

15. ვარ ცოლს გაშორებული, 29 წლის ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ თბილისში მყოფ, 22-28 წლამდე მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. სახუმაროდ არ მცალია კახა.

16. გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ბინით უზრუნველყოფილს. გაგა, 29 წლის.

17. მყავს ნათესავი ბიჭი, ჰქვია რობერტი. არის 28 წლის. დაურეკეთ სერიოზულებმა, ოჯახის შექმნის მიზნით. არ ინანებთ, გამოეხმაურეთ 30 წლამდე ასაკის გოგონები.

18. ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 28-35 წლის, ქართველ მანდილოსანს, რომელსაც უნდა ოჯახური სითბო და ბედნიერება.

19. ვარ 23 წლის, 1,70 სმ სიმაღლეის, 70 კგ. გავიცნობ 19-30 წლამდე ასაკის მანდილოსანს.

## ვეძებ



ვეძებთ ოლეგ ჭკადუას. სახლიდან გავიდა ნასვამ მდგომარეობაში და შინ არ დაბრუნებულა. მპოვნელი დასაჩუქრდება. ათენიდან.

## სხვადასხვა



• აქამდე სად ხარ, ბერბიჭავ,/ შე ჩემი ცოდვით სავსეო?/ რაც მე შენ მარტო გელოდე,/ ცრემლით ქვევრები ვავსეო?/ ცხრა ზღვა რომ გადმოგილახავს,/ გადმოგეცურა ლა-მანში,/ კარგ დროს ტარებას გისურვებ,/ ცხელ კუპრის აბაზანაში!/ ვერტიკალურად ვერ შეძლებ/ აწი შენ ჩემთან მოზომვას,/ ხოლო ჰორიზონტალურად,/ მე არ ვაპირებ ბოზობას! შინაბერა.

• ეგ ახმეტელი ეთო ვიღაა, ჰა? არ გაახურა თავისი ახმეტით საქმე? ეთოები მარტო მე და ჯინგლე ბენსი ვართ. ახჰეტა, ახმეტა, მადლია თქვენი

გახვრეტა!

• მე რომ შემეძლოს თქვენი დავიწყება, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნება. ყველა ხოხმას გაუმარჯოს, 9717-ის, მაესტროსა და ჯეჯეს თამადობით. ყველა შურიანს, რა? რა და... უკარება.

• იბადებოდი და ჩემს მკვლელად გწერდა უფალი,
იბადებოდი იმისთვის, რომ გეტანჯე მარად,
შენ მიტომ გაჩნდი, რომ არ ვიყო თავისუფალი,
მთელი ცხოვრება შენ რომ მყავდე, ფიქრად და დარდად;
იბადებოდი, რათა მუდამ შენთვის მელოდა,
მთელი ცხოვრება რომ მქონდეს თვალზე ცრემლი,
მთელი სიცოცხლე მუხლზე დაჩოქილს შენთვის მელოცა,
იბადებოდი, ჩემს შემშლელად გწერდა განგება,
იბადებოდი, ჩემი ურჩი, ჩემი თავნება. ერთს... ათენი-23.

• მარიამ, ქალავ, მთლად აურიე ამ ახალგაზრდებს თავგზა, რა... შენ გარდა არაფერზე და არავისზე აღარ ფიქრობენ, ღამეც მარის მეტი არავინ ესიზმრებათ. ეს „გზავნილიორკიც" მაგარი გამოგონებაა. ჟურნალი-ჟურნალში ნამდვილ ოჯახს დაემსგავსა. ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ ათასში ერთხელ გწერთ. მემო.

• ათენში მყოფ დაიკოებს, თიაკოს და ნათუშკის: ორივე მენატრებით. ცოტნიკო უკვე დიდი კაცია. ჩვენ კარგად ვართ. ნათია, ცოტნე, მურადი. გკოცნით უთვალავს. წყალტუბო.

• გამარჯობა ყველას, აქ გულის გადასაყოლებლად ვამესიჯებ. მინდა, ჩემი ტკივილი და დარდი დავივიწყო. მერსედეს.

• მარიამულს და რიგით კაპიტანს მადლობა, რომ კინაღამ მიქელასთან არ გამგზავნეთ. ბაკურ, გული კი არა, ბაჯაღლო გაქვს. მარ, შენ კი



აი, რით არიან დაკავებული რუსეთის დუმაში

სულ სხვა ხარ, გრუზინკას უყვარხართ.

• კამი, იცი, როგორ მიყვარხარ? უძალიანმაგრესად! გმადლობთ, მუდამ რომ ცდილობ, გამამხნევო. შენ ხარ ჩემი კეთილი ფერია. ედელვაისო, ელისო, მიყვარხართ! ლუნა.

• გრუზინკა, ძალიან კარგი ადამიანი ხარ, გკოცნი. აი, ეს მინდოდა, მეთქვა თურქულად წინა ნომერში, მაგრამ შეცდომით დაიბეჭდა. მაგრად გაფასებ. გიყ-ხიფათა (თუ შცდომით დაიბეჭდა, ეს ჩემი ბრალი არაა, სამწუხაროდ, თურქული არ ვიცი... „რაც მამაჩემმა პეტერბურგში, წამიღო, თურქული სულ დაგავიწყდა... :))) — ავტ).

• შენც ჩემს გულში ხარ, ედელვაისო. ლუნას, კამის და ტირიფს: სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ. ჩემი ოქროს ძამიკოს (მაესტროს) თამადობით გიორგობას გილოცავთ. თქვენი გრუზინკა.

• რუსას: მახსოვხარ, მგონი ადრე ჩვენს კლუბში გინდოდა ყოფნა. გურჯაანიდან ხარ, არა? ნიკოლ, გაიხარე! ნერტის, მეც გილოცავ გიორგობას, დაიკო. ორომტრიალა, გაგეცნობი. გრუზინკა.

• „გზავნილების" დედოფალს, მარიამულს: მინდა, გიორგობა მოგილოცო და გისურვო ღვთის წყალობა, სიკეთე, ჯანმრთელობა. წმინდა გიორგი იყოს შენი მფარველი. შენი გრუზინკა.

• ჭორის გამავრცელებლებო, აღარ დაიღალეთ? ნუ გშურთ სხვისი ბედნიერების, მე სულიერად არ დავეცემი და არ დაგიწყებთ იმის ახსნას, ვისთან როგორი ურთიერთობა მაქვს. მე და მაესტროს ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, გაიგეთ?! უკარებავ, ნუ წახვალ „გზიდან". ენიგმა, „გზას" დაეტყო უშენობა, ძამია. კამიიი, მიყვარხარ! მარიამულ, გულში მიყვარხარ. ლუნა.

• აუ, რა საყვარლად ვაააარ... :) ბუნებამ საჩუქარი გამიკეთა და წვიმიანი



კოსმონავტები მიწაზე დაბრუნების შემდეგ თავს მეშვიდე ცაზე გრძნობენ.



გაბრაზებული ცოლი სად არ შეგაძვრენს

დაბადების დღე გამითენდა. მე რომ დავიბადე, წვიმდა. :) ახლა მარტო რამდენს ვიხეტიალებ... :) green girl.

• პასუხი მე-ს, ლაშას არჩევანი რომ დაუწუნა: „გზაში“ როჟებიც რომ ჩანდნენ, მიგამგვანებდნენ თხასაო/ ეგრე მოქცევით იცოდე, ვერას მოიმკი, კარგსაო. ნათათო, ლამაზი ხარ. ლუნა.

• ხალხო, რა გჭირთ, რატომ გესლავთ ერთმანეთს? ეს რა გოიმობაა, აცადეთ ერთმანეთს სიტყვის თქმა. მაკაკო.

• მარიიი... :( ჩემი მესიჯის დასაწყისზე სხვისი მესიჯი მიგიბამს და ნიკიც, რა თქმა უნდა. დავიბენი... აგრესიონერა.

• ოთხშაბათს ნერტისი გავიცანი. უსაყვარლესი გოგოა. მიყვარხარ, სიხარულო. გაკოცე. green girls: მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. ყველას გიორგობას გილოცავთ. ედელვაისი.

• წერილი ჩემს გურულ მეზობლებს: ხალხო, მართალია მიცანით, მაგრამ მაინდამაინც ნუ მაპიარებთ, მთელი ლანჩხუთისა და საერთოდ, გურიის მასშტაბით.

• გაგეცნობი, შიბლიანელო. ჩემი ნომერი ბევრ მგზავნელს აქვს. მოკითხვა ყველას, ვინც მიცნობს. აბეზარა.

• მე არასდროს მითქვამს საკუთარ თავზე, ლამაზი ვარ-მეთქი. ამას ყოველთვის სხვები ამბობენ. რას ვიზამთ, ყველა ჩემნაირი ხომ ვერ იქნება? შურმან შეიპყრო ერი უსწავლელი. ჰოოდა, იკუშკები, მე, შენ და ქუთათურს ოქროს დაბადების დღე გვაქვს. :) მეც გილოცავ, სიხარულო და ყველას დიდი მადლობა, ვინც მომილოცა. :) green girl.

• ხუთშაბათი დღე გათენდა, სასწაული ხდება „გზაში“/ ძველი ხალხი გვიბრუნდება, ყველამ ერთად დავცხოთ ტაში/ შევეგებოთ სიყვარულით და გავუთბოთ გულები/ მივანიჭოთ და ვაჩუქოთ სიყვარული, ულევი/ მათი მოსვლის აღსანიშნად, ბალ-მეჯლისი გავმართეთ/ და ჩამქრალი ვარსკვლავები კვლავ ხელახლა ავანთეთ/ ბალზე ყველა შეიკრიბა, ძველებიც და ახლებიც/ აქაური მგზავნელები, ემიგრანტი ბავშვებიც/ ილინი და კანიბალკა, ლელუჩი და ლიმონა/ უთქვენობით მივიძინეთ, თითქმის სევდამ გვიმონა/ აქვე სხედან იკჩოსიხჩო, ნონ სტოპი და ჩორიჩორი/ კახელი სალოც აქვეა, არ გეგონოთ მონაჭორი/ ყველამ გულში ჩავიხუტოთ, პრინცესა და ნიკოლი/ თამადად კი ავირჩიოთ, ოლე-კაცი, პრიკოლი/ ბაო-ბაო, ლორე, კაკუ, მაესტრო და სესიო/ შემოგევლეთ, გაგიმარჯოთ, ეს კი ყანწით შევსვიო/ მათი ნახვის მერე თვალზე, რული არ მეკარება/ მოგხიბლავთ და გაგაოცებთ, კახელო და უკარება/ დუჩი, კიკო, ნათათუნა, მანაველო ხატიავ/ გაიხარეთ, სიკეთისთვის, გული თქვენთვის ანთია/ ლექსთა თქმაში პაექრობენ, სტიქია და ლიმონა/ ბიჭმა თავი მოგვანატრა, გოგონამ — დაგვიმონა/ პარიჟანკა, ეშმაკუნა, პუსიკა და ელისო/ თქვენს წერილებს მგზავნელები მოუთმენლად ელისო/ მხოლოდ ერთი მიხვდა იმას, ძაღლის თავი სად მარხია, შიგადაშიგ ნუ გვნახულობ, სულ აქ დარჩი, ანარქია/ ფინტიკოზა, კარდიოლოგ, იკუშკები, კამელია/ თქვენი აქ მოსვლის მიზეზი, ყველასათვის ნათელია/ თესავთ მხოლოდ სიყვარულს, რწმენაცა გაქვთ ურყევი/ ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ, სიხარული ულევი/ ზურა, 9717, ვერმახტ, პავლიკ,

• ჯიგრები ხართ, ალალნი/ წყალობას არ მოგაკლებთ, ციდან ღმერთი, მაღალი/ ჩვენ მეჯლისს კი ამშვენებს, დედოფალი ჩვენი, მარი/ ამ სამოთხის შემქმნელი და ვისთვისაც ჟღერს მუდამ ქნარი/ დღეს ფრთა შეესხა ოცნებებს, ბევრს უხდა გულის წადილი/ მარადჟამს ყველას გფარავდეთ, დედა-ღვთისმშობლის მანდილი. აპოლონი.

• ძველი მგზავნელები ვბრუნდებითო და მეც აქ გავჩნდიიი. მშვენიალური იდეაა! მართალია, ჩემი დაბრუნება ერთჯერადია, მაგრამ არა უშავს. ვაღიარებ, მომენატრეთ. რაც „გზიდან“ წავედი, ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარგი და ცუდი რამ მოხდა. ძირითადად, სწავლით ვარ დაკავებული, ჟურნალისტურ ცხოვრებაში

თავით გადავეშვი. ცოტა ხნის წინ მე და ჩემი 2 ჯგუფელი რეპორტაჟის მოსამზადებლად ერთ-ერთ სკოლაში მივედით და დირექტორსაც შევხვდით. დირექტორმა ძალიან თბილად მიგვიღო და კაბინეტში შეგვიპატიჟა. დავსხედით და საუბარი დავიწყეთ. ქალბატონი რატომღაც ჩურჩულით ლაპარაკობდა. გვერდით ოთახებში გაკვეთილები მიმდინარეობდა. ვფიქრეთ, რომ კედლების სითხელის გამო ჩურჩულებდა და ჩვენც ჩურჩულით ავყევით. კაი ხანი ვიჩურჩულეთ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ თურმე ქალბატონი გაცივებული ყოფილა და ხმა დაკარგვია, ჩვენ კი სულ ტყუილად დავიწყვიტეთ ყელის ძარღვები, ხავილით. ძალიან შეგვრცხვა, მაგრამ რაღა დროს? გკოცნით, პენსიონერი.

• მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ დარეჯან ცხვედიანს იმ დიდი სიკეთისთვის, იმ დიდი სიხარულისთვის, დიდი საჩუქრისთვის, რაც გამიკეთა. ღმერთმა დაგლოცოთ, დარეჯან დეიდა, ჩემი გახარებისთვის.

• ძაან მომენატრა იურისტი კანიბალკა, გიჟი მონასტრის ბიჭი, პატრული ელისო, ლამაზი ზაზუნა-22, უსაყვარლესი კაკუ, ბაო-ბაო და ნელკა, ძვირფასი მაესტრო, ჯიგარი ლეო91, მხიარული ილინი და მისი დედიკო — მგლის და, დაკარგული ჩუქჩა და ლუციფერი, კასპელი ქალი — ლორელაი, ჭკვიანი ლელუჩია, მოჩხუბარი ისტერიჩკა, საყვარელი მაზოხისტკა და ჯონი დეპი, ლამაზუკა დუჩი და green girl, მშვენიერი პუპსიკა, რაჭველუკა ტემბოლეე და ჩორტიოზნაეტი, ზემლიაკი შეწირული, პოეტი სტიქია, მონატრებული ანარქია, მხიარული ოლეგარიო, ახალგაზრდა პენსიონერი, დეიდა პარიჟანკა, გიჟი მანაველი, ფეხბურთელისტკა ნინო-მილანი, გიჟქალა სესი, ექთანი ფინტიკოზა, გადარეული გიჟ-პოეტა, სიზმარა ზმიზმი, დები, კოხი და 13.07 და ა.შ... მარ, შენ არ გენატრება ეს ხალხი? ჰო, არა? მეც, თან — ძალიან. გთხოვ, გამახარე და მომეცი საშუალება, რომ ყველა მოვიკითხო, მისივე საყვარელი ჟურნალიდან და ვუთხრა, რომ მეგობრობითა და სიყვარულით შეძლეს ჩემი გულის დამორჩილება. მე თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ! მიყვარხართ და მარად მეყვარებით, რა თქმა უნდა, მარიამულის ჩათვლით. გკოცნით, თქვენი ნიკოლი.

• „გზაელებო“, სალამი, გიორგობას გილოცავთ. მარო, მომენატრე. თქვენი დაკარგული „გზაელი“ დაგიბრუნდათ. როგორ მახსოვს... შარშანაც არ მიხაროდა ჩემი დაბადების დღე, 30 ნოემბერი. ახლაც იმ სიტუაციაში ვარ. გახსოვართ ნეტავ, ჩემო მგზავნელებო? მარი, სადმე ჩამაკვეხე, რა. მეგრელი მგელო.

• გთხოვ, უკარება, არ წახვიდე. კარგი ადამიანი ხარ და არ მინდა, „გზიდან“ საერთოდ წახვიდე. შენ ხომ ხარ შენს თავში დარწმუნებული, რომ მატყუარა არ ხარ? ჰოდა, ვინც ეგ გითხრა, ის არის მატყუარა და სხვაც მასეთი ჰგონია. მართალია, „გზაში“ არავის ვიცნობ ენიგმას გარდა, მაგრამ სულ ვკითხულობ „გზას“ და ვიცი და მწამს, რომ კარგი ადამიანი ხარ. ენიგმა, მენატრები. 5200.

• მივესალმები მარის და მგზავნელებს. დიდი ხანი არ არის, რაც აღმოგაჩინეთ, მაგრამ უკვე უსაზღვროდ შემიყვარდით. „გზამ“ ჩემი ცხოვრება გაახალისა. ნუცა.

• მინდა, ამ მესიჯით ჩემს მონატრებულ და საყვარელ მგზავნელებს მოგეფეროთ და გითხრათ, რომ ყველანი ძალიან მიყვარხართ. გკოცნით ბევრს. გმადლობთ, რომ არსებობთ. ოლეგარიო.

• გაუმარჯოს ყველას!



დიდი სიყვარულით მოვიკითხავ პატარა ეშმაკუნას და მაესტროს! თქვენ კი, ვისაც ჩემი გაცნობა გსურთ, მომწერეთ, ვიმეგობროთ.

• მოვიკითხავ კანიბალკას, ილინს, მგლის დას, უზნეო ანგელოზს, უკარებას, ფინტიკოზას და ყველა მგზავნელს. ყველანი მიყვარხართ. ირაკლი ანუ ბოა.

• ნიკოლი, გარიყული, ლუნა, ეთო, ვერმახტი, მაესტრო, ნონ სტოპი, სესი, აპოლონი, მაზოხისტკა, ძალიან მიყვარხართ და ჰო, კიდევ გიჟპოეტას ველოდები, სად არის? გკოცნით ყველას. ეგოისტკა.

• დიდი ხანია, გაკვირდებით მგზავნელებო და სურვილი გამიჩნდა, შემოგიერთდეთ. ენიგმა, როდის გიხილავთ? მოგვაკლდა შენი იუმორი. უშენოდ „გზაში“ ბნელა.

• მარი, როგორ ხარ? იცი, ვინ ვარ? კაკუ! პატარა, ცელქი, მოუსვენარი... ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ვერ გაგიტეხე და აჰა, აქ ვარ... p.s. დე, მა, დიკ, მიყვარხართ! კაკუ.

• იკუშკები, გილოცავ დაბადების დღეს. კაროჩე, მაგარი ვინმე ხარ, რაა... :-)) ასე გააგრძელე. ჩემი ფავორიტი ხააააარ! კაკუ.

• როცა ტვინი განვითარდა, მაშინ ფული გამითავდა. მოკითხვა ყველა ჯიგრულ „გზაელს“, ვინც მიცნობს და ვინც არ მიცნობს. ყველას გილოცავთ გიორგობას. აბა, დროებით. ჯეჯე.

• პატარა მავნევ, სად დაიკარგე? უკარებავ, მომეკარე სამესიჯოდ, მოკითხვა ძველ და ახალ მგზავნელებს. p.s. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ფინტიკოზას. ირაკლი ანუ ბოა.

## მიყვარხარ



• ჩემო სიხარულო, ჩემო დემიკო, ძალიან მიყვარხარ და ბედნიერი ვარ შენ გვერდით. ჩვენი პატარა ბაია სიცოცხლეს მირჩევნია. რომ განახავ, ბევრს გაკოცებ. შენი ხათუნია.

• მინდა, ჩემს უძვირფასეს, უსაყვარლეს ადამიანს, ჩემს ლაშუკას ვუთხრა, რომ

უძლიერესად მიყვარს. ლაშ, გპირდები, ჩემთან უბედნიერესი იქნები. უამრავს გკოცნი.

• ქობულეთელო ემირიძე გიორგი, მგონი შენდამი რალაც გრძნობა გამიჩნდა და რალა მეშველება? იიი... ეჰ, ნეტავ ვიცოდე, შენ რას ფიქრობ ჩემზე...

## გილოცავ



• სვეტლანა ღვედაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, უღრუბლო ზეცას, ოჯახთან ერთად გახარებას. დიდი სიყვარულით, თამილა.

• საყვარელ დაიკოს, მარიამ ბალახაძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ ულევ სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას. მანანა.

• ჩემს სიძეს, გიორგი ღარიბაშვილს ვულოცავ გიორგობას. ვუსურვებ სიტკბოს, საყვარელ მეუღლესთან ერთად. მანანა ბალახაძე.

• გიორგი ვაშაკიძეს ვულოცავ გიორგობის წმინდა დღესასწაულს. მანანა ბალახაძე.



ეროტიკული სარეცხი

• ბანში, ჩვენს პატარა, მონატრებულ შვილიშვილს, გოჩა სიმონიას ორი წლის შესრულებას ვულოცავთ, ბებია და ბაბუა, ლია და კობა ხურციძეები. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ღმერთის წყალობას. გვენატრებით, გეფერებით და გკოცნით შორიდან, ჩვენო სიხარულო.

• დაბადების დღეს ვულოცავთ ათენში, გოჩა წიწილაშვილს და ირინა ქობულაძეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, თქვენს შვილებთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი. საბა და გაგა.

• თეა ამირანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, სიხარულს, წარმატებას ვუსურვებ, კეთილისმსურველებით. უფალი გფარავდეს. სიყვარულით, მეგობარი ეკა.

• ათულიკო კუბლაშვილს ვულოცავ 2 წლის შესრულებას. ათულიკო, გისურვებ ჯანმრთელობას, ღმერთის მფარველობას, შენი დედიკოსა და მამიკოს გული გაგეხარებინოს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. თიაკო.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ლანა მამრიკიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელობა და სიკეთე არ მოგაკლოს. სულ გახარებული მენახე. გიგზავნი უამრავ კოცნას. შენი დედიკო, დარეჯანი.

• ჩემს საყვარელ სიძეს, ზაზა კოროძინაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 1-ლი დეკემბერი. ზაზა, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში, იხარე და იბედნიერე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გფარავდეთ უფალი. ათენიდან, მზევინარი.

• ჩემს საყვარელ ძამიკოს, გიორგი ტაბატაძეს ვულოცავ 23 ნოემბერს, გიორგობას. შორი გზა გვაშორებს, ძამი და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მენატრები. შენ ჩემი ცხოვრება და ჩახუტება ძამიკო ხარ. ანი.

• 30 ნოემბერს, გია ნინუას ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და



სიხარული არ მოგკლებოდეს, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ და მგონი, ეჭვი არ გეპარება, რომ ყველა სიკეთე შენთვის მინდა. კი წაგკბენ ხოლმე, მაგრამ შენი ფასი, ხომ იცი, აქ არავინ მყავს. შენი ნინა გოცი. იტალია.

• ჩემს მეგობარს, მერაბ ყიფიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 ნოემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეს. ფიქრია.

• ზესტაფონში ნათია გორგაძეს 20 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღმერთის მფარველობას, ოჯახთან და პატარა შვილთან ერთად. დაიკო ნინი.

• იკუშებს: მეგობარო, 21 ნოემბერს იუბილეს გილოცავ. ღმერთმა სულ ასეთი კარგი და ანგელოზი გამყოფოს. სიყვარული არ მოაკლდეს შენისთანა ლამაზი გულის პატრონს. გრუზინკა.

• იკუშკები, დაგვიანებით გილოცავ იუბილეს. გაიხარე! სვეტა, კახა, ანა, ანი, ციკო, მაკა, მაკა, ოლე, მარი, ნათი, ნათათათო, მიშკა, კამი... crazy girl-ს უყვარხააართ!

• გიორგი ბიძიას დაბადების დღეს ულოცავენ პატარა ზურა და ლიზი კოროშინაძეები და უსურვებენ კოველივე კარგს. გიო, გვიყვარხარ ძალიან.

• დაჯი, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და გამძლეობას. ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს შენი ბებრები. დამეთანხმები, საბერძნეთში ეს ყველაზე კარგი სურვილია, რადგან ვიცით, რა რთულია ახალ ოჯახთან შეგუება. გკოცნი. თამილა.

• ჩემ ძმას, გიო მახარობლიძეს და ჩემს მეუღლეს, ზაზა კოროშინაძეს დაბადების დღეს ვულოცავ და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. მიყვარხართ მაგრად. ნინო. ტყიბული.

• 27 ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ და მონატრებულ შვილს, ნინო ხუციანიძეს. უფლის წყალობა, ბედნიერება და სიხარული არ მოგკლებოდეს, ჩემო სიხარულო. ყველაფერი აგბდენოდეს, რაც გულით გსურს. გეფერები, შენი დედიკო ლია.

• ჩემს შვილს, რეზიკო გურესაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ნოემბერს. იყავი მუდამ ბედნიერი და გახარებული, შენს ცოლ-შვილთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ყველგან და ყოველთვის. გულში გიხუტებს, გეფერება და გკოცნის ბევრს, შენი მონატრებული დედიკო.

• ნინო, გილოცავ დაბადების დღეს, 27 ნოემბერს. სიხარული, სიყვარული დაგებედოს დღეს, სიკეთე და ღვთის წყალობა გინათებდეს გზებს, იმედი და უფლის რწმენა არ მოგკლებოდეს. დიდი სიყვარულით, ნათელა.

• მინდა ჩუმად მოგიკითხო, გვიან, შუაღამით, არ მინდა, რომ გაგაღვიძო ხმამაღალი ზარით, მინდა ჩუმად მოგეპარო, გაკოცო და ამით, დაგიმტკიცო მონატრება, თუნდაც ერთი წამით. ზაზა, გილოცავ დაბადების დღეს. შენი მეუღლე და შვილები, ნინო, ზურა და ლიზი.

• ჩემს რძალს, ქეთი შეყილაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ჩემო ქეთი, გეცოცხლოს, გევლოს სულ ნათელ გზაზე, სავსე ჭაღარა გერიოს თმაში, დღეიდან კიდევ ასი წლის შემდეგ გევლოს და წლები ვერ მოგერიოს, შენს საყვარელ მეუღლესთან და მომავალ პატარასთან ერთად. შენი მული, ხათუნა ლალაშვილი.

• ჩემს საყვარელ დეიდას, ნანი მხეიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ნოემბერს. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე ლამაზსა და საუკეთესოს. თიკო.

• ლია ბაგრატაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ნოემბერს. გისურვებ შენი მიზნების მალე ასრულებას და შენს საყვარელ ოჯახთან მალე ჩახუტებას. თიკო.

• ნატო, გილოცავთ დაბადების დღეს, 27 ნოემბერს. მრავალს დაესწარი ბედნიერად, საყვარელ მეუღლესთან, ვაჟებთან — აჩისთან, ივკასთან ერთად. ლია, მერაბი, ლევანი, გიო, ელისო.

• ახმეტაში მცხოვრებ გიორგი ქიზროწაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ნოემბერს. ღმერთმა სულ კარგად გამყოფოს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი და — ანუკა.

• ნიკუშა გზირიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო პატალავ, ძალიან მიყვარხარ, სულ ბედნიერი და გახარებული იყავი. შენი მამიდა კი არა და... გელა.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

## რა მოხდა ისრაელში მიმავალ თვითმფრინავში?



კომპანია „ისრაერის“ თვითმფრინავში, რომელიც შაბათს მოსკოვიდან ეილატში მიფრინავდა, რუსეთის ორმა მოქალაქემ, რომელიც უგონოდ მთვრალი იყო, ჩხუბი ატეხა. მათ თვითმფრინავის სავარძელი გატეხეს და სტიუარდესას გაუპატიურებაც სცადეს. ერთ-ერთმა მათგანმა გოგონას საჯდომზე უკბინა.

კომპანიის საინფორმაციო სამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ ერთ-ერთმა ჩხუბისთავმა მასთან ერთად მყოფ ცოლს სცემა.

წესრიგის დამრღვევნი თვითმფრინავის დაჯდომისთანავე დააკავეს. მათ დანაშაული აღიარეს. წესრიგის დარღვევისა და სტიუარდესაზე ძალადობის გარდა მათ ბრალად მგზავრების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაც წაუყენეს. ეკიპაჟის მეთაური იძულებული გახდა, ფრენის დროს თავისი ადგილი მიეტოვებინა და სტიუარდესას მიშველებოდა. სასამართლომ დამნაშავეები გაუშვა, მაგრამ მათი პასპორტები დაიტოვა მანამ, ვიდრე ჩხუბისთავები ჯარიმას — 25 ათას დოლარს არ გადაიხდიან.

რამდენიმე თვით ადრე, ამავე რეისით მიმავალმა რუსმა ჟურნალისტმა, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თვითმფრინავში ატეხა ჩხუბი. აეროპორტში ის პოლიციამ დააკავა. გაბრაზებულმა ჟურნალისტმა პოლიციელს ცხვირზე უკბინა.

## ყველაზე პრესტიჟული კონკურსი პოკერში

ლოს-ანჯელესში, პოკერში ყველაზე პრესტიჟული კონკურსი დასრულდა. საერთაშორისო ჩემპიონატის გამარჯვებული, 22 წლის დანიელი მამაკაცი გახდა. პიტერ ისტეიგი პოკერის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია. მისმა მოგებულმა თანხამ 9,15 მილიონი დოლარი შეადგინა. ბანქოს ფინალურ დარიგებაში პიტერმა რუს ივან დემიდოვს მოუგო და ახალგაზრდა მილიონერების სიას შეემატა.



## ქვის ხანის ადამიანებმა ოჯახური ცხოვრების ყველა ხიბლი იცოდნენ

მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც 4600 წლის წინ გარდაცვლილი ადამიანების ჩონჩხიდან აღებული დნმ-ის ანალიზს ატარებდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქვის ხანის ადამიანები თანამედროვე ოჯახებივით ცხოვრობდნენ. მათი ოჯახებიც შვილებისა და მშობლებისგან შედგებოდა. სამარხში იპოვეს ქალისა და მამაკაცის ჩონჩხები, რომლებიც შვილებთან იყვნენ ჩახუტებული. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. კბილების შემადგენლობის მიხედვით ისიც დაადგინეს, რომ ბავშვები იმავე რაიონში იზრდებოდნენ, სადაც მათი მამა, ქალი კი — ამ ადგილიდან 60 კილომეტრის მოშორებით. ეს ამტკიცებს ვარაუდს, რომ ამ ტომის მამაკაცებს ცოლები სხვა ტომიდან მოჰყავდათ. მეორე სამარხში 3 ბავშვის ჩონჩხი აღმოაჩინეს — ბიჭუნასი და გოგონების. მათ გვერდით კი ქალის ჩონჩხს მიაკვლიეს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ქალი ამ ბავშვების დედაა. გარდაცვლილები ერთდროულად, სასტიკად იყვნენ დახოცილები. ეს ფაქტი მეზობელი ტომის თავდასხმაზე მეტყველებს. გარდაცვლილი ნათესავები ერთად რომ დაასაფლავეს, იმის მიმანიშნებელია, რომ ქვის ხანაში ადამიანები თანამედროვე ტიპის ოჯახებად ცხოვრობდნენ. აქამდე მიიჩნევდნენ, რომ უძველესი ადამიანებისთვის მთავარი ტომი იყო, ოჯახები კი შერეული ტიპის გახლდათ და რამდენიმე წყვილისგან შედგებოდა, ხოლო თანამედროვე ტიპის ოჯახი, სადაც მშობლები და შვილები ცხოვრობენ, უფრო მოგვიანებით გაჩნდა. ახალმა აღმოჩენამ ეს აზრი გააქარწყლა.



პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

# „ერთხელ ჭირისუფალსაც გაეცინება"...

ინგა ჯაყელი

სათაურად გამოტანილი გამონათქვამი, ალბათ, თქვენც გექნებათ გაგონილი და უეჭველია, დაგვეთანხმებით კიდეც: კი ბატონო, ჭეშმარიტებაა — შეიძლება, ისეთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს, ყველაზე გულდამდუღრულ ჭირისუფალსაც კი გაეცინოს, როცა წინ გაუსვენებელი მკვდარი უდევსო!..

ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, სასაფლაოზე მოვისმინე, როცა ბავშვებთან ერთად იქ მისვლა და წინაპართა საფლავების მოწესრიგება გადავწყვიტე. ბავშვებს მუშაობა ეზარებოდათ და თვალი მდინარისკენ გაურბოდათ, საიდანაც დილიდან ისმოდა მათი თანატოლების ჟრიამული. ამის გამო, „აღმზრდელობითი ლექცია" გავაჩაღე იმაზე, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და თუ ახლა ჩვენ არ ვიზრუნეთ წინაპრების საფლავებზე, თავის დროზე არც ჩვენ „გვესტუმრებიან" შთამომავლები და ბალახი შეჭამს საფლავის ქვას... რომ იცოდეთ, როგორ „უხარიათ" გარდაცვლილებს მონატრებული ცოცხალი ნათესავების „დანახვა"-მეთქი...

— კარგი, რა, მამიდა! — შემაწყვეტინა რაჭველისთვის მართლა უჩვეულოდ ენამოსწრებულმა ძმისშვილმა:

— მკვდრები რომ რამეს გრძნობდნენ, ბაბუაჩემს ეგ მტკაველი მიწა დააკავებდა? კარგა ხნის ამომხტარი იქნებოდა საფლავიდან!..

— ისე, მგონი, საცაა, ხელს ამოყოფს; ნახე, მიწა რამხელაზე ამოწეულა! — სიტყვა ჩამოართვა მეორემ და თხუნელას მიერ გაკეთებულ მიწაყრილზე მიგვითითა. მერე სახსლავი მაკრატელი შემაჩეჩა ხელში, რომლითაც საფლავზე „შემომძვრალი" ეკალ-ბარდის ფესვი გადაჭრა და ჩრდილისკენ გაიწია — წინაპრებს პატივს ვცემ, მაგრამ მათთან „ჩახუტების" არანაირი სურვილი არ მაქვსო!..

ამ სიტყვებზე იქვე მომუშავე კაცებს, რომლებიც ახალ საფლავს თხრიდნენ, გულიანად გაეცინათ. ერთ-ერთი მათგანი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და გვკითხა:

— ვინა ხართ, აქაურებს არ ჰგავხართ?..

სოფლად ყველა ყველას ნათესავი და მოყვარეა, არც ჩვენ აღმოვჩნდით, შორებლები და გულიანად ჩაგვკოცნა კაცმა, რომელიც მესაფლავედ გამოეგზავნათ მეზობლებს...

რაჭაში (ყოველ შემთხვევაში, ჩემს სოფელში!) მუდმივი მესაფლავე არ ჰყავთ, რადგან ეს საქმიანობა რატომღაც დამამცირებლად მიაჩნიათ: თელ სოფელს რო საფლავს გოუთხრის, იმ კაცთან ღვინოს, ქვე, რა დაგვალევინებსო?!. — უკადრისობენ. ვერაფერი ლოგიკაა, მაგრამ რაჭველებთან ამ თემაზე კამათი არ ღირს და არც მე ვეკითხები რამეს „მორიგე მესაფლავეს":



სწორედაც მორიგეს, რადგან მორიგეობაა დაწესებული, როცა ვინმე გარდაიცვლება და ეს თავისებური აუცილებელი ხარკია, რომელზეც უარი არ გაგივა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მართლა დაუმარხავი დაგიტოვონ მკვდარი, როცა ამ გარდაუვალი ფაქტის წინაშე დადგები...

— ვინაა მკვდარი? — ვიკითხე, უფრო ზრდილობისათვის.

— ქალაქელი ვალიკუნა გვეზარალა. ცოლი ჰყავს ჩვენებური და იმან ინდომა აქ ქმრის დამარხვა, რადგან ქმრის ნათესავები სიცოცხლეშიც არ მოსდიოდა თვალში და ასე, თავის საფლავსაც წინასწარ იმზადებს! — მითხრა და გაგვეცალა, ნახევრად გათხრილ საფლავში წელამდე ჩადგა და მიწის ამოყორა დაიწყო. მეც ჩემი საქმე გავაგრძელე და სასაფლაოს სიჩუმეში ერთ-ერთი მესაფლავის ლაპარაკს მივუგდე ყური:

— ბოშო, რა გამახსენდა, თუ იცით?.. ვალიკუნამ რომ გაგვამასხრა, კაი ხნის წინ სიდედრი რომ მოუკვდა... ვერ იტანდნენ ერთმანეთს, ქვე იცით, და ახლა რომ ასე ახლოში მივუწვენთ, მკვდრები რაღას დახოცავენ ერთმანეთს და მართლა არ გაცოცხლდნენ, ე მკვდარძაღლები!..

— ფუი! — გააჟრჟოლა შედარებით ახალგაზრდას და გვერდზე გადაანერწყვა — ისედაც მეშინია მკვდრების და სასაფლაოსი, ახლა რაიმე კოშმარი არ მოჰყვეო!..

მთხრობელმა უსიტყვოდ აუქნია ხელი და გააგრძელა:

— მოკლედ, მოკვდა ქიონია და გეიგიყა თავი ვალიკუნამ: მაგის სიკვტილს მევესწარი, წინ ვიძღვანე და კაი კუბო ჩემზეა, ქალაქიდან ჩამევიტანო!.. ჩამეიტანა მართლა რაიონამდე, მარა მერე ქვე იცით, რაცხა გზებია, და სოფლამდე ხარ-ურემი დაგვჭირდა იმ „დასაწვავის" ასატანათ. პაპანაქება სიცხემ დაგვაჭირა, აღმართს რომ შევუდექით და ახადა თავსახური ვალიკომ: ჩავწვები შიგ, სანამ წნევას არ დოურტყია და არ მივუოლივარ იმ სულწაწყმედილსო!.. ჩაწვა სიდედრის კუბოში და ცოტა ღრიჭოდ თავსახურიც დაახურა... მივაღწიეთ ასე სოფლამდე და გაჩერდით ქიონიას ჭიშკართან, რომ ხელით შევიტანოთ კუბო, სადაც მიცვალებულია დასვენებული. აჯახადეთ თავი და რას ვხედავთ?! არ სძინავს გულიანად ვალიკოს, გვერდზე გადაბრუნებულს?! არ დაგვანება გაღვიძება დათუნიკამ, ხომ იცით, რავარი უბედური ჰყავს გამჩენს!.. რა გვენაღვლება, ვისეიროთო! — და ვალიკოსთან ერთად შევიტანეთ კუბო დარბაზში,

მიცვალებულის ტახტის წინ დავდგით, რავარცაა წესი და ჭირისუფალი გააფრთხილა დათუნიკამ: ლაქი კაი გამომშრალი არაა და ამელამ ნუ ახლებთ ხელს, ნურც სახურავს ახდითო!.. არავის შეპპარვია ეჭვი რამეში და პანაშვიდიც დაიწყო ამასობაში. ქიონიას დას, ვერიჩკას, 50 კაცი მოჰყვა და ერთად შეხორიალდნენ დარბაზში. შემოირტყა ვერიჩკამ ლოყაზე ხელი და დაკივლა, მარა რა დაკივლა!.. ჰოდა — გაეღვიძა, რავარც იქნა, იმ ჩვენს ვალიკუნას და დაფეთებულმა ახადა კუბოს სახურავი ხრიგინით... მომსვლელი კი არა, ჭირისუფალიც დააბნია მოულოდნელობამ და იქ ამბავი ატყდა-ა! გადაჯეგეს ერთმანეთი, კიბეზე დაგორდნენ, მიცვალებული ვიღას ახსოვდა?!.. ვალიკო გასვენებაში აღარ გვიშობდა და მერეც კაი ხანს არ გველაპარაკებოდა.

— რომ შეეძლოს, ახლაც დაგვხოცავდა — ქიონიას გვერდით რავა მითხრით საფლავსო?! — ახორხოცდნენ კაცები და მეც გამეღიმა, არც მახსოვდა იმ წუთში არც ის, სასაფლაოზე რომ ვიყავი და არც სიკვდილის შიში და მორიდება...

ბავშვებს გავხედე. თავშექცევით წამოწოლილიყვნენ მარმარილოს გრძელ სკამზე და რაღაცაზე იცინოდნენ:

— როგორ არ გრცხვენიათ?! — დავუცაცხანე და ფეხზე წამოვყარე.

— რისი?! — გაიკვირვეს. რატომღაც, ვერაფერი ვუპასუხე და იმაზეც დავფიქრდი, — სიკვდილი და სიცოცხლე თუ ძმები არიან, არც ცრემლი და სიცილი უნდა „იყვნენ შორებლები". მერე ისიც გამახსენდა, მეგობრებთან ერთად მივედი ერთი მოხუცის პანაშვიდზე და წრეს რომ ვარტყამდით კუბოს, სწორედ მაშინ დასცხო ჩემს ჩანთაში მობილურმა „შალახო"... სირცხვილით დავიწვი და საბოდიშოდ რაღაც წავილუღლუღე. მიცვალებულის შვილმა, ძია მერაბმა მხარზე ხელი მომითათუნა და გამიღიმა: „არა უშავს, ცხონებულს ქეიფიც უყვარდა და „შალახოსაც" შესაშურად ცეკვავდაო!..

ყველამ სცადა ღიმილის დამალვა, მაგრამ ჭირისუფალსაც კი არ გამოუვიდა და: — თქვენ გაიხარეთო! — დაგვადევნეს...

# პირველი ქართველი ფრანგულ ლიგაში და მამის კვალზე დამდგარი შვილი

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი თავდამსხმელის, გია გურულის ვაჟი სანდრო მიმდინარე სეზონში უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბში — ლვოვის „კარპატი" გამოდის.

თუ უმცროსი გურულის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მამის საფეხბურთო კარიერის თაობაზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც ბევრს კარგად მოეხსენება. იგი პირველი ქართველი ლეგიონერი იყო, რომელმაც დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლიგაში, კერძოდ, საფრანგეთის ჩემპიონატში ითამაშა და „ჰავრში" წარმატებული სადებიუტო სეზონიც ჰქონდა. გარდა ამისა, გურული ფიფას ლიცენზირებული მენეჯერია და საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის მუშაობის დროს, ფრანგი სპეციალისტის თანაშემწე იყო.

ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელის შვილთან სტუმრობა, ლვოველ ჟურნალისტებს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ.



საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის მუშაობის დროს, ფრანგი სპეციალისტის თანაშემწე იყო

*ლაშა თაბაგარი*

**— ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გაჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიწის ნაკვეთი ჩამოგართვათ?**

— ასეთი ინფორმაცია მართლაც გავრცელდა და ნათესავები საქართველოდან საფრანგეთში მირეკავდნენ, რათა გაეგოთ, თუ რატომ ჩამომართვა მიწის ნაკვეთი სააკაშვილმა. ფიქრიც კი დავიწყე იმაზე, საქართველოში მიწა სად მქონდა, რადგან არც ბაბუას და არც ბებიას რაიმე ნაკვეთი ჩემთვის არ დაუტოვებიათ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ არის ასეთი ბიზნესმენი — გია გურული და სწორედ მისი მიწის ნაკვეთის კონფისკაცია მოუხდენიათ. ჟურნალისტებს ინფორმაცია არ გადაუმოწმებიათ და დაწერეს, რომ ეს ჩემი მიწის ნაკვეთი იყო.

**— მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებს თქვენთვის დახმარების ხელი გამოუწვდიათ. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის თანაშემწე იყავით, ლვოვში უკრაინასთან ჩატარებული მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ფრანგული ენის მცოდნე არ აღმოჩნდა...**

— რუსულად საკმაოდ შესამჩნევი ქართული აქცენტით ვსაუბრობ. მაშინ ჟურნალისტები მართლაც დამეხმარნენ. მე პრესკონფერენციას ფრანგულიდან ქართულად ვთარგმნიდი, ხოლო ისინი ქართულიდან — რუსულად. იქ ერთი სახალისო შემთხვევაც მოხდა. კერძოდ, ოლეგ ბლოხინს ჰკითხეს, თუ რატომ ითამაშა მისმა გუნდმა არადამაჯერებლად? უკრაინელების მთავარმა მწვრთნელმა უპასუხა, რომ ამის მიზეზი მოედნის ცუდი საფარი იყო. მე კი ჟირესს ბლოხინის ნათქვამი ასე ვუთარგმნე: „ცუდ მოცეკვავეს..." თუმცა ცხადია, ვიხუმრე, რადგან ბლოხინის ნიჭს დიდ პატივს ვცემ.

**— ოლეგ ბლოხინის წინააღმდეგ გითამაშიათ?**

— სამწუხაროდ, არა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის „დინამოს" დუბლებში გამოვდიოდი და ბლოხინთან დაპირისპირება არ მომიხდა. მართალია, 1983-90 წლებში უკვე გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, მაგრამ მას მოედანზე არ შევხვედრივარ.

**— საფრანგეთში როგორ მოხვდით?**

— პოლონეთის გავლით. 90-იანი წლების დასაწყისში, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, პოლონეთში ადგილობრივი „კატოვიცეს" წინააღმდეგ ორი



თამაში ჩავატარე. პოლონელებს მათ გუნდში ჩემი დატოვება სურდათ, მაგრამ ჩვენმა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა — დავით ყიფიანმა განაცხადა, რომ ჯერ საქართველოს ჩემპიონატი უნდა მოგვეგო. თბილისში რომ დავბრუნდით, გაზაფხულზე მენისკის ტრავმა მივიღე. ცოტა ხანში, „კატოვიცეს" წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და „დინამოს" ჩემი ტრანსფერის შესახებ შეუთანხმდნენ. პოლონეთში ჩასულმა, ფეხზე ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, თოვლში ვითამაშეთ და ტრავმა კვლავ გამიმიზეზდა. მომხდართან დაკავშირებით, კლუბის პრეზიდენტმა, მარიან ჯუროვიჩმა მითხრა: „მე ბიზნესმენი ვარ და როდესაც ფეხბურთელს ვყიდულობ, ვცდილობ, შემდეგ ის უფრო სარფიანად გავყიდო. მაგრამ შენი მჯერა, ამიტომ, იმკურნალე, რათა ისევ ჩვენთან ითამაშო". როდესაც ადამიანი ასე გენდობა, მაქსიმუმი უნდა გააკეთო მისი იმედის გასამართლებლად. გამოჯანმრთელების შემდეგ, მონდომებით ვვარჯიშობდი და ვემზადებოდი. იმ სეზონში ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ, გარდა ამისა, პოლონეთის თასი და სუპერთასი მოვიგეთ. მოგვიანებით კი საფრანგეთიდან მენეჯერებიც ჩამოვიდნენ ჩემს სანახავად.

**— ისინი „ჰავრის" მენეჯერები იყვნენ?**

— დიახ. მათ მკითხეს, მსურდა თუ არა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში. გამეცინა და ვუპასუხე: ეს ვის არ უნდა-მეთქი?!. მაშინ ფრანგული კლუბებიდან მხოლოდ „მონაკო", „მარსელი" და „პეესჟე" ვიცოდი; „ჰავრის" შესახებ არაფერი გამეგო. როგორც გავარკვიე, წინა სეზონში ამ გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაეკავებინა, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არ იყო. ჰავრში სამი დღით ჩავედი და ერთი დღე ვივარჯიშე. შემდეგ კი გუნდის შემადგენლობაში, საფრანგეთის ლიგის თასზე ვითამაშე. მაშ-

ინდელი წესების მიხედვით, კლუბს აღნიშნულ ტურნირზე მოედანზე ისეთი ფეხბურთელის გამოყვანა შეეძლო, რომლებიც განაცხადში შეყვანილი არ ჰყავდა. ის მატჩი მოვიგეთ და საგოლე პასი გავაკეთე. შეხვედრის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტმა რესტორანში დამპატიჟა, სადაც კონტრაქტი გავაფორმე. ახლა მხოლოდ ისლა რჩებოდა, რომ ფრანგული და პოლონური კლუბები ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ.

— **როგორც ჩანს, შეთანხმდნენ კიდეც–**

— საფრანგეთში დიდი ბოთლი ვისკი „ჯონი უოკერი" შევიძინე და პოლონეთში ჩავფრინდი. „კატოვიცეს" ხელმძღვანელობას შეხვედრისას ვუთხარი: ან საფრანგეთში გამიშვით და ჩემგან ეს საჩუქარი მიიღეთ, ან თბილისში ვბრუნდები-მეთქი. თბილისში წასვლა ნამდვილად არ მინდოდა, რადგან იმ პერიოდში საქართველოში ომი იყო. როგორც აღვნიშნე, პოლონური კლუბის პრეზიდენტი კარგი ადამიანი იყო და საფრანგეთში თამაშში ხელი არ შემიშალა. „ჰავრში" გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე წელი საფრანგეთის დაბალ ლიგებში ვითამაშე და 33 წლის ასაკში ბუცები „ლურსმანზე ჩამოვკიდე".

— **თქვენი შვილი „ლიონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია?**

— ჰავრში ცხოვრების შემდეგ, ბულონში გადავედით და კარიერა სწორედ იქ დავასრულე. იმ პერიოდში, „ლიონის" მენეჯერები ჩამოვიდნენ და მათი კლუბის საფეხბურთო სკოლაში შვილის



33 წლის ასაკში ბუცები „ლურსმანზე ჩამოვკიდე"

გაშვება მთხოვეს. აღსანიშნავია, რომ სანდრომ ახალ გუნდში საწყისი თამაშები კარგად ჩაატარა და გოლებიც გაიტანა.

— **მას ძირითად გუნდში დამკვიდრების შანსი თუ ჰქონდა?**

— იმ სეზონში პირველ გუნდში მხოლოდ ორი ფეხბურთელი — კარიმ ბენზემა და ჰატემ ბენ არფა მოხვდნენ.

— **სანდრო გურული ლვოვის „კარპატიში" როგორ აღმოჩნდა?**

— მენეჯერი ვარ და შესაბამისად, სხვადასხვა კლუბთან კონტაქტი მაქვს. „კარპატის" პრეზიდენტი პიოტრ დიმინსკი რომ გავიცანი, ჩემი შვილის კანდიდატურა შევთავაზე. სანდრო სინჯებზე უგორშჩინაში ჩავიყვანე, სადაც გუნდი შეკრებაზე იმყოფებოდა. მთავარ მწვრთნელს, ოლეგ კონონოვს ის მოეწონა და კონტრაქტიც გაუფორმეს. სანდრო შემტევ ნახევარმცველად თამაშობს და ტექნიკასთან ერთად, კარგი სისწრაფე აქვს. მე რომ ასეთი მონაცემები მქონოდა, უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებდი.

— **საქართველო-რუსეთის კონფლიქტის თაობაზე რას იტყვით?..**

— რაც მოხდა, ყოვლად მიუღებელია. პოლიტიკოსებმა არაფერი იციან და არაფერზე ფიქრობენ. არ შეიძლება, პატარა ქვეყანას ასე მოეპყრო.

— **იცით, რომ იმ პერიოდში ლვოვში ხალხს სახლების აივნებზე ქართული დროშები ჰქონდა გამოფენილი?..**

— ძალიან სასიამოვნოა, რომ მომხდარი აქაურებმა გულთან ასე ახლოს მიიტანეს. საერთოდ, ვხედავ, რომ ლვოვში ქართველებს პატივს სცემენ. ჩემს შვილს ვუთხარი კიდეც: როდესაც ასე გაფასებენ, შენც ვალდებული ხარ, ამ ხალხს პატივი სცე-მეთქი. უკრაინის მხარდაჭერას საქართველო კარგად ხედავს.

■






დასაწყისი იხ „გზა" №43-47

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

იმ დღის შემდეგ კიდევ ორჯერ ვნახე ნატა სეიფას მანქანაში. დამინახავდა თუ არა, ჯიბრიანი ღიმილი აუთამაშდებოდა სახეზე, თითქოს ნიშნს მიგებდა, თუმცა მისი გამოხედვა სხვა რამეზე მეტყველებდა. ვიცოდი, სეიფასთან ასე დაახლოება დაღუპავდა, მაგრამ ჩარევისგან თავს ვიკავებდი. რა უფლებით? წესით და კანონით, მასთან უკვე დავამთავრე ურთიერთობა. არც ვახოსთან დალაპარაკება გამოდიოდა — არ მეტყოდა, შენ ვინა ხარ, ჩემს საქმეში რომ ეჩრებიო? ცუდ დღეში ჩავვარდი, გამოსავალს ვერ ვპოულობდი. ცოტაც და, მთელი ქალაქი ნატასა და ბახტაძეზე ალაპარაკდებოდა. ამის გაფიქრებაზე წონასწორობას ვკარგავდი. ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ შევირიგებდი, მაგრამ თუ მათზე ჭორი აგორდებოდა, მერე თავმოყვარეობა არ მომცემდა საშუალებას, მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა.

ამასობაში, რამდენიმე კვირა გავიდა. ნატა არ გამოჩენილა. ბნელი აზრები ამეკვიატა. ალბათ ბახტაძემ თავის საწადელს მიაღწია და, როგორც ყოველთვის, სხვაზე გადაერთო-მეთქი. წარმოვიდგინე, რა დღეში იქნებოდა ნატა, თუ მართლა ასე მოხდა. ადგილს ვერ ვპოულობდი. ბოლოს ველარ მოვითმინე და დავრეკე. ყურმილი ბებიამისმა აიღო.

— გამარჯობა, ქალბატონო, ნატა თუ არის სახლში? — თავაზიანად ვიკითხე.

— გაგიმარჯოს, შვილო, რომელი ხარ?

— მე... ნატას ცეკვის მასწავლებელი ვარ.

— ააა. შემოგევლოს ჩემი თავი, როგორ ხარ, გენაცვალე?

— გმადლობთ, კარგად, კარგად. თავად როგორ გიკითხოთ?

— ეჰ, რა დროს ჩემი მოკითხვაა, შვილო, ვილას ვჭირდები ამ სიბერეში. ნატა თბილისშია, დედიკო, იქაურ მასწავლებლებთან ემზადება. მამამისმა წაიყვანა, სანამ სკოლაში გამოცდები დაეწყება. თვის ბოლოს ჩამოვა და მერე დაურეკე. ხომ მშვიდობაა, გენაცვალე?

— კი, კი, რა თქმა უნდა, კონცერტი გვაქვს დაგეგმილი და ნატას წაყვანაც მინდოდა. არა უშავს, რადგან ასეა, სხვა დროს დავრეკავ, კარგად ბრძანდებოდეთ. — ყურმილი დავკიდე და შვებით ამოვისუნთქე.

არა, რამე რომ მომხდარიყო, თბილისში ვერ წავიდოდა. თუმცა, რატომ? რაც უნდა გადახდენოდა სეიფასთან თავს, სახლში მაინც ვერაფერს იტყოდა. იქნებ, ამიტომაც წავიდა?

უსიამოვნო ფიქრები თავიდან არ მშორდებოდა. არ ვიცი, სანამ გაგრძელდებოდა ასე, რომ არა ერთი გარემოება, რომელმაც ყველაფერს ფარდა ახადა.

მე და სეიფა ერთად მოვხვდით რესტორანში, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე. ისე მოხდა, რომ სუფრასთან ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით. ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ მალევე დაგვაახლოვა. თან ვსვამდით, თან ვსაუბრობდით. მოულოდნელად სიყვარულის სადღეგრძელო წარმოთქვა და...

— ზაზა, ჯიგარო, ოდესმე ვინმე გყვარებია? — დანისლული თვალებით შემომხედა.

— კი, როგორ არა, — უხერხულად გავიღიმე.

— მერე? გაგიმართლა?

— სამწუხაროდ, არა. ჩემმა სიყვარულმა ჩაილურის წყალი დალია.

— საუბედუროდ, ჩემმაც, — თითქოს დანანებით თქვა.

ამ სიტყვებს ჩავეჭიდე. დარწმუნებული ვიყავი, ნატას გულისხმობდა.

— ერთი წელიც არ დამელოდა, — გავხსენი კარტები, — როგორც კი ჩემზე მდიდარი გამოჩნდა, მაშინვე იმას მისთხოვდა.

— ჰო-ო, შენ უფრო რთულად გქონია საქმე. ღალატი ძალიან ტეხავს. ჩემთან სხვა რამ მოხდა... სიმართლე გითხრა, სიყვარულის ახსნამდე არც მისულა საქმე.

— ეგ როგორ? — დავიძაბე პასუხის მოლოდინში.

— არის ერთი კარგი გოგო, ძალიან კარგი... ცხოვრებაში პირველად მომეწონა ქალი. რა ქალი, მთლად ბავშვია, მაგრამ არც მე ვარ ბებერი. ჩემზე ხნიერებს ჰყავთ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგონები ცოლად. ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. ვიფიქრე, მოვკიდებ ხელს და შევირთავ-მეთქი, მაგრამ დეიდაჩემმა ისეთი პანიკა ამიტეხა, გადამაფიქრებინა.

— მაპატიე, მაგრამ დეიდას ვინ ეკითხებოდა?

— წესით, არც არავინ, მაგრამ ცოტა სხვა სიტუაცია იყო. ის გოგონა დეიდაჩემის მოსწავლეა. როცა ეს გავიგე, ვუთხარი, ქალბატონო ნუციკო, შენს დისშვილს ის პატარა გოგო გულში ჩაუვარდა და როგორ მოიქცეს-მეთქი? — სეიფამ უცნაურად ჩაიცინა. — კინაღამ მცემა. რას ერჩი იმ გოგოს, არ დაღუპო, შენი ჭირიმე, ოქროსავით ბავშვია, ხუთოსანი, ნიჭიერი, კარგი მომავალი აქვს, შენს ხელში დაიტანჯებაო. ერთი საათი მიკითხა ლექცია ნამუსის თემაზე. შენნაირს ცოლი არაფერში სჭირდება, მით უმეტეს, მისნაირი ანგელოზიო. — ვახომ ხელები მომუშტა და გაჩუმდა.

— მერე? — დავეკითხე სულგანაბული.

— მერე? მერე არაფერი. რომ დავფიქრდი, მართალი იყო დეიდაჩემი. რა იქნება ხვალ, არავინ იცის. დღეს გარეთ ვარ, მაგრამ ხვალ შეიძლება, ისევ ციხეში აღმოვჩნდე. ჩემნაირი კაცი ოჯახს ვერ დაუდებს გულს, ვერც შეინარჩუნებს. მთლად ისეთი შეყვარებულიც არ ვარ, ღამეები რომ ვათენო მასზე ფიქრით. უბრალოდ, მაგრად მომწონს. თუმცა ვიცი, ჩემთან ბედნიერი ვერ იქნება. ამიტომ ერთი-ორჯერ შევხვდი და მერე შევეშვი, ცოდვაა, თავის გზას ეწიოს. გაიცნობს ვინმე წესიერს, ჰალსტუხიანს, დიპლომიანს და ლამაზ ოჯახს შექმნის. ასე არ სჯობია? არც ისეთი წამხდარი ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ, მეც ვიცი კარგი ადამიანის ფასი. ისედაც დამძიმებული ვარ ცოდვებით. ვინ იცის, რამდენი გამიუბედურებია — გათხოვილი თუ გასათხოვარი. ერთხელ მეც დავუშვებ გამონაკლისს, ჩემო ზაზა, რას იტყვი?

მხრები ავიჩეჩე, რა უნდა მეთქვა.

— მოდი, დავლიოთ, სიყვარულის სადღეგრძელო არ არის გასაჯანჯლებელი. შენს მომავალ სიყვარულს გაუმარჯოს, ძმაო... და ჩემს მომავალსაც. — მომიჭახუნა სეიფამ

და ჭიქა ბოლომდე დაცალა.

— გაუმარჯოს, — ერთი სიტყვით შემოვიფარგლე და მეც დავლიე.

გამიხარდა, რაც მოვისმინე. რა იცოდა ვახომ, რა ცეცხლი მიტრიალებდა გულში, თორემ ალბათ არაფერს მეტყოდა.

ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა. მტკიცედ გადავწყვიტე, როგორც კი ჩამოვიდოდა, შევხვედროდი და ნატასთვის ყველაფერი გულახდილად მეთქვა. სეიფასგან განსხვავებით, მე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული და ნამდვილად არ მქონდა სურვილი, ვინმესთვის დამეთმო მისი თავი. არც ჰალსტუხიანისთვის მემეტებოდა და არც დიპლომიანისთვის. მხოლოდ ჩემთვის მინდოდა.

ამასობაში ივნისი დაიწყო. ნატა ქალაქში არ გამოჩენილა, მაგრამ გავიგე, რომ ჩამოსულიყო, ამიტომ ერთ საღამოს დავურეკე.

— გისმენთ, — მიპასუხა თავისი ბავშვური ხმით.

სიამოვნების ტალღამ მთელ სხეულში დამიარა. რამდენი ხანი იყო, მისი ხმა არ გამეგონა.

— როგორ ხარ? — არც ცივად ჟღერდა ჩემი ხმა, არც თბილად.

— ...

— ალო!

— მესმის... კარგად ვარ, გმადლობ.

— დიდი ხანია, ჩამოხვედი?

— შენ რა იცი, წასული რომ ვიყავი?

— ბებიაშენმა მითხრა.

— ბებიამ? ბებია სად ნახე?

— დავრეკე შენთან.

— ჰო.

— დაგეწყო გამოცდები?

— კი, ერთი დღეს ჩავაბარე.

— მართლა? რომელი?

— ქართული წერა.

— მერე?

— ჯერ არ ვიცი, პასუხი სამ დღეში იქნება.

— მეორე როდის გაქვს?

— პარასკევს, ქართული ზეპირი.

— გეშინია?

— არა.

— სხვა?

— რა სხვა?

— სხვა რა ხდება შენს ცხოვრებაში?

— ისეთი არაფერი.

— ჩემი ნახვა არ გინდა?

— რისთვის?

— სალაპარაკო მაქვს.

— კიდევ დაგრჩა რამე სათქმელი? მეგონა, უკვე ყველაფერი მითხარი.

— არა, დამრჩა. შენთვის დამრჩა.

— ჰო.

— როდის გეცლება?

— არ ვიცი. ახლა ვმეცადინეობ, სახლიდან ვერ გავდივარ, მერე ვნახოთ.

— ეგ ალბათ უფრო უარს ნიშნავს, არა?

— ...

— ესე იგი, ჩემთვის არ გცალია...

— ჯერ არა-მეთქი.

— კარგი, მაშინ ის მითხარი, როდის მოიცლი.

— ზუსტად არ ვიცი.

— როდის გეცოდინება?

— როცა გამოცდებს მოვრჩები.

— იმედია, მანამდე არ გათხოვდები.

გაეცინა. მივხვდი, როგორ დააფარა ყურმილს ხელი, რომ მისი სიცილი არ გამეგონა.

— ხომ არ გათხოვდები? — საშველს არ ვაძლევდი.

— ვერა, ვერ გავთხოვდები. მთხოვნელი არ მყავს.

— მართლა? აკი, ვახოს მიჰყვებაო ცოლად? — მომენტით ვისარგებლე.

— მოუტყუებიხარ ვიღაცას... მას ეს ჩემთვის არ უთხოვია.

— აბა, რა გთხოვა?

— არც არაფერი.

— როგორ თუ არაფერი... აბა, რისთვის დაგასეირნებდა? — ვუკბინე.

— ეგრე შენც დამასეირნებდი, მაგრამ არც შენ გითხოვია, ცოლად გამომყევიო, — არც მან დამაკლო.

— ესე იგი, ისიც იმისთვის დაგასეირნებდა, რისთვისაც მე? — სიტყვაზე გამოვიჭირე.

— არა, იქამდე საქმე არ მისულა, — ხმა შეეცვალა.

— სადამდე? „იქამდეში" რა იგულისხმე?

— ის, რომ... — გაჩუმდა.

— მითხარი, ნუ გრცხვენია, — შევაგულიანე.

— რისი უნდა მრცხვენოდეს? ის წესიერი ადამიანია, ზოგიერთებივით არ მოვუტყუებივარ. მითხრა, მომწონხარ, მაგრამ ჩემთან ურთიერთობას არ გირჩევ, ცუდი ბიჭი ვარო.

— მერე?

— მერე დამემშვიდობა და წავიდა.

— გამოდის, რომ მე გატყუებდი?

— რა, ასე არ იყო?

— არა, არ იყო ასე.

— აბა, როგორ იყო?

— მაგას რომ გნახავ, მაშინ გეტყვი.



— როგორც გინდა. მაპატიე, მაგრამ უნდა წავიდე, მელოდებიან.

— ვინ გელოდება, თუ საიდუმლო არ არის?

— ჩემი კლასელია, ერთად ვმეცადინეობთ.

— ბოლო გამოცდა როდის გაქვს?

— ოცდაცხრაში.

— ოცდაათში დაგირეკავ.

— ნახვამდის.

— შეხვედრამდე.

მასთან საუბარმა ცოტათი გამომიკეთა ხასიათი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ძველებურად ვუყვარდი. უბრალოდ, ისიც ამაყი იყო, ჩემზე მეტად ამაყი, ამიტომაც მე მომიწია პირველი ნაბიჯის გადადგმა.

ამას უკვე აღარ დავეძებდი. მთავარი იყო, ერთხელ მაინც შევხვედროდი პირისპირ, დანარჩენი ადვილად მოგვარდებოდა.

დღეებს ვითვლიდი, სანამ ოცდაათი ივნისი დადგებოდა; მერე საათებს, ბოლოს წუთებს, დროზე რომ დაღამებულიყო. როგორც ერთ კარგ დროს, ახლაც გვიან დავურეკე, მეგონა, ძველებურად ლაპარაკში დაგვათენდებოდა ღამე. ისევ ბებიამ მიპასუხა და ფრიად სამწუხარო ამბავი მამცნო — წუხელ გავამგზავრე თბილისშიო. ამჯერად მოვატყუე ქალბატონი ბებია, კლასელი ვარ, მეც თბილისში მივდივარ-მეთქი და მისამართი ვთხოვე. უყოყმანოდ მიკარნახა.

გამაბრაზა ნატას საქციელმა. საკმაოდ ვერაგულად მიხდიდა სამაგიეროს, რისთვისაც დასჯის ღირსი იყო.

მეორე დღესვე ავიღე მატარებლის ბილეთი. საღამოს მამაჩემს ფული გამოვართვი და ვაგზლისკენ გავეშურე.

კუპეში ერთი ნაცნობი ბიჭი დამხვდა, ნუკრი, ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა. მოვიკითხე. სპორტსმენი იყო და ტურნირზე მიდიოდა თბილისში. მატარებლის დაძვრამდე ცოტა ხნით ადრე კიდევ ორი შემოგვემატა, ამჯერად — გოგონები. ერთს სინით ნამცხვარი მოჰქონდა. ნინო და შორენა — ასე გაგვაცნეს თავი.

— ხვალ ნინოს დაბადების დღეა, ნამცხვარი მიაქვს ჯგუფელებისთვის, მაგრამ ვფიქრობ, ვაგონში მოგვიწევს ქეიფი, — ახმაურდა შორენა.

— ძალიანაც კარგი, მიყვარს დაბადების დღეები, — აჰყვა გოგონას ნუკრი.

მე ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ვიღიმებოდი.

— თქვენ აქაურები ხართ? — ნინომ რატომღაც, მე გამომხედა.

— კი. თქვენ?

— ჩვენც. უცნაურია, რომ არც ერთს არ გიცნობთ.

— არა უშავს, ახლა გავიცნობთ ერთმანეთს, — თქვა ნუკრიმ და თვალი ჩამიკრა. — სად სწავლობთ, გოგონებო?

— ნინო ეკონომიკურზე, მე — აღმოსავლეთმცოდნეობაზე, უნივერსიტეტში. მე-

ზობლები ვართ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ვცხოვრობთ, ახვლედიანის ქუჩაზე. თქვენ?

— მე სპორტსმენი ვარ, მოჭიდავე. ზაზა კი... შენ თეატრალური დაამთავრე, არა, ზაზა? — მომიბრუნდა ნუკრი.

— ჯერ არ დამიმთავრებია, ბოლო კურსზე ვარ, — უსინდისოდ ვიცრუე.

— ვა, რა მაგარია! მიყვარს მსახიობები. — ტაში შემოჰკრა შორენამ.

— მგონი, საინტერესო ღამე გველის, — გაიცინა ნუკრიმ.

— თქვენ რატომ არაფერს ამბობთ? — მომიბრუნდა ნინო. — სიტყვაძუნწი ხართ?

— ალბათ, — პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე.

— აი, ნამცხვარს რომ დავჭრით, მერე მოვა ლაპარაკის ხასიათზე, — შენიშნა შორენამ და ნუკრის გვერდით მოკალათდა.

გოგონებს გადავხედე. ნინოს არა უშავდა, ლამაზი იყო, კარგი ტანი და სექსუალური ღიმილი ჰქონდა, შორენასი კი — რა მოგახსენოთ. მსუქანი იყო, დიდმკერდიანი, დაჭორფლილი სახითა და წითური თმით. წამწამებიც კი წითური ჰქონდა.

ნინომ ჩანთიდან კერძების ამოლაგება და სუფრის გაშლა დაიწყო. დროდადრო მრავლისმეტყველ მზერას მტყორცნიდა. ერთიორჯერ ისე გამიღიმა, მაგრძნობინა, მომეწონეო.

საწინააღმდეგო არაფერი მქონდა.

— ოჰო! სასმელიც გვქონია! — შესძახა ნუკრიმ, როცა შორენამ ვაგონის ვიწრო მაგიდაზე ბოთლით არაყი შემოდგა.

სასიამოვნო დრო გავატარეთ. ნინო ჩემ გვერდით იჯდა, თან იმდენად ახლოს, რომ ხანდახან მხრით მეხებოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამას სპეციალურად აკეთებდა. მე კი არ ვიმჩნევდი, რადგან ფიქრებით ნატასთან ვიყავი. მაინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა ჩემს დანახვაზე?

გოგონები ცოტ-ცოტას წრუპავდნენ, მე და ნუკრიმ კი თავი გავიგიჟეთ და ერთი ლიტრი არაყი სანამ ბოლომდე არ გამოვცალეთ, არ მოვეშვით.

ყველაზე საინტერესო ქეიფის დამთავრების შემდეგ დაიწყო. შორენა და ნუკრი გარეთ გავიდნენ სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთო, მე და ნინო კი მარტო დავრჩით კუპეში. ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოწვა. რაღაც უნდა მეთქვა, თორემ ცუდად იყო საქმე.

— რომელ კურსზე ხარ? — ვიპოვე გამოსავალი.

— წელს ვამთავრებ, იმ კვირაში გამოცდები მეწყება.

— ახლა ყველას ეწყება გამოცდები, — გამეცინა, რადგან ნატა გამახსენდა.

— ამიტომ არ მიყვარს ივნისი.

— მერე რას აპირებ?

— ჩვენთან, ბანკში დავიწყებ მუშაობას, იქ მანაწილებენ.

— ესე იგი, ვნახავთ ერთმანეთს... — მრავალმნიშვნელოვნად აღვნიშნე.

— აუცილებლად, — ვნებიანად გამიღიმა და თავი მხარზე დამადო.

დავიძაბე. არ მესიამოვნა, რამდენიმე საათში ასე რომ გამიშინაურდა, ეს კარგს არაფერს მიქადდა. არადა, იგნორირებაც არ გამოდიოდა, მით უმეტეს, კარგა გვარიანად ვიყავი შეზარხოშებული...

ბევრი არ მიფიქრია, რადგან თვითონ მოიწევდა ჩემკენ, ხელი თამამად მოვხვიე და ტუჩებში ვაკოცე. წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— შეყვარებული გყავს? — ჩურჩულით მკითხა.

— რა ვიცი... მგონი, კი. — ხმადაბლა ვთქვი.

— მე არა, — ამოიოხრა და განზე გაიწია. — იმედია, ცუდად არ გამიგებ, „იმნაირი“ არ ვარ.

— რას ნიშნავს „იმნაირი“? — სიცილი ვერ შევიკავე. — განა რა ჩაიდინე, ეგ რომ იფიქრე? ძალიან კარგი გოგო ხარ.

— ასეთი შემთხვევა არასდროს მქონია.

— როგორი?

— მამაკაცისთვის პირველსავე შეხვედრაზე კოცნის უფლება არასდროს მიმიცია.

— ხდება ხოლმე. ხანდახან მხოლოდ გულის კარნახს აჰყვება ხოლმე ადამიანი.

— არყის ბრალია, — თავის მართლებას ცდილობდა ნინო.

— და შენი დაბადების დღის, — დავძინე.

ამასობაში ნუკრი და შორენაც შემოვიდნენ. გოგონებმა სუფრა აალაგეს, უფრო სწორად, ნასუფრალი, მერე თეთრეული გაშალეს და დასაძინებლად მივწექით.

გამიჭირდა დაძინება, მიუხედავად იმისა, რომ ნასვამი ვიყავი. ნინოს რომ ვაკოცე, სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. ასე მეგონა, მძიმე დანაშაული ჩავიდინე. გვიან ღამით ძილმა მაინც წამართვა თავი.

დილით, თბილისში რომ ჩავედით, მე და ნინომ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ. შევპირდი, სანამ აქ ვიქნები, დაგირეკავმეთქი. მერე ტაქსი ავიყვანე და ორივე სახლამდე მივაცილე. ნუკრიც თავის გზაზე წავიდა. მე კი ჩემს ბიძაშვილს ვესტუმრე.

თორმეტი საათი იქნებოდა, ძნელაძის ქუჩაზე რომ გავედი. ეზოში შევედი და დაბნეულმა მიმოვიხედე. აქ იმდენი ვინმე ცხოვრობდა, აუცილებლად უნდა მეკითხა, სად შემეძლებოდა ნატას ნახვა. ეზოში მოთამაშე პატარა ბიჭებმა მეორე სართულისკენ მიმითითეს. მსუბუქად ავირბინე ხის კიბეზე და თეთრად შეღებილ კარზე დავაკაკუნე.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან ქალის ხმა.

— ნატა აქ ცხოვრობს?

სახელური ჩამოიწია და კარი გაიღო. ელდა მეცა. ჩემ წინ ნატას დედინაცვალი იდგა.

— ა! თქვენ ხართ? ნატა მასწავლებელთანაა, ერთ საათში მოვა. მობრძანდით, — შემიპატიჟა ქალმა.

უარი ვუთხარი და არც დავემშვიდობე, ისე წამოვედი. კი არ წამოვედი, გამოვიქეცი. მორჩა, ახლა თავის ქმარს ეტყვის, მათთან რომ ვიყავი და ნატას უსიამოვნება შეხვდება. დაუწყებენ გამოკითხვას, რატომ მოვიდა, რისთვის დაგდევს, ამდენ ხანს როგორ ვერ გაარკვია იმ გოგოსთან ურთიერთობა, შენთან რა უნდა და ა.შ.

გუნება დამიმძიმდა. იქვე, ეზოსთან ახლოს დავიწყე ხეტიალი, რომ მისი გამოჩენა არ გამომპარვოდა.

ლოდინი დიდხანს გაგრძელდა. წარამარა საათზე ვიხედებოდი. ის კი იგვიანებდა. ტელეფონის ნომერი მაინც მეკითხა ბებიამისისთვის, დავურეკავდი და ისე შევუთანხმდებოდი შეხვედრაზე. როგორ ვერ მოვიფიქრე?

როგორც იქნა, გამოჩნდა. მოკლე კაბა ეცვა, აგურისფერი. ამავე ფერის პატარა ჩანთა მხარზე გადაეკიდა და ჰაეროვანი ნაბიჯებით მონარნარებდა. ვინც კი გვერდით ჩაუარა, ყველამ თვალი გააყოლა, რადგან არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. შავი თმა ცხენის კუდივით ჰქონდა აწეული. ჩემს დანახვაზე შედგა, სიწითლემ გადაურბინა სახეზე.

— გამარჯობა... — გამჭოლი მზერა ვესროლე.

— აქ... აქ საიდან გაჩნდი? — ენა დაება.

— იქიდან, — უკან გადავაქნიე თავი, — არნახულად ლამაზი ხარ... არ მელოდი, არა?

— ნამდვილად არ გელოდი.

— საქმე მაქვს, აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო. შეძლებ სახლიდან გამოსვლას?

— ექვს საათზე ისტორია მაქვს, შვიდზე მიმთავრდება. რვის ათ წუთზე „ლაღიძესთან“ შეგხვდები. — ჩქარ-ჩქარა თქვა და მაღლა აიხედა, აივნიდან ხომ არ გვიყურებენო.

— ვიცი, აქ არ უნდა მოვსულიყავი, მაგრამ შენ მაიძულე ამის გაკეთება. რატომ არ შემატყობინე, თბილისში თუ მოდიოდი?

— როდის იყო, ანგარიშს გაბარებდი?

— მაგრამ ხომ იცოდი, რომ ოცდაათში უნდა დამერეკა?

— ვიცოდი, მაგრამ მამაჩემმა ისე მოულოდნელად დამირეკა, ვერ მოვასწარი.

— რა ვერ მოასწარი, ჩემთან დარეკვას რა უნდოდა?

— იმ დროს შენ სახლში არ იქნებოდი.

— შენ რა იცი, როდის ვარ სახლში და როდის არა?

— ახლა თუ გამოსწორდი, არ ვიცი, მაგრამ ადრე, გვიან ღამემდე შინ ვერ დაგიჭერდა ადამიანი.

— მას მერე ბევრი რამ შეიცვალა.

— უკაცრავად, არ ვიცოდი... — ირონიულად თქვა და ტუჩი აიბზუა. — წავალ ახლა, თორემ შეიძლება დაგვინახონ და კარგი დღე არ დამადგება.

— ისედაც არ დაგადგება კარგი დღე, შენმა დედინაცვალმა უკვე მნახა.

— რას მეუბნები, გაგიჟდი? — გაფითრდა.

— რა ვქნა, სულ არ მიფიქრია, მას თუ შევეფეთებოდი. ისიც კი არ მახსოვდა, რომ ვიცნობდი.

— დავიღუპე. მამაჩემთან ჩამიშვებს და მომხვდება.

— ვიცი. მაგრამ შენ ყოჩაღი გოგო ხარ, რამეს მოიფიქრებ.

— ვეცდები. წავედი. — წამით თვალები დახუჭა, რაც დამშვიდობებას ნიშნავდა და აჩქარებული ნაბიჯებით ეზოში მიიმალა.

ექვსამდე ბევრი დრო იყო, ამიტომ ნინოს დავურეკე, კინოში გეპატიჟები-მეთქი. ჩემი ხმის გაგონება ისე გაუხარდა, ლამის კივილი დაიწყო ტელეფონში. თავისთან დამ-

პატიუა, ჩემი ჯგუფელები არიან და ჩემთან ამოდიო. ახლაღა გამახსენდა, დაბადების დღე რომ ჰქონდა. ამდენი დრო არა მაქვს-მეთქი, მაგრამ თავი არ დამანება, სანამ არ დამითანხმა. რას ვიზამდი, ვარდების თაიგული ვიყიდე და შინ მივადექი.

— ადვილად მოაგენი? — თაიგული გულზე მიიხუტა და დაყნოსა. — რა ლამაზია!

— რა მოგნება უნდოდა, დილით მე არ მოგაცილე?

— უი, მართლა, ეგ აღარც გამხსენებია. შემოდი, ჩემი გოგონები უნდა გაგაცნო.

ოთახში სიგარეტის ბოლისგან ბული იდგა. ბევრნი იყვნენ, თანაც სულ გოგონები. კეფა მოვიქექე, მწარედ ვინანე, რომ მოვედი, მაგრამ უკვე გვიან იყო.



არ დავიწყებ იმის მოყოლას, როგორები იყვნენ, არც მაინტერესებდა... უსიამოვნო მათი მზერა იყო, ვაჭრის თვალით რომ მაფასებდნენ. გამიკვირდა, ამ „სასტავში“ შორენას რომ ვერ მოვკარი თვალი. ნინომ მითხრა, მოგვიანებით მოვა, რაღაც პრობლემები შეექმნა უნივერსიტეტშიო.

თავიდან ცოტა უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ რამდენიმე ჭიქის შემდეგ გავშინაურდი. ბოლოს ისე შევჭიკჭიკდი, გიტარაც კი მოვითხოვე. ნინო გიტარის სათხოვნელად მეზობელთან გავიდა. სიმები ჩემს გემოზე მოვჭიმე და დავუკარი... დავუკარი და ვიმღერე კიდეც... ადვილად შევძელი ქალების მოხიბლვა. კიდევ ცოტაც და... თვითონაც ამყვნენ. ერთი სიტყვით, კარგი დრო გავატარეთ.

მერე ნელ-ნელა გაიკრიფნენ. არ ვიცი, მოლაპარაკებული იყვნენ თუ უბრალოდ, დაემთხვა, მაგრამ ხუთი საათისთვის მარტო მე და ნინო დავრჩით. ეგ ვერ იყო კარგი ამბავი, ცუდად მენიშნა.

— მეც წავალ, — ვთქვი და წამოვდექი, როცა ნინომ ბოლო მეგობარი გააცილა.

— სად წახვალ, იყავი, ჯერ ადრეა.

— არა, ერთს უნდა შევხვდე, მელოდება.

— დაურეკე და უთხარი, მოგვიანებით მოვალ-თქო.

— არ გამოვა, უკვე შევპირდი.

— გინდა, რომ მარტო დამტოვო?

— რატომ მარტო, შორენა ხომ მოვა?

— აწი აღარ მოვა.

— მეჩქარება, ნინო, ვწუხვარ...

— დღეს ჩემი დაბადების დღეა, ზაზა, ხომ არ გავიწყდება?

— ვიცი.

— მაშინ არ მაწყენინო, გთხოვ, ცოტა ხანს დარჩი, სულ ცოტა ხანს. მართალია, ნაქირავებში ვცხოვრობ, მაგრამ სამაგიეროდ, მარტო ვარ, არავინ შეგვაწუხებს. დარჩი, კარგი?

უარი ვერ ვუთხარი... ვერც დარჩენაზე, ვერც...

თავდავიწყებით მკოცნიდა, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. სასმელმა მეც დამრია ხელი, ვნება გამიხელდა...

კიდევ რამდენიმე წუთი და ორივენი ლოგინში აღმოვჩნდით...

თითქოს ისეთი არაფერი, ასეთი რამ ხშირად მომხდარა, მაგრამ...

ისეთი მხოლოდ ის იყო, რომ მისთვის პირველი მამაკაცი ვიყავი...

კიდევ ერთი შეცდომა დავუშვი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მალე
დეკემბრის
ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...

## ტვინის სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. იტალიური ოპერა თბილისში 1851 წელს გაიხსნა. რომელი იტალიელი კომპოზიტორის მეუღლე მღეროდა მის სცენაზე?

2. რა მიზეზით კოჭლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი?

3. ამ კომპოზიტორს, თავისი უკანასკნელი, მეცხრე სიმფონიის პრემიერის დროს აღარაფერი ესმოდა. იგი მუსიკოსებს შორის იჯდა იმ იმედით, რომ რაიმეს მაინც გაიგონებდა. სიმფონიის დასასრულს, ერთ-ერთმა მუსიკოსმა იგი დარბაზისკენ მიატრიალა, რათა კომპოზიტორს დაენახა, თუ როგორ უკრავდა ტაშს მსმენელი. დაასახელეთ იგი.

4. რომელი მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის ტილო — „ლამაზმანები“, რომელიც მეოცე საუკუნის მხატვრობის შედევრად არის აღიარებული?

5. რა მიზნით ამზადებინებდა ჰიტლერი დიდი რაოდენობით ყალბ გირვანქა-სტერლინგს, მანეთს, ფრანკს და დოლარს?

6. ვის ეძახდა ხალხი ბიძია ხოს?

7. რა არის ბალნეოლოგია?

8. რას აგროვებდნენ ნაპოლეონი, გოეთე, რუსეთის მეფე პავლე II და სუვოროვი?

9. არქეოლოგებს ხშირად ფეხშიშველებს უწევთ მუშაობა. რატომ?

10. რა განაცხადა რუსეთის იმპერატორმა, როდესაც მოახსენეს პეტრე ჩაიკოვსკი ჰომოსექსუალისტიაო?

11. რომელი ქვეყნის კოლონიები იყო ანგოლა, სან-ტომე და პრინსიპი, მოზამბიკი, გვინეა-ბისაუ და კაბო-ვერდე?

12. ერთმა ინგლისელმა კარტოგრაფმა 1773 წელს ევროპის რუკა დაყო ნაწილებად, პატარა ზომის ფიგურებად დაჭრა და მოსწავლეებს დაავალა ხელახლა აეწყოთ იგი. რომელი თამაში წარმოიშვა ამგვარი ვარჯიშის შედეგად?

## ანეკდოტები

***

— მარო, რომელია შენი საყვარელი პოზა?



— როდესაც მამაკაცი უკნიდანაა.
— ვითომ რატომ?
— აუცილებელი არ არის ბედნიერი სიფათის კერვა.

***

ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და ჭიჭიკიას ეუბნება:
— რაცხა არ მომწონს შენი სიდედრი, ჩემო ჭიჭიკია!
— არც მე, მაგრამ გადასარევად ამზადებს კერძებს.

***

ხევსური სალაროსთან მივიდა:
— ცოლად მინდიხარ, ქალავ, — ეუბნება მოლარეს.
— ესღა მაკლდა... რაღა მე მომადექი, სხვა ვერავინ ნახე?!
— მოხერხებულ ქალ ყოფილხარ, მაგ „ფორთოჩკაში“ როგორ შეძვერ?!

***

დედა ეუბნება ქალიშვილს:
— შენი თაყვანისმცემელი ისე მეზიზღება, რომ სიამოვნებით გავხდები მისი სიდედრი!

***

— როგორ, ქალბატონო, თქვენი შვილი უკვე 20 წლისაა?! ალბათ, ძალიან ადრე გათხოვდით.
— დიახ, დილის შვიდ საათზე.

***

— ჭიჭიკია, როგორ გრძნობ თავს ახალდაქორწინებულის როლში?
— ნამდვილი კოშმარია! დალევა ამიკრძალა, მოწევა ამიკრძალა, გინება ამიკრძალა!
— მდაა, მოსაწყენია!..
— მოწყენაც ამიკრძალა!

***

ორი რაჭველის დიალოგიდან:
— სად მიდიხარ, რაჟიკო?
— თვითონაც არ ვიცი!
— მომიცადე, მეც მაქეთ მოვდივარ!

***

სამმა სვანმა ქუჩაში კაცი გალახა. მიმდინარეობს სასამართლო. მოსამართლე ეკითხება პირველ სვანს:
— შენ რითი სცემე?
— მუშტებით!
— შენ როგორ სცემდი?
— წიხლებით! — პასუხობს მეორე სვანი.
— შენ? — ეკითხება მოსამართლე მესამეს.
— მე საფერფლე ჩავარტყი თავში!
— კი, მაგრამ იმ შუა ქუჩაში საფერფლე სად იყო?
— რავი, მაღაზიის წინ იდგა და შიგ ნაგავი ეყარა.

***

ქეთოია ქმარს ლანძღავს:
— ზემოდან დაიწვენ — იძინებს, ქვეშ დაიწვენ — სული ეხუთება, გვერდით მოიწვენ — ტელევიზორს უყურებს, ფეხზე დააყენებ და სახლიდან იპარება.

***

— მორიგე შვანგირაძე, რატომ არის გლობუსზე მტვერი?
— ეგ მტვერი არ არის, საჰარის უდაბნოა, მასწ!



***

სვანმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ისწავლა და ხელზე ჯვარი დაისვა, არ დამავიწყდესო.

***

— როგორია შენი ცოლი სამზარეულოში?



— ისეთივე მახინჯი, როგორიც ყველა დანარჩენ ოთახში.

***

ბებო ბაზარში პომიდორს ყიდის. დახლზე წარწერა აქვს დამაგრებული: „პომიდორი ჩერნობილიდან“.

— მაგას ვინ იყიდის?! — უკვირს გამვლელს.

— ყიდულობენ, შვილო, ყიდულობენ!.. ზოგი სიძისთვის, ზოგი — სიდედრისთვის!..

***

— გოგონი, თქვენ რომელი ცხოველის წელიწადში დაიბადეთ?

— ცხენის წელიწადში.

— მართლა? არადა, მაიმუნის წელიწადში დაბადებულს ჰგავხართ.

***

— ჩემი ქმარი ძალიან მგრძნობიარეა. თეატრში სპექტაკლის პირველსავე მოქმედებაში ტირილს იწყებს, — ამბობს თინიკო.

— ჩემი უფრო მგრძნობიარეა, — ამბობს თამრიკო. — ვეტყვი თუ არა თეატრში წავიდეთ-მეთქი, ეგრევე ტირილს მორთავს ხოლმე.

***

— ჩვენ ახლა ჩავუვლით მეძავების სახლს, ასე ვთქვათ, „ბორდელს“, — ეუბნება ექსკურსიამძღოლი ტურისტებს.

— ეს რა უმსგავსობაა?! — აღშფოთდა ჯგუფის წევრი მელოტი კაცი. — რას ჰქვია ჩავუვლით?!. შიგნით არ შევალთ?!.

***

ორი დიდი ხნის უნახავი ხანში შესული ქალი შეხვდა ერთმანეთს:

— გახსოვს, რა ლამაზები ვიყავით ახალგაზრდობაში? განსაკუთრებით — მე.

— ჰო, ახლა კი ორივენი რა საშინლად გამოვიყურებით, განსაკუთრებით — შენ!..

***

აცეტილსალიცინის მჟავა გაქვთ?

— ასპირინი?

— ჰო, რა! მაგ სახელს ვერაფრით ვიმახსოვრებ.

***

ქორწინებამდე ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ეუბნებიან: „მე მარტო შენ მომწონხარ!“

ქორწილის შემდეგ კი: „შენ მარტო მე მომწონხარ!“

## გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჯუზეპე ვერდის მეუღლე — ჯოზეფინა სტრეფონი.
2. კეთილშობილთა სასწავლებელში ნიკოლოზ ბარათაშვილმა ორივე ფეხი მოიტეხა, რის შემდეგაც ერთი ცუდად შეუხორცდა.
3. ბეთჰოვენი.
4. პაბლო პიკასოს.
5. ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ეკონომიკის დასანგრევად.
6. ხო ში მინს.
7. მედიცინის დარგს, რომელიც მინერალურ წყლებს, ტალახებსა და მათ სამკურნალო მოქმედებას შეისწავლის ბალნეოლოგია ჰქვია.
8. კალის ჯარისკაცებს.
9. რათა მიწაში ნაპოვნი საგნები არ დააზიანონ.
10. „პედერასტოვ უ ნას მნოგო, ა ჩაიკოვსკი — ადინ!“
11. ჰოლანდიის.
12. საყოველთაოდ ცნობილი თამაში „პაზლი“.

## ჩვენი ფოტო გალერეა

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა თამარ გოგოლაძემ გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო: „ასეთი ჩაცმულები დადიან უნივერსიტეტში“



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.



# „მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ"

## ანუ რა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის

**ნათქვამია, ქალს ბედნიერებისთვის ცოტა სჭირდებაო, მაგრამ რამდენია ეს „ცოტა", არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია: მის დასათვლელად, თითები არც ერთ ქალს არ ეყოფა. თუმცა მაინც არსებობს ძირითადი კომპონენტები, რომელთა არსებობასაც ის ბედნიერებად მიიჩნევს. მაშ ასე, ქალი ბედნიერად გრძნობს თავს, როცა:**

- შეუძლია დილით იმ დროს გაღვიძება, რა დროსაც სურს და ამავდროულად, თავს ლოგინში ნებივრობის უფლებასაც აძლევს. თანაც, ყოველ დილით სიამოვნებით იმეორებს: „მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ!".
- აქვს მშვენიერი, თვალისმომჭრელი თმა და მომაჯადოებელი ვარცხნილობა.
- გემრიელად საუზმობს, მიირთმევს იმდენს, რამდენიც სურს და იმას, რაც უყვარს — თანაც ისე, რომ წონაში მომატების საშიშროება არ ემუქრება.
- როცა გარეთ საშინელი თავსხმა წვიმა და ცივი ქარია, არსადაა წასასვლელი და შინ, ტელევიზორის წინ მოკალათებულს, ფინჯანი ყავის თანხლებით, საშუალება აქვს, მეათასედ უყუროს საყვარელ ფილმს.
- ნებისმიერ დროს შეუძლია, ინებივროს ცხელი შხაპის ქვეშ და თანაც, მთელი ხმით იმღეროს, რადგან ყველაფერი ისევ ისე კარგადაა, როგორც მაშინ, როცა „ის" გაიცნო.
- აქვს საშუალება, შეიძინოს ის ნივთები, რომლებიც ძალიან მოსწონს და გრძნობს, როგორ შურიან მზერას ადევნებენ ქალები, ხოლო აღტაცებულს — მამაკაცები.
- უყურებს ჰოლივუდის სუპერმენებს და ფიქრობს: „მე რა, ამათზე ნაკლები მყავს?!".
- მშობლები ყველანაირად უწყობენ ხელს და თანაც არ ბუზღუნებენ, რომ გამოუსწორებელი ეგოისტი გაზარდეს.
- ხშირად აქვს საშუალება მხიარულ თავყრილობებზე წასასვლელად, სადაც ბევრს იცეკვებს და შინ დაბრუნებული აღმოაჩენს, რომ ორივე ფეხსაცმელს ქუსლი ადგილზე აქვს.
- მისი რჩეული ხშირად უძღვნის საჩუქრებს და კომპლიმენტებით ანებივრებს.
- ახლობლები ხშირად ეუბნებიან, რომ ფანტასტიკურად გამოიყურება და მისი ასაკი აღარც კი ახსოვთ.
- კბილის ექიმთან და საერთოდ ექიმთან, აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის იყო.
- ცივ, საშინელ ამინდში შინ დაბრუნებულს, თბილი, გაჩახჩახებული ბინა, ცხელი ჩაი და საყვარელი ადამიანი ხვდება.
- უეცრად აღმოაჩენს, რომ ჯულია რობერტსი იმავე სუნამოს ხმარობს, რომელსაც — ის.
- თანამშრომლები აღფრთოვანებულნი არიან მისით და ხელმძღვანელობისგანაც მუდმივად გრძნობს, რომ შეუცვლელია.
- დაბადების დღეს საწოლთან უზარმაზარი თაიგული ხვდება წარწერით: „გილოცავ! ძალიან მიყვარხარ!".
- ჩანთაში დიდი ხნის მივიწყებულ ოცლარიანს სწორედ მაშინ აღმოაჩენს, როცა ჰგონია, რომ მხოლოდ ორი ლარიღა დარჩა.
- ზაფხულში, შვებულების გატარება დაგეგმილი აქვს უახლოეს, საყვარელ ადამიანებთან ერთად და სწორედ იქ — სადაც დასვენებაზე დიდი ხანია ოცნებობდა და აქამდე ვერ მოახერხა წასვლა.
- ღამით მშვიდი ძილით სძინავს და ლამაზ სიზმრებს ხედავს.
- მაცივარში ყოველთვის აქვს ის ნუგბარი, რომელიც ძალზე უყვარს და დასვენების დღეებში მთელ დღეს ტკბილეულით პირგამოტენილი ნეტარებს.
- ყოველთვის შეუძლია თქვას: „ხვალინდელი დღე, დღევანდელზე მხიარული და ბედნიერი იქნება".

*თუ ზემოთ ჩამოთვლილი „რეცეპტების" უმრავლესობის არარსებობას არ განიცდის, ქალს გულწრფელად შეუძლია თქვას, რომ ნამდვილად ბედნიერია.*

### სალათა შებოლილი სულუგუნით

**მასალად საჭიროა:**

300 გ კარტოფილი;
300 გ შებოლილი სულუგუნი;
2 თავი ხახვი;
100 გ მაიონეზი;
მარილი, შავი პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:**

მოხარშული კარტოფილი დავჭრათ წვრილად, დავამატოთ ასევე წვრილად დაჭრილი სულუგუნი, ხახვი და შევაზელოთ მარილით, პილპილითა და მაიონეზით.


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

ქ. თბილისი
ოსიაშვილის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

# მარტოობა თუ მუდმივი საფრთხის ქვეშ ყოფნა?

ცოლ-ქმრის ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც შელაპარაკდნენ და ქალს საყვარელი ადამიანისგან შეურაცხყოფის მთელი კორიანტელი დაატყდა თავს. მეორედ, მამაკაცმა ეს აღარ იკმარა და უდანაშაულო ქალზე ხელიც კი აღმართა; მესამედ რაღაცაზე გაბრაზებულმა, ცოლს შინიდან გაგდებაც დაუპირა...

როგორ უნდა მოიქცეთ ამგვარ სიტუაციაში? შესაძლებელია თუ რა აგრესიის განეიტრალება ან მისი თავიდან აცილება?



ასეთი „ბრძოლების" უმეტესობა, როგორც წესი, შელაპარაკებით იწყება. უნდა შეეცადოთ, მაშინვე აღკვეთოთ იგი და მანამ განმუხტოთ ვითარება, სანამ უთანხმოება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდება. თუკი ეს შეუძლებელია, ჯობს, იქაურობას საერთოდ გაეცალოთ.

ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ: საკუთარ თავს ჩაუნერგეთ, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა დაგატყდათ, თქვენი ბრალი არ არის — ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებთ. მაშასადამე, საპასუხოდ რაც უნდა მოიმოქმედოთ, მაინც მართალი იქნებით. ამიტომ, თუ აგრესორის გამოსწორება გაქვთ მიზნად დასახული, წინასწარ დაგეგმეთ თავდაცვის საშუალებანი. სრული უფლება გაქვთ, ისეთსავე ხერხებით იმოქმედოთ, როგორსაც თქვენი მეტოქე პარტნიორი იყენებს.

ქალი, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილების მქონე მამაკაცის გვერდით ცხოვრობს, სათანადოდ ვერც კი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის თავს; გაურბის რეალობას და გარკვეული დროის მანძილზე თავს იტყუებს; უნდა, დაიჯეროს, რომ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია — პირიქით, ამგვარ საქციელს პარტნიორის ძლიერ სიყვარულს მიაწერს.

*ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა გარკვეული ტესტი შეიმუშავეს. რაც უფრო მეტ პუნქტს დაეთანხმებით, მით უფრო მალე უნდა გაწყვიტოთ კავშირი ამ ადამიანთან. მაშ ასე:*

◆ მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებით, რადგან მისი რისხვის გეშინიათ;

◆ ცდილობთ, სხვებთან გაამართლოთ მისი საქციელი;

◆ მისი ეჭვიანობა სიგიჟის ზღვარზეა;

◆ მას თქვენი ცხოვრების ყოველი წუთის გაკონტროლება სურს;

◆ ცოფდება, როცა მეგობრებთან ერთად, მის გარეშე ატარებთ დროს;

◆ მხოლოდ და მხოლოდ მან იცის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს — ქალი იქნება ეს ბავშვი თუ მამაკაცი;

◆ თავის წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ან გარშემო მყოფებს ადანაშაულებს; არასოდეს იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე;

◆ თქვენი მხრიდან სულ უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის დროსაც კი მუქარაზე გადადის;

◆ არავის ენდობა;

◆ ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მისთვის დამნაშავე მხოლოდ დაზარალებულია.

პასუხების შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, აქვს თუ არა თქვენს ურთიერთობას მომავალი. კარგია, თუ თქვენს მეუღლეს ჯერ არ გადაულახავს საშიში ზღვარი.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მასთან განშორება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდება?

ჯერ ერთი, იმედი ნუ გექნებათ, რომ ხვალვე რაიმე შეიცვლება — ეს ასე არ მოხდება, რადგან ძალადობისკენ მიდრეკილება ქრონიკულ ხასიათს ატარებს. მეორეც, თუ ფსიქიკურად ან ფიზიკურად დაინვალიდების პერსპექტივა არ გიზიდავთ, მისი თვალთახედვის არიდან გაუჩინარებისთვის უნდა მოემზადოთ, რადგან გამორიცხული არ არის, წინა დღის ცემა-ტყეპის შემდეგ, მეუღლემ დევნა და მუქარა დაგიწყოთ, თან საწყალობლად გევედრებოდეთ მასთან დაბრუნებას. შიშის ან სიბრალულის გამო კი შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომ ჯობს, ისე წახვიდეთ, რომ მისამართი არავის დაუტოვოთ. შეიძლება მატერიალური პრობლემებიც შეგექმნათ, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსაცია — თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოებაა.

გახსოვდეთ: ჯობს მარტო იყოთ, ვიდრე ისეთი ადამიანის გვერდით იცხოვროთ, ვინც თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

# „გმირული სიკვდილისთვის სიცოცხლეს არც მე დავიშურებდი“

უმცროს სერჟანტს — გოგიტა კოპალიანს, ომში წასვლის სურვილი ორჯერ აუხდა: ერთხელ 2004-ში, ცხინვალთან მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, მეორედ — 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას. მანამდე, თავის ასეულთან ერთად, სამშვიდობო მისიით, ორჯერ იყო ერაყში. ამბობს, რომ ერაყში გამგზავრებამდე, აეროპორტში პირობა მისცა ჯარისკაცთა ახლობლებს, რომ მისი ასეული აღმოსავლეთის ცხელი წერტილიდან, დანაკარგის გარეშე დაბრუნდებოდა. ასეულის მეთაურმა პირობა მართლაც შეასრულა, მაგრამ სულ მალე, ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში, მისმა ბატალიონმა დანაკარგი განიცადა.


მარჯვნივ – გოგიტა კოპალიანი

*ემა ტუხიაშვილი*

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯარში წავედი. ჯარისკაცობა მინდოდა; მსურდა, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე ვყოფილიყავი. ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა წოდებას, თანამდებობას, უბრალოდ, ჩემი ერის სამსახური და ქვეყნისთვის რაღაცის გაკეთების სურვილი მქონდა.

**— როგორც ვიცი, უკვე 14 წელია, რაც ქართულ არმიაში მსახურობ. როცა სამხედრო სამსახური აირჩიე, იმ დროს, ქართულ ჯარში საკმაოდ რთული ვითარება იყო. მოგვიანებით, ხომ არ გინანია შენი ეს გადაწყვეტილება?**

— 14 წლის წინ, ქართულ არმიაში მართლაც მძიმე ვითარება იყო, მაგრამ სხვა რამეზე უფრო მწყდება გული. აფხაზეთში საომარი მოქმედებები რომ მიმდინარეობდა, მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. ვნანობ, რომ ასაკისა და გამოუცდელობის გამო, აფხაზეთში ბრძოლის შესაძლებლობა არ მომეცა. ჯარში წასვლის გადაწყვეტილება რომ მივიღე, ქართულ არმიაში ახალი დანაყოფი — უშიშროების სპეცდანიშნულების ბრიგადა შეიქმნა და მეც იქ ჩავირიცხე. სპეცდანიშნულების ბრიგადაში დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ვიმსახურე, შემდეგ კი საგანგებო სიტუაციების შტაბში, მაშველთა კორპუსში გადავედი. ამ უწყებაში სამაშველო ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდით. ჩვენს უშუალო მოვალეობაში, კატასტროფების შედეგად დაშავებულთა მოძიება, დახმარება და გადარჩენა შედიოდა. ჩემს სამაშველო ჯგუფთან ერთად, დამეწყრილ, დატბორილ ზონებში მიმუშავია, მაგრამ ყველაზე მძაფრად ერთი უბედური შემთხვევა მახსენდება: ლეჩხუმში, ლაჯანურჰესის წყალსაცავში, ავტოავარიის შედეგად, მსუბუქი ავტომობილი გადავარდა. ავტომობილში მამა და მისი მცირეწლოვანი შვილი იმყოფებოდნენ. დაღუპული მამაკაცის ცხედარს მალევე მივაკვლიეთ, ბავშვის ცხედარს კი ერთი კვირის განმავლობაში ვეძებდით. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ამოვიყვანე წყლიდან ხელზე გადასვენებული ბავშვის ცხედარი. კიდევ ერთი დღეც რომ დაგვგვიანებოდა, პატარას ცხედარს ლამი ისე დაფარავდა, რომ ვეღარასდროს მივაკვლევდით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამაშველო სამსახური მაინც არ იყო ის, რისკენაც ვისწრაფოდი. შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი საკონტრაქტო, კომანდოს ბატალიონი და სწორედ მას მივაშურე. აღნიშნულ ბატალიონთან ერთად, პირველი ქართული სამშვიდობო როტაციის დროს, ერაყში გახლდით. 2004 წლის ზაფხულში, ცხინვალის მისადგომებთან, ქართული მიწა-წყლის დასაცავად ბრძოლის შესაძლებლობა პირველად მომეცა. იმ საომარი მოქმედებების დროს, ჩემ გვერდით გმირულად დაიღუპა ზაზა დამენია, რომელიც სიკვდილის შემდეგ გმირად შერაცხეს. თანამებრძოლების გადარჩენის მიზნით, ის საკუთარი სხეულით გადაეფარა ყუმბარას... მოგვიანებით, კრწანისის სამხედრო-სასწავლო ცენტრში ინსტრუქტორად გადამიყვანეს და ასეული ჩამაბარეს. მეორედ ერაყში ჩემს ასეულთან ერთად წავედი. პირველი როტაციისგან განსხვავებით, მეორე ჯერზე ე.წ. „წითელ ზონაში“ მოვხვდით. ჯარისკაცისთვის გადაულახავი სირთულე არ უნდა არსებობდეს, ამიტომ, ერაყში წასვლის სურვილი თავადაც მქონდა. მინდოდა, რომ საკუთარი თვალით მენახა, ჩემს თავზე გამომეცადა ის, რაც იქ ხდებოდა. „წითელი ზონა“ ერაყში ის ადგილია, სადაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ნებისმიერ დროს ემუქრება. იმისთვის, რომ ეს საფრთხე აგვეცილებინა თავიდან, ჩვენი ასეული საუკეთესოდ, მაღალ პროფესიონალურ დონეზე იყო მომზადებული. გარდა ამისა, უნდა ვაღიარო, რომ ქართველებს ღმერთიც გვმფარველობდა...


ჩემთვის ომში არც დრო, არც თვე და არც რიცხვი არსებობდა.
(ცხინვალის მისადგომებთან, 2004 წ.)

**— როგორც ცნობილია, ერაყში სამშვიდობო როტაციის დროს, რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა...**

— კი, მაგრამ ეს არ იყო მაინცდამაინც ქართველი სამშვიდობოების მისამართით გამიზნულად გახსნილი ცეცხლის შედეგი. ეს სამწუხარო ფაქტი, სამხედრო ბაზის მიმართულებით საარტილერიო შეტევისას მოხდა. ასეთ დროს, არავინ იცის, ვის მოხვდება ტყვია, ამერიკელ თუ ქართველ ჯარისკაცს. იყო შემთხვევა, როდესაც კამიკაძე ტერორისტი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე შემოსვლას ცდილობდა და დროულად მოხერხდა მისი ლიკვიდაცია. აფეთქებისას, კამიკაძის სხეული ისე დანაწევრდა, რომ თავი სხეულისგან განცალკევებით ეგდო. ერაყში ყოფნისას, საპატრულო ჯგუფს ვხელმძღვანელობდი და მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ჩვენი მისია მშვიდობიანი ყოფილიყო. ასეთ ხერხსაც კი მივმართავდი: სამხედრო ავტომობილში მქონდა ტკბილეული, საკვები და როდესაც დასახლებულ პუნქტში, საეჭ-

ვო ვითარებაში აღმოვჩნდებოდით, ვურიგებდი ბავშვებს, რაც ადგილობრივებს ქართველი ჯარისკაცების მიმართ ნდობას ულვივებდა. როდესაც გზაზე სამხედრო კოლონა მოძრაობდა, სამგზავრო ავტომობილს უფლება არ ჰქონდა, კოლონისთვის გაესწრო. ასეთ დროს, შეგეძლო, გამაფრთხილებელი გასროლა განგეხორციელებინა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ცეცხლი გაგეხსნა საეჭვოდ მიჩნეული ობიექტისთვის. ჩვენი საპატრულო ჯგუფი კი ყველა შესაძლო ვარიანტს ითვალისწინებდა. სრულიად დასაშვები იყო, რომ ასეთ დროს ვილაცას ავადმყოფი მიჰყავდა ექიმთან და მიეჩქარებოდა. მოკლედ, ყველაფერს გავართვით თავი და ერაყიდან დანაკარგის გარეშე დავბრუნდით. საქართველოში დაბრუნებიდან ცოტა ხანში, იგივე ასეულით, აგვისტოს საომარ მოქმედებებში ჩავერთეთ. ამ ომში ორი ჯარისკაცი მძიმედ დაშავდა, ერთი კი ბრძოლის ველზე დაიღუპა. თოთხმეტი წლის განმავლობაში, რომელიც სამხედრო სამსახურში გავატარე, ყოველთვის მზად ვიყავი, რომ ნებისმიერ დროს, საომარ მოქმედებებში მიმეღო მონაწილეობა. ჯარისკაცი ყოველთვის მომზადებული უნდა იყოს ომისთვის, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ამიტომ, როდესაც მეკითხებიან: შეინიშნებოდა თუ არა, აგვისტოს ომის წინა პერიოდში, ქართულ ჯარში განსაკუთრებული მომზადება საომარი მოქმედებებისთვის, მოკლედ ვპასუხობ — არა.

**— პირად საუბარში მითხარი, რომ ძალიან გიმძიმს აგვისტოს მოვლენებზე ლაპარაკი. იქნებ მაინც გაიხსენო, რა ხდებოდა ბრძოლის ველზე?**



სპეცდანიშნულების ბრიგადაში დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ვიმსახურე, შემდეგ კი საგანგებო სიტუაციების შტაბში

## ომში შეიძლება, შიმშილი ხის ტოტით დაიკმაყოფილო, წყურვილი კი თოვლით ან ტალახიანი წყლით

— ძალიან მიკვირს, როდესაც ჯარისკაცებს ახსოვთ, რომელ რიცხვში სად იბრძოდნენ. ჩემთვის ომში არც დრო, არც თვე და არც რიცხვი არსებობდა... ის კი არა და, შეიძლება, ომში ისიც კი დაგავიწყდეს, რომელი წელი დგას. ამიტომ, არც ის მახსოვს, რომელ რიცხვში გავემგზავრე კონფლიქტის ზონაში და არც ის, როდის დავბრუნდი იქიდან. პირველად სოფელ ერედვში შევედით და ეტაპობრივად ვიღებდით სოფლებს ცხინვალის მიმართულებით, საიდანაც მოწინააღმდეგე ცეცხლს გვიხსნიდა. სოფლებში თუ რაიმე წინააღმდეგობა არ შეგვხვდებოდა, ცეცხლს არ ვხსნიდით. ერედვში რომ შევედით, მოსახლეობა ჯერ კიდევ სოფელში იყო. მახსოვს, რომ ისინიც ისეთივე ბრძოლის ჟინით იყვნენ აღტყინებულები, როგორითაც — ჩვენ. საყვედურც კი არ უთქვამთ იმის გამო, რაც მათ თავს ხდებოდა. რამდენიმე დღე ცხინვალის მისადგომებთან ვიყავით გამაგრებულები და რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავები გვბომბავდნენ. სწორედ მაშინ განიცადა ჩემმა ასეულმა დანაკარგი. გარდა ამისა, წინააღმდეგობას გვიწევდნენ მტრის სახმელეთო ძალები და სნაიპერები. ჩვენი ჩასაფრების ადგილიდან ვხედავდით, როგორ მიემართებოდა ცხინვალისკენ რუსული მძიმე ტექნიკის გრძელი კოლონა. რამდენიმე ხანში, უკან დახევის ბრძანება მივიღეთ. მთელი ღამის განმავლობაში უკან ვიხევდით. აქვე უნდა გითხრათ, რომ ჩემი ბატალიონი, მსუბუქი ქვეითი ბატალიონი გახლავთ და ჩვენს მიზანს, მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების განადგურება წარმოადგენდა. ვერ გეტყვით, რამდენი საცეცხლე წერტილი გავუნადგურეთ მტერს, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ისტორიულად ქართული მიწა-წყალი თითქმის ჩვენი იყო... შემდეგ კი ბრუნდები უკან და გზად ხედავ გადაბუგულ სახლებს, საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილ ხალხს, ცეცხლი უკიდია ტყეებს და შენს მიწა-წყალს... ეს ყოველივე საშინელი სანახავია და ამან, ბუნებრივია, ფსიქოლოგიურად იმოქმედა თითოეულ ჯარისკაცზე. შეუძლებელია, სიტყვებით გადმოსცე ის, რასაც ომში გრძნობ და ხედავ.

**— შესაბამისი უწყებები, სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეულ ჯგუფს, დეზერტირობასა და იარაღის დაკარგვაში სდებენ ბრალს. ომის დროს, ქართულ არმიაში დაბნეულობას თუ ჰქონდა ადგილი?**

— ჩემ გვერდით იბრძოდნენ ის ჯარისკაცები, ვისაც ეყო ვაჟკაცობა, დაეძლია სიკვდილის შიში. იქ, სადაც მე ვიყავი აგვისტოს მოვლენებისას, ჯარისკაცების მხრიდან არანაირი დაბნეულობა არ შეინიშნებოდა. არც ის მინახავს და მსმენია, რომ ვინმეს ამ ომში იარაღი დაეყარა და ბრძოლის ველიდან გაქცეულიყო. მე, როგორც ჯარისკაცს, შესაძლოა მშიოდეს და ბრძოლის ველზე გადავყარო საკვები; მწყუროდეს და გადავაქციო წყალი; მციოდეს და ზედმეტი სამოსი თავიდან მოვიცილო, მაგრამ იარაღს და ტყვიას მეომარი ცოცხალი თავით არ შეელევა. ჩემი ასეულით ორი დღე-ღამის განმავლობაში ტყე-ღრეში ვიხევდი უკან. ერთმანეთის მხარზე გვედო ხელი, რომ ცოცხალი ჯაჭვი არ გაწყვეტილიყო. ჯაჭვი თუ გაწყდა, იმის ნიშანია, რომ რომელიმე ჯარისკაცი ჩამოგრჩა. ეს კი სიცოცხლის ფასადაც რომ დაგიჯდეს, არ უნდა დაუშვა. ისე ვიყავით დაღლილები, რომ ზეზეურად გვეძინებოდა, მაგრამ ძილზე მეტად წყურვილი გვკლავდა. როგორც იქნა, ერთი გუბურა შევნიშნეთ. მივუახლოვდი თუ არა, ბედი არ გინდა? შემთხვევით შიგ ფეხი ჩავდგი და წყალი აიმღვრა. როდესაც ამბობენ: ომში ჯარისკაცები მშივრები იყვნენო, პროვოკაციაა. ომში შეიძლება, შიმშილი ხის ტოტით დაიკმაყოფილო, წყურვილი კი თოვლით ან ტალახიანი წყლით. ჩვენც ისე დავეწაფეთ იმ ამღვრეული გუბის წყალს, თითქოს რაკრაკა ნაკადული ყოფილიყო. მართალია, ქართულ არმიაში ყოფნის საკონტრაქტო ვადა ამომეწურა, მაგრამ არასდროს ვიტყვი იმას, რომ ჯარისკაცი ვიყავი, რადგან ჯარისკაცი ახლაც ვარ და ყოველთვის ვიქნები, როდესაც ჩემს სამშობლოს დასჭირდება. მებრძოლი სული ყველა ქართველშია და თუ ერთად ვიქნებით, ვერანაირი მტერი ვერ დაგვამარცხებს. დღეს ყველა სამხედრო ნაწილში არის საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ ჯარისკაცთა მემორიალი. ხშირად მივდივარ და განსაკუთრებული რწმენით მივაგებ პატივს მათ სულებს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ კეთილი შურით მშურს მათი გმირული სიკვდილის, რადგან ასეთი სიკვდილისთვის სიცოცხლეს არც მე დავიშურებდი. ■

# მამაცი მეომრის ქვრივი და გმირი ჯარისკაცის დედა

ეთო ყორღანაშვილი

— ყოველ საღამოს ვახოს „ბოლო ზარს“ ვუყურებ: მისი თანაკლასელი ბიჭები კოსტიუმებში გამოწყობილები არიან, მხოლოდ ვახოს აცვია ვარდისფერი პერანგი, მოუკვდეს დედა... მაშინ კი ვუთხარი, — ფულს ვისესხებ, გამოგიგზავნი და კოსტიუმი იყიდე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. კარგად იცოდა, მატერიალურად როგორ გვიჭირდა — თურქეთში, ბავშვის მომვლელად ვმუშაობდი... მის ლექსიკონში სიტყვა „მიყიდე“ არ არსებობდა. ასე მთხოვდა ხოლმე: „დედა, თუ საშუალება გაქვს“...

**— ვახტანგს და-ძმა არ ჰყავდა?**

— 29 წლის ქალიშვილიღა დამრჩა. გათხოვილია, შვილებიც ჰყავს. უმცროსი ბიჭუნა — ბაჩანა ჩემს ვახოს ძალიან ჰგავს: გარეგნობით, ლაპარაკით, მიმიკებით, ძილის მანერით... მას სულ „ვახოთი“ მივმართავ. ამას წინათ, მითხრა: ბები, თუ გინდა, „ვახო“ დამიძახე, ოღონდ გზირიშვილი არ ვიქნებიო... სანამ ვახო გაჩნდებოდა, ბიჭი შეგვეძინა, მაგრამ ექიმების დაუდევრობის გამო, მალე დაგვეღუპა: კოლოს ნაკბენი გაულიზიანდა. ღამით „სასწრაფო“ გამოვიძახეთ. ექიმმა ნაკბენი ადგილი გაუჭრა. პატარას სეფსისი დაემართა, სისხლი მოეწამლა. ბავშვი 3 თვის განმავლობაში იტანჯებოდა, მერე დაიღუპა... ორმოცი რომ გადავიხადეთ, მე და ჩემი მეუღლე რუსეთში გავემგზავრეთ. ჩვენი ქალიშვილი — ნათია ჩემს მშობლებთან დავტოვეთ. იმ წელს ჩვენი გოგონა პირველ კლასში შევიდა... რუსეთში, სმოლენსკის ოლქში ახალგაზრდული ქალაქი შენდებოდა. მშენებლობაზე სამუშაოდ მოვეწყვეთ... დიდი შრომისა და წვალების შემდეგ ბინაც მივიღეთ. ვახტანგი რუსეთში დაიბადა. წლისა და 7 თვის იყო, როცა საქართველოში დავბრუნდით.

**— სამშობლოში დაბრუნება რატომ გადაწყვიტეთ?**

— 1990 წელს არეულობა დაიწყო... საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოგვიწოდებდა: ქართველობა საქართველოში დაბრუნდითო! ჩემს ქმარს ვუთხარი, — რამე სერიოზული არ მოხდეს, ჯობს, ისევ ჩვენს მიწა-წყალზე დავიხოცოთ-მეთქი. ბინა გადავცვალეთ და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. წელიწად-ნახევარი მართლაც ბედნიერი ოჯახი გვქონდა.

**— მერე რა მოხდა?**

— 1992 წელს, აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, ბადრი (მეუღლე) კომისარიატში გამოიძახეს. მეც გავყევი... პატარა ვახოსთან ერთად, შენობის გარეთ ველოდებოდი. როცა მოსაღამოვდა, ვიფიქრე — შინ წავალ, საჭმელს მოვუმზადებ და მივუტან-მეთქი; თან — ვახოსაც შესციოდა... კომისარიატის შენობასთან მიბრუნებულს, რეზერვისტები იქ აღარ დამხვდნენ. მითხრეს, ბიჭები ვაზიანში გადაიყვანესო. ბავშვებთან ერთად ვაზიანში მისულმა შევიტყვე, რომ ჩემი მეუღლე უკვე ფრონტზე იყო... ის ახალი წელი ისე გამითენდა, ბადრის შესახებ არაფერი ვიცოდი. ერთხელაც ნათიამ ოთახიდან დამიძახა: — დედიკო, ჩქარა მოდი, მამიკო ტელევიზორშიაო! — მატყუებ, მეხუმრები-მეთქი? — სამზარეულოდან გავძახე, მაგრამ მაინც გავედი... ბადრი მართლაც, ტელეეკრანზე იყო! რას ლაპარაკობდა, აღარ მესმოდა!.. ბოლოს, რეპორტიორმა ჰკითხა: — ვის გინდათ, რომ მოკითხვა გადასცეთო? — ვის და ჩემს ცოლ-შვილსო! — უპასუხა. — მაშინ მე თქვენს ცოლ-შვილთან მარტო დაგტოვებთო... — უთხრა რეპორტიორმა და გაერიდა... აბა, როგორ ხარ, მარინა? აბა, შენ იცი, თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი, ჩვენი ვახო ვაჟკაცურად გამიზარდეო! — მახსოვს, ასე მითხრა ტელეეკრანიდან. გავუზარდე ვაჟკაცი შვილი, ავუხდინე სურვილი.

**— მას შემდეგ, მეუღლე აღარ გინახავთ?**

— არა... კერამიკის საამქროში დავიწყე მუშაობა. ოჯახს რჩენა ხომ უნდოდა!.. იქ ბადრის თანამებრძოლის დაც მუშაობდა. მისი ძმა შინ დაბრუნებულა. ჩემი მეუღლის ამბავიც სცოდნია, მაგრამ სიმართლეს ვერავინ მიმხელდა... გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი გავიგე — ბადრი ჩამოასვენეს, მუცელში ყოფილა დაჭრილი... ახალგაზრდა, გამოუცდელი ქვრივი ვიყავი. მოგვიანებით, კომისარიატში მივედი, საბუთი მჭირდებოდა, რომ ჩემი მეუღლე ნამდვილად აფხაზეთში იბრძოდა. იქ წასვლა აფხაზეთიდან ლტოლვილებმა მირჩიეს — იქნებ, პენსია მაინც დაგინიშნონო. რაღაც ამონაწერი მომცეს და თავდაცვის სამინისტროში გამგზავნეს. მაშინ იქ ვინ „შეფრინდებოდა“?! მაგრამ „შევფრინდი“... იმ უზარმაზარ შენობაში ოთახიდან ოთახში მგზავნიდნენ... ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. გამახსენდა, რომ შინ მშიერი შვილები მელოდებოდნენ. ხელი ჩავიქნიე და სამინისტრო ისე დავტოვე, რომ ვერაფერი გავარკვიე... ტანჯვა-წამებით ვცხოვრობდი. გაჭირვების გამო ბინაც გავყიდე. ვახო ხან თავის დასთან იყო, ხან — ჩემს მშობლებთან. მათთან ფორმის გასარეცხად და დასაძინებლად მიდიოდა ხოლმე... კიდევ ბევრს ვიშრომებდი, კიდევ ბევრს ვიწვალებდი, ოღონდ შვილი ცოცხალი მყოლოდა, თუნდაც — ინვალიდი... იცი, მოსწავლეობის პერიოდში, შვილი ჯაშუშს მეძახდა (*იღიმება*): აგენტივით სულ უკან ნუ დამყვებიო. ერთხელ სეირნობისას ჩუმად ავედევნე, მაგრამ მაინც შემნიშნა და მისაყვედურა: განა რა უნდა გავაკეთო ცუდი? ხომ ხედავ, რომ ვსეირნობ!

**— ვისთან ერთად სეირნობდა?**

— ძმაკაცებთან ერთად... სკოლაში შეყვარებული ჰყავდა. ის გოგონაც უმამო იყო.



**მარინა გზირიშვილს მეუღლე აფხაზეთის ომში დაეღუპა, შვილი კი სამაჩაბლოს ომს შეეწირა. 20 წლის ვახტანგის დაღუპვის შემდეგ, უბედურ დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მწუხარებით აღსავსე მისი დღეები გარდაცვლილ შვილზე ზრუნვაში გადის: ან ვახოს საფლავს უვლის, ან ეკლესიის აშენებისთვის საჭირო საქმეებს აგვარებს — გადაწყვეტილი აქვს, აგვისტოში, სამშობლოს დაცვისას გმირულად დაღუპული ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელზე ეკლესია ააშენოს...**

**ქალბატონ მარინას შინ გვიან საღამოს ვესტუმრე. ოთახში, რომლის ერთ-ერთ კედელზე შვილის სამხედრო ფორმა და სხვა ტანსაცმელი აქვს ჩამოკიდებული, ვახტანგის „ბოლო ზარის“ ვიდეოჩანაწერს უყურებდა...**

20 წლის ვახტანგის დაღუპვის შემდეგ, უბედურ დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია



მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ვახოს ის გოგო უყვარდა. მერე რატომღაც, დაშორდნენ. მიზეზს ხომ არ ვკითხავდი?!. სკოლა რომ დაამთავრა, ჩემთან სტამბოლში ჩამოვიდა. გამიმხილა, ისევ შეყვარებული ვარო. ძალიან ალალი ბიჭი იყო. ყველას ადვილად ენდობოდა. ვურჩიე, — ფრთხილად იყავი, შვილო, ისე გიყვარდეს, რომ თუკი იმ გოგონამ უარი გითხრა, შენც იოლად შეძლო მისი სიყვარულის დათმობა-მეთქი. მართლაც, გაუთხოვდა ის გოგონა... ეს ამბავი ძალიან განუცდია, უნერვიულია. ალბათ, მეორედ ამიტომ ველარ გამოემგზავრა ჩემს სანახავად... მერე სამხედრო ნაწილიდან გამოიძახეს. ვახოს უფიქრია, ბარემ ჯარში კონტრაქტით წავალ, ხელფასიც მექნება, მერე კი სამხედრო აკადემიაში ჩავაბარებ და ვისწავლიო. რომ ნახა, სტამბოლში როგორი წვალებით ვშრომობდი, ალბათ ამან უბიძგა...

**— იქ მუშაობა ასე ძალიან გიჭირდათ?**

— წარმოიდგინეთ, ნამდვილი მონური სამუშაოა. 24 საათის განმავლობაში, რა დროც უნდა იყოს, შენ მაინც უნდა იშრომო. საქმეს რომ მორჩები, მაინც ციბრუტივით უნდა იტრიალო, რადგან შესაძლებელია, რაიმე მიზეზი გამოგინახონ და გითხრან — კარგად იყავიო... როცა ვახო ჩემთან იყო ჩამოსული, სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. თავისი ხელფასით მაღაზიიდან საკვები პროდუქტები მოიტანა, თითქოს რამეს ვაკლებდი — რა ვიცი, მაინც ჩემი ხელფასი იყო და ვიყიდეო, — მითხრა. ვიზის ვადა რომ ეწურებოდა, საქართველოში დაბრუნდა. როცა შევიტყვე, რომ სამხედრო სამსახურში შევიდა, უცნაური შიშის გრძნობა დამეუფლა — თითქოს გულში ხანჯალი ჩამცეს! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში ისევ ომი იქნებოდა (ტირის)... ვიცოდი, ვახოს, ერაყში წასასვლელად ამზადებდნენ. იმ პერიოდისთვის აქ დაბრუნებას ვაპირებდი. ჯარში ისე წავიდა, სამხედრო ფორმაში ვერც კი ვიხილე. ვიფიქრე, ახლა ერაყშიც ისე გაუშვა, რომ არ ვნახო-მეთქი?!. აი, ასე ჩამომიყვანა ჩემმა შვილმა... ტელეფონით მეუბნებოდა ხოლმე: ჯარში ყველაფერი ისეა, როგორც მე მიყვარს, ბევრს ვვარჯიშობთო. ტანად მოსული ბიჭი იყო, სირბილი, მძლეოსნობა იტაცებდა. სნაიპერობა უნდოდა. მეთაურს უთქვამს: ჯერ მეტყვიამფრქვეობა კარგად შეისწავლე და მერე სნაიპერიც გახდებიო.. რაც სკოლაში არ უწერია, ახლა წერდა: სამხედრო გაკვეთილების ჩანაწერებით რვეულები სულ ჩაწიკწიკებული ჰქონდა... ბოლოს 5 აგვისტოს ვესაუბრე ტელეფონით. იმ დროს ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილებიც სტამბოლში იყვნენ სტუმრად. ვახომ მითხრა: შაბათს დაგირეკავთ, ინტერნეტკაფეში შედით და „სკაიპით" ვილაპარაკოთ, თან — დაგინახავ, ძალიან მომენატრე, დედიო... განა მე არ მენატრებოდა? დიდი ხნის უნახავი მყავდა... შაბათი დღის გათენებას მოუთმენლად ველოდი, მაგრამ საქართველოში ყველაფერი აირია. თურქეთის საინფორმაციო გამოშვებებს თვალყურს ვადევნებდი, ძალიან ვნერვიულობდი. ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მალე ინფორმაცია ქართულ არხებზეც გამოჩნდა. ვახოს ტელეფონზე ვურეკავდი — ორივე ნომერი გამორთული ჰქონდა! პარასკევს ღამით, ტელევიზორთან ჩამთვლიმა. მესიზმრა: სამების ტაძარში უამრავი ხალხი ლოცულობდა; მოულოდნელად ციდან ბომბები ჩამოცვივდა და ტაძარი აფეთქდა (მაშინ რუსეთის ავიაციას საქართველოს დაბომბვა დაწყებული არ ჰქონდა)... ღამის 2-3 საათისთვის ჩემმა სიძემ დარეკა და ნათიას რაღაც უთხრა. ნათიამ ყვირილი დაიწყო: ვაიმე, გიორგი, ხომ ტყუილია? მითხარიო!.. ვიფიქრე, რომ ვახო დაიღუპა. თურქი მეზობლები მოცვივდნენ, მაწყნარებდნენ... ჩემს ქალიშვილს შეეშინდა და მომატყუა: დაწყნარდი, ვახო ფეხში ყოფილა დაჭრილიო. დავაფიცე. საკუთარი შვილი — ბაჩო ტყუილად დაიფიცა და ამით დამაჯერა... ერთი სული მქონდა, საქართველოში დავბრუნებულიყავი, მაგრამ თვითმფრინავის 1 ბილეთი 600 ევრო დამიფასეს. ავტობუსით გამოვემგზავრეთ. გზაში ღმერთს ვევედრებოდი, დაჭრილი შვილი მალე გამომიჯანმრთელე-მეთქი!..

**— თუ იცით, ვახო რა ვითარებაში დაიღუპა?**

— დაჭრილი ყოფილა, მარჯვენა ფეხი მუხლიდან მოწყვეტილი ჰქონია. ყუმბარის ნამსხვრევი არტერიაში მოხვედრია და სისხლისგან დაცლილა. ვინც ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, თითქმის ყველა დაბომბვის დროს დაიღუპა. ორმა ჯარისკაცმა მითხრა: „ვახო ტყვია-წამლის გამოსატანად შევიდა შენობაში, ამ დროს რუსული თვითმფრინავიც გამოჩნდა და"... ის ორი ჯარისკაცი ახლა ისრაელში სამკურნალოდ იმყოფება. ორივეს ფეხი აქვს მოწყვეტილი, ერთ-ერთი — სამხედრო ექიმია. ომში გამოჩენილი გმირობისთვის ჯარისკაცების დაჯილდოებაზე რომ ვიყავი, ჩემი ვინაობა გაიგო და ტირილი დაიწყო: ბოდიში, დედი, დაჭრილი ვახო მე გამოვიყვანე, მაგრამ ვერ გადავარჩინეო... მასაც ნამსხვრევები მოხვედრია, დაჭრილა და გონება დაუკარგავს. ჩემი შვილი მანქანამდე მიუყვანიათ, მაგრამ ხელებში ჩაჰკვდომიათ. სისხლდენა ვერ შეუჩერეს... ვახოს თანამებრძოლებს მესიჯებს ვუგზავნიდი ხოლმე. აი, რა მომწერა სამხედრო ექიმმა გულადი თოდუამ: „როგორ ბრძანდებით, ქალბატონო მარინა? მიჭირს თქვენთან ლაპარაკი. თქვენი წერილი წავიკითხე, ვიტირე... არასოდეს დაგივიწყებთ. ჩემთვის საკუთარი დედასავით იქნებით. გამაგრდი, დედა"... როცა გულადი ისრაელიდან დაბრუნდება, იმედია, ყველაფერს დაწვრილებით მომიყვება... ვახო 14 აგვისტოს დავკრძალეთ. ჩემს შვილს შეყვარებული ჰყოლია. ის გოგონა ქუთაისელია და დაკრძალვას ვერ დაესწრო: მაშინ გზები ჩაკეტილი იყო. ახლა ჩამოსულა და ვახოს საფლავზე მისულა...

**— თქვენ როგორ გაიგეთ?**

— წინა ღამით ვახო მესიზმრა. გაღიმებული სახე ჰქონდა. — რა იყო, დე, რამ გაგახარა-მეთქი? — ვკითხე. — დე, იცი, ნანა მოვიდაო, — მიპასუხა... დილაუთენია სასაფლაოზე გავვარდი. საფლავზე ლამაზი თაიგული დამხვდა. შესაძლოა, ნაწვიმარი რომ იყო, საფლავის ქვა დასველდა და ასე იმიტომ მომეჩვენა, მაგრამ ლოცვისას, ვახოს სურათს რომ შევხედე, თითქოს იღიმებოდა, კმაყოფილი სახე ჰქონდა. არ ვიცი, იქნებ მინდოდა, რომ ასე დამენახა და იმიტომ დავინახე... საფლავის ქვაზე ვახოს ორი სურათია: ერთი — სამხედრო ფორმაში, მეორე — სამოქალაქოში. მეორე სურათს „შიმშილა" აწერია. ეს მისი მეტსახელი იყო.

**— შიმშილას რატომ ეძახდნენ?**

— რატომ და ჯარში თურმე სულ შიოდა... პატარაობისას მჭამელი ბავშვი არ იყო, მაგრამ რომ წამოიზარდა... განსაკუთრებულად, პურის ჭამა უყვარდა, კიდევ — შემწვარი კვერცხის. ერბოკვერცხის მომზადების თავისებური რეცეპტი ჰქონდა; ერთ ჯერზე 12 კვერცხს მიირთმევდა... ვიდრე ომი დაიწყებოდა, მანამდე ერთი უცნაურობა დამჩემდა: ჩემი შვილის მიერ გამოგზავნილ ყველა მესიჯს ტელეფონში ვინახავდი, არც ერთს არ ვშლიდი. რატომღაც, გულით მინდოდა, მისი „ესემესები" შემენახა.

**— ახლაც შენახული გაქვთ?**

— ვერ შევინახე, შვილო... სტამბოლში მუშაობისას ტელეფონი ძირს დამივარდა. როცა ჩავრთე, ყველა მესიჯი წაშლილი იყო, არ ვიცი, რა დაემართა. სიცოცხლეში ვერაფერს ელირსა ჩემი შვილი, ვერაფერი მოასწრო. მის ფოტოებს, მის ტანსაცმელს ვეფერები. ერთი სამხედრო ფორმა, რომელიც ბრძოლისაც ეცვა და სისხლიანი იყო, თან ჩავატანეთ... შარვლის ჯიბიდან პლასტიკური ბარათი და მობილური ტელეფონი ამოცლილი ჰქონდა, მხოლოდ ჯვარი და ლოცვების წიგნილა ედო ჯიბეში... ის ჯვარი ახლა მე მიკეთია. ვიდრე პირში სული მიდგას, ვახოზე ვიზრუნებ. სახელმწიფომ გარკვეული თანხა გამოყო — კონტრაქის დარღვევის შემთხვევაში, ის თანხა ვახოს უნდა გადაეხადა. იმ ფულს სულ ვახოს მოვახმარ, ეკლესიას ვაშენებ ვახტანგისა და მისი თანამებრძოლების სახელზე. ეკლესია ვარკეთილში აშენდება. ვისაც სურს, რომ ამ საქმეს შეეწიოს, საქველმოქმედო ფონდი გვაქვს შექმნილი. ანგარიშის ნომერია: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი — 220101502, მ/ა — 899985900.



საფლავის ქვაზე ვახოს ორი სურათია: ერთი — სამხედრო ფორმაში, მეორე — სამოქალაქოში

# ღვთისმშობლის ხატი — „პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი"

1890 წელს, ბოლოხოვის მონასტრის იღუმენმა, ილარიონმა წმინდა მამა ამბროსი ოპტინელს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ახლებურად დაწერილი ხატი გაუგზავნა. ხატი შამორდინოს დედათა მონასტერში დააბრძანეს, სადაც ლოცვა მამა მოღვაწეობდა. ხატზე გამოსახული ღვთისმშობელი ღრუბლებზე ზის, ხელები კურთხევის ნიშნად აქვს განპყრობილი, ქვემოთ კი პურის ყანა და ძნებია გამოსახული. ღვთისმშობლის გამოსახულება ბოლოხოვის ყოველთა წმიდათა ხატიდანაა გადმოღებული, ყანა და პურის ძნები კი მამა ამბროსის მითითებით დაიწერა. წმინდა მამამ ხატს — „პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი" ანუ „ნაყოფის მომნიჭებელი" უწოდა. ეს სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ყოვლადწმინდა დედოფალი არამხოლოდ ზეციურ წყალობასა და სულიერ ხსნას მოგვმადლებს, არამედ ამქვეყნიურ ღვაწლშიც გვეხმარება.

ხატმა პირველი წყალობა და სასწაული შამორდინოს მონასტერზე 1891-ს გამოავლინა: მონასტრის კუთვნილ მინდვრებსა და მთელ გუბერნიაში მდიდარი მოსავალი მოვიდა. 1892 წელს კი, როცა ვორონეჟის გუბერნიაში გვალვამ მოსავალი განადგურების პირას მიიყვანა, გუბერნიაში ღვთისმშობლის ხატის — „პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი" — ასლი დააბრძანეს და მის წინაშე პარაკლისი აღავლინეს. პარაკლისის დასრულებისთანავე წვიმა წამოვიდა, მინდვრები გამოცოცხლდა და უხვი მოსავალი მოვიდა.

ყველა, ვინც რწმენით და სასოებით აღავლენს ლოცვას ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის წინაშე, სულიერ წყალობასთან ერთად, ხორციელ წყალობასა და სიკეთესაც მიიღებს.



„პურთათვის სიუხვისმომნიჭებელი"

შორენა მერკვილაძე

## ღვთისმშობლის ხატი „ცხოვრებისმომნიჭებელი" – „წინამაუწყებელი"

ღვთისმშობლის ხატი „ცხოვრებისმომნიჭებელი", რომელსაც „წინამაუწყებელსაც" უწოდებენ, ათონის მთაზე, ვათოპედის მონასტერში, დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძარშია დაბრძანებული. 382 წელს, თეოდოსი დიდის ასული — პლაკიდა რომიდან კონსტანტინოპოლს გაემგზავრა გემით, თავისი ძმის არკადის მოსანახულებლად, რომელიც კონსტანტინოპოლიში მეფობდა. პლაკიდამ განიზრახა, გზად ათონის მთაზე შევლო, რათა მამამისის მიერ დაარსებული ვათოპედის მონასტერი მოელოცა და სავანეში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატისთვისაც თაყვანი ეცა. გემი ათონის მთასთან შეჩერდა. მონასტერში მოღვაწე ბერები დიდი პატივით მიეგებნენ თეოდოსი დიდის ასულს, მაგრამ როდესაც მისი სურვილის შესახებ შეიტყვეს, შეშფოთდნენ, რადგან ათონის მთაზე ქალს ფეხის დადგმაც კი ეკრძალება. პლაკიდა ბერების რჩევას არ დაჰყვა და მონასტრისკენ გაემართა. ბერებიც თან გაჰყვნენ. ქალმა თავმდაბლობისა და მორჩილების გამო ტაძარში შესვლა ჩრდილოეთის მცირე კარიბჭიდან გადაწყვიტა, მაგრამ მიახლოებისთანავე ზეციური ხმა ჩაესმა: „შესდექ და წინ წასვლა არ გაბედო, თორემ მკაცრად დაისჯები". ქალი შიშმა შეიპყრო, მიწაზე პირქვე დაემხო და ცრემლთა დენით შესთხოვა მიტევება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. პლაკიდას ბერებმა უამბეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქალმა მონასტერში შესვლა მოისურვა და სიკვდილით დაისაჯა. ამის გამგონე პლაკიდამ, მოწევნული წყალობისთვის, კიდევ ერთხელ აღავლინა ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ. მადლიერების ნიშნად კი ათონის მთაზე, ვათოპედის სავანეში დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძარი ააგებინა. იმ ადგილას, სადაც ზეციური ხმა ესმა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატება გამოასახვინა. ხატს „ცხოვრებისმომნიჭებელი", ანუ „წინამაუწყებელი" ეწოდა. პლაკიდას ბრძანებით, ღვთისმშობლის ხატის წინ გამუდმებით ენთო უქრობი კანდელი. მონასტერში, ამ წესს დღემდე იცავენ.

## „ცოდვილთა ხელისამპყრობელი"

ღვთისმშობლის ხატი — „ცოდვილთა ხელისამპყრობელი" დაბრძანებულია ორლოვის ეპარქიის ნიკოლაევსკის ოდრინის მონასტერში. ხატის შექმნის ისტორია უცნობია და არც ის არის ცნობილი, როგორ აღმოჩნდა ოდრინის მონასტერში. სავარაუდოდ, ხატის სახელწოდებას საფუძვლად უდევს სიტყვები ღვთისმშობლის საფარვლის დაუჯდომლიდან: „გიხაროდენ, ხელისაპყრობითა შენითა ჩვენდა ღვთის მიმართ მიმყვანებელო". ხატი 1894 წელს განდიდდა სასწაულთმოქმედებით. მანამდე ის სავანის კარიბჭესთან არსებულ ძველ სამლოცველოში იყო დასვენებული და დროთა განმავლობაში ისე დაეფარა მტვერს, რომ მასზე წარწერების ამოკითხვაც კი შეუძლებელი გახლდათ. სიწმინდის შესახებ არავინ არაფერი უწყოდა. 1884 წელს, ოდრინის მონასტერში ერთ-ერთი ვაჭრის თანამეცხედრე — პოჩეპია ჩასულა, თავის მცირეწლოვან ვაჟთან ერთად. ორი წლის ყრმას საშინელი ტკივილები ტანჯავდა. ექიმები ვერაფრით მიმხვდარიყვნენ მისი სნეულების მიზეზს. ყველა სახის მკურნალობა უშედეგო იყო. მონასტერში მისულმა ქალმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის — „ცოდვილთა ხელისამპყრობლის" წინაშე პარაკლისის აღვლენა ითხოვა. ბერებმა ხატი გაასუფთავეს და მის წინაშე პარაკლისი აღავლინეს. ყრმა მყისვე განიკურნა. ბერებმა სიწმინდე ტაძარში გადააბრძანეს და საპატიო ადგილას დააბრძანეს. ხატი დღემდე უამრავ სასწაულს ახდენს.

## „აღმადგინებელი"

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით — „აღმადგინებელი", დაბრძანებულია მოსკოვში, ალექსეევის დედათა მონასტერში. ხატზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ფეხზე მდგომია გამოსახული. იგი სნეულის სარეცელთან დგას, რომლის ბაგეზეც რძე მოჩანს. ხატს საოცარი ისტორია აქვს: ერთ ღვთისმოსავ კლირიკოსს ასეთი ჩვევა ჰქონდა — ტაძარში შესვლისას და გამოსვლისას მუხლს იყრიდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ და წარმოთქვამდა: „გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთან! ნეტარ არის მუცელი, რომელმან იტვირთა ქრისტე და ძუძუნი, რომელთა სწოვდა უფალი ღმერთი

ჩვენი მაცხოვარი". ერთხელ კლირიკოსი ავად გახდა. ენა ულპებოდა და აუტანელი ტკივილები ტანჯავდა. ერთხელ ტკივილისგან გონებაც კი დაკარგა. როდესაც გონზე მოვიდა, სარეცელთან ლამაზი ყმაწვილი იხილა. ეს მისი მფარველი ანგელოზი გახლდათ. ანგელოზმა თანაგრძნობით შეხედა სნეულს, შემდეგ კი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მიმართა: „ჰოი, ყოვლადმოწყალეო დედოფალო, რომელმან ამ ტანჯულს მრავალი ღვაწლი აღასრულებინე, ენა, რომელიც დაუდუმებლად გაქებდა შენ, ამჟამად მოწყლულია და მხოლოდ უაზრო ბგერებს აღმოთქვამს. ჰოი, მოწყალეო დედაო, მიაპყარ შენი მშობლიური მზერა მას და შეიწყალე იგი". მოულოდნელად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც გამოჩნდა. მკერდიდან ერთი წვეთი რძე გარდამოედინა, სნეულის ბაგეებს შორის ჩააწვეთა და გაუჩინარდა. სნეული სრულიად ჯანმრთელი წამოდგა სარეცლიდან. კლიროსი მაშინვე ტაძრისკენ გაემართა და მგალობლებს შეუერთდა. სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად დაიწერა ყოვლადწმინდა ღვთისმშობილს ხატი — „აღმადგინებელი".

## ღვთისმშობლის ხატი – „ვლაქერნის"

ღვთისმშობლის „ვალქერნის" სახელწოდებით ცნობილი სასწაულთმოქმედი ხატი, თავდაპირველად, ანტიოქიაში იმყოფებოდა. V საუკუნეში დედოფალმა ევდოკიამ ჯერ იერუსალიმში, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში გადააბრძანებინა. იმპერატორის დამ, წმინდა პლუხერიამ სიწმინდე ვლაქერნის ტაძარში დააბრძანა. სწორედ ამის გამო ეწოდა ხატს „ვლაქერნისა".

VIII საუკუნეში, როდესაც კონსტანტინოპოლის ურჯულო იმპერატორის ბრძანებით ხატმებრძოლობის ერესი გავრცელდა, ღვთისმოსავმა ბერებმა ღვთისმშობლის ხატი პანტოკრატორის სავანეში გადამალეს, მისთვის საგანგებოდ გამოღებულ კედელში, რომელიც შემდგომ ქვებით ამოაშენეს და მის წინ კანდელი დაანთეს. სიწმინდე ასი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ამოქოლილ კედელში, ვიდრე ხატმებრძოლობა არ დასრულდა.

მას შემდეგ, რაც საბერძნეთში წმინდა ხატების თაყვანისცემა აღდგა, ერთ-ერთ ღვთისმოსავ ქრისტიანს გამოცხადებით ეუწყა „ვლაქერნის" ღვთისმშობლის ხატის ადგილსამყოფელი. სიწმინდე დიდი პატივითა და კრძალვით გამოაბრძანეს სამალავიდან და კვლავ ვალქერნის ტაძარში გადააბრძანეს.

მოგვიანებით, ხატი ათონის წმინდა მთაზე გადააბრძანეს, სადაც 1654 წლამდე იმყოფებოდა. შემდეგ მოსკოვში, მეფე ალექსანდრ მიხეილის ძეს გაუგზავნეს. სიწმინდეს პატრიარქი ნიკონი მიეგება. სასწაულთმოქმედი ხატი მოსკოვის მიძინების ტაძარში დააბრძანეს, სადაც დღემდე იმყოფება. ხატი მოსკოვზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს დაზიანდა. მას დაფა აღარ ჰქონდა, სიწმინდე კვიპაროსის ახალ დაფაზე დააკრეს და ვერცხლის პერანგით შეამკეს. „ვლაქერნის" ღვთისმშობლის ხატს „სასწაულთა მომქმედიც" ეწოდა.

## „ლიდიის" ღვთისმშობლის ხატი

ლიდიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია მოციქულთა ხანიდან იწყება: ვიდრე უფლის მოციქულები პეტრე და იოანე ღვთისმეტყველი სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრებოდნენ ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად, იერუსალიმის ახლომახლო ქადაგებდნენ. ქალაქ ლიდიაში, რომელსაც შემდგომ დიოსპოლი ეწოდა, ბევრი ადამიანი მოაქციეს, ამიტომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე, ქალაქში ტაძარი ააგეს. მოციქულებმა ღვთისმშობელს სთხოვეს ტაძარი მოენახულებინა და თავის იქ მისვლით ეკურთხებინა: „წადით და იხარებდით, იქაც თქვენთან ვიქნები", — მიუგო წმინდა ქალწულმა.

ლიდიაში ჩასულმა მოციქულებმა ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე ღვთისმშობლის ხელთუქმნელი — ღვთის ძალით შექმნილი ხატი იხილეს. პეტრემ და იოანემ თაყვანი სცეს ღვთის დედის ხელთუქმნელ ხატს და მადლობა შესწირეს უფალს. ამის შესახებ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსაც მოახსენეს. მან მოინახულა ლიდიის ტაძარი და თავის ხატს სასწაულთმოქმედების ძალა და მადლი მიანიჭა...

IV საუკუნეში, როდესაც ივლიანე განდგომილმა ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ლიდიის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ურჯულო ივლიანემ სიწმინდის გასანადგურებლად თავისი თანამოაზრეები წარგზავნა ლიდიაში. როდესაც ურჯულონი სიწმინდის იარაღით განადგურებას ცდილობდნენ, გამოსახულება თავისი ფერებითა და ხაზებით სვეტის სიღრმეში შევიდა. მტარვალები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ თავიანთ მცდელობაზე. ამის შემდეგ ხატი კვლავ სვეტზე გამოისახა.

VIII საუკუნეში პატრიარქი გერმანე სიწმინდეების მოსალოცად იერუსალიმში მიემგზავრებოდა. მან ლიდიის ტაძარშიც შეიარა და ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი მოინახულა. სიწმინდის წინაშე ლოცვის შემდეგ ხატმწერი იხმო და ხატის ზუსტი ასლის შექმნა დაავალა, რომელიც კონსტანტინოპოლში თან წაიღო. მალე იმპერატორმა ლეონ ისავარიანმა ხატების დევნა დაიწყო. პატრიარქი გერმანე, როგორც ხატთა თაყვანისმცემელი პატრიარქობიდან გადააყენა. პატრიარქი ტაძრიდან გააძევეს, მაგრამ მან უძვირფასესი განძის — ლიდიის ღვთისმშობლის ხატის თან წაღება მოასწრო.

პატრიარქ გერმანეს სიკვდილამდე არ მოუცილებია სიწმინდე. როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ღვთისმშობლის ხატის უკანა მხარეს ერთი ადგილი ამოკვეთა, მასში პაპა გრიგოლისთვის განკუთვნილი ეპისტოლე მოათავსა, ეამბორა, სიწმინდე ზღვაში ჩაუშვა და მიმართა: „წადი, დედოფალო! გაეცალე, არა ჰეროდესა და ეგვიპტეს, არამედ მხეცის მოსახელე მტერს და რომისკენ, — კეთილმორწმუნე ქრისტიანებისკენ ისწრაფე, რათა წინასაუკუნეთა ყრმასთან ერთად, ხატმებრძოლთა კადნიერ ხელს განერიდო. ეს დიდი და ვრცელი გზა უსაფრთხოდ გადაცურე"...

პაპ გრიგოლს სიზმრად ეუწყა, რომ სიწმინდე რომისკენ მიემართებოდა. სიხარულით აღვსილი პაპი კრებულთან ერთად, მდინარე ტიბრით, ხატის შესაგებებლად გაემართა. მდინარის შესართავთან მათკენ მომავალი სიწმინდე იხილეს. ხატს დიდი პატივით მიეგებნენ და გამოაბრძანეს წყლიდან.

წმინდა პაპმა გრიგოლმა ხატთან ერთად მთელი რომი შემოიარა, შემდეგ კი წმინდა მოციქული პეტრეს სახელობის ტაძრის საკურთხეველში დააბრძანა. სიწმინდე სასწაულთა და კურნებათა წყაროდ იქცა.

842 წელს ლიდიის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი კიდევ უფრო განდიდდა შემდეგი სასწაულით: მან ადგილზე რყევა დაიწყო. სასწაული მრავალი ადამიანის თვალწინ მოხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც წმინდა პეტრეს ტაძარში ღვთისმსახურება აღევლინებოდა, ხატი მძლავრად შეირყა და ჰაერში ამაღლდა. შემდეგ ტაძრის კარიბჭისკენ გაემართა. პაპთან ერთად მორწმუნეთა კრებულიც თან გაჰყვა, ყველამ ცხადად დაინახა, როგორ დაეშვა სიწმინდე მდინარე ტიბრზე და ზღვის მიმართულებით გაცურა: „ვაი, ჩვენ, დედოფალო ჩვენო, საით მიდიხარ, პატრონნო და ქალბატონო გვეშინია, ჩვენც არ დაგვატყდეს თავს ხატმებრძოლთა ერესი, რასაც შენ კონსტანტინოპოლიდან გამოერიდე, ამის გამო ხომ არ შორდები რომს? ჰოი, ყოვლადძლიერო, აქამდე რად არ დააცხრე ერეტიკოსთა მძვინვარება, ქრისტეს ეკლესიას რომ აღაშფოთებს?" — აღმოხდა პაპს. წყლის ზედაპირზე მონარნარე სიწმინდეს დიდხანს უცქერდა მორწმუნეთა კრებული. როდესაც თვალს მიეფარა, დაიშალნენ.

სასწაულთმოქმედი ხატი კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იმპერატორის სასახლის წინ, ნავსაყუდელში დადგა. იგი დედოფალ თეოდორას მიართვეს. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც საბრძნეთში ხატთაყვანისცემა აღდგა. კონსტანტინოპოლში ხატის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე, იმპერატორმა მიქაელმა და პატრიარქმა მეთოდემ რომში ელჩები გაგზავნეს, რათა პაპსა და რომის ხელისუფალთათვის ხატთაყვანისცემის აღდგენის შესახებ ეუწყებინათ. ღვთისმშობლის ხატმა სწორედ ელჩების რომში ყოფნის ჟამს დატოვა რომი. კოსტანტინოპოლში დაბრუნებულმა ელჩებმა ხატის გაუჩინარების შესახებ იმპერატორ მიქაელს და მის დედას — დედოფალ თეოდორას შეატყობინეს. გაჩნდა ეჭვი, რომ საიმპერატორო სასახლის წინ გამოჩენილი ღვთისმშობის ხატი, სწორედ რომიდან მოცურდა. დედოფალმა თეოდორამ ხატი ელჩებს უჩვენა. ელჩებმა ხილვისთანავე დაამოწმეს, რომ ეს, სწორედ ის ხატი იყო, რომელმაც მათ თვალწინ დატოვა რომი. იმპერატორის ბრძანებით ლიდიის ღვთისმშობლის ხატი ლიტანიითა და ლოცვით გამოაბრძანეს სასახლიდან და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მიაბრძანეს. სიწმინდე დღემდე ამავე ტაძარში იმყოფება. რადგან „ლიდიის" ღვთისმშობლის ხატი ას წელზე მეტხანს რომში იმყოფებოდა, მას, „რომის" ღვთისმშობლის ხატიც ეწოდება.

დასაწყისი იხ. გვ. 10

**— თითქმის გადაწყვეტილია, რომ მაპ-ს არც დეკემბერში უნდა ველოდეთ და მის სანაცვლოდ, განსაკუთრებულ სტატუსს გვპირდებიან... რამდენად დაგვიცავს ეს სტატუსი რუსული აგრესიისგან?**

— არ მინდა, ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვები გავიმეორო, მაგრამ მართალი გითხრათ, მაპ-ი ჩვენთვის პანაცეა მართლაც, არ არის და რაიმე განსაკუთრებულ გარანტიებსაც არ გვიქადის. ასე რომ, თუ მართლაც მოგვანიჭეს განსაკუთრებული სტატუსი, ეს გაცილებით მომგებიანი იქნება. დასავლეთმა ახლა უნდა გადაწყვიტოს, დაეხმარება თუ არა საქართველოს ბოლომდე. ჩვენ ნატოს უგუნური პოლიტიკის მსხვერპლი ვართ. პირველ რიგში კი, საფრანგეთისა და გერმანიის გამო ვერ მივიღეთ მაპ-ი — აღარაფერს ვამბობ ბერლუსკონიზე. არადა, მსოფლიო პოლიტიკის რეალობა




გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად „წაუწვები“ რუსეთს, ის მით მეტად წამოგაჯდება თავზე. საქართველოზე თავდასხმით, მან საერთაშორისო სამართლის პრინციპებს „გადაუარა“ და დასავლეთისგან პრაქტიკულად, არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ყველანაირი მუქარა, მხოლოდ ლაპარაკის დონეზე დარჩა. ნოემბრის ბოლომდე თუ არ გაიყვანს ჯარებს, ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთო, — ამბობდნენ; დადგა ნოემბერი, მაგრამ რეალურად, არაფერი შეცვლილა. რუსეთმა მხოლოდ ის შეასრულა, რაც დასავლეთს უნდოდა, საქართველო კი ისევ წაგებული დარჩა. ევროკავშირის მუშაობა მხოლოდ ერთი ნაბიჯით შემოიფარგლა, შემდგომი ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეიკავეს, ცალ ფეხზე დგომა კი მათ კარგს არაფერს მოუტანს, რადგან აქ მარტო საქართველოს საკითხი როდი წყდება. აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე დასავლეთმა საქართველოს იგივე გაუკეთა, რაც ჰიტლერის დროს, მიუნხენში ჩატარებულ სამიტზე — ჩეხოსლოვაკიას, როცა ეს ქვეყანა ფაქტობრივად, „ჩააბარეს“ გერმანიას...

**— სპეციალისტები ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ დასავლეთმა რუსეთის გაძლიერებას შეუწყო ხელი. როგორ ფიქრობთ — ამის მიზეზი მხოლოდ ენერგომატარებლებია?**

— ამის მიზეზი ის არის, რომ ევროპას ამერიკასთან კონფრონტაციაში ყოფნა მოსწონს და ეს ყველაფერში იჩენს თავს. მათ შეიძლება, ამერიკის გაძლიერება არ მოსწონდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთს უნდა „წაუწვენენ“. ეს სახელმწიფო გაცილებით საშიშია და რაც მთავარია, ვერაგი „მოკავშირეა“. მეტიც, რუსეთში სულ ცოტა ხანში ფაშისტური რეჟიმი ჩამოყალიბდება, რაზეც მედვედევისა და პუტინის ქცევა აშკარად მიანიშნებს... ცნობილმა იტალიელმა ექსპერტმა, მილანის უნივერსიტეტის პროფესორმა ანტონიო კასესემ ბრწყინვალე სტატია გამოაქვეყნა, სათაურით: „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“, სადაც იგი წერს: თუკი პირველად საქართველომ ისროლა, მას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის არც ერთი პუნქტი არ დაურღვევია და ნომინალურად, მაგრამ მაინც, თავისი სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მოქმედებდა; ამის პასუხად კი რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა დაარღვიეს მათი სამოქმედო ფორმატი და, დამატებით ძალებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინესო. სამწუხაროდ, ამ სტატიით ქართული პრესა და მედია არც დაინტერესებულა... ახლა, როცა საერთაშორისო კომისია ცდილობს გაარკვიოს, ვინ დაიწყო ომი, ქართული მხარე აქეთ-იქით კი არ უნდა იყურებოდეს, მშველელის მოლოდინში, არამედ თვითონ უნდა იმუშაოს და უცხოურ კომისიას, ომის დროს დაგროვილი დოკუმენტები უნდა დაუდოს მაგიდაზე. რუსეთი გაჰყვიროდა, ცხინვალში ქართული არმიის შეჭრას 2 ათასი მშვიდობიანი ადამიანი შეეწირაო, მაგრამ როგორც გაირკვა, 40 კაცი დაიღუპა და ეს ჩვენი კი არა, „ჰიუმან რაიტს უოჩის“ ინფორმაციაა.

**— ასეთი გავლენიანი ორგანიზაციების დასკვნების მიუხედავად, რუსეთთან საინფორმაციო ომს მაინც ვაგებთ...**

— დიახ, განადგურდა ქართული სოფლები, მოსახლეობა, მაგრამ მათ რეალურ ვითარებაზე თითქმის არაფერი იციან. ასეთი უნიათო მუშაობის გამო პასუხისმგებლობა ჩვენს სათანადო სტუქტურებს ეკისრებათ. საგარეო საქმეთა და რეინტეგრაციის სამინისტროებმა მეტი უნდა გააკეთონ. რა გახდა ერთი ქართული ფილმის გადაღება რუსეთ-საქართველოს ომზე?! „ბიბისიმ“ თუ გადაიღო, რატომ არ შეგვიძლია ეს ჩვენ, მაშინ, როცა უამრავი ფაქტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, თუ რას აკეთებდა რუსეთი ამ რეგიონში?! ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რუსეთთან საინფორმაციო ომს ვაგებთ. მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც: დასავლეთს ხელს აძლევს ასეთი რეზონანსი, რადგან ის, რუსეთის აგრესიაზე დასავლეთის შენელებულ პასუხს ამართლებს. და კიდევ ერთი: საინფორმაციო ომში დიდ როლს, დასავლეთ ევროპაში არსებული, ანტიამერიკული ძალებიც თამაშობენ. ამიტომაც, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენი ნამდვილი მეგობარია და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დახმარებას გაგვიწევს. მან ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხი სხვანაირად უნდა დასვას, უნდა გამოიყენოს ის გარემოება, რომ ამ ორგანიზაციაში მთავარი მოთამაშე თვითონ არის. ბარაკ ობამას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი პრეზიდენტისთვის, პრიორიტეტებს შორის, საქართველოც შედის. აქვე უნდა ვთქვათ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის გარემოცვას, ობამას კი საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს. მაგალითად, ისეთი ცნობილი ანალიტიკოსი, როგორც არის ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის რუსეთის პოლიტანატომია... ეს ჯგუფი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ამიტომ, რუსეთს ამერიკის სათავეში „დემოკრატების“ მოსვლა ხელს არ აძლევდა. მათ „რესპუბლიკელებთან“ ყოველთვის უკეთესი ურთიერთობა ჰქონდათ — ასე იყო რეიგანისა და ბუში-უფროსის დროს. ყველა კონფლიქტი და პრობლემა რუსეთს „დემოკრატებთან“ ჰქონდა. თუ ობამას გამარჯვების შემდეგ რუსულ პრესას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ისინი დიდად აღფრთოვანებული არ არიან არჩევნების შედეგით... შევახსენებთ, რომ ობამამ პირადად დარეკა საქართველოში და ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარება მისთვის პრესტიჟის საქმე იქნება. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამერიკას პირდაპირი შეურაცხყოფა მიაყენა, როცა განაცხადა, — ამერიკა არაფერს ნიშნავს და უნდა შეიქმნას ევროპული უსაფრთხოების სისტემა, სადაც აშშ არც უნდა იყოს ჩართულიო...

**— ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, გაზაფხულზე რუსეთისგან ახალ შემოტევას უნდა ველოდოთ...**

— არა მგონია, გაზაფხულზე რუსეთმა ამისთვის მოიცალოს, რადგან ინგუშეთში, დაღესტანსა და თათრეთის რესპუბლიკაში სერიოზული ამბები მზადდება. მართალია, რუსეთი ამბობს, ამ რესპუბლიკებში სიტუაციას უკვე ვაკონტროლებო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მართლა ასეა. მათ არაფერი დაეჯერებათ, რადგან რუსული ინფორმაცია მხოლოდ „შიდა მოხმარებისთვის“ არის განკუთვნილი...

# როგორ ვრცელდებოდა დედაენა ფერეიდნელ ქართველთა შორის

*„დედის ენის დამვიწყებელს
დამტირებელ არა ჰყავდეს"*
*საიდ მულიანი*

**ქართველმა თავის მშობლიურ ენას დედაენა უწოდა, ხოლო ფერეიდნელი ქართველი, რომელიც აგერ უკვე 4 საუკუნეა, ირანში — უცხო მიწაზე და გარემოში ცხოვრობს, თავის მიერ შემონახულ მშობლიურ ენას „დედის ენას" ეძახის. 4 საუკუნე მცირე დრო არ არის და ფერეიდნელი ქართველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იქ, შორეულ მხარეში არა მარტო თავისი ეროვნება — „გურჯობა" შეინარჩუნა, არამედ თავისი მშობლიური — ქართული ენაც. მაგრამ ვერ შემოინახა დამწერლობა...**

## ნოდარ კოჭლაშვილი




1965 წლის ზაფხულამდე, ჩემი გამოკითხვით, არც ერთმა ფერეიდნელმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, გარდა ერთისა, ეს იყო ამირ მირჯეზაი — იგივე ამირან პაპიაშვილი, რომელიც ამბაკო ჭელიძემ 1931 წელს, 7 წლისა თბილისში ჩამოიყვანა და 2 წელი სწავლობდა მუშთაიდში მდებარე, ეგნატე ნინოშვილის სახელობის სკოლაში. ამირანი ირანის მონარქიულმა მთავრობამ ბევრჯერ დააპატიმრა ქართველობის გამო და ამის შემდგომ, მას ფერეიდნელ ქართველებთან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა.

იმავე 1965 წელს თეირანში საბჭოთა კავშირმა მოაწყო სამრეწველო-სავაჭრო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო: თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. გამოფენას უამრავი მნახველი ჰყავდა, მათ შორის, თეირანში ფერეიდნიდან საშოვარზე ჩასული ქართველობა. შემდეგ, ფერეიდნიდან სპეციალურადაც ამ გამოფენაზე ჩადიოდნენ „გურჯები", რათა ენახათ „დიდი საქართველო" და ხელი ჩამოერთმიათ „ცოცხალი" ქართველებისთვის.

ამ ქართველთა შორის, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ძმები — მუხთარ, ჰაიდარ და მურთაზ ძალანები (დარჩიაშვილები), ჰოსეინ ყალანი, ეზათოლა ქარიმი (გუგუჩანი) და კიდევ 3-4 ფერეიდნელი, რომელნიც ყოველ საღამოს სტუმრობდნენ საქართველოს პავილიონს. თითოეულ მათგანს აწუხებდა ერთი საკითხი: მათი თქმით, „ყველას — ფარსებს, არაბებს, სომხებს, ალბანებს თავისი წერა აქვთ, ჩონ — არა... და ერთ დღეს დავჯექით ჩონ და გვინდოდა ჩონი ანა-ბანა გაგვეკეთებინა. ბევრი ვილონეთ, ვერა ვქენით სიკეთე".

ამ ჯგუფს საიდუმლოდ ვასწავლე ქართული დამწერლობა. ვწერდი ქართულ-სპარსულ ანბანს და ვურიგებდი. როდესაც მათ ანბანი შეისწავლეს, სიტყვა ჩამოვართვი, რომ თითოეული თავისიანსაც ასწავლიდა. მოცემული სიტყვა მათ პირნათლად შეასრულეს!

გოგებაშვილისეული „დედაენა" მხოლოდ 2 წლის შემდეგ ჩავუტანე, როდესაც თბილისის „დინამოს" გავყევი ირანში თარჯიმნად. ჩავიტანე 20 წიგნი, რომლის საზღვარზე გადატანაც სირთულეს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირში გამოცემულ ყველა ამ წიგნს მოვაშორე ლენინის სურათი, რადგანაც ამას კომუნისტური პროპაგანდის მცდელობად შეაფასებდნენ და იქაური კანონით, 5 წლით პატიმრობა შეიძლებოდა მოესაჯათ ჩემთვის... 20 „დედაენა" ერთი წვეთი იყო, სურვილისა და მოთხოვნილების იმ დიდი „ზღვისთვის", რომელიც ფერეიდნელ ქართველობას მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნის მიმართ ჰქონდა. და მათაც დაიწყეს ამ „დედაენის" გადაწერა და ასე, ხელნაწერის სახით, გავრცელება. პირველ ხანებში მათთვის ეს, უბრალო გადაწერაც კი რთული იყო, რადგანაც სპარსული წიგნი ხომ საპირისპირო მხრიდან იშლება, სიტყვები კი მარჯვნიდან მარცხნივ იწერება. მაგრამ თანდათან ეს სიძნელეც დასძლიეს.





დაიწყეს ამ „დედაენის" გადაწერა

რაც შეეხება ამ წერილის ეპიგრაფს, — იგი ეკუთვნის იქაურ კაცს, რომელსაც რამდენიმე შრომა აქვს დაწერილი ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, იქაურებს იაკობ გოგებაშვილის მიხედვით დაუწერა „დედა ენა" და „ქართული ენის თვითმასწავლებელი".

ამას კი წინ უძღოდა საზაფხულო სკოლები, რომლებიც ფერეიდნელმა ქართველებმა, ენის შესასწავლად, ქალაქებში — ნაჯოხაბადსა და ფერეიდუნშაჰრში გახსნეს. აქვე დავძენ, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველობა, ფერეიდნის გარდა, ჩაასახლეს ხორასანში, გილანსა და მაზანდარანში. ამ სამ პროვინციაში მცხოვრებ ქართველებს დიდი ხანია, აქვთ სურვილი, დაიბრუნონ თავიანთი „ძველების ენა". საამისოდ კი აუცილებელი გახდა, სპეციალურად მათთვის შექმნილიყო „ქართული ენის თვითმასწავლებელი", რაც ბრწყინვალედ შეასრულა საიდ მულიანმა.

მან ისპაჰანის უნივერსიტეტი დაამთავრა, იქვე გახდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი და მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ფერეიდნელ ქართველთათვის ისტორიის შესწავლასა და „დედის ენის" არდავიწყების საქმეს მოახმარა. დაწერა და გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი — „ქართველთა ადგილი (როლი) ირანის კულტურაში, ისტორიასა და ცივილიზაციაში" და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონმა საიდმა ზემო მარტყოფში თავისი სახლის კარი ქართული წერა-კითხვის შესწავლის მსურველ ყველა ადამიანს გაუღო. ხოლო უკვე ნახსენები, მის მიერ შედგენილი „დედა ენა" და „ქართული ენის თვითმასწავლებელი" ირანში გამოსცა და ადგილობრივ მოსახლეობაში გაავრცელა.

თვითმასწავლებელი, ირანული წესისამებრ, იწყება ციტატით ყურანიდან — „ალაჰის სახელით" — და ქართულ-სპარსული ანბანით. აღსანიშნავია, რომ სპარსულში ასობგერები — კ, პ, ტ, ღ, ც, უ, წ, ჭ — არ არსებობს, ამიტომ კარგად გასაგები რომ ყოფილიყო, ამ ასოებს იქვე მიწერილი აქვს სიტყვები, მაგალითად, წ-ს — „წიწილა", — როგორც სპარსულად, ასევე ქართულად. მოცემულია აგრეთვე განმარტებები — თუ როგორ უნდა წაიკითხო ეს ასო-ბგერები.

საინტერესოა ამ წიგნში მოცემული თავები: „რა ჰქვია ქართულად" (სადაც ნახატებია და ქართულად აქვს მიწერილი სახელები); „რას აკეთებ?" — ასევე ნახატებით; „დაწერეთ, რა არის აქ დახატული"; ცალკე თავებია: „ნათესაობა", „მცირე გრამატიკა", „ანდაზები", სასაუბრო", „მისალმება და გაცნობა", „წელიწადის დროები", „კვირის დღეები", „საათი", „მგზავრობა ავტობუსით, თვითმფრინავით", „ყიდვა", „თვლა". იქვე დაბეჭდილია ჰასან ალი რაჰიმის (ონიკაშვილის) ქართული ლექსი — „ვარდის ბედისწერა" და სპარსულ-ქართული ლექსიკონი. ■



# ლიდბორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-47

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ტყუპი და-ძმა გაქრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. ასაკით თხუთმეტი წლისები იქნებოდნენ, ორივე — აშოლტილი, ტანმაღალი ახალგაზრდა იყო. შის შემდეგ, ისინი პირველები იყვნენ ცინის ქვეყნიდან, ვისთანაც მექარავნეებს შეხვედრამ მოუწიათ. მათი წარმოდგენით, ცინი და მონღოლები ერთი და იგივე ხალხი იყო, რომელიც წარსულში რამდენიმე მოქიშპე ტომად დაიყო, მაგრამ ტყუპის ხილვამ მიახვედრა, რომ ცდებოდნენ. მონღოლები მუქკანიანი, უხეშნაკვთებიანი ხალხი იყო. ტყუპს მათთან საერთო არაფერი ჰქონდა... ყვრიმალები ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად აჰბურცოდათ. მათ სახეს ხორბლისფერი დაჰკრავდა. განზე დამჯდარი თვალები ოდნავ მოსჭუტოდათ, მაგრამ ეს არ ამახინჯებდა, პირიქით, ეშხსა და სილამაზეს მატებდა მათ სახეებს. შავი, აბრეშუმივით ნაზი თმა წელამდე ჩამოზრდოდათ. გოგონა განსაკუთრებით ლამაზი იყო. მის თვალებს უცნაური, მომწვანო ფერი დაჰკრავდა. მისი შეხედვისას, ყველას სიმშვიდე ეუფლებოდა. ჭუჭყიან ძონძებსაც ვერ დაეფარა მისი დედოფლური სილამაზე. ერთი შეხედვაც კმაროდა იმის დასადგენად, რომ ის ჩვეულებრივი გლეხის ქალი არ იყო. ამას შის ქცევაც ადასტურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ტყუპის ბიძა იყო, მაინც გამორჩეული მოკრძალებით ეპყრობოდა. ყოველთვის მათ სიახლოვეს ტრიალებდა და მზად იყო, ყოველი მათი ბრძანება აღესრულებინა.

— რაღაც დაუჯერებელს ჰყვები, ში. როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ იმპერატორის მემკვიდრეები მონღოლთა ტყვეობაში? დავიჯერო, ცინს იმდენი ძალა არა აქვს, რომ ტახტის მემკვიდრეები დაიცვას?! — ჰკითხა ჰასანმა.

— ცინის იმპერატორის ლაშქარს ვერავინ გაუტოლდება. მისი ერთი სიტყვაც კმაროდა, მონღოლთა ველური ტომების გასაცამტვერებლად, — ამაყად უპასუხა შიმ.

— მაშინ, შენ რატომ დაეძებდი მემკვიდრეებს? — გაუკვირდა მუროჩის.

— ამის ახსნა იოლი არ არის.

— აგვიხსენი. რადგან მემკვიდრეების დაცვასა და ცინში გაცილებაზე დაგთანხმდით, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, — არ მოეშვა ჰასანი.

— ცინი დიდი ქვეყანაა და წარსულიც დიდებული აქვს. ძველად, ძალიან ადრე, ჩვენი ხალხი მონღოლთა ტომებივით იყო დანაწევრებული. ტომებს თავისი ბელადები ჰყავდა, რომლებიც მუდამ შინაომში იყვნენ ჩართულნი. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ქვეყანას თავად ცინი არ მოევლინა. მან გააერთიანა ყოველი სამთავრო, შექმნა ძლევამოსილი ქვეყანა და მას თავისი სახელი — ცინი უწოდა. ამის შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა და დადგა დრო, როდესაც ცინის საიმპერატორო ტახტზე ტან ჩუი ცზუნი ავიდა. მანამდე ყველა იმპერატორი ცინის გზის გამგრძელებლად მიიჩნევდა თავს. მაგრამ ისინი მწარედ ცდებოდნენ ან თავს იტყუებდნენ და ქვეშევრდომებსაც ატყუებდნენ. ცინი მუდამ ახლის ძიებაში იყო. ცდილობდა, გამოენახა გზა, სწავლება, რომელიც უფრო ძლიერს გახდიდა იმპერიას. მიმდევრები კი მხოლოდ მისი გაკვალული ბილიკით მიიწევდნენ წინ და თავს მისი საქმის გამგრძელებლად აცხადებდნენ. იმპერატორი ჩუი ძალიან ჰგავდა ცინს. მასავით ეძებდა იმპერიის გაძლიერებისა და ერთმმართველობაში მოქცევის გზებს. მან ბოლომდე შეისწავლა ცინთა შორის გამორჩეული ფილოსოფოსის, კუნ-სიეკუნ-ციუჩუენ-ნის ანუ კონფუცის სწავლება, შეისწავლა და თითოეული მისი სიტყვა ცხოვრების წესად იქცია. თავადაც სწავლების მიხედვით ცხოვრობდა და ქვეშევრდომებსაც იმავეს აიძულებდა. არა ძალით, დასჯისა და სიკვდილის შიშით, არამედ — ახსნითა და მეცადინეობით. ეს ძნელი არ იყო. სულელი უნდა იყოს ადამიანი, თუ გაიგებს კონფუცის სწავლებას და მისი დარიგების მიხედვით არ მოიქცევა... ბრძენი უნდა დუმდეს, ვითარცა ცა მიუწვდომელი. ვინც ცას შესცოდავს, არა აქვს ლოცვის უფლება. ადამიანობის განმსაზღვრელია ჟენი ანუ კაცთმოყვარეობა. ამას ქადაგებდა დიდი სწავლული. პირველი მის სწავლებაში მშობელთა და შვილთა დამოკიდებულებაა. ამით იწყება კაცთმოყვარეობა. როგორ უნდა შეიყვაროს ადამიანმა სხვა ადამიანი, თუ საკუთარ დედასა და მამას არ სცემს პატივს?!. მეორე ადგილზე ჩვენი მასწავლებელი გარდაცვლილთა კულტს აყენებდა. რაოდენ დიადი საქმეც უნდა გააკეთოს ადამიანმა და რა მწვერვალსაც უნდა მიაღწიოს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის მოკვდავია, ადრე თუ გვიან, მაინც მოკვდება და თუ მან წარსულის გმირთა საქმეები და სახელები დავიწყებას მისცა, მის სახელსა და საქმეებსაც იგივე მოელის... სწავლული ასევე ქადაგებდა იმპერატორისადმი სრულ მორჩილებას...

— ჯერ არ მინახავს სწავლული, რომელიც იმპერატორისადმი ან ხალიფისადმი დაუმორჩილებლობას იქადაგებდა, — გაეცინა ჰასანს.

— მართალი ხარ. ასეთ სწავლულს თავად იმპერატორი წააგდებინებდა თავს. მაგრამ კონფუცი სხვა რამეს ხედავდა მორჩილებაში. ცხოვრება ასეა მოწყობილი — ბევრი ერთი გონებით უნდა იმართებოდეს. იმპერატორი აზრთა საცავია თავისი ხალხისთვის. შუქურა, მზე, რომელიც ყველა ქვეშევრდომის კეთილდღეობაზე ფიქრობს. მასთან ბრძოლა, საკუთარ თავთან ბრძოლაა! — სწრაფად უპასუხა შიმ. — ერთხელ სხვა სწავლულებმა კონფუცის გამოცდა მოინდომეს და მოულოდნელად მოსთხოვეს, ეთქვა ერთი სიტყვა, ის ერთადერთი, რომლითაც ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას განსაზღვრავდა. სწავლული არც დაფიქრებულა, მაშინვე თქვა ის ერთი სიტყვა — „კაცთმოყვარეობა“!.. მის გარეშე ვერ იარსებებს ის ყველაფერი, რაც განგვასხვავებს ველურებისგან... გუი — სიკეთე, სინ — ერთგულება, კუან — დიდსულოვნება, გუნ — თაყვანისცემა, იუნ — სიმამაცე, ჯი — ცოდნა!.. განა რამის დამატება სჭირდება ამას?..

— ეგ ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. სჯობს, ის გვიამბო, თუ როგორ მოხვდნენ ტახტის მემკვიდრეები მონღოლებთან, — შეაწყვეტინა ჰასანმა.

— თავიდათავი, მიზეზი — ჩვენი იმპერატორის, კონფუცით გატაცება იყო, — განაგრძო შიმ, — იმპერატორმა სწავლება ცხოვრებაში გადმოიტანა და თავის ქვეშევრდომებს წესად გაუხადა. ვის მოეწონა ახალი წესით ცხოვრება, ვის — არა და ჩვენდა საუბედუროდ, განაწყენებულთა შორის, იმპერატორის გარემოცვა და სამხედრო სარდლებიც აღმოჩნდნენ.

— რატომ? — გაუკვირდა მუროჩის. — რაც შენ თქვი, იმაში არაფერია ცუდი.

— ყველა რიგითი ჯარისკაცი და გლეხი იმავეს იტყოდა, მაგრამ დიდებულებს არ მოეწონათ ახალი წესით ცხოვრება. ტან ჩუი ცზუნამდე, სამხედრო თუ სამოქალაქო თანამდებობები მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. ასე შეიქმნა ქვეყანაში გამორჩეულთა ფენა. ამ ფენამ მხოლოდ ერთი რამ იცოდა: თუ მისი მამა ცხენოსანი ჯარის სარდალი იყო, შვილიც სარდალი უნდა გამხდარიყო, თუ იყო ელჩი, ვაჟიც ელჩად უნდა დანიშნულიყო და ასე შემდეგ... ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ხშირ შემთხვევაში, თანამდებობაზე შეუფერებელი ადამიანი ხვდებოდა. სარდლობა და ჯარების მართვა — ნიჭია. ისეთივე, როგორიც მხატვრობა, პოეზია, მშენებლობა. იმპერატორმა ეს მანკიერი წესი მოშალა და შემოიღო დაწინაურების სხვა წესი — წრთნითა და გამოცდით დაწინაურება. ამიერიდან თანამდებობაზე მხოლოდ ის ადამიანი დაინიშნებოდა, ვინც გამოცდით დაამტკიცებდა, რომ ცოდნაც ჰქონდა და უნარიც, რომელიმე თანამდებობის დასაკავებლად. ეს გადაწყვეტილება წარჩინებულთა ოჯახებმა დრტვინვით მიიღეს. დიდებული გვარების წარმომადგენლებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ, გამოცდებით დაწინაურებული ადამიანებისადმი მორჩილება, მაგრამ იმპერატორის შიშით, ვერავინ ბედავდა უკმაყოფილების გამოხატვას. ყველა, იმპერატორის სიკვდილს ელოდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მემკვიდრე ვითარებას შეცვლიდა და თუ არ შეცვლიდა, გამოცდილი კარისკაცები ახალგაზრდა მემკვიდრის მართვას მაინც შეძლებდნენ. მათ იმედს ისიც აძლიერებდა, რომ იმპერატორის პირდაპირი მემკვიდრე, უფროსი ვაჟი — ჭკუასუსტი იყო და მისი მართვა იოლი იქნებოდა. მაგრამ იმპერატორმა წესი დაარღვია და ტახტი თავის სიცოცხლეშივე, უმცროს შვილს — ტან დაი ცზუნს გადაულოცა. ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა. იმ დროს დაი ცზუნი 18 წლის იყო და იმპერატორს მმართველობისთვის მისი შეჩვევა სურდა. თავად ყოველთვის მის გვერდით იმყოფებოდა და შეცდომის დაშვების უფლებას არ აძლევდა. მათ გვერდით ვიყავი მეც, ხარჭისგან ნაშობი, ძველი იმპერატორის უუფლებო შვილი, ახალგაზრდა იმპერატორის ძმა და მთავარი მრჩეველი. დაი ცზუნმა დიდებულთა იმედები არ გაამართლა. მან მამასაც კი გაუსწრო ახალი წესების დამკვიდრებაში. ძველი წესით, ჯარი დედაქალაქის მახლობლად იყო დაბანაკებული, იმისთვის, რომ მოღალატენი და აჯანყების მოსურნენი დაეშინებინა. ჯარის მეთაურთა შემადგენლობა კი მთლიანად დიდებულებისგან შედგებოდა. ამ დროს იმპერიის საზღვრებზე მუდმივად ხდებოდა მეზობელ სამეფოებთან შეხლა-შემოხლა, ზოგჯერ კი — ნამდვილი ომი. ვიდრე მაცნე ჩინჩანს (ჩინეთის ძველი დედაქალაქი) მიაღწევდა, თავდამსხმელი მთელი პროვინციის დარბევას ასწრებდა. ამის საწინააღმდეგოდ, დაი ცზუნმა არმია დიდ რაზმებად დაშალა, საზღვრისპირა პროვინციებში განალაგა. დედაქალაქის დაცვისთვის კი ახალი სახეობის ჯარი შექმნა. ეს იყო პროფესიონალთა ჯარი, მეფის პირადი ლაშქარი, „ახალგაზრდა მსროლელები". მასში 14 წლის ახალგაზრდებს რიცხავდნენ, რომლებსაც იმპერატორის ერთგული და ბრძოლებში გამოცდილი მეომრები წვრთნიდნენ. ამ ლაშქარს კი გამოცდებით დაწინაურებული, დაბალი ჩამომავლობის, მაგრამ იმპერატორის ერთგული ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. დიდებულებს, ცხენებითა და იარაღით ამ ჯარის მომარაგება დაეკისრათ. ამან ძალიან გაანაწყენა დიდებულები. ადრე ისინი მუდამ სასახლის კარზე იმყოფებოდნენ, გამუდმებით ინტრიგებს ხლართავდნენ და, რაც ყველაზე მთავარი იყო, — მათ ემორჩილებოდა არმია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო, მათი დაცვა და იმპერატორის წინააღმდეგ მახვილის მიმართვა. იმპერიის გარე საზღვრებთან გადასახლების შემდეგ, ისინი გავლენას კარგავდნენ. შორდებოდნენ დედაქალაქს, სასახლეს, თავიანთ ოჯახებს და შორეულ პროვინციებში, მძიმე სამსახური უნდა გაეწიათ იმპერატორისთვის. პირველი აჯანყებაც მაშინ მოხდა. რამდენიმე სარდალმა დედაქალაქისკენ ერთად დაძრა ლაშქარი. ახალგაზრდა იმპერატორმა მაშინვე დატოვა დედაქალაქი, აჯანყებულებს შეება და სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა იმპერატორის ოჯახს. თურმე აჯანყებას სასახლის რამდენიმე დიდებულიც მიმხრობოდა. დედაქალაქში ახალგაზრდა იმპერატორის არყოფნის დროს, ისინი ძველ იმპერატორს დაესხნენ თავს და თანამეცხედრესთან ერთად, მოკლეს. ახალგაზრდა იმპერატორმა სასტიკად იძია შური. მისი ბრძანებით, აჯანყების მოთავეებს თავები დააყრევინეს, მათი ოჯახების წევრებს კი ყველა ტიტული ჩამოართვეს და შორეულ პროვინციებში გადაასახლეს.



— დიდი შეცდომა დაუშვია, — ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— რატომ? — გაუკვირდა შის.

— სწავლულები მხოლოდ ცინში არ იბადებიან. ჩვენი სწავლულები კი ქადაგებენ: „მეგობრები ახლოს იყოლიე, მტრები კი — მათზე ახლოს"!

— გასაგებია, მაგრამ იმპერატორი სხვანაირად ფიქრობდა. მისი აზრით, ყველა უსიამოვნება და ჯანყი, სასახლეში უსაქმურობით შეპყრობილ დიდებულთა შორის იბადებოდა და ის დარწმუნებული იყო, რომ თუ დიდებულებს სასახლესა და ერთმანეთს დააშორებდა, ჯანყის მიზეზებსაც აღმოფხვრიდა.

— და რა მიიღო შედეგად? — ჰკითხა ჰასანმა.



— ახალი და უფრო ვერაგულად დაგეგმილი აჯანყება, — განაგრძო შიმ, — აჯანყებას ძველი იმპერატორის ხარჭა — უ ხუ ედგა სათავეში. მან მიიმხრო ახალგაზრდა იმპერატორის უფროსი ძმა, გონებასუსტი შიმინი. აჯანყებულები ღამით შეიჭრნენ სასახლეში. იმპერატორი და მისი ცოლი სიცოცხლეს გამოასალმეს. იმავ დროს, მოღალატე სარდალთა ჯარები ახალგაზრდა მსროლელებს დაესხნენ თავს და სულ ამოწყვიტეს. მათთან ერთად, ამოხოცეს იმპერატორის ერთგული დიდებულები და გამოცდებით დაწინაურებული ადამიანები. ის ღამე არასოდეს დამავიწყდება. აჯანყებულებს ყვითელი ქსოვილის ლენტი შეებათ მკლავსა და შუბლზე. ეს მათი ამოსაცნობი ნიშანი იყო. ყვითელნიშნიანები მაშხალებით ხელში დაძრწოდნენ წმინდა სასახლის დერეფნებსა ღა დარბაზებში და განურჩევლად კლავდნენ ყველას, ვისაც ასეთი ნიშანი არ ჰქონდა. დილისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. იმპერატორის ერთგული ადამიანები სისხლის გუბეებში ცურავდნენ.

— როგორ გადარჩნენ მემკვიდრეები? — ჰკითხა ჰასანმა. — აჯანყებულები ხომ, პირველ რიგში, მათ დაუწყებდნენ ძებნას?!

— ეძებდნენ კიდეც, მაგრამ მე და იმპერატორის ერთგულმა რამდენიმე მეომარმა მათი გადარჩენა შევძელით. სასახლეს გავარიდეთ და ლიაოს პროვინციაში გადავიყვანეთ.

— ეგ პროვინცია იმპერატორის ერთგული დარჩა? — ჰკითხა მუროჩიმ.

— ეს განსაკუთრებული პროვინცია იყო. ჩვენი იმპერატრიცა წარმოშობით მანჯუდან იყო. ცინის ტრადიციით, ქმარი ვალდებულია, ცოლს მდიდრული საჩუქარი მიუძღვნას. ლიაო სწორედ ასეთი საჩუქარი იყო. იმპერატორმა პროვინცია თავის საცოლეს მიუძღვნა და იმ დღის შემდეგ, ლიაო იმპერატრიცას საკუთრებად მიიჩნეოდა. ლიაოში ძალიან უყვარდათ იმპერატრიცა. ნებისმიერი ლიაოელი, მეომარი თუ გლეხი, მისი გულისთვის უყოყმანოდ დათმობდა სიცოცხლეს... ლიაომ უპირობოდ შეგვიფარა. ამავე დროს, ჩინჩანში დაბანაკებულ აჯანყებულებს შეუთვალა, რომ მოკლული იმპერატორის მემკვიდრეს ტახტზე თუ არ დააბრუნებდნენ, მათ ხელისუფლებას არ ცნობდა. ამის მოთავე ლიაოელი სარდალი — ცან ბო იყო. მან ყველას მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ და აჯანყებულები დაესაჯათ. მოწოდებას ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. მალე ლიაოში სამხედრო ძალებმა დაიწყო ჩამოსვლა, მაგრამ ეს თურმე ხაფანგი ყოფილა. ცან ბო აჯანყებულების დავალებას ასრულებდა. როგორც კი ქალაქში იმპერატორის მომხრეებმა მოიყარეს თავი, ცან ბო აჯანყებულთა ჯარით დაესხა თავს და ყველა ამოხოცა. იმ დღეს მეორედ მომიწია მემკვიდრეების გადასარჩენად ბრძოლამ. მათი მანჯუში გადაყვანა მინდოდა. დედის სამშობლო აუცილებლად შეიფარებდა მემკვიდრეებს, მაგრამ ესეც არ გამომივიდა. ღამით მიმავალნი, გზად მონღოლებს გადავაწყდით. მათთან ერთად იყო სი სიას ლაშქარიც (*სი სია — ჩინური პროვინცია; მდებარეობდა ტიბეტის მისადგომებთან. — ავტ.*). როგორც სვავები მძორს ესწრაფვიან, ისე მიიჩქაროდნენ ლიაოსკენ. ისინი არავის მიემხრნენ. უბრალოდ, არეულობით ისარგებლეს და საძარცვად მიიჩქაროდნენ. რით უნდა დავპირისპირებოდი მათ ჯარს?.. მე ორმოცდაათიოდე ერთგული მეომარი მყავდა, მათ — რამდენიმე ათასი! მაგრამ მაინც არ დამიხევია უკან. მემკვიდრეებსა და მათ აღმზრდელებს გზის გაგრძელება ვუბრძანე, მე კი, მეომრებთან ერთად, მონღოლებს შევები. ღამე იყო, ბნელოდა. მონღოლები და სი სიას სარდლები ვერც კი მიხვდნენ, თუ ვინ ესხმოდა თავს. ლიაოს ან მანჯუს ლაშქრად მოვეჩვენეთ და უკან დახევა დაიწყეს. ცოტაც და საერთოდ, მიატოვებდნენ ბრძოლის ველს. მაგრამ ღალატმა ისევ იჩინა თავი: ჩემი მხედრებიდან ერთ-ერთი, მტერს შეუერთდა და აცნობა, რომ ისინი არა ლიაოს ლაშქარს, არამედ ორმოცდაათამდე თავზე ხელაღებულ მეომარს ებრძოდნენ. ამ ცნობით გახარებული მონღოლები და მათი მოკავშირეები უკან გამობრუნდნენ და ერთი დარტყმით გაანადგურეს ჩემი რაზმი. ბრძოლას მხოლოდ მე გადავურჩი. ჩემს მეომრებს არასოდეს მივატოვებდი და ამაზე ღირსეულ სიკვდილს ვერც კი ვინატრებდი, მაგრამ მეომრებმა თავად მომთხოვეს უკან გაბრუნება და მემკვიდრეებზე ზრუნვა. ისინი მტრის ხელში რომ აღმოჩენილიყვნენ, ჩემი მეომრების სიკვდილი ამაო იქნებოდა... მაგრამ მე დავაგვიანე. მთელი ღამე აქეთ-იქით ვაჭენებდი ცხენს, მაგრამ მემკვიდრეებსა და მათ აღმზრდელებს ვერსად მივაგენი. მხოლოდ გათენებისას შევიტყვე, თუ რა მომხდარიყო. დილით მემკვიდრეების აღმზრდელებს გადავაწყდი. მათგან ერთ-ერთი მკვდარი იყო. დაუნდობლად აეჩეხათ ხმლებით. მეორე სულს ღაფავდა. მან მიამბო, რომ მეომართა რაზმს გადაჰყროდნენ. სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ იყვნენ ისინი, მონღოლები თუ სი სიას მეომრები. აღმზრდელებმა გარიდება სცადეს და გზიდან გადაუხვიეს, მაგრამ მეომრები მალე წამოეწივნენ და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ. რას გააწყობდა ორი ასაკოვანი აღმზრდელი, გააფთრებულ და სისხლს მოწყურებულ ხროვასთან?!. ორივე ხმლებით აჩეხეს, მემკვიდრეები კი გაიტაცეს.

— მონღოლებმა იცოდნენ, ვინ ჩაუვარდათ ხელში? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არა... ყურადღება რომ არ მიეპყროთ, მემკვიდრეებს ღარიბულად ეცვათ. თანაც, ორივე გაფრთხილებული მყავდა, რომ არავისთვის გაემხილათ საკუთარი წარმოშობა... ასე დაიკარგნენ იმპერატორის შვილები. ეს ერთადერთი კანონიერი შტო იყო, რომელსაც ცინის საიმპერატორო ტახტი ეკუთვნოდა. ამასობაში კი ტახტს არამზადათა ხროვა დაეპატრონა. მოგვიანებით გაირკვა, თუ რა ამოძრავებდა აჯანყების მთავარ მოთავეს — უ ხუს. აჯანყების შემდეგ, მისი ბრძანებით, იმპერატორის ცოლი მოწამლეს. ამის მერე ყოფილი ხარჭა თავად მისთხოვდა გონებასუსტ იმპერატორს და იმპერატრიცას წოდება მიისაკუთრა. ცოტა ხანში კი იმპერატორიც მოწამლეს და უ ხუ მთელი ცინის გამგებელი გახდა. მან თავის მემკვიდრედ, თავისი გონებაჩლუნგი შვილი — ჩჟუნ ცინი გამოაცხადა. ალბათ გაგიკვირდებათ, თუ რატომ

დაემორჩილნენ დიდებულები ხარჭასა და მის გონებასუსტ შვილს, რომელსაც ტანის დინასტიასთან არაფერი აკავშირებდა. არავინ იცოდა, თუ ვინ იყო მამამისი. უ ხუ იმპერატორის სასახლეში შვილთან ერთად მოხვდა, მაგრამ დიდებულებს მოსწონდათ მმართველობის ახალი წესი. თუმცა ის ახალიც არ იყო, ეს იყო დავიწყებული წარსული. თავისი პირველივე ბრძანებით, უ ხუმ ერთგული დიდებულები სასახლის კარზე დააბრუნა. აღადგინა ძველი წესი, რომლითაც, ახლო ნათესავებს — ბიძაშვილებს, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს ერთმანეთში ქორწინების უფლება ეძლეოდათ. ეს კიდევ არაფერია; ყოფილი ხარჭა უფრო შორს წავიდა და და-ძმებსაც მისცა ქორწინების ნებართვა, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი მამით და-ძმა არ იქნებოდნენ. ტანის იმპერატორების სასახლე კი გარყვნილების ბუდედ აქცია. იქ ყოველღამე იმართებოდა არნახული ღრეობები. ქალები განურჩევლად, ნებისმიერ მსურველთან წვებოდნენ... დედაქალაქში დიდებულთა დაბრუნებამ და გამოცდებით დაწინაურებული სამხედროების განადგურებამ ჯარიც დაასუსტა. პროვინციებში შფოთი დაიწყო. გახშირდა აჯანყება. უ ხუ გაავთრებული ებრძოდა ყველა მოწინააღმდეგეს. აჯანყებულ პროვინციებს სისხლში ახშობდა. ეს თავისთავად, ქვეყანას ასუსტებდა. უ ხუს უსამართლობით განაწყენებული გლეხები და წვრილფეხა მებატონეები მეზობელ ქვეყნებში ეძებდნენ შველას. ამ დროს კი ხარჭაყოფილის სამეფო კარი ღრეობდა და არაფერს აკეთებდა არმიისა და ქვეყნის გადასარჩენად. ცინის ერთგულმა შვილებმა რამდენჯერმე სცადეს ტახტიდან უ ხუს ჩამოგდება, მაგრამ მათშიც არ იყო ერთობა. იმას, რომ უ ხუ და მისი ბრბო სასახლიდან უნდა განდევნილიყო, ყველა ეთანხმებოდა, მაგრამ როგორც კი ახალ იმპერატორზე დაიწყებოდა მსჯელობა, ერთობა იშლებოდა: რადგან პირდაპირი მემკვიდრე არ არსებობდა, ყველა გვარს ჰქონდა ტახტის დაკავების სურვილი... ბოლოს ტახტის ერთგულ დიდებულებს მე შევთავაზე გამოსავალი — დაკარგული მემკვიდრეები უნდა მოგვეძებნა, ეს ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტდა. მაგრამ მათ ჩემი მოსმენაც არ ისურვეს. მეგონა, არ სჯეროდათ, რომ მემკვიდრეები სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ თურმე ვცდებოდი. საერთოდ, არ აღელვებდათ მემკვიდრეების ბედი. მათი მთავარი მიზანი — ტახტიდან უ ხუს ჩამოგდება და ცინის სამთავროებად დანაწევრება იყო. ამას კი ყოფილი ხარჭა თავად უწყობდა ხელს: ხალხს ის სძულდა, საკმარისი იყო, ერთი ნაპერწკალი და მთელი ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვეოდა... როგორც კი ამას მივხვდი, უარი ვთქვი აჯანყებაზე და სხვა მოკავშირეების ძებნა დავიწყე. ასეთი მოკავშირე ორი მეგულებოდა. ერთ-ერთი თავად მანჯუ იყო — ღალატით მოკლული იმპერატრიცას სამშობლო. იქაურები ისედაც შურისძიებისთვის ემზადებოდნენ. მაგრამ უ ხუ და მისი მოკავშირეები რომც დაემარცხებინათ, ტახტს მაინც ვერ დაიკავებდნენ. თავად ცინის მოსახლეობა და დიდებულები არ დაუშვებდნენ ამას. უ ხუს ხროვის წინააღმდეგ წამოწყებული ომი მთელ ცინს ჩაითრევდა სისხლის ღვარაში. მეორე დასაყრდენად ლიაო მესახებოდა. მართალია, ის ცინის ნაწილად მიიჩნეოდა, მაგრამ განაპირა პროვინცია იყო და, უ ხუზე გამარჯვების შემთხვევაში, ცენტრალური ცინის დიდებულები მაინც არ დაუშვებდნენ ლიაოელი იმპერატორის ტახტზე ასვლას. ეს ისევ და ისევ, სამოქალაქო ომს გამოიწვევდა. გამოსავალს მხოლოდ ერთ რამეში ვხედავდი: გამქრალი მემკვიდრეები უნდა მომეძებნა. ერთი შეხედვით, ეს უიმედო წამოწყება იყო. მე არც კი ვიცოდი, სად უნდა მეძებნა იმპერატორის შვილები — სი სიაში თუ მონღოლთა მიწებზე. სი სიას ხალხი მტრად მიიჩნევდა იმპერატორს და რომ შეეტყო, ვინც დაატყვევეს, ორივე მემკვიდრეს მოკლავდნენ. მონღოლები სასტიკი და ველური ხალხია. მათ ნაკლებად აინტერესებთ, ვინ მართავს მათ მეზობელ ქვეყანას. ისინი ტყვეების ვინაობას გამოსასყიდის მიღების იმედად თუ მოიკითხავდნენ და თუ დარწმუნდებოდნენ, რომ ოქროს მიღების იმე-




დი არ უნდა ჰქონოდათ, მათ მონებად აქცევდნენ. მე კი მემკვიდრეები საგანგებოდ გავაფრთხილე, რომ არავისთან დასცდენოდათ თავიანთი ვინაობა. ვიდრე იმას ვგეგმავდი, თუ სად და როგორ მეძებნა მემკვიდრეები, სასახლის კარზე ისევ სისხლის ღვრა ატყდა. აჯანყებულ დიდებულებს მოჰბეზრდათ ყოფილი ხარჭის პარპაში. ის მოკლეს და, მისივე ანდერძის თანახმად, ტახტზე მისი გონებაჩლუნგი შვილი, ჩჟუნ ცზუნი აიყვანეს. მაგრამ მისი იმპერატორობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ცოტა ხანში, გონებაჩლუნგი იმპერატორი საკუთარმა ცოლმა მოწამლა და თავი იმპერატრიცად გამოაცხადა, მაგრამ ისიც არ აღმოჩნდა დღეგრძელი. დიდებულებმა კიდევ ერთი შეთქმულება მოაწყვეს, თვითმარქვია იმპერატრიცა მოკლეს და სუნის საგვარეულოს წევრი, სიუან ცზუნი აიყვანეს ტახტზე. ეს ყველაფერი ცინში ჩემი არყოფნისას მოხდა. უ ხუს მკვლელობამ მიმახვედრა, რომ სისხლის ღვრა მხოლოდ ახლა იწყებოდა და ვიდრე ქვეყანა საერთოდ დაეცემოდა, მემკვიდრეები უნდა მომეძებნა — იმპერატორის შვილები, რომელთა სასახლეშიც დაბრუნება ბოლოს მოუღებდა შინაომსა და ქვეყნის დაკნინებას... იმ სისხლიანი გადატრიალებების დროს, მე ცინში არ ვიყავი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თავიდან, სი სიას სამფლობელოებს მივაშურე. მივდიოდი მარტო, სოფლიდან — სოფელში, დაბიდან — დაბაში, ქალაქიდან — ქალაქში, ყველგან, სადაც შეიძლებოდა გადავწყდომოდი ტყუპს ან რაიმე შემეტყო მის შესახებ. სი სიას მოვლას ერთი წელი მოვანდომე. მოვძებნე მეომრები, რომლებმაც მონღოლების მხარდამხარ ილაშქრეს ცინში. მათ არაფერი სმენოდათ ტყუპის შესახებ. მოვძებნე რამდენიმე მონაც, მაგრამ მათგანაც ვერაფერი გავიგე. ისინი ან ადრე მოხვდნენ ტყვეობაში, ან — მერე და ტყუპის თაობაზე არაფერი სმენოდათ. ასე ჩამოვაღწიე ბადახშინს. ვიცოდი, რომ იქ ტყვეთა ბაზრები იყო. არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი. ტყუპი არც ბადახშინის ბაზარზე ენახათ. უცნაურია, მაგრამ წარუმატებლობამ გამახარა. ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მემკვიდრეები არც სი სიაში მოხვედრილან და არც ბადახშინის ტყვეთა ბაზარზე. ესე იგი, ისინი მონღოლთა მიწაზე უნდა მომეძებნა, რაც ბევრად მიიოლებდა საქმეს. მზად ვიყავი, მონღოლთა მიწაზე გამეგრძელებინა მათი ძებნა, მაგრამ ზამთარმა მომისწრო და როგორც უნდა გამომედო თავი, თოვლსა და ყინვაში მაინც ვერ შევძლებდი უღელტეხილზე გადასვლას. თანაც, მონღოლთა მიწაზე მარტო ვერ შევიდოდი. შიშით არ მეშინოდა. საკუთარი თავისთვის პირობა მქონდა მიცემული, — მემკვიდრეები რომ ვერ მომეძებნა, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ველური მონღოლი მეომრის ხელით არ უნდა მომკვდარიყავი. რომ დავღუპულიყავი, ვინღა მოძებნიდა ტყუპს?!. საბედნიეროდ, განგებამ თქვენი თავი გამომიგზავნა. თქვენ ცინში ჩასასვლელად მეგზურს ეძებდით, მე კი იმავე გზაზე ძლიერი თანამგზავრი მჭირდებოდა. ვიცი, მაშინ უცნაურად გეჩვენებოდით და ბოლომდე არც მენდობოდით, მაგრამ ახლა ხომ მიხვდით, რისთვისაც ჩამოვედი ბადახშინს და თქვენც რისთვის მოგეკედლეთ. უთქვენოდ მიზანს ვერ მივაღწევდი. ნუ მიწყენთ, ცუდად რომ მოგექეცით. მე სხვა გზითაც შემეძლო ქარავნის წაყვანა, მაგრამ იმ გზაზე მხოლოდ მონღოლ მეომრებს თუ გადავეყრებოდით. მე კი მათი დასახლებები მაინტერესებდა — ადგილები, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მონები. ამიტომაც გვხვდებოდა გზადაგზა მათი სოფლები. ბოლოს კი კარვების ქალაქშიც მიგიყვანეთ. ამისთვის, გზიდან გადავიყვანე ქარავანი. მაგრამ ამან გაამართლა. იქ... სწორედ იქ, მივაკვლიე ჩემი იმპერატორის შვილებს და ტანის დინასტიის კანონიერ მემკვიდრეებს. არ მინდოდა, რაიმე დაგშავებოდათ. ამიტომაც, მათ ბატონს მონების გაყიდვა შევთავაზე. მათი ვინაობა არ გამიმჟღავნებია — ეს საშიში იყო. მონღოლები საუკუნეების განმავლობაში მტრობდნენ მანჯუს ხალხს.

— რით უნდა გამოგესყიდა შენი ბატონის შვილები? პირველად რომ შეგხვდი, თავლაში გეძინა და ჩაის სმით იბრუნებდი სულს, — თქვა ჰასანმა.

— ფული იმდენი მქონდა, რომ სამ ქარავანს ვიყიდდი, თავის მცველებიანად, მაგრამ გარკვეულ დრომდე არ მინდოდა ამის გამჟღავნება, — ჩაილაპარაკა შიმ.

— მაშინ რატომ გითხრა უარი ყაენის ძმამ?

— ამპარტავნებამ სძლია. არ მოინდომა ჩამოკონკილ ცინთან საქმის დაჭერა, თავის თანატოლად არ მიმიჩნია.

— რატომ არ მითხარი? ვაჭრობაში ჩავერეოდი და ყველაფერს მოვაგვარებდი, — განაგრძო ჰასანმა.

— რა უნდა მეთქვა? — გაიკვირვა შიმ. — ისედაც არ მენდობოდით და წარმომიდგენია, რას იფიქრებდით, ოქრო რომ გამომეჩინა და მეთხოვა, ჩემი სახელით, ყაენის ძმასთან ვაჭრობა გაგემართათ?! ეს საქმე ორი კაცის მოლაპარაკებით უნდა გადაწყვეტილიყო. ყაენის ძმას ტყუპი რომ დაეთმო, დილით ჩვეულებრივად გავაგრძელებდით გზას. თანაც, ამჯერად სხვა მიმართულებით წაგიყვანდით — გზით, რომელიც პირდაპირ მანჯუში ჩაგვიყვანდა, მაგრამ მონღოლი ვერ დავითანხმე. როცა მივხვდი, რომ ის არ დათმობდა, კარავი დავტოვე და იქვე ახლოს ჩავსაფრდი. მაშინ არ მქონდა გადაწყვეტილი მონღოლის მოკვლა. ტყვეებს ისედაც გავიტაცებდი. ცხენებსაც მოვიპარავდი და დილამდე საერთოდ, გადავიკარგებოდი. მაგრამ როცა ვნახე, როგორ მიერეკებოდნენ ცხვარს იმპერატორ ტანის შვილები, მომავალი იმპერატორი და ცინის პრინცესა, მათ პატრონს უყოყმანოდ გამოვუტანე განაჩენი. როგორც კი დაღამდა და მონღოლები ძილად მიეყარნენ, სამალავი დავტოვე და ტყვეთა კარავს მივაშურე. კარავს ორი მონღოლი იცავდა. ორივე მოვკალი. ეს ძნელი არ იყო. ვაჭრად მიმიჩნიეს და ახლოს მიმიშვეს. მოვიშორე თუ არა გუშაგები თავიდან, კარავში შევედი. როგორც ყველაზე ახალგაზრდებსა და უუფლებოებს, ტყუპს ზედ შესასვლელთან ეძინა. გაღვიძებისთანავე მიცნეს და კინაღამ ყველაფერი ჩაშალეს. გოგონამ სიხარულით წამოიყვირა. ძლივს მოვასწარი პირზე ხელის აფარება. მერე ორივე, კარვიდან გავიყვანე, ბანაკს მოვაშორე, საიმედო საფარიც მოვძებნე და ჩუმად ყოფნა ვუბრძანე, თავად კი ისევ კარვების ქალაქში დავბრუნდი. ეს ორი მიზეზის გამო გავაკეთე: პირველი ის იყო, რომ შურისძიება მწყუროდა. შურისძიება იმ დამცირებისთვის, რომელიც ცინის იმპერატორის შვილებს მიაყენეს და მეორე — ცხენები მჭირდებოდა. შორს წასვლა არ დამჭირვებია. ყაენის ძმის კარავი იქვე იყო, ცხენები კი — კარვის სიახლოვეს, ძელზე მიებათ. ორი მცველი კარვის შესასვლელთან მოვკალი და ყაენის ძმას მძინარეს დავადექი თავზე. ხმის გაღებაც ვერ მოასწრო, ისე გავუყარე ხანჯალი. სხვებს არაფერს დავუშავებდი, მაგრამ მომაკვდავის ხროტინმა ოჯახის წევრები გამოაღვიძა. ისინიც დავხოცე. მერე სამი ცხენი გავიტაცე და მემკვიდრეებთან დავბრუნდი... დანარჩენი თქვენც იცით. თქვენთვის რამის დაშავება არ მინდოდა, მაგრამ მომხდარს ველარაფერს ვუშველით. თითქმის ორი წელიწადი შევალიე იმპერატორის მემკვიდრეების ძებნას. ბევრი სისხლი დავღვარე, სხვისიც და საკუთარიც. თუ ჩემი მოკვლა გიწამლებთ, მომკალით, ოღონდ ახლა ნუ იზამთ ამას. მანჯუმდე მიმაცილეთ და მერე, თუ მოინდომებთ, ჩემი ხელით მოვიკლავ თავს, — დაამთავრა შიმ და ჰასანს გაუსწორა მზერა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ანგარებიანი ქორწინება ანუ როცა სიმდიდრე გვაბრმავებს

## „ჩემზე 9 წლით უფროსი, მაგრამ ფულიანი ქალია"...

**„ფულის გამო ვინც თხოვდება, მას უბედურება ელის. ვფიქრობ, უსიყვარულოდ არ უნდა დაოჯახდე, რადგან ეს უდიდესი ცოდვაა", — მომწერა 17 წლის ელენემ, რომელსაც მსგავსი ქორწინება აღიზიანებს. ელენეს დარად, ანგარებიან ქორწინებას ბევრი მოზარდი აძაგებს, ბევრი კი მიიჩნევს, რომ ამაში ცუდი არაფერია და ხშირ შემთხვევაში, ასე შექმნილი ოჯახიც მყარია.**

*ლიკა ქაჯაია*

**ზვიო,** *19 წლის:*

— 1 წლის წინ დავქორწინდი ქალზე, რომელიც ჩემზე 9 წლით უფროსია. მშობლები მას ძალიან ცუდად შეხვდნენ, რძლად არ მიიღეს და შინ მისვლა მეც ამიკრძალეს. ამ ამბის გამო დიდად არ მიდარდია, რადგან მათთან ცხოვრებას აღარ ვაპირებდი — ჩემს მეუღლეს უზარმაზარი სახლი აქვს და ჩემს 1-ოთახიან ბინაში რაღა მინდოდა?! ჰოდა, იმას გეუბნებით, რომ მეც ანგარებით დავქორწინდი.

**— გამოდის, რომ ცოლი უსიყვარულოდ შეირთე.**

— ჰო, ნინიკა მართლაც, არ მიყვარდა, მაგრამ ის ძალიან სიმპათიური, თანაც, ფულიანი ქალია და ჩემი მოხიბვლაც იოლად შეძლო. მეგონა, მასთან ბედნიერი არ ვიქნებოდი, მაგრამ ნინიკას სიმდიდრემ თვალი მომჭრა და გავრისკე.

**— მერე, ეს რისკი გამართლებული აღმოჩნდა?**

— რა თქმა უნდა. იცით, დაქორწინებიდან რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ცოლი სიგიჟემდე მიყვარდა და რომ მის გარეშე ვერ ვიცოცხლებდი. ცუდი ის გახლავთ, რომ მშობლები დღემდე არ მელაპარაკებიან. ვერ მოინელეს, ასაკით უფროსი ქალი რომ შევირთე.

**— მათ თუ იციან, ეს ფულის გამო რომ გააკეთე?**

— ალბათ იციან, მაგრამ ამის დაჯერება არ უნდათ და ამბობენ, რომ ნინიკამ ჩემი მოჯადოება მოახერხა, რომ საჭმელში რაღაც ჩამიყარა და ა.შ. ჩემი ცოლი ნამდვილი ანგელოზია, მას არავის გამო არ გავშორდები.

**— ნინიკამ თუ იცის, მისმა ფულმა რომ დაგიბრმავა თვალი?**

— არ იცოდა. ეს რამდენიმე თვის წინ გავუმხილე. ფაქტია, ამის გამო გული ძალიან ეტკინა და მითხრა, — თუ ახლაც არ გიყვარვარ, გთხოვ, არ მომატყუო და ჩემგან წადი; იცოდე, მიუხედავად ყველაფრისა, გასაჭირში არასდროს მიგატოვებ და მატერიალურად ყოველთვის დაგეხმარებიო. ამ სიტყვების შემდეგ ის უფრო შემიყვარდა.

**— ასაკობრივი ბარიერის გამო თავს უხერხულად არ გრძნობ? ნინიკა შენმა მეგობრებმა როგორ მიიღეს?**

— არა, ჩემი ცოლი ისე კარგად გამოიყურება, რომ ამ სხვაობას ვერავინ ამჩნევს. ვინც იცის, ის კომენტარისგან თავს იკავებს, რადგან ჩემი ხასიათის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ვინც ნინიკაზე ცუდს იტყვის,



ის ცოცხალი ვერ გადამირჩება. რაც შეეხება ჩემს მეგობრებს, სანამ ცოლს მოვიყვანდი, ნინიკასთვის თავის დანებებას მირჩევდნენ, მაგრამ ახლა ის მათაც ძალიან უყვართ... ხალხო, მთავარი — სიყვარული და გაგებაა, სხვა რაღაცებს კი ეშველება.

**— რას გულისხმობ?**

— ნინიკა რომც გაკოტრდეს, მას არასოდეს მივატოვებ. ცოლის წინაშე თავს დღემდე დამნაშავედ ვგრძნობ, რადგან ის ფულის გამო შევირთე. მაგრამ მერწმუნეთ, ახლა მეუღლე ძალიან მიყვარს და დღესდღეობით, ჩემთვის მთავარი — სიყვარულია.

**ლიკუნა:**

— მე ერთ მდიდარ კაცს დავახვიე თავბრუ და საწყალი ლამის გავაიმპოტენტე. როცა ფული გამოვძალე, ისე მივაგდე, არც დავფიქრებულვარ. ახლა ის სიკვდილის პირასაა, მე კი მეორედ გავთხოვდი და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

**— ეს ყველაფერი ისე მიამბე, თითქოს კურიოზს მიყვებოდი...**

— შენი აზრით, ჩემი ამბავი დამწუხრებულმა უნდა გიამბო? სატირალი რა მაქვს?! გავთხოვდი კაცზე, რომელსაც ნახევარი ქონება წავართვი, მერე კი გავშორდი და როცა ნამდვილმა სიყვარულმა მომიკაკუნა, ხელახლა გავთხოვდი. ადრე არაფერი მქონდა, ზამთარში ლამის შიშველი დავდიოდი, ახლა კი, ჩემი ყოფილი ქმრის წყალობით, ყველაფერი მაქვს.

**— იქნებ, შენს მეორე ქმარს არ უყვარხარ და მანაც ანგარებით შეგირთო?**

— არა, მას ნამდვილად ვუყვარვარ.

**— ასე დარწმუნებული რატომ ხარ? მისი ოჯახი მატერიალურად ძლიერია?**

— არა, მაგრამ ფულის გამო ნამდვილად არ მოვუყვანივარ ცოლად. მას ძალიან, ძალიან ვუყვარვარ და ჩემი ფული არაფერში სჭირდება.

**— თავის დროზე, უსიყვარულოდ ცხოვრება არ გიჭირდა?**

— რა თქმა უნდა, ძალიან მიჭირდა. ქმარი ხელს მომკიდებდა თუ არა, ცუდ ხასიათზე ვდგებოდი, ყველაფერზე ნერვები მეშლებოდა. მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვჩხუბობდით (თანაც, უმიზეზოდ), მაგრამ ყველაფერი მავიწყდებოდა მაშინ, როცა ის რაღაცას მჩუქნიდა.

**— ძვირად ღირებული საჩუქრების გამო უსიყვარულოდ ცხოვრება ღირს?**

— ალბათ არ ღირს, მაგრამ ბავშვობაში მე ისეთი გაჭირვება გამოვიარე, რომ ფულის გამო ყველაფერზე წავიდოდი... სიმართლე გითხრა, ახლა ჩემი საქციე-

ლის გამო ღმერთს პატიებას ვთხოვ, მაგრამ ხალხთან ამას არ ვაღიარებ.

— **პირველ ქმართან გაყრა როგორ მოახერხე?**

— ნერვებს ისე ვუშლიდი, რომ ბოლოს ჩემი დანახვაც აღარ უნდოდა. საცოდავს, ყველასა და ყველაფერზე ვაეჭვიანებდი. ჰოდა, სანამ ჩემი სისულელეების მოთმენა შეეძლო, მითმენდა, მერე კი შინიდან გამომაგდო. ალბათ ეგონა, შერიგებას მოვთხოვდი, მის გამო თვალებს ტირილით დავისივებდი, მაგრამ შეცდა.

— **მეგობრებმა, მშობლებმა ამ საქციელის გამო არ გაგკიცხეს?**

— როგორ არა, მაგრამ ისინი ჩემს „უდანაშაულობაში" დავარწმუნე და ყველაფერი ყოფილ ქმარს გადავაბრალე... ახლა 1 წლის შვილი — თეო მყავს და მეშინია, ჩემი ცოდვების გამო მას არ მიეზღოს. უფალო, დაიფარე ჩემი ოჯახი!

**ნინო:**

— ჩემი დაც ანგარებით გათხოვდა — ფულის გამო გაჰყვა მამისტოლა კაცს, რომელსაც ცოლიც ჰყავდა და შვილიც.

— **ანუ შენმა დამ სხვისი ოჯახი დაანგრია?**

— ჰო, ასე გამოდის და ალბათ, სამაგიერო ამიტომაც მიეზღო.

— **რას გულისხმობ?**

— მისი ქმარი გაკოტრდა და ისეთ სიღარიბეში ცხოვრობენ, რომ შეიძლება, სულ მალე შიმშილისგან სული დალიონ, მათი დახმარების სურვილი კი არავის უჩნდება.

— **შენი სიძე რამ გააკოტრა?**

— ცოდვებმა!!!

— **შენს ოჯახს ძალიან უჭირს?**

— სხვათა შორის, არა, მაგრამ არ ვიცი, ჩემი და რამ გადარია. ალბათ იმ საზიზღარი კაცის მანქანებს დახარბდა... ჰოდა, ახლა აღარც მანქანა აქვთ და აღარც — ლუკმაპური.

— **და ეს ამბავი გახარებს?**

— არა, ჩემი დის გასაჭირი ნამდვილად, არ მახარებს, მაგრამ მგონია, რომ ის ასეთ ცხოვრებას ვერ შეეგუება და ოჯახის წევრებს პატიებას გვთხოვს. აი, მაშინ კი შევძლებ მის „შეჯორვას".

— **ეს აქამდე ვერ მოახერხე?**

— კი, მაგრამ სათქმელი მაინც დამრჩა. მან უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა და ყველაფერი უნდა მოინანიოს... მისი გათხოვების შემდეგ მამას დამბლა დაეცა, დედას კი მას მერე წნევა აწუხებს. ჩემმა დამ დედ-მამას პატიება უნდა სთხოვოს და დაშვებული შეცდომა გამოასწოროს.

— **ამას როგორ შეძლებს?**

— თავის ქმარს უნდა შთააგონოს, რომ ის ცოლ-შვილს დაუბრუნდეს. სხვა საკითხია, ისინი მიიღებენ თუ არა, მაგრამ ეს აღარ მაინტერესებს. ჩემი და ვალდებულია, ქმრის ყოფილ ცოლს ბოდიში მოუხადოს და პატიება სთხოვოს. თუ ასე არ მოიქცევა, შეცდომას არც მე ვაპატიებ!"

## „დეიდაშვილის შეყვარებულთან ახლო ურთიერთობა მქონდა..."



BUTTERFLY:

„გამარჯობა. მე და დეიდაშვილის შეყვარებულს — გიოს ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა — ის ყველაფერს მიყვებოდა. ყოველდღე მირეკავდა (მიუხედავად იმისა, რომ დღის ნახევარს ისედაც ერთად ვატარებდით). მერე, შეყვარებულების ურთიერთობა ცოტათი შეიცვალა — ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ როცა ჩვენებმა ეს ამბავი გაიგეს, ჩემს დეიდაშვილს მასთან ურთიერთობა აუკრძალეს. ახლა ისევ ერთად არიან, მაგრამ ამას მალავენ. თითქმის 2 თვეა, გიოს არც გავხსენებივარ, აღარ მეკონტაქტება, ნინოს მისთვის საყვედური უთქვამს, — ასე რატომ დაივიწყეო? — მას კი უკითხავს, — თავად რატომ არ ვახსენდებიო? ერთხელ ქუჩაში შემხვდა და უსირცხვილოდ მისაყვედურა, — სად დაიკარგეო? ნერვები მომეშალა, ცრემლი გადავყლაპე და რომ არ მეტირა, ხმაც არ ამომიღია. გიოს ვაკოცე და წამოვედი. ამ ყველაფრის გამო გული ძალიან დამწყდა, რადგანაც ის ჩემთვის უძვირფასესი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ მიყვარს და მენატრება, მესიჯს მაინც არ მივწერ. ვიცი, ოდესმე ძველი ურთიერთობის აღდგენას შეეცდება, მაგრამ გული საშინლად ამიცრუვდა და არა მგონია, შევურიგდე... ლიკ, იმედია, არ დამალალატებ და მესიჯს დამიბეჭდავ. „გზის" მკითხველებო, გმადლობთ, რომ მომისმინეთ. ყველანი მიყვარხართ. უფალი შეგეწიოთ".

## „შემიყვარდა თურქი, მუსლიმანი და თანაც — ჩემი მასწავლებელი"

ნინი-17:

„მოგესალმებით. ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. საქმე ისაა, რომ შემიყვარდა ის, ვინც არ უნდა შემყვარებოდა — თურქი, მუსლიმანი და თანაც — ჩემი მასწავლებელი. მართალია, მას ჩემთვის არ უთქვამს — მიყვარხარო, მაგრამ მისი საქციელით ამას ყველა ხვდებოდა, მათ შორის, სკოლის დირექტორიც. ერთ დღეს, სკოლაში მისულმა გავიგე, რომ ის თურქეთში წავიდა. როცა მისი წასვლის მიზეზი ვიკითხე, მითხრეს, — ცოლის მოსაყვანად წავიდაო (ხომ იცით, იქ როგორც ხდება — თუ ოჯახის წევრებმა საცოლე შეგირჩიეს, ვალდებული ხარ, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცე და უსიყვარულოდ დაქორწინდე). ცუდად გავხდი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. მის ჩამოსვლამდე საშინლად ვიტანჯებოდი... მოხდა სასწაული და ის უცოლოდ დაბრუნდა. ჩვენ იმ დღესვე, გულახდილად ვილაპარაკეთ. მან მითხრა, რომ ცოლი იმიტომ არ მოიყვანა, რომ სხვა უყვარდა და რომ ამის გამო ოჯახთან პრობლემები შეექმნა. მართალია, ერთმანეთისთვის გრძნობა გამხელილი არ გვქონდა, მაგრამ ერთურთის თვალებში ვკითხულობდით სიტყვას „მიყვარხარ". როგორც ჩანს, ამას სხვებიც ამჩნევდნენ და ამიტომაც, ერთმანეთს თავს ვარიდებდით. ერთ დღეს, სკოლაში მისულს ხმა არ გამცა. მის თვალებში უდიდესი ტანჯვა ამოვიკითხე. ამ ამბავმა გამახარა, რადგან ყველაფრის მიზეზს მივხვდი — წინადღეს ცოტათი ვაეჭვიანე. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი საქციელი ვინანე. რატომ? — სკოლაში მისულმა გავიგე, რომ ისევ თურქეთში წავიდა, ოღონდ ამჯერად, მისი წასვლის მიზეზი ვერავინ მითხრა. ამბობდნენ, — თვის ბოლოს ჩამოვაო, მაგრამ მას შემდეგ 5 თვე გავიდა, ის კი ჯერაც არ დაბრუნებულა. ასე მგონია, ჩემ გამო წავიდა. დაქალები მეუბნებიან, რომ მას ჩემი დავიწყება უნდა. მე კი ვფიქრობ, აღარ ვუყვარვარ. იქნებ, ცოლი მოიყვანა და ჩემს ზარებს ამიტომაც არ პასუხობს? ამ ყველაფრის გამო საოცრად ვიტანჯები და მხოლოდ თქვენი დახმარების იმედი მაქვს. ჰო, მართლა, ის 26 წლისაა. ჩემო კარგებო, ყველაფრის მოყოლას ვერ ვახერხებ, მაგრამ მერწმუნეთ, ოდესღაც მას ნამდვილად ვუყვარდი".

***P.S.*** **მაშ ასე, თუ BUTTERFLY-ისა და ნინის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.**

# „რაღ გინდა, გქონდეს ფული და უბედური იყო?“

## „ჯანმრთელი ადამიანისთვის მთავარი – სიყვარულია“

„გზის“ №47-ში დაიბეჭდა ანას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „19 წლის მანძილზე 19 მილიონი რაღაც მაკლდა. ახლა ჩემს ცხოვრებაში მატერიალურად ძლიერი ბიჭი გამოჩნდა, რომელსაც სიგიჟემდე ვუყვარვარ და არაფერს მაკლებს“. ანა ამბობდა, რომ თაყვანისმცემელი არ უყვარს, მაგრამ მის გვერდით თავს სრულფასოვან ადამიანად გრძნობს, რადგან მას ბევრი ფული აქვს.

**იაკო (ქუთაისი):**

„მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რამ გაკლდა, გირჩევ, სულიერი სიმტკიცე ფულში არ გაცვალო. თუ არ გიყვარს, ფულის გამო უსიყვარულოდ ნუ გათხოვდები. თაყვანისმცემელს უთხარი, რომ არ გიყვარს“.

**სიკვდილა:**

„ფულის გამო ვილაცასთან ურთიერთობას არ გირჩევ. გახსოვდეს, მდიდრებიც ტირიან ხოლმე და არ მესმის, რად გინდა, გქონდეს ფული და უბედური იყო?“

**დიკ 18:**

„საყვარელო, ცხოვრებაში მეც ბევრი რამ მაკლდა, მაგრამ ეგ არაფერი. როცა წამოვიზარდე, მივხვდი, ეს სიცარიელე სხვა რალაცებით უნდა შემევსო. თუ არ გიყვარს, შეეშვი. იცოდე, ჯანმრთელი ადამიანისთვის მთავარი — სიყვარულია. გკოცნი, გენაცვალე და სანამ სხვისი გრძნობებით ითამაშებ, კარგად დაფიქრდი“.

**რეალისტი გოგონა:**

„ანანო, სიყვარულს დაელოდე. მე 21 წლის ვარ, ამ ცხოვრების რალაცები გამეგება და მერწმუნე, ნამდვილი გრძნობის გარეშე ბედნიერი ვერასდროს იქნები. სიყვარულს დაელოდე და გაიგებ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ბედნიერება“.

**აგათა:**

„19 წელი არც ისე დიდი ასაკია იმისათვის, რომ ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიო. რაც არ უნდა გიჭირდეს, საკუთარ ბედნიერებას სხვის უბედურებაზე ნუ ააგებ. ადრე თუ გვიან, ის ბიჭი მიხვდება, რომ იყენებ, გაბოროტდება და ვალში არ დაგრჩება, სამაგიეროს გადაგიხდის. ფულის გამო სულსა და გულს ნურავის მიჰყიდი. რადგან თვალებში ვერ უყურებ, გამოდის, რომ საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მიდიხარ. დრო რომ გავა და წარსულს გაიხსენებ, შეგრცხვება. ამაზე იფიქრე, გთხოვ“.

**GRAZY GIRL:**

„ჩემო კარგო, სილარიბე ნაკლი არაა. იმ ბიჭთან მხოლოდ იმიტომ, რომ მას ფული აქვს, არ იმეგობრო. თუ არ გიყვარს, ეს უნდა გაუმხილო. ადამიანს, რომელსაც ასე უყვარხარ, გული არ ატკინო“.

**თეო:**

„მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი. მას ფული თავზე საყრელად ჰქონდა, არაფერს მაკლებდა, მაგრამ არ მიყვარდა (მან ამის შესახებ იცოდა), ახლა კი ქვეყანას მირჩევნია. ნათქვამია — ბედნიერება ფულში არააო, — მაგრამ მერწმუნე, შეყვარებულები ხშირად სწორედ უფულობის გამო ჩხუბობენ“.

**უცნობი:**

„მდიდარ ადამიანებს ერთი ძალიან ცუდი ჩვევა აქვთ — ეს მესაკუთრეობაა. რადგან ბევრი ფული აქვთ, ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ. ოქროს გალიაზე რა აზრის ხარ? შენი აზრით, შეეჩვევი?“

**უსკო:**

„მასთან მხოლოდ ფულის გამო ნუ იქნები. მერწმუნე, ადრე თუ გვიან, სიყვარულის დანაკლისსაც იგრძნობ და მაშინ ბევრად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდები. კარგად დაფიქრდი და თუ მიხვდები, რომ მასთან მხოლოდ ფულის გამო ხარ, გირჩევ, ურთიერთობა შეწყვიტო“.

**GREEN GIRL:**

„სიყვარული მაინც არ არსებობს და იყავი იმ ტიპთან. ოლონდ იცოდე, არ მოატყუო. უთხარი, რომ არ გიყვარს, მაგრამ პატივს სცემ. წარმატებები!“

**პატარა გოგონა:**

„შენი ამბავი ჩემთვის ძალიან ნაცნობია. მეც ბევრი რამ მაკლდა და მეც ვუყვარდი მატერიალურად ძლიერ ბიჭს, რომელიც ყოველდღე ძვირფასი სამკაულებით, ყვავილებით ხელდამშვენებული მაკითხავდა, მაგრამ მისთვის არაფერი გამომირთმევია, რადგან არ მიყვარდა. ჩემო კარგო, ის ბიჭი ყულაბა არაა, ნივთების შესაძენად რომ გამოიყენო. ძალიან ცუდად იქცევი. იმ ბიჭმა თუ გაიგო, მასთან რატომაც ხარ, გული ეტკინება. მერწმუნე, არც ერთი ნივთი არ ღირს იმად, რომ ვილაცას გული ატკინო“.

**პანკუშკა:**

„ხალხო, რა გჭირთ? ფულის გამო სულს სატანასაც მიჰყიდით, არა? ანა, მისი გრძნობებით ნუ თამაშობ. ვინ იცის, იქნებ, მომავალში შენც ასე მოგექცნენ და მერე მიხვდები, თუ რა ძნელია, როცა გატყუებენ. სიცრუეში ცხოვრებით არ დაიღალე?“

**ნინილა:**

„ანგარებით გათხოვებას არ გირჩევ. შეეცადე, მასში სხვა ღირსებებიც აღმოაჩინო, თორემ თუ ფული გაუქრა, მასთან ცხოვრება გაგიჭირდება“.

**ვიკა:**

„ჩემო საყვარელო, ამ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია. „ვიგოდის“ და ძვირად ღირებული მობილურის გამო ცხოვრების გაუბედურება არ ღირს. კარგად დაფიქრდი და მიხვდები, რომ მთავარი — სიყვარულია. გთხოვ, ჩემი რჩევა გაითვალისწინო. ნურც თავს გაიტანჯავ და ნურც იმ ბიჭს დაუნგრევ ცხოვრებას“.

**ძველი მგზავნელი:**

„ჩემო კარგო, ცხოვრებაში ფულზე მნიშვნელოვანი რალაცებიც არსებობს. ჯობს, საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვე, რათა არც მას ატკინო გული და არც შენ დაიტანჯო. P.S. ლუციფერ, არ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი რომ გამოართვა? ძამიკო, მაგრად გაფასებ“.

**სვანის ასული:**

„იმ ბიჭის ცხოვრება ახლა გეჩვენება უზრუნველი და უპრობლემო. თანაც, იცოდე, ამქვეყნად მარადიული არაფერია... მერე, უსიყვარულოდ გათხოვილი, სხვა გოგონების მსგავსად, რჩევას ისევ ჩვენ გვკითხავ და შენი შვილიც შემოგჩივლებს, — უსიყვარულოდ შექმნილმა ოჯახმა ცხოვრება დამინგრიაო. კარგად დაფიქრდი!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თვითმკვლელობა გამოსავალი კი არა, უპატიებელი ცოდვაა"

## „რატომღაც მგონია, რომ მშობლები არ გიყვარს"

**„გზის" №47-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. თავის დროზე დედამისი უსიყვარულოდ გათხოვდა და ქმართან დიდხანს ვერ გაძლო. „ახლა მე დედასთან ვცხოვრობ, რომელსაც ინსულტი სამჯერ დაემართა. ის წამლების ქვეშაა. მამაც ავად გახლავთ. მეგობრებს თითქოს ჩემთან ურთიერთობა არ მოსწონთ, რაღაცის რცხვენიათ". უცნობი ამბობდა, რომ შეყვარებულიც არ ჰყავს და ზოგჯერ თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობს, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმისგან მშობლების გამო იკავებს თავს.**

**მალვინა:**

„შენი კარგად მესმის. რა საშინელებაა მარტოობა!.. ერთს გეტყვი — მარტოობაზე არ იფიქრო და მეგობრებთან ერთად, იმხიარულე. ჰო, ჩვენც შენს მეგობრად გვიგულე და ნუ მოიწყენ".

**მაია:**

„თვითმკვლელობაზე ფიქრი სისულელეა, შეყვარებული კი თავის დროზე, აუცილებლად გეყოლება. ჰო, დედაშენის მიმართ მეტი სიბთო და მზრუნველობა გამოიჩინე".

**სიკვდილა:**

„მეგობრები ასე ფიქრის საბაბს გაძლევენ? თუ არა, მაშინ მათ მეგობრობაში ეჭვს ნუ შეიტან!"

**დიკ 18:**

„პრივეტ", უცნობო მეგობარო. ვფიქრობ, ვიღაცას შენც თავდავიწყებით ეყვარები. იცი, რა მიკვირს?.. პატარა პრობლემა შეგექმნებათ თუ არა, მაშინვე თვითმკვლელობაზე რომ ფიქრობთ. ამაში გამოსავალი რომ იყოს, მთელი ქვეყანა ასე მოიქცეოდა".

**რეალისტი ფერია:**

„საყვარელო, დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. მსგავსი პრობლემები მეც მქონდა. არაფერზე იდარდო. მერწმუნე, ცხოვრება არც ისეთი ცუდია, როგორც გგონია. უფლის გწამდეს და ყველაფერი კარგად იქნება".

**აგათა:**

„ძალიან ძნელია, როცა შენზე არავინ ზრუნავს, როცა არავინ გეკითხება, რა გწყინს ან რა გიხარია. შენი პრობლემა რომელიმე ახლობელს გაანდე, ტაძარში იარე, ილოცე და სული დაგიმშვიდდება. მომავლის იმედი არ დაკარგო. მერწმუნე, შენთვისაც მოვა გაზაფხული და შენც გაიხარებ, იყვავილებ!"

**GRAZY GIRL:**

„შენმა მესიჯმა გული მატკინა. გთხოვ, ეკლესიაში იარე და ღვთისმშობელს შეევედრე, მშობლები გამოგიჯანმრთელოს. იცოდე, თავის მოკვლაზე არც იფიქრო. ღმერთს ებარებოდე!"

**უსკო:**

„შენი განცდები კომპლექსებს უკავშირდება, რომელიც ვფიქრობ, ოჯახურმა პრობლემებმა ჩამოგიყალიბა. შეყვარებულის არყოლა არც სირცხვილია და არც პრობლემა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მეგობარი იმისთვის გჭირდება, რომ ჭირსა და ლხინში მხარში ამოგიდგეს. ჩემო კარგო, ცხოვრებას ნუ ირთულებ".

**ამო:**

„თავის მოკვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ეს დიდი ცოდვაა. შენ ღმერთმა სიცოცხლე იმისთვის გაჩუქა, რომ ცხოვრების გემო გაგეგო. შენც იქნები ბედნიერი!"

**პატარა ფერია:**

„ნუ ამბობ, რომ მეგობრებს შენთან ურთიერთობის რცხვენიათ. ასე რომ იყოს, შენთან არ იმეგობრებდნენ. თუ გინდა, დამიმესიჯე. უფალი გფარავდეს".

**კაჭკაჭი:**

„თუ მეგობრებს ატყობ, რომ შენთან ურთიერთობის რცხვენიათ, მათთან რა გაკავშირებს? როდის იყო, მეგობრობა მატერიალური მდგომარეობითა და ოჯახური პრობლემებით იზომებოდა? იქნებ, ეს ყველაფერი შენი ფანტაზიის ნაყოფია?.."



**სვანის ასული:**

„რატომღაც, შეყვარებულის არყოლა ყველას ტრაგედიად მიაჩნია. ასეთი ფიქრებით თავს ტყუილად იტკივებთ... ოჯახში პრობლემა ყველას აქვს, მაგრამ ზოგჯერ, ბედნიერებაც გამოანათებს და ამისათვის სიცოცხლე ნამდვილად ღირს. მერწმუნე, თვითმკვლელობა გამოსავალი კი არა, უპატიებელი ცოდვაა. P.S. მშობლებო, არ მოაკლოთ შვილებს ყველაზე „იაფი", მაგრამ ყველაზე ძვირფასი რამ — ყურადღება!"

**პანკუშკა:**

„კარგია, თავადვე რომ ხვდები, თუ რაოდენ დიდ ტკივილს მიაყენებ მშობლებს, თუ თვითმკვლელობას გადაწყვეტ. ცუდი ფიქრები მოიშორე და გჯეროდეს, მზე შენთვისაც გაბრწყინდება... ყოჩაღ, კოკო!"

**ჩიჩილა:**

„ეს თვითმკვლელობები არ მოგბეზრდათ? პრობლემები მეც მაქვს, მაგრამ გამოსავალს სიკვდილში ვერ ვხედავ".

**ვიკა:**

„თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი მიუტევებელი ცოდვაა. სიკვდილზე ლაპარაკს შეეშვი და იმაზე იფიქრე, რომ შეიძლება, ვიღაც შენზე ცუდ დღეში იყოს. დარწმუნებული ვარ, მეგობრებს შენთან ურთიერთობის არ რცხვენიათ. უცნობო, შენს მეგობრად მიგულე. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ. ღმერთი გფარავდეს".

**GREEN GIRL:**

„თვითმკვლელობა გამოსავალი არაა. უცნობო, შენ დედას სჭირდები და ამაზე უნდა ფიქრობდე. უფალი მოწყალეა. ილოცე და ის აუცილებლად დაგეხმარება".

**ერეკლე:**

„ხალხო, რას ბოდიალობთ? რას ჰქვია, მეგობრებს რცხენიათ?! მგონი, რაღაცას ბოდავთ. ეჰ, ამ ბავშვებს არაფრის ერიდებათ და პრობლემებს ძალით იქმნიან. საწყალი დედაშენი, რა ცუდ სიტუაციაში ყოფილა. უცნობო, რატომღაც მგონია, რომ მშობლები არ გიყვარს. უფალს ებარებოდე".

**ნია:**

„უცნობო, შენი გამკვირვებია. თავს რატომ იკლავ? მერე რა, რომ შეყვარებული არ გყავს? 21 წლის ვარ და არავინ მყვარებია, მაგრამ ამის გამო თავს ნამდვილად ვერ მოვიკლავ. დრო მოვა და ჩვენც გვეწვევა დიდი სიყვარული".

**გია:**

„უცნობო, მე მოგცემ იმას, რაც ასე გაკლია. ჩემს ხელში სითბო და სიყვარული არ მოგაკლდება. ოღონდ იცოდე, ნაცოლარი ვარ. ჰო, კიდევ ერთი ნაკლი მაქვს — მსუქანა გახლავართ და შესაბამისად, ჭამა ძალიან მიყვარს. სიხარულო, კერძების მომზადება თუ გეხერხება? P.S. შენი ნომერი ლიკასთან დატოვე და თავად დაგიკავშირდები. წარმატებები!" ■

# BRABUS ელექტრომობილებზე იმუშავებს



გერმანული ატელიე — Brabus, რომელიც Mercedes-Benz-ის ავტომობილების ტიუნინგირებითაა ცნობილი, ელექტრომანქანების გაუმჯობესებაზე მუშაობის დაწყებას აპირებს. მისი პირველი პროექტი — ელროდსტერი Tesla ყოველწლიურ ტიუნინგშოუზე იქნება წარმოდგენილი, რომელიც ესენში შედგება. Tesla Roadster-ის მთავარი ღირსება იქნება სისტემა, რომელსაც „გარემომცველი ხმაურის გენერატორი" უწოდეს. განახლებული მანქანის მფლობელს შეეძლება აირჩიოს, თუ როგორი ხმა ექნება მის მანამდე „უხმაურო" ავტომობილს — როგორც ნამდვილ V8-მოტორიან ავტომობილს თუ — როგორც სარბოლო პროტოტიპს. გარდა ამისა, მძღოლებს კიდევ შესთავაზებენ ინჟინრების მიერ მოგონილ ორ სხვა „ეღერადობას" — Beam-სა და Warp-ს. ამასთან, მოტორის ხელოვნური „გრუხუნის" ინტენსიურობა და ხმის სიმაღლე, აჩქარების ინტენსიურობის მიხედვით, ავტომატურად დარეგულირდება, მაგრამ მას მხოლოდ მანქანის სალონში გაიგონებენ. დანარჩენი სიახლეები „ბრაბუსის" სტილშია შესრულებული — 19-დუიმიანი ბორბლები, ძარას თეთრი ფერი, კარბონის სპოილერით, ასევე ნისლის საწინააღმდეგო დიოდური მაშუქები. სალონში გამოყენებულია შავ-თეთრი ტყავი და ალუმინის დეტალები. როდსტერის დებიუტი 29 ნოემბერს შედგება. ■

# „ფორდის" ახალი სედანი



ჩინურ გუანჯოუში გამართულ ავტოსალონზე „ფორდმა" სედანის ვერსიის Fiesta წარმოადგინა. სიახლე ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე გასაყიდადაა განკუთვნილი, მაგრამ 2010 წელს შესაძლოა, სედანის აწყობა მექსიკაში დაიწყოს, ამის შემდეგ კი ჩრდილო ამერიკაშიც გამოჩნდება. კომპანიის ჩინური წარმომადგენლობის დირექტორი რობერტ გრაციანო მიიჩნევს, რომ მანქანა დიდი პოპულარობით ისარგებლებს — პოტენციურმა მყიდველებმა უნდა მოიწონონ დიდი საბარგული, ავტოს გარეგნობა და კომფორტული სალონი. შეგახსენებთ, რომ განახლებული Ford Fiesta-ს პრემიერა მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის ავტოსალონზე შედგა, ამავე დროს, კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს მანქანები არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში გაიყიდება. ■

# ABARTH-ის საიუბილეო 101 მანქანა

კომპანიამ — Abarth თავისი დამაარსებლის — კარლო აბარტის 100 წლისთავთან დაკავშირებით, „საიუბილეო" ჰეჩბეკის — Fiat 500 — შეზღუდული პარტიის გამოშვება გადაწყვიტა. სიახლეს 500 Abarth `DA 0 A 100" დაერქმევა. სულ კი, ამ სერიით 101 ავტომობილი აიწყობა, რომელთა შორისაც, თითოეულს საკუთარი სერიული ნომრის დაფა ექნება. საიუბილეო მოდელი 1,4-ლიტრიანი, 160 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბომოტორით იქნება აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს იგი 7,3 წმ-ში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 211 კმ/სთ იქნება. მანქანას მძლავრი სამუხრუჭე სისტემა, ნულოვანი წინააღმდეგობის ფილტრი და 17-დუიმიანი საბორბლე დისკები ექნება, Pirelli-ს საბურავებით. გარდა ამისა, ყველა საიუბილეო ავტომობილი განსაკუთრებული ტონალობის ნაცრისფრად შეიღებება და მას აგრესიული ძარა ექნება. ბაზარზე ავტოს გატანის ვადისა და ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ■







1. ძლდა-რი მუ-სლიმანის ცოლების ბინა
2. ვერდის ოპერა
3. იაპონური ალუბალი
4. მსხვილი თოკი
5. ინგლისის ფეხბურთის გუნდი
6. „მუდმივი ქალაქი“
7. მოლუსკი
8. წყალქვეშა კლდე
9. პორტუგალიის [illegible]
10. ამერიკული ავტომობილი
11. ფოთლოვანი ხე
12. ხის ჩხირი ცეცხლის ასანთებად
13. პოეტური ნაწარმოები
14. ყვავის ნაშიერი
15. ძვ. ბერძენი მეიგავე
16. ხის პატარა ბაყაყი
17. თენგიზ აბულაძის ფილმი
18. [illegible]
19. ... დიზელი
20. „დოლჩე და ...“
21. ნაგვის ყუთი
22. ერთ-ერთი შეგრძნება
23. სპირტიანი სასმელი
24. „ნისანის“ მოდელი
25. ძაღლის ჯიში
26. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი
27. გემრიელი საჭმელების მცოდნე
28. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი
29. სამშენებლო მასალა
30. ფულის ერთეული კანადაში
31. სპირტიანი სასმელი
32. ღამის ფრინველი
33. საქონლის გულ-ღვიძლი
34. სპორტი
35. ამხანაგი სამსახურის პროფესიის მიხედვით
36. ლუდის მასალა
37. [illegible] მაღალი ცხვარი
38. პატარა ტანის
39. ეტიკეტი
40. ლეგენდარული ქართული ანსამბლი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. დასტაქარი; 2. სარკოზი; 3. ქარბუქი; 4. კაზუარი; 5. გრიზლი; 6. ვერაკრუზი; 7. კუკარაჩა; 8. დიოსკურია; 9. სეიმი; 10. სატევარი; 11. კვერნაძე; 12. სტარტი; 13. მატისი; 14. ჩე; 15. ფლორა; 16. მიამიტი; 17. არსი; 18. ლეჩე; 19. ეფემერა; 20. ილუმინაცია; 21. ფია; 22. ყადი; 23. ტირე; 24. მარანელო; 25. აკმე; 26. მზაკვარი; 27. ვეჩე; 28. საბა; 29. სპაგეტი; 30. იონი; 31. ნივა; 32. ამადუ; 33. რუხი; 34. დეპო; 35. კრიმინალი; 36. აბი; 37. დინგო; 38. იდო.

სურათებზე: დევიდ არკეტი; პატრიცია არკეტი.

# როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ?

ნებისმიერი ქალის სილამაზეს მისი მომხიბვლელობა განსაზღვრავს. ზოგიერთი ქალი რაღაც იდუმალი ხიბლის გამოსხივების უნარითაა დაჯილდოებული, ზოგიერთი კი ამ უნარს მოკლებულია და ამიტომ, ირგვლივ მყოფთ მისი ღირსებების სათანადოდ შეფასება უჭირთ. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ქალები საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებენ, ეს კი მათ ცხოვრებაში არაერთ პრობლემას უქმნის. თუკი გაინტერესებთ, როგორი თვითშეფასების უნარით გამოირჩევით, გულწრფელად უპასუხეთ შეკითხვებს და ამას სულ იოლად გაარკვევთ.



**1. ვთქვათ, ახალგაცნობილი ადამიანი თქვენი ასაკის შეფასებისას შეცდა და ხუთიოდე წელი მოგიმატათ. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?**

ა) მეწყინება — 3;

ბ) გავიფიქრებ, რომ ის საკმაოდ ცუდად ერკვევა ქალებში და საერთოდ არ ძალუძს მათი ასაკის განსაზღვრა — 2;

გ) ჩემი აზრით, ეს ხუმრობისთვის საკმაოდ კარგი საბაბია — 1.

**2. როდესაც სამკაულის, კოსმეტიკის ან პარფიუმერიული ნაწარმის შეძენა გაქვთ განზრახული, რა განაპირობებს თქვენს არჩევანს?**

ა) ფასი (რაც უფრო ძვირად ღირებულია ესა თუ ის ნივთი, მით უკეთესია) — 3;

ბ) ამა თუ იმ ნივთს მხოლოდ საკუთარი გემოვნებით ვირჩევ — 2;

გ) მეგობარი გოგონების რჩევებს ვითვალისწინებ — 1.

**3. თუკი მოულოდნელად სტუმარი გესტუმრათ, როგორ მოიქცევით?**

ა) ვეცდები, არაფრით ვაგრძნობინო, რომ ის ცოტა არ იყოს, შეუფერებელ დროს მესტუმრა — 2;

ბ) სიხარულის შეძახილით შევხვდები: „ოჰ, როგორ გამახარე!" — 1;

გ) არ დავფარავ, რომ მისი უდროო ვიზიტით აღფრთოვანებული სულაც არა ვარ — 3.

**4. როცა წვეულებაზე ან თეატრში მიდიხართ, რა არის თქვენთვის უმთავრესი?**

ა) ის, რომ ირგვლივ მყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო — 3;

ბ) ის, რომ მეტისმეტად თვალში საცემად არ გამოვიყურებოდე — 1;

გ) ის, რომ საკუთარი გარეგნობით თავად ვიყო კმაყოფილი — 2.

**5. მაინც, რას უფრო შეადარებდით საკუთარ თავს:**

ა) გამძლე და „დღეგრძელობით" გამორჩეულ ქვას — 2;

ბ) ტირიფს, რომლის ტოტებიც მიწამდეა დახრილი, მაგრამ არ იმტვრევა — 1;

გ) ქარს — რომლის ძალსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს — 3.

**6. ვთქვათ, იმ დღეს უხერხულად გრძნობთ თავს, რადგან მიგაჩნიათ, რომ საკმაოდ ულაზათოდ ხართ ჩაცმული. მოულოდნელად გხვდებათ ნაცნობი გოგონა (ქალი) და გეუბნებათ, რომ შესანიშნავად გამოიყურებით. ქათინაურისთვის მადლობას უხდით, გულში კი გაიფიქრებთ:**

ა) საინტერესოა, რას მოელის ჩემგან? ნეტავ, რა უნდა, რომ მთხოვოს? — 1;

ბ) დღეს იქნებ, მართლაც, არცთუ ისე ცუდად გამოვიყურები? — 3;

გ) თავისთავად, ქათინაური ხომ პატარა, უწყინარი პირფერობაა — 2.

**7. ვთქვათ, თქვენ და თქვენი მეგობარი რაღაცაზე ვერ შეთანხმდით და წაკამათდით. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?**

ა) თავს უხერხულად ვიგრძნობ და შევეცდები, რომ საუბრის თემა დროულად შევცვალო — 1;

ბ) დიდად არ შევწუხდები, რადგან, მიმაჩნია, რომ საუკეთესო მეგობრებსაც კი ამა თუ იმ საკითხზე შესაძლოა, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ — 2;

გ) დაჟინებით მოვთხოვ, რომ მან საკუთარი აზრი შეიცვალოს — 3.

**8. თქვენს გარდერობში რაიმე თუ მოგეპოვებათ საკუთარი ხელით მოქსოვილი ან შეკერილი?**

ა) მომეპოვება და არა ერთი და ორი — 3;

ბ) დიახ, მაგრამ სადღაც მაქვს შეჩურთული, რადგან დიდი ვერაფერი ხვითო გამომივიდა — 1;

გ) არა — 2.

**9. რა აზრის ხართ საკუთარ გარეგნობაზე?**

ა) ჩემი გარეგნობის გამო, ბევრი მოშურნე მყავს და მიმაჩნია, რომ არცთუ უსაფუძვლოდ — 3;

ბ) მართალია, ფოტომოდელივით ვერ გამოვიყურები, მაგრამ ცუდი გარეგნობა არ მაქვს — 2;

გ) სამწუხაროდ, ამ მხრივ სატრაბახო არაფერი მაქვს — 1.

**10. როგორ გრძნობთ თავს იმ ქალის საზოგადოებაში, რომელმაც თქვენთან შედარებით ამ ცხოვრებაში ბევრად უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია?**

ა) შური მიპყრობს — 1;

ბ) საკმაოდ მშვიდად ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ საკუთარი ღირსება და უპირატესობა მეც მაქვს — 3;

გ) ვცდილობ, ყველაფერში მას მივბაძო — 2.

## ტესტის შედეგები

**12 ქულაზე ნაკლები:** დამყოლი ხასიათი გაქვთ და შეიძლება ითქვას, რომ დიდი მოთხოვნილებებით არ გამოირჩევით. გაქვთ იმის უნარიც, რომ ყური დაუგდოთ სხვის აზრს და ანგარიში გაუწიოთ მათ მოთხოვნებს. ზოგჯერ ამის გამო საკუთარ გემოვნებასა და სურვილებს არ ითვალისწინებთ. საკმაოდ იოლად ექცევით სხვების ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამას ვერც კი აცნობიერებთ. საკუთარ თავთან აღიარებთ, რომ უამრავი ნაკლი გაქვთ — დაფიქრდით, ცოტას ხომ არ აზვიადებთ? კარგი იქნება, თუ საკუთარი ღირსებების სათანადოდ დაფასებას ისწავლით, ამით მხოლოდ და მხოლოდ აიმაღლებთ რეპუტაციას.

**12-20 ქულა:** თქვენ მყარად დგახართ მიწაზე და საკუთარი თავის ფასიც მშვენივრად იცით. უფრთხილდებით თქვენს რეპუტაციას და ყოველთვის ცდილობთ, ირგვლივ მყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. ეს კი მით უფრო უკეთესად გამოგდით, რაც უფრო ბუნებრივად იქცევით.

**20 ქულაზე მეტი:** მეტისმეტად თავდაჯერებული ადამიანი ბრძანდებით. საკუთარი უპირატესობის შესახებაც კარგად მოგეხსენებათ. ძალიან გწყინთ, როცა ადამიანები სათანადოდ ვერ გაფასებენ. დაფიქრდით, იქნებ, მათი კრიტიკა ზოგჯერ სულაც არ არის უსაფუძვლო? ნუ დაივიწყებთ, რომ ზედმეტად თავდაჯერებულობას თან დიდი რისკი ახლავს — შესაძლოა, თქვენ მარტოობა დაგემუქროთ. იყავით უფრო მოქნილი, ოღონდ, ნურც საკუთარ ინდივიდუალობას დაკარგავთ.

6125/42



# ჰოროსკოპი

## (27 ნოემბერი – 3 დეკემბერი)

### ვერძი
თქვენი საქმიანობით დაინტერესდებიან მაკონტროლებელი ორგანოები. მეგობრების იმედი ნუ გექნებათ. ოჯახში სასიამოვნო ახალი ამბავი მოქმედების სტიმულს გაგიზრდით. ხშირად ილოცეთ.

### კურო
თავს ენერგიულად იგრძნობთ. კარიერულ აღმასვლაში ინტუიცია დაგეხმარებათ. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ ხელშეკრულებებსა და საბუთებს.

### ტყუპები
კარგი დროა ხელმძღვანელებთან ახალ პროექტებზე სასაუბროდ. ახალი ნაცნობობა და ხშირი შეხვედრები დამქანცველი აღმოჩნდება. გაუგებრობების გამო შესაძლოა, გადაიდოს მივლინებაც.

### კირჩხიბი
სასიყვარულო ურთიერთობაში სიფრთხილე გმართებთ, რადგან შეიძლება ეჭვიანობა ჩხუბისა და დაცილების მიზეზი გახდეს. მოზღვავებული ენერგია შემოქმედებითი საქმიანობისკენ მიმართეთ.

### ლომი
საქმიან პარტნიორებთან შეიძლება ურთიერთობა დაგეძაბოთ, რაც თქვენი კავშირის დაშლის საბაბი გახდება. ერიდეთ აზარტულ თამაშებს და ნუ გასწევთ რისკს. მეტი დრო დაუთმეთ სახლში ყოფნასა და საყვარელ ადამიანს.

### ქალწული
გადაამოწმეთ საკვების ვარგისიანობა და თავი შეიკავეთ წამლების, ტრანკვილიზატორებისა და ალკოჰოლისგან, რათა ზიანი არ მიაყენოთ ორგანიზმს. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ ოჯახის პრობლემებს და უფრო მეტი დრო დაუთმეთ პატარებს.

### სასწორი
გონება არეული გექნებათ და შესაძლოა, თავად შეიყვანოთ თავი იმ ჩიხში, რომლიდანაც გამოსვლა ძალზე გაგიჭირდებათ. საკუთარ უიღბლობას ხელფასის დაგვიანებას ნუ დააბრალებთ.

### მორიელი
ეცადეთ, ენერგიის მოზღვავება მხოლოდ თქვენი აგრესიულობით არ გამოიხატოს. საქმეებში დამოუკიდებლად იმოქმედეთ და გაერთეთ მეგობრების წრეში.

### მშვილდოსანი
ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ ხარჯები. სამსახურში შესრულებული სამუშაო თქვენთვის სტიმულის მომცემი აღმოჩნდება.. აუცილებლად დაისვენეთ, რათა ორგანიზმი არ გამოფიტოთ.

### თხის რქა
სამსახურში ცვლილებები თქვენს შემოსავალზე აისახება. ამიტომ, ეცადეთ, ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ განვითარდეს. ნუ გარისკავთ და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ დოკუმენტებს.

### მერწყული
მხიარულებას ბევრ დროს ნუ დაუთმობთ. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია კარიერისა და სამსახურისთვის. ამიტომ, ეცადეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ არც ერთი წვრილმანი და სათანადოდ გაიაზროთ თითოეული ნაბიჯი.

### თევზები
მუშაობასა და დასვენებას შორის აუცილებლად გაავლეთ ზღვარი. თუ შვებულებაში გაემგზავრებით, ეცადეთ, წყნარი კურორტი შეარჩიოთ. შესაძლოა, სპეციალობის ან სამსახურის გამოცვლის წინადადება მიიღოთ.

## სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 7 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 7 | 4 | 1 | 5 | 2 | 8 | 6 | 3 | 9 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 | 3 | 4 | 6 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 9 | 2 | 4 | 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 6 | 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 5 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 2 |
| 4 | 8 | 6 | 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 9 |

### იაპონური სენსაცია

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | 8 | 1 | 9 | |
| | 6 | | | 2 | | | | 7 |
| 4 | | 3 | | 7 | 1 | | | 5 |
| 7 | | 6 | | 1 | | | | 4 |
| | 3 | | | 6 | 2 | | 1 | |
| 2 | | | 3 | | | 5 | | 9 |
| 8 | | | 7 | 9 | | 6 | | 1 |
| 3 | | | | 8 | | | 5 | |
| | 1 | 9 | 2 | | | | 7 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 1 | | 3 | 7 |
| 2 | 1 | | 8 | | 7 | 4 | | |
| | 7 | | | | 9 | | 1 | |
| 5 | | 2 | 9 | | | | | 6 |
| | | 8 | | 3 | 5 | 7 | | |
| 9 | | | | 8 | | 2 | | 3 |
| | 9 | | 7 | | | | 2 | |
| | | 6 | 4 | | 2 | | 7 | 1 |
| 7 | 2 | | 5 | | | | | 8 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 4 | | | 7 |
| 9 | | | | 1 | | | 6 | |
| | | | | | 5 | | | 4 |
| | 3 | | 2 | | | | | 8 |
| 4 | | | | 8 | | | | 5 |
| 6 | | | | 9 | 1 | | 7 | |
| 2 | | | 1 | | | | | |
| | 6 | | | 4 | | | | 1 |
| 3 | | | 7 | | | | 4 | |

# ფოტოკურიოზები














# სახალხო ბანკი

## ანაბრების აქცია "პოზიტივი"

**+2%** საჩუქრად ყველას

თანხის გატანა ნებისმიერ დროს

5-ჯერ მეტი შანსი მოიგო:

**5** ბინა თბილისში

**50** პრიზი

**500** საჩუქარი



პირველი გათამაშება - 2008 წლის 27 დეკემბერს

55-55-00

www.peoplesbank.ge